

# «სამეგრელოში არჩევნების წაგება ალასანიას ბრალია» 2



# «საქართველოსთვის მაპზე უარის თქმა სწორი გადაწყვეტილება იყო» 2

# ფრანგმა პოლიტიკოსმა მერკელს უჩრია, «ხმა ჩაიწყვიტოს» 3



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№45 (280)
10 – 16 დეკემბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## 3 ობამას მეგობარმა ამერიკელებს ტერორისტების ერი უწოდა

## ხადურის დიეტა და ტყემალაძის საწებელი 12






ხადურის სულელური ფრაზების სუფრას პარლამენტარმა ზურაბ ტყემალაძემ საწებელივით მოასხა ფრაზა: „160 ლარი კი არ უნდა მეყოს მე, არამედ მე უნდა ვეყო 160 ლარს“!

## დესუვერენიზაციის რეპეტიცია უკრაინაში 5




ნებისმიერი ფაშისტური რეჟიმი განსხვავებულ აზრს განიხილავს, როგორც დანაშაულს, და უკრაინელებმა უნდა იცოდნენ, რომ „ნაციონალები“, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ მიდგომას შესთავაზებენ.

## «ნაციონალი» არგონავტები და ფაშიზმის ექსპორტი უკრაინაში 4

## 9 «ამერიკის შეერთებულ შტატებს პოსტსაბჭოთა სივრცეში ფაშისტური ძალები სჭირდება!»

## ტრადიციების ლანძღვის 10 ტრადიცია...

## «ამერიკის საამებლად ყულფში გავყავით თავი» 7



«ხელისუფლების წარმომადგენლებს ხომ ამერიკაში ჰყავთ ოჯახები, იქ ასწავლიან შვილებს, იქ არიან დილიდან საღამომდე და ამ გაამერიკელებულ ქართველებს ფეხებზე არ ჰკიდიათ მთელი საქართველო?!»

## ნატოს ნათელი ჰორიზონტი 6



«მეტი საქართველო ნატოში», თუ არ ჩავთვლით სამიტებზე ჩვენი მრავალრიცხოვანი დელეგაციების სტუმრობას, ერთადერთს ნიშნავს – იაფი ქართველი ჯარისკაცების გაგზავნას მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში»

## «ორვექტორული პარტიული მოდელი – საქართველოს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი 11 ფაქტორი!»

## «არც ატომური ბომბი გვინდა და არც ნატოს საწვრთნელი 13 ბაზები!»

## 14 ის, რასაც ქართული პრესა არ აქვეყნებს

## რატომ არ იძიებს პროკურატურა ხურჩის «ინციდენტს» და ვინ არის დაინტერესებული ამ საქმის ჩაფარცხვით? 8

## «რუსეთი საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზის განთავსებას უპასუხოდ არ დატოვებს» 8

# ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## არდადეგები 30 დეკემბერს დაიწყება



**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, სკოლებში ზამთრის არდადეგები 30 დეკემბერს დაიწყება და 14 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება. სასწავლო პროცესი 15 იანვრიდან აღდგება.** რაც შეეხება უნივერსიტეტებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე შემოდგომის სემესტრი 30 დეკემბერს სრულდება. არდადეგები გრძელდება 30 დეკემბრიდან 7 იანვრამდე და 15 თებერვლიდან 1 მარტამდე. მაგისტრატურის/დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის საუდიტორიო მეცადინეობები 18 იანვრამდე გრძელდება. არდადეგები მოიცავს 1- 7 იანვარს და 20 თებერვალი-1 მარტის პერიოდს.



## პროკურატურა ინტერპოლისგან მიხეილ სააკაშვილზე ძებნის გამოცხადებას მოითხოვს

**საქართველოს მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილზე ინტერპოლისგან საერთაშორისო მასშტაბით ძებნის გამოცხადებას მოითხოვს. უწყებამ ინტერპოლს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე ძებნის გამოცხადების შესახებ მიმართა, თუმცა, ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია.**

„ველოდებით გადაწყევტილებას. ამ ეტაპზე ინტერპოლს შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს", — განაცხადა მთავარი პროკურორის მოადგილემ ირაკლი შოთაძემ.

სააკაშვილზე ქვეყანაში ძებნა უკვე გამოცხადებულია. საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ბრალი ოთხ საქმეზე აქვს წარდგენილი, მათ შორის, გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საქმე, პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე 2005 წელს მომხდარი შეიარაღებული თავდასხმა, 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევა, ტელეკომპანია „იმედში" შეჭრა და არკადი პატარკაციშვილის ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდება.

### ბიძინა ივანიშვილი:

## არჩევნების დროს სამეგრელოში განცდილი წარუმატებლობა ალასანიას სუსტი მენეჯმენტის ბრალია

**ყოფილი პრემიერმინისტრის, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის" დამფუძნებლის — ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ალასანიას მენეჯმენტში პრობლემები ჰქონდა და ეს არჩევნების დროს სამეგრელოში გამოჩნდა.**



„შევახსენებდი, რომ მას არჩევნების პერიოდში სამეგრელოს რეგიონი ჰქონდა ჩაბარებული მისივე ინიციატივით და იქ ყველგან წავაგეთ არჩევნების პროცესი. და ეს იმ დროს, როცა რეგიონი მომართული იყო და ეს ზუგდიდის აქციამაც აჩვენა. ჩვენ სხვა შედეგებს ველოდით, თუმცა ვერც ერთ ადგილას ვერ გაიმარჯვა და ამასთანავე, ვერც ერთი დარღვევა ვერ დააფიქსირა. ბევრჯერ მითქვამს, რომ შეკითხვები მაქვს, რა მოხდა სამეგრელოში, ახლაც შევახსენებდი, რომ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, სამეგრელოში წარუმატებლობა რომ განვიცადეთ, სწორედ რომ მისი სუსტი მენეჯმენტისა და კიდევ რაღაცების ბრალი შეიძლება იყოს. მენეჯმენტში პრობლემა იყო ის, რომ მისი პრემიერმინისტრობის პერიოდში შს სამინისტრომ და სასჯელაღსრულების სამინისტრომ ერთ-ორ კვირაში გადაალაგეს კვების საკითხი და საუკეთესო კვება დაუნიშნა თავის თანამშრომლებს. ირაკლი ალასანიამ კი ეს ვერ მოახერხა, ერთი წლის განმავლობაში ოთხი ტენდერი ჩაშალა, ემსახურებოდა ისევ ის კომპანია, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას" ჰქონდა დაფუძნებული. ბევრი მოიწამლა და დიარეა ჰქონდა ჯარისკაცებს, ეს არის ცუდი მენეჯმენტის შედეგი. ჩემი აზრით, ირაკლი ალასანია უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებს", — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

### ნიკოლოზ მჟავანაძე:

## სირცხვილია, რომ ილიაუნის კარი ერეკლე დეისაძისთვის ღიაა, ხოლო მღვდელმსახურ თეოდორე გიგნაძისთვის — დაკეტილი

**„უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე შეშფოთებას გამოთქვამს ილიაუნის რექტორის — გიგა ზედანიას მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, რომლითაც უნივერსიტეტში მღვდელმსახურ თეოდორე გიგნაძეს რელიგიურ საკითხებზე ლექციების კურსის ჩატარება აეკრძალა. მჟავანაძის თქმით, ამით არამარტო მღვდელმსახურის, არამედ უამრავი მართლმადიდებელი სტუდენტის უფლებები შეილახა.**



„ადგილი აქვს სიტყვისა და აზრის თავისუფლებასთან და აღმსარებლობის გავრცელების საყოველთაოდ აღიარებული უფლების დარღვევას. ეს უფლებები განმტკიცებულია საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო აქტებითა და საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დეკლარაციით. ილიაუნის რექტორის — გიგა ზედანიას გადაწყვეტილება რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის გამოვლენაა. რამდენიმე თვის წინათ იქნა მიღებული კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომლითაც ადამიანების ნებისმიერი სახის დიფერენცირება სასტიკად აიკრძალა. საინტერესოა, რა აზრი აქვს მხოლოდ ქაღალდზე დატანილ ნორმას, თუკი რეალურად კვლავაც გვექნება დისკრიმინაციის გამოვლენის ფაქტები? მოვუწოდებთ შესაბამის ორგანოებს, დროულად ჩაერთონ აღნიშნულ საკითხში, აღმოფხვრან დისკრიმინაცია მღვდელმსახურ მამა თეოდორეს და ასეულობით მართლმადიდებლის მიმართ. მთავარმა პროკურატურამ კი დაიწყოს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევაზე. იმ დროს, როცა ერეკლე დეისაძისა და სხვა ათასი ღვთისმგმობელისთვის „ილიაუნის" კარი ღიაა, იმავე უნივერსიტეტის კარი იხურება მღვდელმსახურისთვის, რომელსაც სურს, სტუდენტებს ლექციათა კურსი რელიგიურ საკითხებზე წაუკითხოს", — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.



### ანგელა მერკელი:

## საქართველოსთვის მაპზე უარის თქმა სწორი გადაწყვეტილება იყო

**გავლენიან გერმანულ გაზეთ „დი ველტ"-ის საკვირაო ნომერში გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც საქართველოს შესახებაც საუბრობს.**

გადაწყვეტილება, რომ უკრაინასა და საქართველოს უარი ეთქვათ ნატოში გაწევრების პირველი საფეხურის, სამოქმედო გეგმის (მაპ) მიცემაზე, სწორი გადაწყვეტილებაა და დღესაც უცვლელი რჩება. ნატოში გაწევრების გადაწყვეტილება ერთხმად უნდა იქნას მიღებული. გერმანიამ უკრაინისა და საქართველოსთვის სამოქმედო გეგმის მიცემაზე უარი ობიექტური მიზეზების გამო თქვა და არ დავიწყებ სპეკულირებას იმაზე, რა მოხდებოდა, სხვა გადაწყვეტილება რომ მიგვეღო!" — განაცხადა მერკელმა.

## მღვდლის ქალიშვილმა მოკლა შვილი, რომელიც მამისგან გააჩინა

**ბრიტანელმა სამართალდამცველებმა 63 წლის მოძღვარი და მისი 28 წლის ქალიშვილი დააკავეს ახალშობილის მკვლელობისთვის, რომელიც მათი სექსუალური კავშირის შედეგად დაიბადა.** მოძღვარი რეფ ჯიმ პერსივალი თავის 65 წლის ცოლთან — სუზანთან და საერთო ქალიშვილთან —რუთთან ერთად სოფელ ფრეკლეტონში ცხოვრობდა.

მღვდელი და მისი ქალიშვილი ეჭვმიტანილები არიან სექსუალური ხასიათის დანაშაულში, ბავშვის მკვლელობასა და დანაშაულის ფაქტის დამალვაში. მკვლელობის დამალვისთვის ასევე დაკავებულია მოძღვარის ცოლი.

### ირაკლი ღარიბაშვილი:

## პრემიერმინისტრის გადაყენება-გამოცვლა ასე მარტივად არ ხდება

**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 9 დეკემბერს ბრიფინგი გამართა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა.**



„ჩემთვის გაუგებარია, რას ეფუძნება ეს აჟიოტაჟი, მაშინ, როცა მე წელს უკვე ორჯერ შევცვალე მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა. ზაფხულში 7 მინისტრი შევცვალე, ერთი თვის წინათ — 3 მინისტრი. ამ ორი წლის განმავლობაში ყოველთვის ხდებოდა განახლება, დეპარტამენტების უფროსების გადაადგილება, მინისტრის მოადგილეების შეცვლა და გადაადგილება. ასე რომ, სპეკულაციები და ტყუილი, უსაფუძვლო ბრალდებები, რომლებიც ისმის მედიაში, მიუღებელია", — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა საკადრო ცვლილებების გამო ატეხილ აჟიოტაჟზე.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ჭორები, თითქოს მას დაკავებულ პოსტზე სხვა შეცვლის, სასაცილოა და პრემიერმინისტრის გადაყენება-გამოცვლა დემოკრატიულ სახელმწიფოში ასე მარტივად არ ხდება.

„ბიძინა ივანიშვილი არ ერევა მთავრობის საქმიანობაში. არ დამიმალავს, რომ, როდესაც საჭიროდ ვთვლით და მნიშვნელოვან საკითხებზე გვაქვს მსჯელობა, შეიძლება, დავურეკო მას და ვკითხო აზრი და რჩევა. ეს ნორმალური პროცესია და ყველა ქვეყანაში ხდება, როდესაც ყოფილ პრემიერმინისტრს, ყოფილ პრეზიდენტს ეკითხებიან აზრს. ეს ხდება გამჭვირვალედ და ეს არის ჩემთვის მთავარი", — აღნიშნა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდა 5 პროცენტს გადააჭარბებს.

## «ყავის სმისა და ძეგლთა ნგრევის სამინისტრო» — აქცია კულტურის სამინისტროს შენობასთან




**„საყდრისის გადარჩენის კომიტეტმა" კულტურის სამინისტროსთან აქცია მოაწყო. საპროტესტო ღონისძიების მონაწილეებს სამინისტროს შენობასთან მიტანილი ჰქონდათ მაგიდა, სკამები და ცხელი ყავა. მათ ამ ფორმით უწყების „უსაქმურობა" გააპროტესტეს. აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ უწყება არაფერს აკეთებს და სამინისტროს თანამშრომლები მხოლოდ ყავის სმით არიან დაკავებული.**

„მარტო 2013 წლისთვის საკვები პროდუქტების შესყიდვაზე დადებულია ხელშეკრულებები 31 073 ლარის ღირებულების. შესყიდულია 10 393 ლარის ყავა. შეძენილი აქვთ 35 044 ლარის ღირებულების ალკოჰოლური სასმელი. 2013 წელს კულტურის სამინისტროს მიერ სარესტორნო მომსახურების შესყიდვაზე დახარჯულია 102 739 ლარი. ეს რიცხვები ადასტურებს იმას, რასაც ჩვენ ვამბობთ", — განაცხადა აქციის მონაწილემ.




## ჩინეთმა ეკონომიკური მაჩვენებლებით აშშ-ს გაუსწრო

**მრავალი ათწლეულის განმავლობაში პირველად აშშ-მა უდიდესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს სტატუსი დაკარგა, — იუწყება FoxNews-ი, რომელმაც სავალუტო ფონდის მონაცემები გამოაქვეყნა.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2014 წელს ჩინეთის ეროვნული ეკონომიკის მოცულობამ 17,6 ტრილიონი დოლარი შეადგინა, აშში-სთვის კი ეს მაჩვენებელი 17,4 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

ექსპერტთა აზრით, ახლა ჩინეთის ეკონომიკა უდიდესია მსოფლიოში, თუმცა ქვეყანა ყველაზე მდიდარი არ არის. ჩინეთში მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელი ჯერ კიდევ ჩამორჩება აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ობამას მეგობარმა ამერიკელებს ტერორისტების ერი უწოდა

**ბარაკ ობამას მეგობარმა და ყოფილმა დამრიგებელმა, ილინოისის შტატის უნივერსიტეტის ყოფილმა პროფესორმა უილიამ აიერსმა განაცხადა, რომ ამერიკელები ტერორისტების ერია, რომელიც მსოფლიოს უდიდეს საფრთხეს უქმნის.**

**„ამერიკული იმპერიალიზმი დღეს დასუსტებულია ისევე, როგორც მისი ეკონომიკური და პოლიტიკური სიმძლავრე. მიუხედავად ამისა, ის მაინც აფართოებს თავის აგრესიულ სამხედრო ძალას. მიმაჩნია, რომ აშშ-მა დაუყოვნებლივ უნდა დახუროს თავისი სამხედრო ბაზები, უცხო სახელმწიფოების ტერიტორიებიდან გამოიყვანოს ყველა სამხედრო ქვედანაყოფი, მათ შორის, დაქირავებულები, სამხედრო დახმარება შეუწყვიტოს ისრაელს და ცალმხრივად თქვას უარი ატომურ იარაღზე... ტერორიზმთან ბრძოლა — ეს არის მითი, თუმცა მითი მომაკვდინებელი შედეგებით და ამაში დამნაშავეა აშშ,“** — განუცხადა უილის აიერსმა ირანულ სააგენტო Fars News Agency-ს.



## «ტერორიზმთან ბრძოლა — ეს არის მითი, თუმცა მითი მომაკვდინებელი შედეგებით და ამაში დამნაშავეა აშშ»






## რაიმონდ პაულსი: ლატვიის მთავრობა სავსეა კორუფციაში ჩაფლული პირებით!

**რაიმონდ პაულსმა უარი თქვა ლატვიის სამთავრობო კონცერტში მონაწილეობაზე. ამის შესახებ 78 წლის კომპოზიტორმა რიგის რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.** რაიმონდ პაულსმა უარი თქვა ლატვიის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამთავრობო კონცერტში მონაწილეობაზე, რადგან იმედგაცრუებულია ლატვიის ხელისუფლების პოლიტიკის გამო. მისი თქმით, ქვეყნის ხელისუფლებაში მხოლოდ კორუფციაში ჩაფლული პირები არიან.

პოპულარულმა კომპოზიტორმა ისიც აღნიშნა, რომ არაერთხელ შესთავაზეს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში შეყვანა და უცხოეთში გამგზავრება, მაგრამ ყოველთვის უარი თქვა.

## რონ პოლი: ეს სანქციები აშშ-ს ბუმერანგივით დაუბრუნდება!

**„ანტირუსული რეზოლუცია, რომელიც აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ 4 დეკემბერს მიიღო, ბევრ კონგრესმენს არც კი წაუკითხავს,“ — დარწმუნებულია აშშ-ის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი რონ პოლი. მისი აზრით, ასეთი დოკუმენტის მიღების შემდეგ რეალური სამხედრო მოქმედებების დაწყება გამორიცხული არ არის.**



4 დეკემბერს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო „ანტირუსული“ რეზოლუცია №758, რომლითაც აშშ-ის პრეზიდენტს რუსეთის მიმართ გადამჭრელი ზომების მიღებისკენ მოუწოდებენ უკრაინაში შექმნილი ვითარების გამო. დოკუმენტს მხარი დაუჭირა კონგრესმენთა უმრავლესობამ, წინააღმდეგი იყო მხოლოდ პალატის 10 წევრი. რონ პოლის აზრით, ეს 16-გვერდიანი დოკუმენტი სერიოზულად არავის წაუკითხავს. და, თუ წაიკითხა და მხარი მაინც დაუჭირა, ჯანმრთელობის მხრივ რაღაც კარგად არ აქვს.

„ამ დოკუმენტის შინაარსის მიხედვით, რუსეთი უნდა დაესაჯათ იმისათვის, რომ ცუდად იქცევა, როგორც ჩანს, კონგრესმენებმა ჩათვალეს, რომ დღეს ასეთი პოზიცია პოპულარულია და დოკუმენტს მხარი ისე დაუჭირეს, რომ არც კი წაუკითხავთ. ამასთანავე, მედიასაშუალებებშიც ანალოგიური რამ ხდება: ამ რეზოლუციის კრიტიკას ვერ მოისმენთ ისეთ არხებზე, როგორიც არის Fox-ი, CNN-ი ან MSNBC-ი. ისინი, უბრალოდ, უგულებელყოფენ ამ ინფორმაციას.

თუკი გაეცნობით ინფორმაციას იმის თაობაზე, რა მოხდა ბოლო წელს, მას შემდეგ, რაც ნატომ და ევროკავშირმა უკრაინაში გადატრიალება მოაწყვეს და კანონიერად არჩეული პრეზიდენტი დაამხეს, დაინახავთ, რომ მსგავსი განცხადებები, როგორიც 758-ე რეზოლუციაშია მოყვანილი, რეგულარულად გაისმოდა. ასე რომ, ეს, უბრალოდ, მორიგი ნაბიჯია ამ მიმართულებით. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები, დიდია ალბათობა, რომ ეს სანქციები ბუმერანგივით უკან დაგვიბრუნდეს.

მათ სურთ, რუსეთი დასაჯონ ასეთი გადაწყვეტილებებით, არადა, ამით ჩვენი ნავთობკომპანიები დაზარალდებიან, რაც ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე,“ — განაცხადა რონ პოლმა.

## აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდა, საკუთარ ქვეყანაში მიაქციოს ყურადღება ადამიანების უფლებების პრობლემებს

**„აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებები რეალობას არ ასახავს და ორმაგ სტანდარტებს ეყრდნობა,“ — განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტის პრესმდივანმა აზერ გასიმოვმა.**

რადიო „თავისუფლების“ აზერბაიჯანის განყოფილების თანამშრომელი ჰადიჯა ისმაილოვა 5 დეკემბერს დააპატიმრეს. მას ბრალი ედება ამ რადიოსა და Meydan TV-ის ყოფილი თანამშრომლის — ტურალა მუსტაფაევას თვითმკვლელობამდე მიყვანაში. ჰადიჯა ისმაილოვას დაპატიმრების კომენტირებისას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარი ჰარფმა განაცხადა, რომ აშშ შეშფოთებულია აზერბაიჯანელ საზოგადოებაზე ხელისუფლების ზემოქმედების გამო, ამიტომ არაერთხელ გამოუხატავს უკმაყოფილება აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ.

**„ჰუმან რაითს ვოჩის“, „ემნესტი ინტერნეიშენელისა“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, აგრეთვე, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა განცხადებები, ჯერ ერთი, რეალობას არ შეესაბამება; მეორე — არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ მიუნიჭებია უფლებამოსილება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის, განსაჯოს სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესები. ჩამოთვლილი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა აშშ-ის ტერიტორიაზეა განლაგებული და, ფაქტობრივად, სახელმწიფო დეპარტამენტის ქვეგანყოფილებებს წარმოადგენენ.** აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ზოგიერთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული ინფორმაცია, მათ შორის, ჰადიჯა ისმაილოვას შესახებ, ტენდენციური და ორმაგ სტანდარტებს ეყრდნობა, ეს არის ანტიაზერბაიჯანული კამპანიის ნაწილი, რომელსაც გარკვეული წრეები ეწევიან,“ — განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტის პრესმდივანმა აზერ გასიმოვმა და დასძინა, რომ „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც აზერბაიჯანში მომხდარ პატარა ინციდენტზე მყისვე გამოხატავს თავის თვალსაზრისს, საერთოდ არ რეაგირებს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე სხვა ქვეყნებში, მათ შორის, აშშ-შიც. მაგალითად, 2007 წელს ბლოგერი ჯონ ვოლფი 226 დღით დააპატიმრეს იმის გამო, რომ სამართალდამცავ ორგანოებს უარი განუცხადა სან-ფრანცისკოში გამართული დემონსტრაციის ამსახველი ვიდეომასალების გადაცემაზე. ფერგიუსონის მოვლენების დროს კი 20 ჟურნალისტი დააპატიმრეს ომის გამო, რომ მათი პოლიციელების ძალადობა ვიდეოკადრებზე აღბეჭდეს“.

შეგახსენებთ: რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენიფერ ფსაკიმ აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვის ვითარება გააკრიტიკა და განაცხადა: „აშშ-ს აშფოთებს ის, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება არ ასრულებს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ნაკისრ ვალდებულებებს“.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კრიტიკის საპასუხოდ კი აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდა, საკუთარ ქვეყანაში მიაქციოს ყურადღება ადამიანების უფლებების პრობლემებს.



## ფრანგმა პოლიტიკოსმა მერკელს ურჩია, «ხმა ჩაიწყვიტოს»

**„ევროპარლამენტის დეპუტატმა და პარტია „მემარცხენე ფრონტის“ ლიდერმა ჟან-ლუკ მელანშონმა საფრანგეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს ურჩია, ხმა ჩაიწყვიტოს და თავის ღარიბებს მიხედოს. ეს განცხადება ფრანგმა პოლიტიკოსმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.** „ხმა ჩაიწყვიტეთ, ფრაუ მერკელ! საფრანგეთი თავისუფალი ქვეყანაა! თქვენთვის უფრო სასარგებლო იქნება, ნანგრევებში მყოფი გერმანიის მეურნეობას თუ მიხედავთ!“ — დაწერა ჟან-ლუკ მელანშონმა გერმანიის ლიდერის მიერ Die Welt-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრების პასუხად, რომ „საფრანგეთსა და იტალიაში განხორციელებული რეფორმები არასაკმარისია“.

ცოტა ხნის წინათ, გერმანიის ბუნდესტაგში დეპუტატმა სარა ვაგენკნეხტმაც მიუთითა მერკელს, რომ კანცლერი, გერმანიის პრობლემების გადაჭრის ნაცვლად, სხვა ქვეყნებისთვის ჭკუის დარიგებით არის დაკავებული.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ნაცების“ მიგრაციით გამოწვეულ სიხარულს შეიძლება სევდა შეერიოს, რადგან არც ისე ძნელი ამოსაცნობია, რა ამბებს დაატრიალებენ ისინი უკრაინაში.**

# «ნაციონალი» არგონავტები და ფაშიზმის ექსპორტი უკრაინაში

**უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს, ალბათ, ოქროს საწმისის ორდენი უნდა გადავცეთ, ხოლო პრემიერმინისტრ არსენი იაცენიუკს — საპატიო სიგელი. ზოგს ეს იდეა შეიძლება მანიაკალურად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ორი ადამიანი ბოლო დღეებში საქართველოსთვის გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე ყველა უცხოელი პარტნიორი, ერთად აღებული. კერძოდ კი, საქართველოში სადისტური დიქტატურის რესტავრაციაზე ორიენტირებული ყოფილი ჩინოვნიკები და „ნაცმოძრაობის“ ლიდერები უკრაინაში მიჰყავს, მოქალაქეობას აძლევს და ასაქმებს. როგორც ცნობილია, ოქროს საწმისის ორდენით აჯილდოებენ უცხოელებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოს ეროვნული უშიშროების ინტერესების დაცვაში, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში და ა. შ. ქართველების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ, რაც უფრო შორს იქნებიან „ნაციონალები“ საქართველოდან, მით უფრო დიდი პროგრესი გვექნება ორივე მიმართულებით.**
**ასე რომ, დიდი მადლობა, პეტია, შენ გაიხარე, არსენი!**



საუბარი ზიმბაბვეს ან ჰონდურასს რომ ეხებოდეს, მას, ალბათ, აქვე დავასრულებდით, მაგრამ ვინაიდან უკრაინის მიმართ გამორჩეულად თბილი დამოკიდებულება გვაქვს, **„ნაცების“ მიგრაციით გამოწვეულ სიხარულს შეიძლება სევდა შეერიოს, რადგან არც ისე ძნელი ამოსაცნობია, რა ამბებს დაატრიალებენ ისინი უკრაინაში**. თუ პოროშენკო თანამდებობებს თუნდაც 10-15 ყოფილ ქართველ მაღალჩინოსანს შესთავაზებს, მათ აუცილებლად მიჰყვება ასეულობით საშუალო და დაბალი რგოლის „ნაციონალი“ და ისინი უკრაინაში სწორედ იმ იდეებსა და სულისკვეთებას გაავრცელებენ, რომელთა გამო საქართველოს მოსახლეობამ შეიძულა და პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქცია.

**ნებისმიერი ფაშისტური რეჟიმი განსხვავებულ აზრს განიხილავს, როგორც დანაშაულს, და უკრაინელებმა უნდა იცოდნენ, რომ „ნაციონალები“, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ მიდგომას შესთავაზებენ.** ყურადღება მივაქციოთ ძებნილი მიხეილ სააკაშვილის ბოლო განცხადებას, რომელიც ამ მხრივ ერთ-ერთ „პირველ მერცხალს“ წარმოადგენს: „სამხედრო თვალსაზრისით, ის (პუტინი) გააგრძელებს შეტევებს, მაგრამ ამ ეტაპზე კიევს არა ტანკებით, არამედ ახალი მეხუთე კოლონით შეუტევს“ („უკრაინსკაია პრავდა“). შემდეგი ეტაპი (საქართველოში ასე მოხდა) ხსენებული „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლებად იმ უკრაინელი პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების გამოცხადება იქნება, რომელნიც მოქმედი მთავრობის კურსს არ ეთანხმებიან და რბილად აკრიტიკებენ მას. მნიშვნელობა არ აქვს, რა შეხედულებები აქვთ მათ, იდგნენ თუ არა „მაიდანზე“ და რა განცხადებებს აკეთებენ პუტინის მისამართით, რადგან ამ მოდელის ფარგლებში განსხვავებული პოზიციის ნებისმიერი გამოხატულება განიხილება, როგორც მტრული დივერსიული აქტი. **სააკაშვილის მმართველობის წლებში საქართველოში არ დარჩა არც ერთი ოპოზიციური ჯგუფი (ხელისუფლების აშკარა მარიონეტების გარდა), რომელსაც კრემლის ინტერესების გამტარებელი არ უწოდეს და „ნაციონალები“, სავარაუდოდ, შეეცდებიან, პოროშენკოს ხელისუფლებას ამავე მიმართულებით უბიძგონ.** საზოგადოების ხელოვნური გახლეჩა, მისი დაყოფა „თავისიანებად“ და „მტრებად“, მოკლედ, ყველა ის „სიამოვნება“, რომლებმაც საქართველო შეაძრწუნა, უკრაინას, სავარაუდოდ, წინ აქვს.

**მეორე მნიშვნელოვანი მომენტი — ქართველი „ნაციონალები“ უკრაინაში, 99%-იანი ალბათობით, მხარს დაუჭერენ დონბასის კონფლიქტის ძალისმიერ გადაწყვეტას, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა უკრაინის არმიას ამის შესაძლებლობა და რამდენად გონივრულია ეს პოლიტიკური თვალსაზრისით** (იხ. მათი პუბლიკაციები მედიასა და სოცქსელებში, ასეთ იდეებს საჯაროდ გიმლერიც კი არ ახმოვანებდა). მათთვის, სავარაუდოდ, პრიორიტეტულია არა უკრაინის ეროვნული ინტერესები (ან საქართველოს ეროვნული ინტერესები ცხინვალის კრიზისის დროს), არამედ რუსეთისთვის ზიანის მიყენების, მასთან „უკანასკნელ უკრაინელამდე“ (ქართველამდე) ომის იდეა, ქვეყნის გადაქცევა ერთგვარ ტორპედოდ ან კამიკაძედ, რომელმაც თავი უნდა აიფეთქოს, რათა მოწინააღმდეგის ხომალდი ჩაძიროს. ეს ეროვნული სუიციდის ტაქტიკაა, თუმცა აქ გასათვალისწინებელია ერთი ნიუანსი — თუ 1945-ში იაპონელი გენერლები და მაღალი რანგის პოლიტიკოსები მზად იყვნენ გაეზიარებინათ კამიკაძეთა ბედი, 2008-ში „ნაციონალების“ თავკაცები კრიტიკულ მომენტში აზერბაიჯანის საზღვრისკენ გაიქცნენ და, სავარაუდოდ, უკრაინაშიც იმავეს გააკეთებენ.

**უკრაინის ჯანდაცვის სისტემა, დიდი ალბათობით, მალე გადაიქცევა «სიკვდილის კონვეიერად», სადაც ღარიბს გადარჩენის შანსი არ აქვს, რასაც დაემატება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სწრაფი და დაუნდობელი განადგურება, როგორც ეს საქართველოში მოხდა**

საუბარი სამხედრო თემაზე, ალბათ, სააკაშვილის კიდევ ერთი, სრულიად უპრეცენდენტო ციტატით უნდა დავასრულოთ: **„უკრაინის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის ქართველი ოფიცრები, რომლებიც გადაწყვეტენ უკრაიჩნის არმიაში მოღვაწეობას, ყველა მიიღებს უკრაინის მოქალაქეობას. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრს დაუნიშნეს მოადგილე ბურჯანაძის პარტიიდან, ვფიქრობ, ბევრ ქართველ ოფიცერს სხვა გამოსავალს არ უტოვებენ, თუ არა წავიდნენ და გააგრძელონ სამსახური მეგობრულ უკრაინაში“. არსებითად, ეს განცხადება ყველა ქართველი ოფიცრის მძიმე შეურაცხყოფაა, მოწოდება სამშობლოსა და ჯარის მიტოვებისკენ** (თანაც აშკარად თითიდან გამოწოვილი პრობლემის გამო; სააკაშვილს, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება დაინიშნოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე სხვა პარტიის წევრი). საინტერესოა, სურთ თუ არა უკრაინელ სამხედროებს, ვინმე ოდესმე ასე დაელაპარაკოს? „ვინაიდან მინისტრის მოადგილედ ტიმოშენკოს (კლიჩკოს, ტიგიპკოს — მნიშვნელობა არ აქვთ) პარტიის წევრი დაინიშნა, დატოვეთ უკრაინა, თავი დაანებეთ ჯარს და პოლონეთში (ჰონდურასში, ზიმბაბვეში — ამასაც არ აქვს მნიშვნელობა) წადით. შემდეგ იქაც დანიშნავენ ვინმეს და სხვაგან გადადით და ასე იარეთ მთელი ცხოვრება, როგორც მთელი მსოფლიოსგან დაწყევლილი ჰესენელი დაქირავებული ჯარისკაცები“. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ლაჩარი და დეზერტირი, რომელმაც ქართულ ჯარს უღალატა, უკრაინულ ჯარსაც კარგს არაფერს მოუტანს.

**დღეს ქართული სოცქსელების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური კითხვა დაახლოებით ასეთია: „არის თუ არა პეტრე პოროშენკო კლინიკური იდიოტი?“**

მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა ამ კითხვას დადებით პასუხს სცემს, თავს უფლებას მივცემ, საპირისპირო მოსაზრება დავიცვა — პეტრე იდიოტი არ არის (და არც მისი დასავლელი მრჩევლები)! უკრაინა სოციალურ-ეკონომიკური კატასტროფის პირობებში ცხოვრობს და ამავე დროს ტოტალური მილიტარიზაციის გზას ადგას (იგივე ხდებოდა საქართველოში ათიოდე წლის წინათ). ასეთ სიტუაციაში ხელისუფლებას არ აქვს სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს მოსახლეობის დაუცველი ფენების წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის ნარჩენები ჩამოაშოროს და ე. წ. ოპტიმიზაცია მოახდინოს. ამასთანავე, სწრაფად, თუნდაც ჩალის ფასად გაყიდოს ყველაფერი, რაც, ოცწლიანი ძარცვის მიუხედავად, საბჭოთა მემკვიდრეობისგან დარჩა და აიღოს რაც შეიძლება მეტი ვალი. **სამი საკვანძო (ამ თვალსაზრისით) პოსტი პოროშენკომ და იაცენიუკმა (და მათმა მრჩევლებმა) უცხოელებს შესთავაზეს: ეკონომიკა და ვაჭრობა — ლიტველ აივარას აბრომავიჩუსს, ჯანდაცვა — ქართველ ალექსანდრე კვიტაშვილს და ფინანსები — ამერიკელ ნატალია იარესკოს** (ეთნიკური უკრაინელი კია, მაგრამ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი შტატებს უკავშირდება). სწორედ მათ მოუწევთ იმის გაკეთება, რაც ნებისმიერი უკრაინელი პოლიტიკოსისთვის ჰარაკირის ტოლფასი იქნებოდა და პასუხისმგებლობაც მათ დაეკისრებათ. ყველაფრის გადაბრალება უცხოელებზე, ზოგიერთ შემთხვევაში, ძალზე მოსახერხებელია, თანაც საწყის სტადიაზე ნდობისა და, შესაბამისად, დროის ლიმიტი უფრო დიდი აქვთ, ვიდრე ადგილობრივებს. ასე რომ, პოროშენკო იდიოტი არ არის, რაც, თავისთავად, არ გამორიცხავს იმას, რომ ის უსინდისო მაქინატორია.

**უკრაინის ჯანდაცვის სისტემა, დიდი ალბათობით, მალე გადაიქცევა „სიკვდილის კონვეიერად“, სადაც ღარიბს გადარჩენის შანსი არ აქვს, რასაც დაემატება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სწრაფი და დაუნდობელი განადგურება, როგორც ეს საქართველოში მოხდა.** უკრაინელმა კომენტატორებმა, ალბათ, ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ჯანდაცვაში სიტუაციის შეცვლა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო კოზირი იყო, რომელმაც არაერთი ამომრჩეველი მოიზიდა და უკვე დაფიქრდნენ, თუ რატომ მოხდა ეს (თუ არ დაფიქრდნენ, მათი პრობლემაა).

**რაც შეეხება სხვა უწყებებს, იქ მოადგილეებად და მრჩევლებად დანიშნული „ნაციონალები“ მალე ასწავლიან უკრაინელ კოლეგებს, თუ როგორ უნდა აწამონ პატიმრები, გააუპატიურონ ახალგაზრდა მამაკაცები ოჯახის წევრების თვალწინ და პროცესი ვიდეოზე გადაიღონ, დაბეჭდონ ყალბი პირადობის მოწმობები, რათა არჩევნები გააყალბონ, დაარბიონ მიტინგები და მათი მონაწილეები გადატრიალების მოწყობის ბრალდებით გაასამართლონ, მოიპარონ ბიუჯეტის ფული და დააყაჩაღონ ბიზნესმენები ისე, რომ ეს კორუფციასთან ბრძოლად გამოაცხადონ, გადააქციონ ძალოვნები ცივსისხლიან მკვლელებად და ა.შ.** ყველა ნიუანსს აქ რა ჩამოთვლის. საქართველო მათ წასვლას კმაყოფილებით კი ხვდება, მაგრამ უკრაინაში შეიძლება ისეთი ამბები დაატრიალონ, რომ მონღოლთა ურდოების შემოსევა ჰუმანიტარულ აქციად მოეჩვენებათ. ამიტომ უკრაინელები, ალბათ, წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ: ის, რაც „ნაციონალებს“ უკრაინაში მიაქვთ, არც რეფორმებია და არც მოდერნიზაცია, არამედ ჩვეულებრივი ფაშიზმი, რომელმაც საქართველოში ასობით ადამიანი იმსხვერპლა და ათასობით სული დაამახინჯა.

საბოლოო ჯამში, საქმე ზნეობრივ დილემასთან გვაქვს. ერთი მხრივ, **სააკაშვილის მიმდევართა ნებაყოფლობითი გადასახლება უკრაინაში საქართველოს ეროვნული უსაფრთოხების ინტერესებს შეესაბამება და მას თითქოს ხელი უნდა შევუწყოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, საკუთარი პრობლემების გადაწყვეტა სხვისი უბედურების ხარჯზე არსებითად ამორალურია.** ამიტომ, ალბათ, მაინც ხმა უნდა მივაწვდინოთ უკრაინელ მეგობრებს, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს ჰყავს, და გადავუგზავნოთ მათ დოკუმენტური მასალები, რომლებიც საქართველოში სააკაშვილის ჯგუფის ცხრაწლიან მმართველობას ასახავს (მხოლოდ ფაქტები, შეფასებების გარეშე). ამას მოითხოვს ანტიფაშისტური სოლიდარობა, რომელიც აერთიანებს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს, მიუხედავად იმისა, კონსერვატორია ის თუ ლიბერალი, მემარცხენე თუ მემარჯვენე, ქართველი თუ უკრაინელი.

**ამ ისტორიის ფინალი წინასწარ ცნობილია: თუ პოროშენკოს ხელისუფლება მართლაც იხელმძღვანელებს ქართველი „ნაციონალების“ რჩევებით და შესაბამის რეჟიმს ჩამოაყალიბებს. უკრაინის ხალხი არ შეეგუება უსამართლობას, ადრე თუ გვიან, აღდგება და მას სარზე გასვამს, მაგრამ იქამდე ბევრი უბედურება მოხდება და უამრავი ადამიანი დაიღუპება ციხეების საკნებსა თუ სანგრებში ან თუნდაც კვიტაშვილის მიერ „რეფორმირებულ“ საავადმყოფოებში.** ამიტომ ანტიფაშისტურმა ძალებმა საქართველოსა და უკრაინაში ინფორმაციის გაცვლისა და ძალისხმევის კოორდინაციის გაცილებით მაღალ ხარისხს უნდა მიაღწიონ, ვიდრე მათმა მოწინააღმდეგეებმა მოახერხეს (არადა, ამ ვარდისფერ-ნარინჯისფერმა ინტერნაციონალმა უკვე ბევრი რამ მოახერხა). ქართველების გამოცდილება ამ მხრივ შეიძლება ფრიად სასარგებლო გამოდგეს, რადგან ჩვენ, ყველა დაშვებული შეცდომის მიუხედავად, მოვახერხეთ ამ ბოროტების დამარცხება და შეგვიძლია, ნებისმიერ მსურველს მოვუთხროთ, თუ როგორ და, რაც მთავარია, რატომ გავაკეთეთ ეს.

**ჩვენ თვალწინ გაცილებით უფრო მძიმე დრამა თამაშდება, ვიდრე „ნაციონალების“ უკრაინის მთავრობაში გადაბარგებაა. ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, ყბადაღებული „მსოფლიო მთავრობის“ აპრობაციას წარმოადგენს და სულაც არ არის გასაკვირი, რომ სააკაშვილი ამ იდეის ადეპტიც არის და განმახორციელებელიც. ერთ სინჯარაში გამოყვანილი „სპეციალური ჯიშის სახელმწიფო მოხელეები“ იფრენენ ქვეყნიდან ქვეყანაში და მართავენ მათ, რადგან ყველა ქვეყანა ერთის ჭკუაზე უნდა იმართებოდეს, ისინი კი სწორედ იმ ერთი ქვეყნის ჭკუაზე არიან გამოზრდილი.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დესუვერენიზაციის რეპეტიცია უკრაინაში

**- Ну що хлопці, тут усі наши? Москалів нема?**
**- Ні, нема.**
**- Точно нема?**
**- Та точно, точно.**
**- Ну тогда дальше давай по русски.**

**ასე ხუმრობენ მაიდანგავლილი უკრაინის ახალ მთავრობაზე უკრაინელები. მართლაც, პირველივე სხდომაზე გაირკვა, რომ მთავრობის უცხოელი წევრები არც უკრაინულს ფლობდნენ და არც — ინგლისურს. ეს „წევრები“ მრავლობითში ზრდილობისთვის ვახსენე, რადგან, როგორც გაირკვა, ასეთი მხოლოდ სანდრო კვიტაშვილი აღმოჩნდა, თორემ ამერიკის მოქალაქე, ფინანსთა მინისტრი ნატალია იარესკო ინგლისურს ჩინებულად ფლობს, სხვაგვარად აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში არ ამუშავებდნენ. კიდევ ერთი უცხოელი უკრაინის მთავრობაში ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრი ლიტველი აივარას აბრომავიჩუსია.**




მთავრობის სხდომის ღია ნაწილი, რომელსაც ჟურნალისტები ესწრებოდნენ, პრემიერმა არსენი იაცენიუკმა უკრაინულ ენაზე დაიწყო, ხოლო დახურული ნაწილის გაგრძელება უკვე რუსულად მოუწია. უკრაინელი ჟურნალისტები წერენ, რომ ამის ერთადერთი მიზეზი „რეფორმანაქები“ ქართველი კვიტაშვილი იყო.

ახლა — როგორ აფასებს „ქართულ სამთავრობო დესანტს“ პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის განცხადებით, მან პოროშენკოსთან შეხვედრისას სხვადასხვა საკითხთან ერთად ქართველების უკრაინის მთავრობაში დანიშვნის საკითხიც განიხილა. მისი თქმით, გადაწყვეტილება წმინდა უკრაინულია და კანდიდატურებიც უკრაინის ხელისუფლებამ შეარჩია. სააკაშვილის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება სპონტანურად არ მიუღიათ. როგორც სააკაშვილი უკრაინულ სააგენტოსთან ინტერვიუში ამბობს, მას თავში აზრადაც კი არ მოსვლია მსგავსი რამ. მისივე განცხადებით, უკრაინის მთავრობაში ქართველების დანიშვნა მძიმე არ არის, რადგან ქართველები უკრაინაში, პირობითად, არიან უცხოელები. იმის გათვალისწინებით, რომ ახლა ორ ქვეყანას ერთნაირი პრობლემები აქვს და ორი ქვეყნის ბედი ერთმანეთთან არს გადაჯაჭვული. **სააკაშვილი კვირიკაშვილსა და ზღულაძეს რჩევებსაც აძლევს და ამბობს, რომ მარტო ზღულაძე ვერ გადატეხავს “ემ-ვე-დე”-ს და ამას პოლიტიკური ნება სჭირდება.**

„ჩემი მთავარი რჩევა მათ: ბოლომდე გადავიდნენ უკრაინულ რელსებზე და არ გააკეთონ არანაირი კომენტარები საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე... პირდაპირ გეტყვით, რომ ის მარტო ვერაფერს ვერ გადატეხავს და აქ ჩვენი მთავრობიდან მარტო ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. ჩვენ ყველაფერს ერთად ვაკეთებდით, თუ არ არის საერთო პოლიტიკური ნება, ცალკე აღებული ერთი ადამიანი ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს... ერთადერთი, რისი გარანტიაც შემიძლია მოგცეთ ჩვენს ყოფილ ჩინოვნიკებზე, ჩემი გამოცდილებიდან გეტყვით, რომ ისინი ქრთამს არასოდეს აიღებენ და მათ აქ არასოდეს აღმოაჩნდებათ წარმატებული ნათესავი, რომლებიც ბიზნესით დაკავდებიან. ეს ჩვენ გამოვიყვანეთ სახელმწიფო მოხელის „სპეციალური ჯიში“, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში ამაში მონაწილეობას არ მიიღებენ (სააკაშვილის ინტერვიუდან უკრაინულ „პრავდასთან“)”

სახელმწიფო მოხელის ეს „სპეციალური ჯიში“ სააკაშვილს არ გამოუყვანია, ეს ჯიში იქ გამოიყვანეს, საიდანაც უკრაინას პირდაპირ ჩაუსვეს სახელმწიფო ფინანსების კურატორი – ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში.

**როგორც „კიევსკი ტელეგრაფის“ მთავარი რედაქტორი ვლადიმირ სკაჩკო წერს, უკრაინის ხელისუფლება აღარც კი მალავს, რომ ქვეყანა გარედან იმართება: „ფინანსებს ის მართავს, ვინც ფულს იხდის და მუსიკასაც უკვეთს — აშშ. დანარჩენები — ქართველი და ლიტველი ისეთივე წარმატებით შეეძლოთ მოეზიდათ, როგორც, მაგალითად, ზიმბაბველები, სადაც ინფლაციის საშინელი ტემპების გამო 1 კილოგრამ პურში 8 კილოგრამ ფულს იხდიან“.**

პოლიტოლოგი **მიხეილ პოგრებინსკი:** „ფინანსთა მინისტრი ორმაგი ლოიალურობით იქნება განწყობილი უკრაინისა და აშშ-ის მიმართ. იგი არა მხოლოდ შტატების მოქალაქეა, არამედ წლების განმავლობაში სახელმწიფო დეპარტამენტში მსახურობდა. **როგორც არ არსებობენ ყოფილი მზვერავები, ისე არ არსებობენ სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლები“.**

სოციალურ ქსელებში უკრაინელები პირდაპირ წერენ, რომ ახალი მთავრობის ამ შემადგენლობით დამტკიცება სახელმწიფო ინტერესების ჩაბარება და ეროვნული სუვერენიტეტის საბოლოო დათმობაა: **„დამოუკიდებლობა? საინტერესოა, ვინ იქნება უკრაინის შემდეგი პრეზიდენტი — ეშტონი? ბილდტი? ობამა?“**

კიევში აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენს „უკრაინული პოლიტიკის ამერიკელ მამად“ მოიხსენიებენ. ამ მამამ საკუთარი შვილი მაიდნის შემდეგ მალევე უკრაინის უმსხვილესი ენერგოკომპანიის დირექტორთა საბჭოში ჩასვა.

საქართველოში პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ყურადღებას, ძირითადად, იმაზე ამახვილებდნენ, რომ 45-მილიონიანმა უკრაინამ მთავრობაში დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლები მიიწვია. ამ აბსურდს ლოგიკური ახსნა არ აქვს, ახსნა მხოლოდ ის არის, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების (და არა მხოლოდ მათი) დესუვერენიზაციის პროცესი მიმდინარეობს.

**ახლახან რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება აფხაზებმა სწორედ სუვერენიტეტის შეზღუდვად შეაფასეს.**

უკრაინის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა ვალერია გონტარევამ განაცხადა, რომ ჯორჯ სოროსმა უკრაინის დასახმარებლად თანხების მოძიება დაიწყო. „მე რეფორმების კომიტეტის წევრი ვარ, მყავს მოხალისეები და ჩვენ „მარშალის პროგრამას“ ვწერთ. ბატონ სოროსს წარვუდგინე. იგი დაინტერესდა. ბატონი სოროსი სპონსორთა კონფერენციას იწვევს“.

კონფერენცია 2015 წლის დამდეგს არის დაგეგმილი. მასზე უკრაინა 11 მილიარდი ევროს შეგროვებას ელის დონბასის აღდგენისა და რეფორმებისთვის. ეს ისტორიაც ისეთივე აბსურდულია, როგორც მთავრობაში უცხოელების მიწვევა. **უკრაინას არწმუნებენ, რომ იგი დახმარების გარეშე ვერაფერს შეძლებს, რომ მას საკუთარი მთავრობის ფორმირებაც კი არ შეუძლია, რომ იგი მუდამ ხელგაწვდილი უნდა იყოს. ამ ფონზე აფხაზეთი რა მოსატანია?**

ჩვენ თვალწინ გაცილებით უფრო მძიმე დრამა თამაშდება, ვიდრე „ნაციონალების“ უკრაინის მთავრობაში გადაბარგებაა. ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, ყბადაღებული „მსოფლიო მთავრობის“ აპრობაციას წარმოადგენს და სულაც არ არის გასაკვირი, რომ სააკაშვილი ამ იდეის ადეპტიც არის და განმახორციელებელიც. ერთ სინჯარაში გამოყვანილი „სპეციალური ჯიშის სახელმწიფო მოხელეები“ იფრენენ ქვეყნიდან ქვეყანაში და მართავენ მათ, რადგან ყველა ქვეყანა ერთის ჭკუაზე უნდა იმართებოდეს, ისინი კი სწორედ იმ ერთი ქვეყნის ჭკუაზე არიან გამოზრდილი.

სხვათა შორის, ამ „სპეციალური ჯიშისთვის“ დამახასიათებელია საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე ქილიკი. ამის მაგალითი საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა და „რესპუბლიკური წყვილის“ — უსუფაშვილ-ხიდაშელის ვაჟმაც გვაჩვენეს. პირველმა ქართველ ერს მსუბუქი დებილიზმის დიაგნოზი დაუსვა, მეორემ კი პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ საქართველო არ უყვარს. პატარა ბავშვი ამას როგორ იტყვის, თუ ეს ოჯახში არ მოუსმენია?!

ფსიქოანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სამშობლოს სიძულვილი პიროვნების ფსიქოპათოლოგიას ეფუძნება. იგი არსებითად ნევროზს წარმოადგენს და აუცილებელია მისი მკურნალობა. ამერიკელი ფროიდისტები დარწმუნებული არიან, რომ ადამიანის მიერ იმ ქვეყნის და მისი კულტურის, ისტორიის, ტრადიციების საჯაროდ და რეგულარულად ნეგატიური მოხსენიება, რომელშიც იგი დაიბადა, ადრეულ ბავშვობაში დედასთან რთული დამოკიდებულების ერთგვარ ფსიქოლოგიურ კომპენსაციას წარმოადგენს.

ამერიკაში ეს დაავადება ნაკლებად არის გავრცელებული. **ამერიკული პროპაგანდის მანქანა თავიდანვე ზრდის მოქალაქეს იმგვარად, რომ იგი მაშინაც ამაყობს საკუთარი სახელმწიფოთი, როცა საამაყო არაფერია. სამაგიეროდ, ამ დაავადებით შეპყრობილ ადამიანებს აშშ ფართო გზას აძლევს იმ სახელმწიფოთა სათავეში მოსაყვანად, რომლებშიც საკუთარი ინტერესები აქვს განსახორციელებელი.**

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრსა და არასამთავრობოებში სწორედ ასეთი ფსიქოპათების სიმრავლეა თვალში საცემი. ვისაც ჰგონია, რომ ეს შემთხვევით ხდება, მწარედ ცდება. **ასეთი პერსონები ადვილად სამართავები არიან, ისინი სწორედ საკუთარი ხალხისა და ქვეყნის სიძულვილით მოქმედებენ, რაშიც დაავადება უწყობთ ხელს. უბრალოდ, ამ დაავადებას მშვენივრად იყენებენ ისინი, ვინც „მსოფლიო მთავრობის“ აპრობაციას ახლა უკრაინაში მართავენ.**

ორიოდე დღის წინათ აშშ-ის ელჩი სამი არასამთავრობო ორგანიზაციის — „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელებს შეხვდა. აშშ-ის ელჩმა ეკა გიგაური, კახა კოჟორიძე და ნინო ლომჯარია შეაქო. საელჩოს განცხადებით, „უკანონო თვალთვალისგან დაცვის თემაზე პარლამენტში ახლახან გამართული დებატებისას არასამთავრობო ორგანიზაციებმა მთელ რეგიონს მნიშვნელოვანი საკითხების კონსტრუქციულად განხილვის მაგალითი უჩვენეს“.

ეს უკანონო თვალთვალი ვინ დაამკვიდრა საქართველოში ტოტალური მასშტაბით — ამაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა; არც იმაზე, რომ სააკაშვილის მმართველობისას ამავე არასამთავრობოებს თვალთვალისა და მიყურადების გამო არც დებატები გაუმართავთ და არც საპროტესტო აქციები! არც იმაზე, რომ სწორედ ამ არასამთავრობოებმა გააუქმებინეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიწის უცხოელებზე გასხვისების მორატორიუმი!

თუ ამერიკელი ფსიქოლოგები საკუთარი კულტურისა და ტრადიციების ძაგებას დაავადებად მიიჩნევენ, „უკრაინის პოლიტიკის მამად“ წოდებული აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი **ჯო ბაიდენი პირდაპირ აცხადებს: „მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა და ტრადიციები! ლგბტთა უფლებები უფრო მაღლა დგას, ვიდრე კულტურა და ტრადიციები!“ ბაიდენს სხვისი კულტურა და ტრადიციები არ აინტერესებს, ჩვენებურ „სპეციალური ჯიშის მოხელეებს“ ან მოხელეობას მოწყურებულ არასამთავრობოებს კი — საკუთარი!**

„მსოფლიო მთავრობის“ პროექტის საპილოტე ვარიანტი კიევში უკვე გაშვებულია. რიგში „ფერადი რევოლუციებისა“ და „მაიდნების“ გადამტანი სხვა სახელმწიფოები დგანან ან ისინი, სადაც ამგვარი „დემოკრატიზაცია“ იგეგმება. საშინელი პერსპექტივაა, მაგრამ ერთი რამ ოპტიმიზმის საფუძველს უდავოდ გვაძლევს: „მსოფლიო მთავრობას“ იმის რესურსიც არ აღმოაჩნდა, რომ ერთ ქვეყანაში დისკრედიტებული „სპეცმოხელეები“ მეორე ქვეყანაში არ წაიყვანონ. როგორც ჩანს, აშშ-ს არც ისე ბევრი „ძაღლიშვილი“ ჰყავს!

**თამარ დავითულიანი**

**«მსოფლიო მთავრობის» პროექტის საპილოტე ვარიანტი კიევში უკვე გაშვებულია. რიგში «ფერადი რევოლუციებისა» და «მაიდნების» გადამტანი სხვა სახელმწიფოები დგანან ან ისინი, სადაც ამგვარი «დემოკრატიზაცია» იგეგმება. საშინელი პერსპექტივაა, მაგრამ ერთი რამ ოპტიმიზმის საფუძველს უდავოდ გვაძლევს: «მსოფლიო მთავრობას» იმის რესურსიც არ აღმოაჩნდა, რომ ერთ ქვეყანაში დისკრედიტებული «სპეცმოხელეები» მეორე ქვეყანაში არ წაიყვანონ. როგორც ჩანს, აშშ-ს არც ისე ბევრი «ძაღლიშვილი» ჰყავს!**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ნატოს ღია კარის“ წინ დგომაზე მხოლოდ გაღიმება შეიძლება; სამიტები ერთმანეთს ცვლის, საქართველო კი ხან „მაპზე მეტს“, ხან „ოქროს ბარათს“, ხანაც „არსებით პაკეტს“ იღებს, შესვლაზე კი თანხმობას არავინ იძლევა.**

# ნატოს ნათელი ჰორიზონტი

**ნატოს ერთგულების დემონსტრირება ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სპორტის ერთგვარ ეროვნულ სახეობად იქცა. ძველი და ახალი ხელისუფლება, ძველი და ახალი მინისტრები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტად არის მონდომებული საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად. ამ სპორტს ალლო კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმაც აუღო და შეჯიბრის მსაჯობა ითავა. სწორედ ამ შეჯიბრის წახალისება იყო ნოემბერში საქართველოში ჩამოსული აპატურაის განცხადება, რომ ნატოს სურს, პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისგან ევროატლანტიკური კურსისკენ სვლის კიდევ ერთი დადასტურება მოისმინოს:**



„ჩვენ ველით მკაფიო დადასტურებას, რომ საქართველოს მისწრაფება არის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. პირად საუბრებშიც დაგვარწმუნეს, რომ საგარეო კურსი არ შეცვლილა და არ შეიცვლება. ეს არის პირველი, რისი გაგებაც სურს ნატოს გენერალურ მდივანს და იმედი მაქვს, რომ პრემიერის მხრიდან და ახალი მინისტრების მხრიდან ამის დადასტურებას მოვისმენთ“.

**უცნობია, პრემიერ ღარიბაშვილს ნატოს ერთგულებაზე დედა დააფიცეს თუ არა, მაგრამ აპატურაი ამჯერადაც კმაყოფილი დარჩა.** შემდეგ იყო შეხვედრები „ნაციონალებთან“, „თავისუფალ დემოკრატებთან“, პარლამენტის რესპუბლიკელ თავმჯდომარესთან, გადამდგარ და ახალდანიშნულ მინისტრებთან და ამ შეხვედრებით ფრთაშესხმულმა აპატურაიმ საზეიმოდ განაცხადა: „ეს იყო ჩემი მეორე შეხვედრა ახალ მინისტრთან და სასიხარულოა, რომ თავდაცვის სამინისტროს კურსი არ შეცვლილა. ვისაუბრეთ ნატოს სასწავლო კურსის შესახებ. თქვენ ნახავთ მეტ ნატოს საქართველოში და მეტ საქართველოს ნატოში“, — განაცხადა ჟურნალისტებთან აპატურაიმ.

ეს იდიომატური გამოთქმა ისევე რთული გასაშიფრია, როგორც საბჭოთა ფორმულა „კომუნიზმის ნათელი ჰორიზონტის შესახებ“. და ისევე, როგორც ამ ფორმულაში, ერთი მხრივ, კომუნიზმისკენ ისწრაფვოდნენ; მეორე მხრივ კი ჰორიზონტს უწოდებდნენ, რომელიც, როგორც ცნობილია, რამდენადაც უახლოვდები, იმდენად გშორდება.

ახლახან ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ელმარ ბროკმა განაცხადა, რომ ახლა საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ნატოში გაწევრებაზე საუბრის დრო არ არის. უფრო ადრე გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება უკრაინისა და საქართველოსთვის ნატოში გაწევრების პირველი საფეხურის — სამოქმედო გეგმის („მაპ“) მიცემაზე უარის თქმის შესახებ სწორი გადაწყვეტილებაა და დღესაც უცვლელი რჩება.

დედამიწაზე, როგორც ცნობილია, უცვლელი არაფერია, მაგრამ ნატოში საქართველოს გაწევრების მიმართ დამოკიდებულება სწორედაც შესაშური უცვლელობით ხასიათდება. **„ნატოს ღია კარის“ წინ დგომაზე მხოლოდ გაღიმება შეიძლება; სამიტები ერთმანეთს ცვლის, საქართველო კი ხან „მაპზე მეტს“, ხან „ოქროს ბარათს“, ხანაც „არსებით პაკეტს“ იღებს, შესვლაზე კი თანხმობას არავინ იძლევა.**

2012 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე იგივე აპატურაი ჩიკაგოს სამიტის შესახებ ამბობდა: „ბევრმა განაცხადა, რომ ნატოს კარი ისევ ღიაა და სურთ, რომ ახლა ან მალე იხილონ ამ კარში შემოსული ქვეყნები, თუნდაც შემდეგ სამიტზე (შემდეგმა სამიტმა უკვე ჩაიარა, მაგრამ ვითარება არ შეცვლილა — ნ.დ.). ასე რომ, სამიტზე ძლიერი მესიჯები გავიგონე გაფართოებასთან დაკავშირებით, იმაზე ძლიერი, ვიდრე მე ან ბევრი სხვა ელოდა. და ეს საქართველოს მსგავს ქვეყნებს, პარტნიორებს, რომლებიც ნატოს წევრობისკენ ისწრაფვიან, უნდა გაუხარდეთ. არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები გაისად, მაგრამ გაფართოების ძლიერი ასპექტი ისიც არის, რომ ხალხი ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერს“.

ახლა, ორი წლის შემდეგ იგი აცხადებს: „ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფება ქართული საზოგადოების არჩევანია. ნატოში საქართველოს ელჩმა მე მაშინვე მითხრა, რომ, რაც უნდა მოხდეს, ქართველ საზოგადოებას ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაცია სურს. მე ვნახე თბილისის ქუჩებში გამოსული ხალხი, ნატოს დიდი დროშებით, რომლებიც ძირითადად იმის გამო შეიკრიბნენ, რომ სურთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა და ასევე, მათი სურვილია, ქვეყანამ იაროს ნატოსკენ და ევროკავშირისკენ“. **ეს „ხალხი“, როგორც მიხვდით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა“, რომელსაც 15 ნოემბრის აქციაზე „ადგილის მოგების“ მიზნით ნატოს უზარმაზარი დროშები ჰქონდა რუსთაველის პროსპექტზე გაჭიმული. ხალხს, როგორც წესი, არავინ ეკითხება ამ საკითხზე აზრს, თუ არ ჩავთვლით 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად გაყალბებული პლებისციტის მონაცემებს.**

> **«მეტი საქართველო ნატოში», თუ არ ჩავთვლით სამიტებზე ჩვენი მრავალრიცხოვანი დელეგაციების სტუმრობას, ერთადერთს ნიშნავს — იაფი ქართველი ჯარისკაცების გაგზავნას მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში**

და მაინც, რას უნდა ნიშნავდეს მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში? „მეტი ნატო საქართველოში“, სავარაუდოდ, გახშირებულ ვიზიტებს და სამეკავშირეო ოფისის პერსონალის გაზრდას უნდა ნიშნავდეს — აკი, განმარტეს კიდეც უელსის სამიტზე — „საქართველოში პერიოდულად გაიზრდება ნატოს პერსონალი. ჩატარდება რეგულარული წვრთნები ნატოს პარტნიორებთან ერთად“. **„მეტი საქართველო ნატოში“, თუ არ ჩავთვლით სამიტებზე ჩვენი მრავალრიცხოვანი დელეგაციების სტუმრობას, ერთადერთს ნიშნავს — იაფი ქართველი ჯარისკაცების გაგზავნას მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში.**

ნატოს ხელმძღვანელობა ყოველთვის მადლიერებით აღნიშნავს საქართველოს წვლილს სხვა ქვეყნების „დემოკრატიზაციის“ საქმეში, როცა თავად საქართველოში, დემოკრატიის თვალსაზრისით, „ჯერაც ბევრი გვაქვს გასაკეთებელი“. ესეც ნატოდან მიღებული გზავნილია. იდიომატურიც და სახალისოც. ჩვენი ჯარისკაცები რომ კიდევ კარგა ხანს იომებენ საკუთარი სამშობლოდან ძალიან შორს, ამაზე ჯეიმს აპატურაის კიდევ ერთი განცხადება მოწმობს: „ჩიკაგოს სამიტის მხრივ, ვფიქრობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ავღანეთს ეხებოდა. ეს იყო მისიის მომავლის დასახვა, რაც აჩვენებს ავღანელ ხალხს, რომ ჩვენ 2014 წლის შემდეგაც დავრჩებით ახალ როლში. და მისიაში საქართველოს დიდი წვლილი სიგნალებს გზავნის მოკავშირეებთან, რომ ქვეყანას თავისი წვლილი შეაქვს უსაფრთხოებაში და ის მხოლოდ ამ უსაფრთხოების მიმღები არ არის“.

**რა უსაფრთხოება მიიღო საქართველომ, ამის შესახებ 2008 წლის შემდეგ აღარავინ ლაპარაკობს. რა უნდა ილაპარაკონ, როცა ამგვარი უსაფრთხოება არ არსებობს და მისი „მიმღები“ უკრაინა ლამის დაშლის პირამდე მივიდა.**

„ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, ხალხი, ოღონდ რეალური ხალხი და არა ის ჯგუფები, რომლებსაც დასავლეთში „ხალხს“ უწოდებენ, სულაც არ არის ნატოს მოიმედე. ეს იმედი, თუკი არსებობდა, საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოში დასამარდა. პოლიტიკური ძალებიც სულაც არ არიან ისეთი ენთუზიაზმით განწყობილი ნატოს მიმართ, როგორც ძველი და ახალი ხელისუფლება. მათ შორის, ისინიც, ვისაც რამდენიმე წლის წინათ ჯერ კიდევ ჰქონდათ ნატოში შესვლის იმედიც და სურვილიც.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ხელმძღვანელ ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ ქვეყანას ნატოსა და ევროკავშირში არ მიიღებენ და ამის შესახებ დასავლელ ლიდერებსაც არაერთხელ განუცხადებიათ. „მოხარული ვიქნებოდი, რომ შემეძლოს, მოვკიდო ხელი ამ ჩვენს ქვეყანას და სადმე ევროპის შუაგულში გადავიტანო, მაგრამ რომ არ გამოგვდის? მეტი რა ენაზე უნდა გვითხრან, რომ არ მიგვიღებენ არც ნატოში და არც ევროკავშირში, ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში. ამაზეა საუბარი, თორემ მეც ვიყავი საქართველოს ნატოში გაწევრიანების მომხრე, სანამ ამის შანსი არსებობდა, ახლა შანსი აღარ არსებობს და აღარც მე ვარ ამის მომხრე, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც 2008 წელს სააკაშვილის წყალობით საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზები დაბრუნდნენ. **ნატოსა და ევროკავშირში ბიჭები არ არიან, რომ თავის რიგებში ჩვენი ტერიტორიული პრობლემით მიგვიღონ. არ გვიღებენ, ბატონებო, ამ ნატოში“!**

ეს ხელისუფლებაშიც უნდა ესმოდეთ, თუ, რა თქმა უნდა, ეროვნული ინტერესებია მთავარი და არა ოლიმპიური პრინციპი — „მთავარი მონაწილეობაა და არა მოგება“!

ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი რასმუსენი „ნაციონალური“ მონდომებით იწერდა ფარულად რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრას და ცხადია, ამავე გატაცებისთვის სააკაშვილს არასოდეს დაგმობდა. თუმცა არც მაშინ და არც ახლა ნატოში გაწევრიანების არანაირი ნიშანი არ ჩანს. ნატოს ახალი გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ნორვეგიულმა პრესამ საბჭოთა სუკთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა და, ასეც რომ არ იყოს, სავარაუდოდ, არც მისი გენმდივნობისას დაიძვრება საკითხი.

მამამისი — ტორვალდ სტოლტენბერგი ნორვეგიის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრი იყო. მის სახელს უკავშირდება 1992 წელს ე. წ. „ბარენცის თანამშრომლობის“ დაარსება. ამ თანამშრომლობას ნორვეგიას, შვედეთს, ფინეთსა და რუსეთს შორის ტორვალდ სტოლტენბერგი საკუთარი პოლიტიკური კარიერის უდიდეს მიღწევად აფასებს. სულ ახლახან ჩრდილოეთის ქვეყნების ლიდერთა შეხვედრაზე მან განაცხადა: „ლაპარაკია არა ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, არამედ უსაფრთხოების გარანტიებზე ჩრდილოეთის ქვეყნებისთვის. ეს იმისთვის როდია საჭირო, რომ ვინმეს დავემუქროთ. ჩვენ ამ ტერიტორიებზე 20-25 მილიონი ადამიანი გვყავს, რაც რუსეთზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. ჩვენ არავის ვემუქრებით, მაგრამ ჩვენი, როგორც პატარა ქვეყნების, შესაძლებლობებიდან მაქსიმუმი გვინდა მივიღოთ“. რუსეთთან დაკავშირებით უფროსი სტოლტენბერგი ამბობს: „ჩვენ არასოდეს გვქონია შეიარაღებული კონფლიქტი — არც მეფის დროს, არც საბჭოთა პერიოდში და არც პუტინის მმართველობისას. ეს ტენდენცია უნდა შევინარჩუნოთ. დიალოგი „ცივი ომის“ დროსაც კი არ შეგვიწყვეტია... პუტინი ის პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია უკრაინის კრიზისიდან გამოსავლის მოძებნა. რუსეთი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ამ როლს მსოფლიო უნდა ენდობოდეს. თუ რუსეთს არ ენდობიან, ეს მისთვის დესტრუქციული იქნება, მაგრამ არანაკლებ დესტრუქციული იქნება ეს დანარჩენი მსოფლიოსთვის, რადგან რუსეთი მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოა“.

მართალია, მამა-სტოლტენბერგი კატეგორიულად უარყოფს შვილისთვის ამ მიმართულებით ჭკუის დარიგებას, მაგრამ შვილის განცხადებები სრულ უნისონშია მის პათოსთან: „დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთისა და ნატოს თანამშრომლობით ორივე მხარე მოიგებს. ნატოს არ უნდა არც „ცივი ომი“, არც შეტაკება რუსეთთან. ჩვენ დაინტერესებული ვართ რუსეთთან თანამშრომლობით“.

**„ჩვენი, როგორც პატარა ქვეყნების, შესაძლებლობებიდან მაქსიმუმი გვინდა მივიღოთ“ — ეს ფორმულა მით უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომლის ორი პოსტსაბჭოთა მეზობელი ნატოში სწრაფვას არ ამჟღავნებს.** ჩვენს ტერიტორიაზე ორი სახელმწიფო აღიარა რუსეთმა. გასული რუსული სამხედრო ბაზები სააკაშვილის უგუნურების წყალობით კვლავ იქ დგანან. **დანარჩენი საქართველოს ნატოს ბაზად ქცევა საქართველოს სამუდამოდ დააკარგვინებს შანსს, ოდესმე მაინც აღიდგინოს მთლიანობა. ეს საქართველოს ხელისუფლებაშიც კარგად უნდა ესმოდეთ, მაგრამ ნატოს ერთგულებისთვის შეჯიბრება გრძელდება და მთავარი ის არის, რომ მსაჯი კმაყოფილია.**

ინტერვიუ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც ადამიანს პენსია 150 ლარი აქვს, სახელმწიფო მოხელეს კი 20-ჯერ მეტი ხელფასი, პლუს სახელფასო დანამატი და პრემია, ეს უკვე ინფლაციაა. მთლიანად შესაცვლელია პოლიტიკური სპექტრი — როგორც უმრავლესობა, ასევე უმცირესობა, ბურჯანაძესა და ნათელაშვილსაც კი უნდა აეკრძალოთ ენის ტლიკინი და ახალი ხალხი უნდა მოვიდეს პოლიტიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა განწირულია დასაქცევად“.**



### ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# საქართველომ ამერიკის საამებლად თავი გაჰყო ყულფში და, დღეს თუ არა, ხვალ სული ამოგვხდება!

**პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე საუბრობს და მას ლარის გაუფასურებასა და მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის კიდევ უფრო გაუსაძლისი მდგომარეობის შექმნაში ადანაშაულებს.**

— საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ლარის კურსის დაცემაზეც აისახება. არადა, ეს პრობლემა ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდიდან დაიწყო...

**— რამ გამოიწვია ეს პრობლემა?**

— იმან, რომ „ნაციონალები“ ცდილობდნენ, როგორმე გაემყარებინათ ლარი, რათა ეთქვათ, ლარსა და დოლარს შორის მინიმალური სხვაობააო, ამიტომ მიმართავდნენ ისეთ მეთოდს, როგორიცაა ინტერვენცია და ამით ახერხებდნენ ლარის ხელოვნურად გამაგრებას. ორი თვის წინათაც კი ხდებოდა იმ ადამიანების ჯიბეში ხელის ჩაყოფა, რომლებსაც ფულს უცხოეთიდან უგზავნიან.

**— რას გულისხმობთ?**

— ცოტა ხნის წინათ დოლარი სიმყარეს იყო მოკლებული. ადამიანი, რომელსაც ოჯახის წევრი ან ახლობელი უცხოეთიდან უგზავნიდა დოლარს, გადმორიცხული თანხიდან იღებდა გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ლარის გაუფასურების შემდეგ. ამით სახელმწიფოც ხეირობდა, რაც ერთგვარი ბანდიტიზმია. ასე ინარჩუნებდა საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში ლარის კურსს და თანაც ამ ფულადი გზავნილებიდან საკმაო თანხაც რჩებოდა. **საუბარია წელიწადში დაახლოებით ორ მილიარდ დოლარზე.** საქმე ის არის, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამჯერად ეს არ გააკეთა, რადგან ამისთვის საჭირო იყო რამდენიმე მილიონი დოლარი, რომლითაც მოახდენდა ლარის კურსის გამყარებას ინტერვენციით.

**— რატომ არ გააკეთა?**

— იმიტომ, რომ მას პრობლემა აქვს ბიუჯეტის შევსების მხრივ, თანაც, ლარის კურსის გამყარებას, სულ ცოტა, 50 მილიონი დოლარი მაინც დასჭირდებოდა, ამიტომაც დაიწყო ლარმა დაცემა. გარდა ამისა, **ლარის დაცემაში დიდი როლი ითამაშა ამერიკის უსაზიზღრესმა პოლიტიკამ, რაშიც ვერ დარწმუნდნენ ვერც ეს ხელისუფლება და ვერც ბრიყვი არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა ისინი ამერიკულ დოლარებს ძოვენ და ფეხებზე ჰკიდიათ თავიანთი ქვეყანა.** ამერიკელი პოლიტიკოსები სულით ხორცამდე გახრწნილი ადამიანები არიან, რომლებსაც შეუძლიათ, თავიანთი დანაშაულები სხვას აჰკიდონ.

**— ამ შემთხვევაში რა გააკეთა ამერიკამ?**

— თავისი დანაშაული აჰკიდა რუსეთს, გამოიყვანა ყველას მტრად, დაუწესა ეკონომიკური და ფინანსური სანქციები, იმაზეც კი დაიწყეს მსჯელობა, უნდა ჩატარდეს თუ არა 2018 წელს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი რუსეთში და ა. შ. ამერიკამ ეკონომიკური სანქციების დაწესება არ იკმარა და ევროკავშირსა და იაპონიას, აგრეთვე, თავის სატელიტ ქვეყნებს დაავალა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, რათა ეს ქვეყანა ეკონომიკურად დააჩოქონ. **ევროკავშირის 28-ე ქვეყანა, რომლებსაც უპატივცემულო დამოკიდებულება აქვს საკუთარი თავის მიმართ, არად დაგიდევს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას და არც იმას, რა მოჰყვება რუსეთის მიერ დაწესებულ კონტრსანქციებს. ევროპას კარგად არ აქვს საქმე რუსეთის მიერ დაწესებული კონტრსანქციების გამო, მაგრამ მაინც ცდილობს, რუსეთი როგორმე წააქციოს.** ასეთია პოლიტიკური მიდგომა, რომლის მიზანიცაა ხელისუფლებიდან პუტინის ჩამოშორება, ამიტომაც ცდილობენ, პუტინს აუმხედრონ თავისი მოქალაქეები, მოხდეს რევოლუცია, ხელისუფლებაში მოიყვანონ ამერიკული დოლარებით გამოკვებილი ე.წ. ლიბერალები და რუსეთი გახდეს ისეთი მონა, როგორიც იყო ელცინის პრეზიდენტობის დროს. **ამერიკას არ სჭირდება ეროვნულად მოაზროვნე რუსული მთავრობა და ამიტომ ცდილობენ, ამ ქვეყნის ხელისუფლებაში (ისევე, როგორც უკრაინაში) მოიყვანონ მამათმავლები, პედოფილები და მოფაშისტო ელემენტები. დღეს რუსეთი იცავს თავის სუვერენიტეტს, ამერიკას კი მიაჩია, რომ ეს ქვეყანა ხელს უშლის მსოფლიოზე ბატონობაში.**

**— ამას რა კავშირი აქვს ლარის კურსისი დაცემასთან?**

— ის, რომ **ამერიკამ ხელოვნურად დასცა ნავთობის ფასი, რამაც სერიოზულად იმოქმედა რუსეთის ეკონომიკაზე,** თუმცა ეს დიდხანს ვერ გასტანს, შეიძლება, გაგრძელდეს ერთ წელიწადს და საწვავის ფასი კვლავ აიწევს, თუმცა საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის მერყეობა ისეთ ქვეყნებზე, როგორიც არის საქართველო, უმძიმესად მოქმედებს. **მყარდება დოლარი, ეცემა რუბლი და მასთან ერთად კისრისტეხით ქვევით მიდის სხვა ქვეყნების ვალუტაც. აშშ-მა მთელი მსოფლიო გადააყოლა რუსეთთან ბრძოლას.**



**«ლარის დაცემაში დიდი როლი ითამაშა ამერიკის უსაზიზღრესმა პოლიტიკამ, რაშიც ვერ დარწმუნდნენ ვერც ეს ხელისუფლება და ვერც ბრიყვი არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა ისინი ამერიკულ დოლარებს ძოვენ და ფეხებზე ჰკიდიათ თავიანთი ქვეყანა»**

**— უცხოური ინვესტიციების ნაკლებობა რისი ბრალია?**

— როდესაც ასეთი მძიმე მდგომარეობაა მსოფლიოში, ინვესტორი არავითარ შემთხვევაში არ ჩადებს ფულს ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, სადაც მანამდეც ცოტა იყო ევროპული ინვესტიციები, თუმცა, რაც იყო, ისიც დაკარგა. არადა, საკმაოდ იყო ჩვენს ქვეყანაში ირანული და რუსული ინვესტიციები, მაგრამ ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა. ირანი ძლიერი სახელმწიფოა, რომელსაც განვითარებული აქვს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, არმია, კულტურა, ხელოვნება და ა. შ. 80-მილიონიანი ირანი, ფაქტობრივად, არის სუვერენული, დამოუკიდებელი და ფეხებზე ჰკიდია, რას იტყვის ამერიკა. სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ამ ქვეყანამ საქართველოსთან უვიზო რეჟიმი დააწესა. სააკაშვილს ეყო ჭკუა და ირანთან უვიზო მიმოსვლა შემოიღო. ამან გამოიწვია ირანული ბიზნესის შემოსვლა საქართველოში. გაჩნდა პირდაპირი რეისები და ირანელი ტურისტების ნაკადი დაიძრა საქართველოსკენ. ირანელმა ბიზნესმენებმა ჩვენს ქვეყანაში დაიწყეს უძრავ-მოძრავი ქონების შესყიდვა, ფულის დაბანდება და ა. შ., მაგრამ, **როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება“, ირანთან სავიზო რეჟიმი დააწესა. დღეს ირანელმა საქართველოში შემოსასვლელად ვიზა უნდა აიღოს, ქართველი კი კვლავ უვიზო რეჟიმით სარგებლობს.** ირანელებმა მითხრეს, როდესაც საქართველოს საელჩოში მივდივართ, კარს არ გვიღებენ და, თუ გაგვიღეს, დედის გინებით გვერეკებიანო. ამით **„ოცნებამ“ ირანელებს საქართველოში შემოსასვლელი გზა მოუჭრა.**

**— რა არის ამის მიზეზი?**

— ის, რომ **ამერიკელებმა უბრძანეს, ასე მოქეცითო და ამ სულელმა მთავრობამაც უსიტყვოდ შეასრულა მათი ბრძანება.** ამით საქართველომ დაკარგა ირანელების მიერ შემოსატანი ფული, აგრეთვე, 50 ათასზე მეტი ტურისტი. საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ირანის ოფიციალურმა მხარემ წარუდგინა პროექტები, როგორიცაა გაზსადენისა და ნავთობსადენის მშენებლობა საქრთველოში, რომელთა განხორციელებასაც თავისი თანხით აპირებდა, ჩვენი ქვეყანა კი დიდ შემოსავალს მიიღებდა და უამრავი ადამიანი დასაქმდებოდა. ირანს, აგრეთვე, სურდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფულის დაბანდება, ლაპარაკია 5-6 მილიარდ დოლარზე; მტკვრის წყლის შესყიდვა და მილებით ტრანსპორტირება; ზაფხულში საქართველოდან ელექტროენერგიის შესყიდვა-გატანა და ზამთარში პირიქით — ირანიდან საქართველოში ექსპორტირება. **ამაზე ჩვენი ტილიანი ქვეყანა უარს რომ იტყვის იმიტომ, რომ ასე სურს ამერიკას და თედო ჯაფარიძეს გაგზავნის ირანში იმის ასახსნელად, სავიზო რეჟიმის შემოღება ჩვენი კი არა, ევროკავშირის სურვილი იყოო, დეგენერატიზმია და მეტი არაფერი.**

**— ამ ყველაფერზე რომ დათანხმებოდა ირანს ჩვენი ხელისუფლება, ამერიკა რას მოიმოქმედებდა?**

— ვერაფერსაც ვერ იზამდა, მაგრამ **ხელისუფლების წარმომადგენლებს ხომ ამერიკაში ჰყავთ ოჯახები, იქ ასწავლიან შვილებს, იქ არიან დილიდან საღამომდე და ამ გაამერიკელებულ ქართველებს ფეხებზე არ ჰკიდიათ მთელი საქართველო?!** ანალოგიური ვითარება შექმნეს ერაყთანაც წულუკიანის მიერ შემუშავებული სავიზო რეჟიმით. ამ ყველაფრით ხახამშრალი ირანელები და ერაყელები კი არა, ჩვენ დავრჩით, რადგან **გვყავს უმეცარი ხელისუფლება, რომელსაც ქართველი ხალხი ცალ ფეხზე ჰკიდია.** ეს დებილები ვერ ხვდებიან, რომ საქართველო ენვერ ხოჯას ალბანეთს დაამსგავსეს.

**— ბევრ ქართველს ჰქონდა პრეტენზია, ჩვენს ქვეყანაში ბევრი ერაყელი და ირანელი შემოვიდა და დასახლდაო...**

— ეს არის გლობალიზაციის თანმდევი პროცესი და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვით ამ საკითხს ვერ მოვაგვარებთ. ამ შემთხვევაში გონივრული მოქმედება იყო საჭირო. ჩვენს ქვეყანაში მათი შემოსვლა ჩვენთვისვე უნდა ყოფილიყო მომგებიანი, მაგრამ ამას ჩვენთან ვერ ხვდებიან, რადგან **პოლიტიკოსებით დაწყებული, ექსპერტებით დამთავრებული, ყველა გონებაშეზღუდულია.** როდესაც ქვეყანაში არ გაქვს საწარმო, ქარხანა და ეკონომიკა მკვდარია, სწორედ ამ ხალხის ჩამოსვლას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის. **საქართველომ კი ამერიკის საამებლად თავი გაჰყო ყულფში და, დღეს თუ არა, ხვალ სული ამოგვხდება.** ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ გონებრივად სუსტი ხელისუფლება გვყავს. რა უნდა ველაპარაკოთ, როდესაც თავიანთი უმეცრებით თვითონვე ახდენენ ინფლაციას ქვეყანაში. **როდესაც ადამიანს პენსია 150 ლარი აქვს, სახელმწიფო მოხელეს კი 20-ჯერ მეტი ხელფასი, პლუს სახელფასო დანამატი და პრემია, ეს უკვე ინფლაციაა.** მთლიანად შესაცვლელია პოლიტიკური სპექტრი — როგორც უმრავლესობა, ასევე უმცირესობა; ბურჯანაძესა და ნათელაშვილსაც კი უნდა აეკრძალოთ ენის ტლიკინი და ახალი ხალხი უნდა მოვიდეს პოლიტიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა განწირულია დასაქცევად. ვნახოთ, რა დემოგრაფიულ მონაცემებს გამოაქვეყნებენ. გავრცელდა ინფორმაცია, 4 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს საქართველოშიო, რაც აბსურდია. ამდენი ადამიანი სოციალისტური წყობის პერიოდში ცხოვრობდა, მას შემდეგ კი მილიონ-ნახევარი გავიდა საზღვარგარეთ და, ალბათ, საქართველოში აღარასოდეს დაბრუნდება. **რეალურად საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონი თუ იქნება, მათგან მილიონი სომეხი და აზერბაიჯანელია და 2 მილიონი ქართველი ვართ მხოლოდ!..**

**«მყარდება დოლარი, ეცემა რუბლი და მასთან ერთად კისრისტეხით ქვევით მიდის სხვა ქვეყნების ვალუტაც. აშშ-მა, მთელი მსოფლიო გადააყოლა რუსეთთან ბრძოლას»**

ესაუბრა

**ნინო მაისურაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროპარლამენტში გარკვევით ითქვა, რომ საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ვერ შევლენ ევროკავშირსა და ნატოში. ჩვენთვის ევროპაში ადგილი აღარ არის, არ დგას საკითხი ისე, რომ, საქართველო რეფორმებით მზად თუ იქნება, რაღაცას მიაღწევს... არა, ბატონებო, დღეს ნატოს მთავარი ამოცანა ნატოს წევრების უსაფრთხოების გაძლიერებაა. ნატომ პრიორიტეტი შეცვალა. როდემდე უნდა ვიცხოვროთ ვირტუალურ სამყაროში?“**



# სოსო ცინცაძე: რუსეთი საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზის განთავსებას უპასუხოდ არ დატოვებს

**თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ალასანიას მიერ არჩეული გზა ახალმა მინისტრმა მინდია ჯანელიძემ უცვლელად შეინარჩუნა და თქვა, — საქართველოში ნატოს ბაზების მშენებლობა იწყებაო. ევროპელებმა კი განაცხადეს, რომ ამ პროცესში მესამე ქვეყანა, ანუ რუსეთი ვერ ჩაერევა. რუსეთის ხელისუფლება, თავის მხრივ, ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვას განაგრძობს და ახალი გაზსადენის გაყვანის შესახებ თურქეთთან ხელშეკრულება გააფორმა; პარალელურად, 5 დეკემბერს ცხინვალში სამხედრო წვრთნა გამართა. შეამცირებს თუ არა რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულება საქართველოსადმი ევროპისა და ამერიკის ინტერესს? — ამ თემაზე პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე გვესაუბრება.**

— ბატონო სოსო, რუსეთ-თურქეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება გაზსადენის გაყვანის თაობაზე...

— **თურქეთისა და რუსეთის კავშირი ნებისმიერ საკითხზე რეგიონში საქართველოს მხარდამჭერთა რაოდენობის შემცირებას ნიშნავს. თურქეთი რეგიონის წამყვანი მოთამაშეა, თანაც — ნატოს წევრი, მისი გაძლიერება ნებისმიერ სფეროში ნიშნავს ჩვენს განეიტრალებას. რეგიონში ძლიერდება რუსეთიც, ამ კონტექსტში ნებისმიერი საშუალება უნდა გამოიძებნოს იმისათვის, რომ საქართველო პროცესებში ჩაერთოს. საქართველომ გაზსადენის მარშრუტის მიმართ მაინც უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და თავისი მოსაზრება შესთავაზოს.**

გაოცებული ვარ, ასეთი მწვავე საკითხი არც კი განიხილება? ნუთუ, ეს ის თემაა, რომელზეც მხოლოდ თოქშოუებში უნდა ისაუბრო?

ქართული დიპლომატიისთვის წარმოუდგენელი ფუფუნებაა, დაუშვებელია, რომ ინტერესთა სფეროდან საერთოდ გარიყოს იმხელა მეზობელი, როგორიც რუსეთია, და რომელიც პოტენციურ საფრთხედ აღიქმება.

როგორ ახერხებს ყაზახეთი, რამდენიმე გაერთიანებისა და კავშირის წევრი იყოს და მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდეს ყველასთან? **დიპლომატია შესაძლებლობების ხელოვნებაა. დიპლომატია, რომელიც ერთვექტორიანია და მანევრირების ფართო ველი არ აქვს, ცალი ხელით ცხოვრებას ნიშნავს.**

**— უკვე ღიად საუბრობენ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე სასწრაფოდ განთავსდეს ნატოს საწვრთნელი ბაზა. ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა თქვეს, მესამე ქვეყანა საქართველოსა და ნატოს გადაწყვეტილებაში ვერ ჩაერევაო...**

— ჩაერევა, მაგრამ ეს არ იქნება სამხედრო ჩარევა. ამას გარდა, რუსეთს უამრავი ბერკეტი აქვს — აფხაზეთი, სამაჩაბლო, ქართული ეკონომიკა, რომელიც მიბმულია რუსეთზე... ლარის კურსმა ცვლილება განიცადა; ფაქტია, რუსეთში განვითარებული მოვლენები დაგვეტყო... **რომ დაიხუროს ოდნავ შეღებული კარი, რომელიც რუსეთთან გვაკავშირებს, ძალიან დავზარალდებით.**

**რუსეთი საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზის განთავსებას უპასუხოდ არ დატოვებს,** მაგრამ მაინტერებს, როგორი იქნება რუსეთის პასუხის პასუხი დასავლეთის მხრიდან. ჩვენ ვნახეთ, როგორი იყო დასავლეთის პასუხი მავთულხლართებზე, ვნახეთ პასუხი აფხაზეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე... ეფექტი — ნული. რუსეთს მათი განცხადებები ცალ ყურშიც არ შესდის.

ევროპარლამენტში გარკვევით ითქვა, რომ საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ვერ შევლენ ევროკავშირსა და ნატოში. ჩვენთვის ევროპაში ადგილი აღარ არის, არ დგას საკითხი ისე, რომ, საქართველო რეფორმებით მზად თუ იქნება, რაღაცას მიაღწევს... არა, ბატონებო, დღეს ნატოს მთავარი ამოცანა ნატოს წევრების უსაფრთხოების გაძლიერებაა. ნატომ პრიორიტეტი შეცვალა. როდემდე უნდა ვიცხოვროთ ვირტუალურ სამყაროში? ▶

# რატომ არ იძიებს პროკურატურა ხურჩის «ინციდენტს» და ვინ არის დაინტერესებული ამ საქმის ჩაფარცხვით?

**2008 წლის 21 მაისს სააკაშვილის ზონდერბრიგადებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში რა სპექტაკლი გაითამაშეს და მოსახლეობის დასაშინებლად რა უმსგავსო სანახაობაც მოაწყვეს, ყველას გვახსოვს. ორი ავტობუსი, რომლებითაც საპარლამენტო არჩევნების დღეს ადამიანები საქართველოს ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გადმოჰყავდათ, ააფეთქეს. შედეგად დაშავდა ერთი ქალბატონი, რომელიც მოგვიანებით სააკაშვილმა პირადად მოინახულა. „ვარდოსნების ბელადმა“ იმხანად ამაყად განაცხადა, — ამ ფაქტს აუცილებლად გამოვიძიებთ და საზოგადოება შეიტყობს, სინამდვილეში რა მოხდაო. მას შემდეგ ექვსი წელიწადი გავიდა და სიმართლე დღემდე არ არის გარკვეული — სრული სიმართლე, თორემ, რაც მოხდა, მაშინვე ითქვა და დაიწერა: პროვოკაცია „ნაცების“ პირსისხლიანმა ჯალათებმა მოაწყვეს და ამით ამომრჩეველს უთხრეს, არჩევნებში მხარს ან ჩვენ დაგვიჭერთ, ან ტერაქტებსა და აფეთქებებს მომავალშიც ელოდეთო. ისე, ამ „ინციდენტზე“ პროკურატურას ამომწურავი ინფორმაცია აქვს, მაგრამ საქმე დღემდე თაროზეა შემოდებული... რატომ არ ინტერესდება პროკურატურა ხურჩის „ინციდენტის“ საქმით და რატომ არიან დაუსჯელი დამნაშავეები? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ყოფილი პარტიზანული შენაერთის — „თეთრი ლეგიონის“ — ხელმძღვანელი ზურაბ სამუშია გვესაუბრება.**

**— ბატონო ზურაბ, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს სოფელ ხურჩაში მომხდარი „ინციდენიტი“ დღესაც გამოუძიებელია. როგორ ფიქრობთ, რა უშლის ხელს პროკურატურას, ეს საქმე ბოლომდე რომ გამოიძიოს და დამნაშავეებს პასუხი აგებინოს?**

— გამოძიების ინტერესებსა და ნიუანსებზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან არ ვიცი, რა ინტერესებით მოქმედებენ. ისე კი, შემიძლია, ხურჩის „ინციდენტზე“ ჩემი აზრი მოგახსენოთ. ეს იყო სააკაშვილის რეჟიმის მიერ დადგმული უნიჭო სპექტაკლი, რომელიც მაშინვე გაიშიფრა და გამოაშკარავდა. ამას, ფაქტობრივად, გამოძიებაც არ სჭირდება — ვინც იმ „ინციდენტის“ კადრებს ნახავს, მიხვდება, რომ იქ არანაირი ტერაქტი არ მომხდარა...

**— რა მიზანს ემსახურებოდა ეს ე. წ. ტერაქტი და რას მიაღწია ამით იმჟამინდელმა ხელისუფლებამ?**



ზურაბ სამუშია

— მოგეხსენებათ, 2007 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ სააკაშვილისა და მისი გუნდის რეიტინგი მკვეთრად დაეცა და მათ არჩევნებში გამარჯვების შანსი, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ, ანუ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ ბანკროტად იქცა და კრახი გარდაუვალი იყო. ასეთ სიტუაციაში **სააკაშვილს ორი გზა რჩებოდა: პირველი — საზოგადოების ყურადღება გადაეტანა სხვა რამეზე, უკმაყოფილება მეტ-ნაკლებად რომ ჩამცხრალიყო; და მეორე — ამომრჩეველი ჰყოლოდა მუდმივ შიშსა და ტერორში. ხურჩის „ინციდენტმა“, ფაქტობრივად, ორივე ამოცანა შეასრულა, მაგრამ მცირე ხნით. მალე ეს ყველაფერი გაიშიფრა და ყველამ შეიტყო, რა სპექტაკლი გაითამაშა რეალურად ხელისუფლებამ...**

მოკლევადიან პერსპექტივაში ამ სპექტაკლმა იმუშავა და შედეგი იყო ის, რომ ძალიან ბევრმა ამომრჩეველმა, რომლებიც, დიდი ალბათობით, ხმას ხელისუფლების კონკურენტ რომელიმე პარტიას მისცემდნენ, თავი შეიკავეს არჩევნებზე წასვლისგან. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ცხადია, ამ ყველაფერს უკუშედეგი ჰქონდა — ყველამ შეიტყო, რომ სააკაშვილის გუნდმა მორიგი უნიჭო სანახაობა დადგა, რომელიც სინამდვილეში მოსახლეობის დაშინებას ისახავდა მიზნად.

**— საერთოდ, „ნაცმოძრაობას“ მსგავსი სპექტაკლები და შოუები ახასიათებდა... სად იგეგმებოდა ეს ყველაფერი — ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში თუ სახელმწიფო სტრუქტურების შედარებით დაბალ საფეხურზე?**

— ჩემი აზრით, ხურჩის „ინციდენტის“ უკან იდგა სახელისუფლო რგოლი, რომლის ხუთეულშიც შედიოდნენ იმჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, უშიშროების საბჭოს მდივანი, იუსტიციის მინისტრი და პრეზიდენტი. მათ გარეშე არაფერი წყდებოდა და ვინმეს ცალკე, დამოუკიდებლად რომ მიელო გადაწყვეტილება, გამორიცხულია. ამ საქმეში გამოსაძიებელია დეტალები — კონკრეტულად ვინ რა სახის მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში, თორემ ზოგადად რაც მოხდა, ყველამ იცის. ეს საქმე მაშინვე გაიშიფრა და პრაქტიკულად ყველა კითხვას გაეცა პასუხი. ასე რომ, დღეს პროკურატურას დიდი ძალისხმევა ნამდვილად არ დასჭირდება სიმართლის გასარკვევად.

**— ესე იგი, გამოდის, რომ ეს ინცინდენტი უშუალოდ სააკაშვილმა, ბოკერიამ, კეზერაშვილმა, ადეიშვილმა და მერაბიშვილმა დაგეგმეს?**

— რა თქმა უნდა. თქვენ წარმოგიდგენიათ, ამ ხუთეულთან შეთანხმების გარეშე ვინმეს რამე დაეგეგმა და განეხორციელებინა?! **სააკაშვილი, რომელიც ყველაფერს აკონტროლებდა ქვეყანაში, დაწყებული მცირე და საშუალო ბიზნესით, დამთავრებული მონოპოლიებით, დაუშვებდა, რომ მასთან შეუთანხმებლად ემოქმედა ვინმეს?!** ცხადია, ეს სპექტაკლი იყო მათ მიერ დაგეგმილი, დადგმული და მათ მიერვე განხორციელებული.

**— შესაძლებელია, აღნიშნული საქმე ზემოაღნიშნული პირების სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი გახდეს?**

— შესაძლებელი კი არა, აუცილებელია. ყოველ შემთხვევაში, თუ საქართველო ცივილიზებული სახელმწიფოა და გვაქვს პრეტენზია დემოკრატიაზე, ეს საქმე უნდა გამოიძიონ. რაც შეეხება დამნაშავეებს, ცხადია, არც ერთი პირი, გინდ სააკაშვილი იყოს და გინდ სხვა „ნაციონალი“, რომლის ბრალიც გამოიკვეთება, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. სხვა საკითხია, რომ თვითონ „ნაციონალები“ ამას პოლიტიკურ დევნას დაარქმევენ, მაგრამ ნებისმიერი მოქალაქე, განურჩევლად სტატუსისა და თანამდებობისა, მართლმსაჯულების წინაშე თანასწორი უნდა იყოს.

**— ყველამ იცის, რომ ეს ე. წ. ინციდენტი დადგმული სპექტაკლი იყო, მაგრამ თქვენ როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რას შეიძლება გამოძიებამ ჩასჭიდოს ხელი და ჭეშმარიტება დაადგინოს?**

— საკმარისია, ამოვიღოთ იმ „ინციდენტის“ კადრები და გავაანალიზოთ, რომ ყველაფერი ნათელი გახდება. ამ კადრებში კარგად ჩანს რამდენიმე ქალბატონი, რომლებიც სროლის მომენტში ქოლგით ხელში გადაადგილდებიან და შეძახილებიც ისმის, რომლებიც ცხადყოფს, რომ ზოგიერთმა იცოდა, რა იყო დაგეგმილი. ჩემი აზრით, ეს ადამიანები უნდა დაიკითხონ და **დარწმუნებული ვარ, აღიარებით ჩვენებასაც მიიღებენ; მეტიც — გამოძიება მივა დასკვნამდე, რომ ხურჩის „ინციდენტში“ ზოგიერთს ფული გადაუხადეს.**

**— ოდესმე მივა გამოძიება ამ საქმემდე? შესაძლებელია, სააკაშვილი, ბოკერია, კეზერაშვილი, ადეიშვილი და სხვები, რომლებმაც დაგეგმეს ეს „ინციდენტი“, საბრალდებო სკამზე ვიხილოთ?**

— დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და ამ საქმეს გამოიძიებენ. ეს გარდაუვალია, რადგან, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არსებობენ დაზარალებულები, მაგალითად, კოჭოია და ▶

**„უკრაინის მოსახლეობას, ისევე, როგორც ჩვენსას, ნაკლებად ეკითხებიან, ვინ და რა ძალები უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში. ასე რომ, სამ „ნაციონალს“ წაიყვანენ აქედან თუ ოთხს და დასვამენ თანამდებობაზე, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია მიზანი — უკრაინის დაშლა და დაქუცმაცება“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— ბატონო სოსო, ადრე ხშირად ამბობდით, ნატოში საქართველოს გაწევრება რეალობააო... როდის მიხვდით, რომ ეს აღარ მოხდებოდა? დიდი ხანია, იცით, რომ ქიმერას მისდევთ?

— 2008 წლის შემდეგ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ნატოს წევრები ვერ გავხდებოდით. მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ რუსეთთან ტერიტორიული დავა გვაქვს, ვიცოდი, ნატოში ვეღარ შევიდოდით. კანონი „ოკუპაციის შესახებ“ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს იმიტომ, რომ ნატოს წესდებაში წერია — ალიანსში ვერ გაწევრდებიან ის ქვეყნები, რომლებსაც ტერიტორიული დავა აქვთ მეზობლებთან.

თუ რუსეთთან ურთიერთობა არ მოგვარდება, საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით მუდმივად იქნება დაკიდებული საფრთხე.

ღმერთმა დაგვიფაროს და, ვთქვათ, ისევ შემოიჭრა რუსეთი ჩვენს ტერიტორიაზე, რას გააკეთებს დასავლეთი იმაზე მეტს, რაც 2008 წელს გააკეთა? თუ იმასაც აღარ გააკეთებს?

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

სხვები.

რაც შეეხება კონკრეტულ პირებს, რომლებიც ჩამოთვალეთ, თუკი გამოძიების პროცესში გამოიკვეთება დანაშაულის ნიშნები, და ეჭვიც არ მეპარება, რომ გამოიკვეთება, ცხადია, მათ პასუხი უნდა აგონ. სააკაშვილი იქნება ეს, ადეიშვილი თუ ბოკერია, მნიშვნელობა არ აქვს, სამართალი უნდა აღსრულდეს და კანონდამრღვევი დაისაჯოს. სხვანაირად საზოგადოებაში ყოველთვის იქნება უსამართლობის, დამნაშავეთა დაუსჯელობის, უკანონობის განცდა და ქვეყანა ვერასოდეს ჩამოყალიბდება ცივილიზებულ სახელმწიფოდ, რომლის სურვილიც და ამბიციაც გვაქვს...

ესაუბრა **ჯაბა ქვანია**

**P.S. ასე თუ ისე, საბოლოოდ მაინც იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ „ნაცჯალათების“ დაუსჯელობა არა კონკრეტულად პროკურატურის უმოქმედობის, არამედ მთლიანად სახელისუფლო გუნდის უნიათობის შედეგია, თუმცა ამას უნიათობა კი არა, ერთსულოვნება ჰქვია. რესპუბლიკელები უკვე აღარც მალავენ, რომ „ნაცები“ და „ქოცები“, პრაქტიკულად, ერთი ძალა არიან. აი, რა განაცხადა დავით უსუფაშვილმა ამას წინათ ჰოლანდიაში ვიზიტისას: „კოლეგები დავარწმუნე იმაში, რომ შეიცვალა ხალხი და არა პოლიტიკა, ანუ შეიცვალნენ ადამიანები, ხელმძღვანელები და არა ქვეყნის პოლიტიკა...“ აი, თავი და თავი, უპირველესი მიზეზი ყველაფრისა. რა გასაკვირია, რომ სააკაშვილის ხროვა დაუსჯელია და, ხურჩის „ინციდენტის“ საქმის მსგავსად, პროკურატურას კიდევ უამრავი საქმე აქვს თაროზე შემოდებული...**

## ვალერი კვარაცხელია:

# ამერიკის შეერთებულ შტატებს პოსტსაბჭოთა სივრცეში ფაშისტური ძალები სჭირდება!

**2 დეკემბერს პოროშენკოს ხუნტამ ქართველთა სისხლში ხელგასვრილი სააკაშვილის კადრი, ალექსანდრე კვიტაშვილი, უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად რომ გაამწესა, კოალიცია „ქართული ოცნების“ უნიათობით გულგახეთქილ ქართველ საზოგადოებას პირკატა ეცა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ე.წ. დემოკრატიული დასავლეთი ყველაფერს აკეთებს „ნაციონალური მოძრაობის“, ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის, მკვდრეთით აღსადგენად.**

**კვიტაშვილის დანიშვნის შემდეგ მალე გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურებში მაღალ თანამდებობაზე დასანიშნად სხვა „ნაციონალების“ კანდიდატურებიც განიხილებოდა; კერძოდ, ეკა ზღულაძე — შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, ხოლო სააკაშვილი —ვიცეპრემიერის თანამდებობაზე. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არც ერთი და არც მეორე აღნიშნულ პოსტებზე არ დაუნიშნავთ, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ უკრაინის ხელისუფლება „ნაცსექტის“ წარმომადგენლებით გაიძეძგა და „ნაცრეჟიმი“, რომელიც, ფაქტობრივად, რეინკარნირებული და „გაპრავებულია“, კაცმა არ იცის, აწი რა უბედურებას გაუნასკვავს საქართველოს... ყოველ შემთხვევაში, იმას, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში ბზარი გაჩნდება, წყალი არ გაუვა. მოკლედ, რეალობა ასეთია: სააკაშვილი და მისი კრიმინალური ბანდა, რომელიც ივანიშვილის ხელისუფლებამ, გასამართლებისა და „ვირის აბანოში“ გასტუმრების ნაცვლად, მთავარ ოპოზიციად გამოაცხადა, დღეს უკრაინის რეაქციულ მთავრობას მეტასტაზებივით მოედო...**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ანალიტიკოს ვალერი კვარაცხელიას დაუკავშირდა და ოფიციალურ კიევსა და თბილისს შორის ურთიერთობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე ესაუბრა.**



**— ბატონო ვალერი, ალექსანდრე კვიტაშვილის დანიშვნამ უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად საქართველოში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბევრი ფიქრობს, რომ ამით „ნაცმოძრაობის“ რეინკარნაცია მოხდა. რას ნიშნავს ჩვენთვის პოროშენკოს ეს გადაწყვეტილება?**

— ეს ნიშნავს საქართველოს ინტერესების სრულ იგნორირებას და ქართველი ხალხისთვის სახეში შეფურთხებას; ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობის იმ ნაწილისთვის მაინც, რომელმაც არჩევნების გზით უარი უთხრა „ნაციონალების“ მმართველობას და მხარი დაუჭირა სხვა ძალას.

**ეს ყველაფერი „ქართული ოცნებისთვისაც“ ნიშნავს სახეში შეფურთხებას, სილის გაწვნას და პანღურის მიყოლებას.** საერთოდ, ამჟამინდელი ხელისუფლება, დიდი ხანია, გუნდრუკს უკმევს უკრაინაში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულ ფაშისტურ ხუნტას და ამისთვის, ალბათ, მადლობას ელოდებოდნენ ოფიციალური კიევისგან. ამის ნაცვლად, ვხედავთ რას — უკრაინის ფაშისტური ხუნტა საქართველოს ხელისუფლების მიერ დამნაშავედ გამოცხადებულ პერსონებს ნიშნავს მაღალ თანამდებობებზე და, ფაქტობრივად, მათ რეანიმირებას ახდენს. ეს არის პირდაპირი სიგნალი „ქართული ოცნებისთვის“, რომ დასავლეთისთვის ისევ პრიორიტეტულია „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული...

**— ამ ყველაფრის უკან დასავლეთი დგას?**

— ცხადია. ჩემი აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებს სჭირდება ფაშისტური ელემენტები პოსტსაბჭოთა სივრცეში. აშშ საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში უჭერდა მხარს ფაშისტებს და ახლა ანალოგიური ძალა მოიყვანეს უკრაინაშიც. თუმცა იქ, როგორც ჩანს, ეს ფაშისტური ძალები არ ჰყოფნით და საქართველოდან „გადაქაჩვა“ დაიწყეს. შედეგი რა იქნება, მალე ვნახავთ. ვფიქრობ, ამას კარგი არაფერი მოჰყვება არც ჩვენთვის და არც უკრაინისთვის.

**— რისთვის სჭირდება ამერიკას ფაშისტები უკრაინაში?**

— იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც დასახული აქვს — უკრაინის საბოლოოდ დასაშლელად ან პოლიტიკურ მარიონეტად გადასაქცევად. აი, ეს არის ამერიკელთა საბოლოო მიზანი. გარდა ამისა, იქ უნდა მოხდეს ანტირუსული ძალების კონსოლიდაცია, მათი მოყვანა ხელისუფლებაში და რუსეთისთვის მეტი ზიანის მიყენება...

**უკრაინის მოსახლეობას, ისევე, როგორც ჩვენსას, ნაკლებად ეკითხებიან, ვინ და რა ძალები უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში. ასე რომ, სამ „ნაციონალს“ წაიყვანენ აქედან თუ ოთხს და დასვამენ თანამდებობაზე, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია მიზანი — უკრაინის დაშლა და დაქუცმაცება.**

## «უკრაინის მთავრობაში «ნაცმოძრაობის» კადრების დანიშვნა «ქართული ოცნებისთვის» სახეში შეფურთხებას, სილის გაწვნასა და პანღურის მიყოლებას ნიშნავს»

**— რას ნიშნავს „ნაცმოძრაობისთვის“ მისი წარმომადგენლის მოხვედრა უკრაინის მთავრობაში, ამით ძლიერდება ეს პარტია თუ რეალურად არაფერი იცვლება?**

— „ნაცმოძრაობისთვის“ ეს უდავოდ კარგია. ჯერ ერთი — ეს არის მათთვის აღიარება და მეორეც — სტრუქტურულად ძლიერდებიან. წმინდა პროპაგანდისტული თვალსაზრისითაც, სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯია. ახლა მათ თავისუფლად შეუძლიათ, თავიანთ ხალხს უთხრან, თქვენ კი გვითხარით უარი, მაგრამ, აი, ჩვენი კადრები ამხელა სახელმწიფომ წაიყვანაო. სხვა საკითხია, ეს ამბავი როგორ აისახება მათ რეიტინგზე, მაგრამ, საზოგადოდ, ეს ფაქტი მათთვის ძალიან ხელსაყრელ სიტუაციას რომ ქმნის, ცხადია. დანარჩენი უკვე დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოხდება ამ ყველაფრის წარმოჩენა და მიტანა საზოგადოებამდე.

**— დღეს „ნაცმოძრაობას“ საზოგადოებაშიც ჰყავს დასაყრდენი ყოფილი ძალოვნების, სახელმწიფო მოხელეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სახით. ეს არაფერს ნიშნავს?**

— „ნაცმოძრაობის“ ყველაზე დიდი მომხრე და მხარდამჭერი დღეს „ქართული ოცნებაა“, რომელმაც ვერც ერთი წინასაარჩევნო დაპირება ვერ შეასრულა. აი, ეს არის უმთავრესი მიზეზიც იმისა, რომ სააკაშვილის გუნდი მთავარ ოპოზიციურ ძალად იწოდება.

**— რა კავშირშია დაპირებების შეუსრულებლობა იმასთან, რომ „ნაცმოძრაობას“ მთავარ ოპოზიციურ ძალას უწოდებენ?**

— **ხელისუფლებას თავის დროზე სამართლიანობა რომ აღედგინა, დღეს სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი პარტიის წარმომადგენლები, პარლამენტში კი არა, ციხეში ისხდებოდნენ.** ეს რომ არ გააკეთა კოალიციამ, ამიტომ ვართ დღეს ასეთ მდგომარეობაში და **კაცმა არ იცის, კიდევ რა უბედურებას უმზადებენ „ნაციონალები“ ქვეყანას.**

ფაქტია: ეს ხელისუფლება სრულიად უუნაროა. ნებას რაც შეეხება, ყველამ იცის და, მგონი, თვითონაც არ მალავენ, რომ რესპუბლიკელების ხედვა საგარეო ორიენტირებზე, ერთი-ერთზე ემთხვევა „ნაციონალებისას“. მორჩა, ამით ნათელია ყველაფერი — ეს არის ერთი და იგივე ძალა... საერთოდ, **საქართველოს, ოცი წელია, ერთი ძალა მართავს; უბრალოდ, იცვლებიან სახეები და სახელწოდებები, იმის მიხედვით, სად, რა და როგორ დასჭირდება ამერიკას.**

ესაუბრა **ჯაბა ქვანია**

**P.S. უკრაინის მოვლენებმა ბევრი რამ ცხადყო. უწინარესად კი, ფარდა აეხადა „დემოკრატიული დასავლეთის“ ბნელ გეგმას, რომელიც მიზნად ისახავდა პოსტსაბჭოთა სივრცეში ე. წ. მართვადი ქაოსის კერების გაჩენას.**

**რაც შეეხება „ნაციონალების“ დანიშვნას უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურებში, ეს ფაქტი გვარწმუნებს, რომ მომავალში საქართველოც შეიძლება აღმოჩნდეს ანალოგიურ მდგომარეობაში და ჩვენს ხელისუფლებაშიც ვიხილოთ აღმოსავლეთ ევროპის „ექსპერიმენტული ქვეყნებიდან“ ჩამორეკილი „ლიბერალები“. ყოველ შემთხვევაში, ამერიკისთვის საქართველოც ისეთივე საცდელი ლაბორატორიაა, როგორც უკრაინა და, თუ დასჭირდათ, აქაც უპრობლემოდ დააყენებენ დენთის სუნს...**

## ბრიტანელი ჯარისკაცი 6 წლის გოგონას გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი

**ავსტრიელმა სამართალდამცველებმა ბრიტანელი ჯარისკაცი რამდენიმე დღის წინათ დააპატიმრეს სავარაუდო მსხვერპლის სახლთან ახლოს. მას ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში 15 წლით პატიმრობა ელის. ავსტრიის პროკურატურამ საქმის კურსში უკვე ჩააყენა დიდი ბრიტანეთის საკონსულო.**

ავსტრიული გამოცემა Heute-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდი ბრიტანეთის არმიის პარაშუტისტთა მე-7 პოლკის ჯარისკაცი 6 წლის გოგონას სახლში ფანჯრიდან შეიპარა. ხმაურზე გაეღვიძა ბავშვის მამას, რომელმაც ბოროტგანმზრახველი დააკავა და პოლიცია გამოიძახა.

დიდი ბრიტანეთის არმიის პარაშუტისტთა მე-7 პოლკი წვრთნას გადის ალპებში ავსტრიის ფედერალური მიწის — ტიროლის ტერიტორიაზე.



## ელმარ ბროკი: ახლა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ნატოში გაწევრებაზე საუბრის დრო არ არის!

**ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკის განცხადებით, ნატოს ტერიტორიების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ყველა წევრი ქვეყნის სანდო დაცვის მიზნით ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა კოლექტიური თავდაცვის გაძლიერებაზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება.**

„უმჯობესია, მხარი დავუჭიროთ პოლიტიკური და ეკონომიკურ რეფორმებს, ასევე საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში უსაფრთხოების სტრუქტურების რეფორმას, რათა ეს ქვეყნები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ევროკავშირს და საგარეო ბაზარზე მათი ინტეგრაცია მოხდეს. დებატები ამ ქვეყნების ნატოს წევრობაზე კონტრპროდუქტიულია, ახლა არ არის ნატოში საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას გაწევრებაზე საუბრის დრო “, —განაცხადა ელმარ ბროკმა.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხედავთ, ეს რამხელა დანაშაული ჩამიდენია, როცა ჩემი ერის სრულიად დაუსაბუთებელი ლანძღვა პირად შეურაცხყოფად მიმიჩნევია? ეს ხომ „ღრუზინულ“- „ჩამორჩენილურ“- „შავბნელური“ საქციელია! „პრადვინუტობა,“ „გამოსულობა“ და „სვეტსკობა“ კი არის ის, როცა მავანს შენი ერის ლანძღვისას გვერდით ამოუდგები და ბანს მისცემ, აბა!**

# ტრადიციების ლანძღვის ტრადიცია...

**უკვე ტრადიციულად ვიწყებ საავტორო გვერდისთვის ტექსტის წერას... თუმცა ეს რა წამომცდა?! „ტრადიცია“ — ეს სიტყვა ხომ დღევანდელ საქართველოში, ფაქტობრივად, ყველაზე მიუღებელი, საშინელი და სალანძღავი სიტყვაა!**

**„შე ტრადიციულო ქართველო!“** — ამ მიმართვამ დღეს ისეთივე მნიშვნელობა შეიძინა, როგორიც ადრეულ საუკუნეებში ჰქონდა მიმართვას: „შე სამშობლოს გამყიდველო და მოღალატევ!“. **ვისაც არ ეზარება და ორი-სამი სიტყვის ერთმანეთზე მიბმა მეტ-ნაკლებად შეუძლია, ან ჰგონია, რომ შეუძლია, „ქართული ტრადიციების ნგრევა“ ყველაზე პრესტიჟულ და საშურ საქმედ მიუჩნევია!**

ჩემი საავტორო გვერდის წინა ტექსტის გამოც კი, რომელშიც, უბრალოდ, კონკრეტული ბრალდებების შესაბამისი ისტორიული წყაროების დასახელებას ვითხოვდი, ზოგიერთმა ჩემში ტრადიციების ხმალამოღებული დამცველი და „ჩამორჩენილი ღრუზინი“ დაინახა...

ვისაც არ წაუკითხავს, ვეტყვი, რომ ტექსტი შეეხებოდა ვინმე „ბლოგერი მაიკოს“ ნააზრევს მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს, აგრეთვე, ილიასა და აკაკის ურთიერთობას. „ბლოგერი მაიკო“ ისე მოგვითხრობდა ამბებს, გეგონებოდათ, მათი უშუალო შემსწრე გახლდათ. მე კი, უბრალოდ, მის მიერ მოყოლილი ამბების დამადასტურებელი კონკრეტული წყაროების დასახელება ვითხოვე...

ახლა ვნახოთ ამონარიდები იმ კომენტარებიდან, რომლებიც „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის მიერ ჩემი ტექსტის ინტერნეტში გამოქვეყნებას მოჰყვა:

**„როგორ ეპოტინები ქართველი ვაჟკაცის დაცვის თემას და... პირად შეურაცხყოფად ღებულობ!“,** ანუ, ერთ-ერთი კომენტატორის აზრით, მე შესაბამისი ისტორიული წყაროების დასახელება იმიტომ მოვითხოვე, რომ „ქართველი ვაჟკაცის“ სტერეოტიპის დამცველი ვყოფილვარ...

აბა, **ისტორიული წყაროს მოთხოვნა როგორ შეიძლება, როდესაც ვიღაც სრულიად უარგუმენტოდ ლანძღავს შენს ერს და კონკრეტულ ცუდ საქციელს „ქართველთა უნიკალურ თვისებებს“ უწოდებს? ეს ხომ უაპელაციოდ და უსიტყვოდ უნდა დაიჯერო!**

კიდევ უფრო მძიმე „ბრალდება“: **„პირად შეურაცხყოფად ღებულობ!“**

ხედავთ, ეს რამხელა დანაშაული ჩამიდენია, როცა ჩემი ერის სრულიად დაუსაბუთებელი ლანძღვა პირად შეურაცხყოფად მიმიჩნევია? ეს ხომ „ღრუზინულ“-„ჩამორჩენილურ“-„შავბნელური“ საქციელია! „პრადვინუტობა,“ „გამოსულობა“ და „სვეტსკობა“ კი არის ის, როცა მავანს, შენი ერის ლანძღვისას, გვერდით დაუდგები და ბანს მისცემ, აბა!

არა, არც ღირს და არც გავამახვილებდი ამდენ ყურადღებას ამ საწყალ ადამიანებზე, რომ არა აშკარად შესამჩნევი საერთო პრობლემა აზროვნებაში: უაპელაციოდ დაჯერება ყველაფრისა, რაც საკუთარი ქვეყნისა და ერის მიწასთან გასწორებისკენ არის მიმართული.

აი, კიდევ ერთი:

**„როგორ მიხარია, თქვენი თაობა რომ მიდის და ჩვენ მოვდივართ!!!!“**

ამ კონკრეტულ სულელს საკუთარი თავი მთელ თაობად მიუჩნევია! ჯერ ერთი, 40 წლამდე ადამიანების თაობის „იმქვეყნად გასტუმრება“ უკვე სცადა ერთმა ავადმყოფმა და საბოლოოდ ძვირი დაუჯდა... მეორეც — მართლა **მაინტერესებს, ამ ტვინდაავადებულებს რატომ სჯერათ, რომ მთელ თაობას მხოლოდ თვითონ და მისნაირები შეადგენენ?!**

**რადგან ნორმალური ადამიანები ასე ტუტუცურად არ აქტიურობენ, არ მიედ-მოედებიან, ბევრს არ ლაყბობენ და ყველა ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი შემთხვევისას საკუთარ ერსა და ქვეყანას უშვერად არ ლანძღავენ, ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ?**

სხვათა შორის, დღემდე ცოცხალი რომ ვარ და თავი არ მომიკლავს, ეს სწორედ იმის დამსახურებაა, რომ ვიცნობ 20-25 წლის უამრავ ადამიანს, რომლებმაც საზოგადოების მანკიერებებიც იციან და დადებითი მხარეებიც, მაგრამ ამას თავიანთი ერის „უნიკალურ დამახასიათებელ თვისებად“ არ ასაღებენ, ნებისმიერ მანკიერებას „ქართულ ტრადიციას“ არ უწოდებენ და კონკრეტული სულელის ლექციის მოსმენისას საკუთარი ერის ლანძღვით კი არ აღფრთოვანდებიან, არამედ აუცილებლად მოითხოვენ ამ ლანძღვის დამადასტურებელ წყაროებსა და არგუმენტებს.



**ვის და რისთვის სჭირდება სისულელისა და ცუდი საქციელის «ქართულ ტრადიციად» მონათვლა-გასაღება? ამით, რა თქმა უნდა, სარგებლობენ ის ძალები, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში, «ბარბაროსობის» არსებობის დამტკიცების შემთხვევაში, სოლიდურ გრანტებს მიიღებენ**

მაგრამ რა უნდა თქვა, როდესაც ინტერნეტში შეიძლება იმ დონის სულელსაც გადააწყდე, რომ მასთან შედარებით ზემოხსენებული „ბლოგერი მაიკო“ და მისი დამცველები სულაც ყველაზე დიდ ქართველ მოღვაწეებად ჩათვალო!

**„10 ტრადიცია საქართველოში, რომელიც შესაცვლელია და დასავიწყებელი!“** — აი, ასე ხმამაღლა და საზეიმოდ ასკვნის ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი ფსევდონიმით „ნაოკი“.

**კაი, ბატონო, თუ რამე ცუდი გვაქვს (და უამისოდ არ იქნება), გამოვასწოროთ!**

**მაგრამ, აბა, მოუსმინეთ „ნაოკი“ ბატონს, რომელი ტრადიციები გვქონია ქართველებს შესაცვლელი:**

„თამბაქოს ნაწარმის მოხმარება!“

არა, ნამდვილად არ გეჩვენებათ! პატივცემული „ნაოკის“ აზრით, თამბაქოს მოხმარება, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, სიგარეტის მოწევა, ერთ-ერთია იმ „ქართული ტრადიციებიდან“, რომელიც ჩვენ, ქართველებმა, აუცილებლად უნდა „დავგმოთ და შევცვალოთ“!

არა, **თქვე (ჩემი აზრით) არც ისე კაი დედმამიშვილებო, ის ქვეყანა, რომლიდანაც თამბაქო ჩამოეთესლა, არ თვლის მას თავის „ტრადიციად“ და ჩვენ რას გვერჩით? პატივცემულო „ქართული ტრადიციების მნგრეველებო“, რას გეუბნებათ თქვენი „ისტორიული მეხსიერება“ — როდიდან დაედო სათავე ამ ძალიან მავნე „ქართულ ტრადიციას“ — თამბაქოს მოწევას: მონღოლების შემოსევამდე თუ სულაც კოლხეთ-ლაზიკის სახელმწიფოთა ჩანაცვლების პერიოდში?**

მკითხველს აღარ დავღლი იმ დანარჩენი 9 „ქართული ტრადიციის“ ჩამოთვლით, რომლის „მოსპობასაც“ ასე გააფთრებით ითხოვს ამ ტექსტის ავტორი. უბრალოდ, გეტყვით, რომ ამ ცხრიდან რვას მხოლოდ ტვინნაკლული ადამიანი თუ უწოდებს არათუ „ქართულ“, არამედ, საერთოდ, „ტრადიციას“.

აქ, ძირითადად, საუბარია ისეთ მავნე ჩვევებსა და უკულტურო საქციელზე, რომელიც ნებისმიერ საზოგადოებაში შეიძლება შეგხვდეს და უდავოდ მიუღებელია! უბრალოდ, მათ მართლა არაფერი აქვს საერთო არც „ქართულთან“ და არც „ტრადიციასთან“.

ერთადერთი, რაც ჩამოთვლილთაგან შეიძლება ტრადიციად მივიჩნიოთ, ეს „ქალის გამზითვებაა“, თუმცა გაუგებარია, რატომ ჰგონია „10 შესაცვლელი ტრადიციის“ ავტორს, რომ ეს მხოლოდ „ქართული“ ტრადიციაა და მსოფლიოს სხვა ერებში ქალისთვის მზითვის მიცემის ტრადიცია არ არსებობდა ან არ არსებობს?!

და თუნდაც მივიჩნიოთ ეს „მავნე ქართულ ტრადიციად“, სიმართლე გითხრათ, ვერც კი გავიხსენებ, ბოლოს როდის მოვისმინე საქართველოში „ცუდი მზითვის“ მიზეზით ქალის დაწუნების შესახებ...

ამიტომ არ ვიცი, სად, როგორ და რა მეთოდით უნდა ვებრძოლოთ ამ „მხოლოდ ქართველებისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ სიმახინჯეს“...

იმედია, ავტორი მიგვითითებს კონკრეტულ შემთხვევებს, რომ მივიდეთ, საპატარძლოს მზითვის გამო დამწუნებლები ადგილზევე შევახუროთ და ნამუსზე ავაგდოთ!

მაგონდება მე-17 საუკუნეში რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ სპეციალური დავალებით საქართველოში მოვლინებული **არქანჯელო ლამბერტი** და მისი ჩანაწერები, რომლებშიც კატეგორიული ტონით არის გადმოცემული:

„ყველა მეგრელი ქურდი და ბაცაცაა. ჩემ გარშემო ყველა იპარავს, ქურდობს, ოჯახის წევრებს ყიდის“... იმ წამსვე ხვდები, — ამ კაცს დავალებული აქვს, იმხანად ისედაც საშინლად გაჭირვებულ საქართველოში არსებული სურათი კიდევ უფრო პირქუშად წარმოაჩინოს და ეს ყველაფერი არა მძიმე გარემოებებს, არამედ ქართველი (მეგრელი) კაცის შინაგან ბუნებას მიაწეროს...

**არქანჯელო ლამბერტის ინტერესი, ალბათ, ვატიკანიდან სოლიდური მისიის წამოყვანა იყო „ქართველების გამოსასწორებლად“... უფრო ზუსტად კი, ის ფული და სიმდიდრე, რომელსაც ამ მისიას რომის პაპი გამოატანდა. არადა, ინკვიზიციის, ინდულგენციებისა და მსგავს სიმახინჯეთა აკვნის წარმომადგენლები ვინმეს „უზნეობაზე“ რომ ისაუბრებენ, კი არის სასაცილო.**

ასე რომ, უკვე 4 საუკუნეა, საქართველოში „თამბაქოს მოწევა“ კი არა, „ქართველთ ლანძღვა“ ყალიბდება ერთგვარ „ტრადიციად“ და ეს ქართველთა გარკვეულ ნაწილს, სამწუხაროდ, ძალიან სიამოვნებს.

**ვის და რისთვის სჭირდება სისულელისა და ცუდი საქციელის „ქართულ ტრადიციად“ მონათვლა-გასაღება? ამით, რა თქმა უნდა, სარგებლობენ ის ძალები, რომლებიც, საკუთარ ქვეყანაში „ბარბაროსობის“ არსებობის დამტკიცების შემთხვევაში, სოლიდურ გრანტებს მიიღებენ.**

ამ ყოველივემ ისეთი მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ საეჭვოა, სპონტანურად ხდებოდეს. აშკარაა, **მიმდინარეობს როგორც ღია, ასევე ფარული „დამუხტვა“ იმ ადამიანებისა, რომლებიც, საზოგადოდ, „საპროტესტოდ“ არიან მომართულნი და ხშირად თვითონაც არ იციან, რას აპროტესტებენ.**

ამიტომ საკმარისია, მათ პროტესტის საბაბი ჩააწვეთო, რომ იმწამსვე იწყებენ „პროტესტობანას“, „სხვებისგან გამორჩეულობანას“ და სულაც არ ფიქრობენ, რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ამან ქვეყანას, რომლის მოქალაქეებიც არიან...

## მარტინ შულცი: ევროკავშირს იმიჯისა და ნდობის პრობლემები აქვს

**„ევროკავშირი დგას „საიმიჯო პრობლემების“ წინაშე, რომლებიც ამცირებს რიგითი მოქალაქეების ნდობას ევროკავშირის ინსტიტუტების მიმართ“, — განაცხადა ევროპარლამენტის თავმჯდომარემ მარტინ შულცმა Huffington Post-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**

„ცხადია, რომ ევროკავშირს იმიჯის პრობლემები აქვს და ჩვენ, ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა ამის გამო. ევროსკეპტიციზმის ტოქსიკურმა კლიმატმა, რომლითაც განმსჭვალულია დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და საბერძნეთი, გამოიწვია ის, რომ პოლიტიკოსები ეკონომიკური კრიზისის გამოწვევაში ერთმანეთს ადანაშაულებენ. გარდა ამისა, მოქალაქეთა თვალში ევროკავშირის იმიჯის შელახვაში დიდი როლი ითამაშა ე.წ. დაკარგულმა თაობამ — უმუშევარმა ახალგაზრდობამ. ევროკავშირის მიმართ სკეპტიციზმი განსაკუთრებით ბოლო წლებში გაღრმავდა. ევროსაბჭოს მიერ 2013 წელს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კრიზისის დაწყების მომენტიდან ევროკავშირისადმი ნდობა საფრანგეთში შემცირდა „+10%“-დან „-22%“-მდე, გერმანიაში „+20%“-დან „-29%“-მდე, იტალიაში „+30%“-დან „-22%“-მდე, ესპანეთში „+42%“-დან „-52%“-მდე, დიდი ბრიტანეთში „-130%“-დან „-49%“-მდე.”-განაცხადა მარტინ შულცმა. რამდენიმე წელია, ევროკავშირში კრიზისი გრძელდება, 2014 წელს დიდ ბრიტანეთში ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ მსჯელობდნენ— პრემიერმინისტრმა დევიდ კემერონმა არაერთხელ განაცხადა, რომ 2017 წელს ჩაატარებს რეფერენდუმს ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გამოსვლის საკითხზე.

**კოლონიური დაქვემდებარებიდან რომ გამოვიდეთ და საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯები ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გადავდგათ, აუცილებელია, შეიქმნას ძლიერი პარტია, რომელიც ანტიამერიკულ ნიშას დაიკავებს საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ორვექტორული პარტიული მოდელი — საქართველოს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი!

**სახელმწიფოები მოსახლეობის რაოდენობით, აგრეთვე, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. აქედან გამომდინარე, შეიძლება სახელმწიფოთა კლასიფიცირება ორ კატეგორიად: დიდ და პატარა სახელმწიფოებად. ერთი მხრივ, დიდი პოლიტიკური სუბიექტები და, მეორე მხრივ, მათზე დამოკიდებული და მათი გავლენის ქვეშ მყოფი პატარა სახელმწიფოები. შესაბამისად, გეოპოლიტიკური ანალიზისას, ქვეყნებს ყოფენ ორ ჯგუფად: 1. გეოპოლიტიკურად აქტიური ქვეყნები, რომლებიც მეტოქეობენ ერთმანეთთან თავიანთი გავლენის სფეროს გასაფართოებლად დედამიწის სხვადასხვა ნაწილში; 2. გეოპოლიტიკურად პასიური ქვეყნები, ანუ პატარა სახელმწიფოები, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკაში, ასე ვთქვათ, უფრო ობიექტები არიან, ვიდრე სუბიექტები.**


ირაკლი უზილავა

გეოპოლიტიკურად პასიურ ქვეყნებს დიდი ქვეყნები ხშირად იყენებენ საკუთარი საგარეო-პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად და ამას აკეთებენ მათ მიერ მართული პოლიტიკური კლასის მეშვეობით.

ზემოთ მოცემული კრიტერიუმის მიხედვით, საქართველო უპირობოდ მიეკუთვნება პატარა სახელმწიფოების, ანუ გეოპოლიტიკურად პასიური სუბიექტების კატეგორიას. **საქართველოზე, როგორც პატარა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გავლენას ცდილობს, სულ ცოტა, ორი გეოპოლიტიკურად აქტიური სუბიექტი: ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის გავლენა საქართველოს პოლიტიკურ ელიტაზე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, და რუსეთის ფედერაცია, რომელიც ცდილობს, შეეწინააღმდეგოს ამერიკის ჰეგემონიურ მდგომარეობას რეგიონში.**

გასათვალისწინებელია, რომ აშშ-ს, მის კონტროლს დაქვემდებარებული პოლიტიკური ელიტის სახით, სერიოზული დასაყრდენი აქვს საქართველოში. რუსეთის ფედერაცია კი ასეთ ფუფუნებას მოკლებულია. ამიტომ მოქმედებს მხოლოდ იმ რეგიონებში, სადაც მისი გავლენის ხარისხი მაღალია, კერძოდ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. **რაც უფრო მეტ ნაბიჯს დგამს საქართველოს ხელისუფლება ევროატლანტიკური მიმართულებით, მით მეტად ზრდის რუსეთის ფედერაცია გავლენას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე. ამის ნიშანი არის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელშეკრულების გაფორმება სეპარატისტულ რეგიონთან.** თუ გავითვალისწინებთ ამ ხელშეკრულების (რომლის მსგავსიც მზადდება ცხინვალის რეგიონის მიმართაც) არსს, **რუსეთის ფედერაციას მხოლოდ ერთი ნაბიჯი რჩება აფხაზეთის შესაერთებლად, რაც ქართველებს საბოლოოდ დაგვაკარგვინებს ძირძველ ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენის ოცნებასაც კი.** აქედან გამომდინარე, **ქართულ პოლიტიკაში აუცილებელია ბალანსის ელემენტის შემოტანა, დაკვირვების საშუალება რომ მოგვეცეს (სულ ცოტა, 10 წლის განმავლობაში მაინც) რუსეთის ფედერაციის ნაბიჯებზე განდგომილი ტერიტორიების მიმართ.**

**საქართველოსთვის, როგორც პატარა ქვეყნისთვის, რომელიც მდებარეობს ორი დიდი გეოპოლიტიკური აქტორის აქტიური მოქმედების არეალში, უმჯობესი იქნებოდა ორპარტიული სისტემის დანერგვა, რადგან გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყნისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი აზრის გაორება — მოსახლეობის ნაწილი ერთი დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშის მიმართულებით იხრება, მეორე ნაწილი კი მოწინააღმდეგის მხარეს იკავებს.** როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მიმართულების პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ, თანაც — ფასადური მრავალპარტიული სისტემის პირობებში, პოლიტიკური სისტემის ბალანსი ირღვევა და სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა ერთ-ერთი დიდი მოთამაშის მიმართ ხისტი ურთიერთობის ფაზაში გადადის. ასეთმა მიდგომამ საქართველო ტერიტორიული მთლიანობის რღვევამდე მიიყვანა. **პოლიტიკური სისტემის დღეს არსებული მოდელის კვლავაც შენარჩუნების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, ვითარება საქართველოს ტერიტორიული რღვევის მიმართულებით კიდევ უფრო დამძიმდეს.** სწორედ მოცემული პირობების გათვალისწინებით, ბევრი დიდი მეცნიერი პოზიტიურ ჭრილში ორპარტიულ მოდელს უფრო განიხილავს, ვიდრე სხვა რომელიმეს: **„საზოგადოების რეალურ ცხოვრებას ორპარტიული სისტემა უფრო შეესაბამება, ვინაიდან შესწევს უნარი, ადეკვატურად გამოხატოს საზოგადოებრივი აზრის ბუნებრივი გაორება, გარდა ამისა, უფრო სტაბილურია, ვიდრე მრავალპარტიული, რადგან შედარებით ზომიერია“ (მორის დიუვერჟე).**

დღეს აშშ-ის მხრიდან საქართველოს პოლიტიკურ სისტემაზე კონტროლის დონე ისე მაღალია, რომ საქართველოს შეიძლება კოლონიური წარმონაქმნი ეწოდოს. სწორედ ამ გარემოებამ დაგვაკარგვინა შესაძლებლობა, რომ დიდ მოთამაშეებთან საგარეო პოლიტიკა აგებულიყო პოლიტიკური ვაჭრობის პრინციპებზე. ამ ეტაპზე საქართველოსთვის საპირისპირო მიმართულებით მკვეთრი ნაბიჯის გადადგმა წამგებიანი იქნებოდა იმ ფონზე, როდესაც ჯერ ზუსტად არ ვიცით, რას მივიღებთ რუსეთის ფედერაციისგან კურსის შეცვლის სანაცვლოდ.

**კოლონიური დაქვემდებარებიდან რომ გამოვიდეთ და საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯები ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გადავდგათ, აუცილებელია, შეიქმნას ძლიერი პარტია, რომელიც ანტიამერიკულ ნიშას დაიკავებს საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში. ამ ისტორიულ ეტაპზე საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა, პოლიტიკური სისტემა დაფუძნებოდა ორპოლუსიან, ანუ ორვექტორულ პარტიულ მოდელს, სადაც ერთი პოლიტიკური პარტია იქნებოდა პირობითად პრორუსული, კონსერვატიულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე დაფუძნებული, მეორე — პროამერიკული, რომლის იდეოლოგიური პლატფორმა იქნებოდა ლიბერალური.**

როდესაც განსხვავებული მსოფლმხედველობის, იდეოლოგიური პლატფორმისა და საგარეო ორიენტაციის მქონე ორი პოლიტიკური პარტია იბრძოლებდა ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად, გარე ძალები იძულებული შეიქნებოდნენ, დახმარება გაეწიათ მოკავშირე პარტიებისთვის. მათი დახმარება კი მიმართული იქნებოდა იმისკენ, რომ თავიდან აეცილებინათ კონკურენტი ქვეყნის მოკავშირე პარტიის გაძლიერება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს მოდელი პოლიტიკურ სისტემაში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს საშუალებას მისცემდა, მეტი დახმარება მოეთხოვათ მოკავშირე გეოპოლიტიკური აქტორებისგან, რათა სისტემაში მეტოქე გეოპოლიტიკური მოთამაშის, მოკავშირე პოლიტიკური პარტიების ჰეგემონია დაებალანსებინათ. **ეს მოდელი პოლიტიკურ სისტემას ურთიერთდაბალანსებისა და ურთიერთშეკავების მდგომარეობაში გადაიყვანდა, რომელიც საგარეო პოლიტიკის წარმოებაზეც აისახებოდა.** ასეთ შემთხვევაში პოლიტიკურ პარტიებს მიეცემოდათ მეტი თავისუფლება, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკური ვაჭრობა გაემართათ გარე ძალებთან. თავის მხრივ, დიდი გეოპოლიტიკური აქტორები იძულებული შეიქნებოდნენ, საქართველოს მიმართ გადაედგათ ისეთი პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც არ დააზიანებდა მათი ინტერესების გამტარებელი პოლიტიკური პარტიების იმიჯს საზოგადოებაში, პირიქით — მათ პოზიციებს გაამყარებდა. **რუსეთის ფედერაცია კი იძულებული იქნებოდა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ არ გადაედგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც მისი მოკავშირე პოლიტიკური პარტიის ინტერესებს დააზიანებდა.**

**თუმცა, ჩემ მიერ ფორმულირებული პოლიტიკური სისტემის მოდელი რომ ამუშავდეს, აუცილებელია, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრე პარტიას ხელმძღვანელობდეს ისეთი ავტორიტეტული ფიგურა, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობს რუსეთის ფედერაციის მმართველ პოლიტიკურ კლასში და რომლის მიმართაც ეს კლასი პატივისცემით არის განწყობილი.** ასეთი ფიგურა ძალიან რთული მოსაძებნია (ალბათ, არც არსებობს) ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აღნიშნული ფუნქციის შესრულებას ყველაზე უკეთ შეძლებდა ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია. შეიძლება, ზოგი არ დაეთანხმოს ჩემს თვალსაზრისს, ამიტომ შევეცდები, პოლიტიკური კვლევის მეთოდოლოგიაში აპრობირებული მეთოდით — კონტენტ-ანალიზით (პოლიტიკური ანალიზი ტექსტების შინაარსის შესწავლით) გავამყარო ჩემი მოსაზრება. ამისთვის მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს ბატონი ალექსანდრეს მიერ საქართველოსთვის ყველაზე რთული პერიოდის, კერძოდ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და შემდეგი პერიოდების პუბლიკაციებიდან: **„სააკაშვილს თუ უნდა ამ სიტუაციიდან გამოსვლა, მზად ვარ, კონსულტაცია გავუწიო, გავფრინდე მოსკოვში და მოვილაპარაკო... ვეცდები, რომ ამ უბედურების დროს, როცა ქვეყანა იღუპება, გავაკეთო ყველაფერი, რათა სისხლის ღვრა და ნგრევა შეწყდეს და დავიწყოთ მოლაპარაკება... თუ სააკაშვილი მეტყვის, რომ მიზნად არ აქვს ჩვენი ტერიტორიების დაკარგვა და ხალხის ჩახოცვა, მაშინ შევთავაზებ რამდენიმე სვლას, რომლებიც უნდა გააკეთოს. თუ სააკაშვილი დათანხმდება, ჩავალ მოსკოვში და შევეცდები, შეწყდეს ეს დაბომბვა, ხოლო ამის შემდეგ დაიწყოს მოლაპარაკება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა საბოლოოდ დაიღუპება“** (ალექსანდრე ჭაჭიას წერილების გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებული „საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი“, გვ. 349-351).

**„დღეს რუსეთის ფედერაციის საბჭომ ცნო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა, სრულფასოვან აღიარებამდე რჩება პრეზიდენტ მედვედევის ხელმოწერა. ამ პროცესის გაჭიანურებისა და გაჩერების შესაძლებლობა კიდევ არსებობს, ამიტომ კიდევ ერთხელ ვთავაზობ სააკაშვილს კონსულტაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით. ვთავაზობ ახლაც, როგორც ადრე შევთავაზე... სასწრაფოდ არის ზომები მისაღები, გადასადგმელია კონკრეტული ნაბიჯები და, თუ სურვილი ექნება, თუ საქართველოს დაღუპვა სააკაშვილს არ სურს, მე მას შევთავაზებ ამ ნაბიჯებს... სააკაშვილს ჯერ კიდევ დარჩენილი აქვს 3-4 დღე, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარების პროცესი როგორმე შევაჩეროთ ან გავაჭიანუროთ, თუ ის არის დაინტერესებული ქვეყნის გადარჩენით“** (ალექსანდრე ჭაჭიას წერილების გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებული „საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი“, გვ. 353-354).

ზემომოყვანილი ამონარიდების შემდეგ ძნელია, ვინმე შემედავოს, რომ ჩემ მიერ შემოთავაზებული კანდიდატურა საამისოდ შეუფერებელია. **ირკვევა, რომ ალექსანდრე ჭაჭიას, რუსეთის ფედერაციაში მისი გავლენიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილის თანხმობის შემთხვევაში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესის შეჩერებაც კი შეძლებია.** მაგრამ, როგორც ჩანს, იმჟამინდელი ხელისუფლება, ამით არ იყო დაინტერესებული და შედეგად მივიღეთ საქართველოს სამ ნაწილად დანაწევრება. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ალექსანდრე ჭაჭია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ საპატიო ორდენით არის დაჯილდოებული „რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, სამეცნიერო და კულტურული კავშირების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის“. ალექსანდრე ჭაჭიას შესაძლებლობებისა და მის მიმართ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების განსაკუთრებული ნდობის ფაქტორის გათვალისწინებით, თუ იგი გახდებოდა პროამერიკული პოლიტიკური ძალის დამბალანსებელი პარტიის ლიდერი, სრულიად შესაძლებელი იქნებოდა რუსეთის ინტერესების დაბალანსება საქართველოში.

ზემოაღნიშნული პოლიტიკური სისტემის მოდელი, პრაქტიკაში დანერგვის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, რუსეთის ფედერაციისთვის გახდებოდა შემაკავებელი ფაქტორი, 10 წლის გასვლის შემდეგ (როგორც მოგეხსენებათ, ხელშეკრულების ვადა 10 წლით არის განსაზღვრული), თავი შეეკავებინა აფხაზეთის რეგიონის შეერთებისგან. ეს კი გრძელვადიან პერსპექტივაში აფხაზებთან ერთად ერთიან სახელმწიფოში ცხოვრების შესაძლებლობას მოგვცემდა.

**ირაკლი უზილავა**

ჩეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონი მინისტრი (თანაც ფინანსთა!) სრული სერიოზულობით ცდილობს, დაგვიმტკიცოს, რომ ლარის კურსის დაცემა მთავრობის ცუდი მუშაობის ან ეროვნული ბანკის შეცდომების, ან ფისკალური პოლიტიკის კრახის, ან რაიმე სხვა ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზეზების ბრალი კი არ არის (რაც, შესაძლოა, სიმართლეც კი იყოს), არამედ ჩვენი — უბრალო ხალხის, მომხმარებლის, მოქალაქეების მიერ ატეხილი აჟიოტაჟის ბრალია (რაც, მაპატიეთ და, წარმოუდგენელი სისულელეა!).**

# ხადურის დიეტა და ტყემალაძის საწებელი

**შეძახილმა ხე გაახმოო, — ნათქვამია. თქმა არ უნდა, რომ ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ხვდება, აქ რეალურ „შეძახილსა“ და კონკრეტულ „ხეზე“ არ არის ლაპარაკი და მსგავს ფრაზებს ხატოვან გამოთქმებს ეძახიან და ისინი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ...**



მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვერავინ მეტყვის, როგორ და რა მნიშვნელობით უნდა გავიგოთ ისეთი უაზრო ფრაზები, რომლებსაც ქართველი პოლიტიკოსები, უკვე 25 წელიწადია, დაუფიქრებლად წამოისვრიან ხოლმე და გვარიანადაც ალიზიანებენ საზოგადოებას.

**„ლარის კურსის ვარდნა აჟიოტაჟის ბრალია,“** — ეს ფრაზა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა **ნოდარ ხადურმა** თქვა გასული კვირის ბოლოს და, შეიძლება ითქვას, ღირსეულად დახურა „სულელური ფრაზების კვირეული“... არა, ალბათ, უფრო „ერთწლეული“ ან სულაც — „ათწლეულიც“ კი!

ანუ, ბატონი მინისტრი (თანაც ფინანსთა!) სრული სერიოზულობით ცდილობს, დაგვიმტკიცოს, რომ ლარის კურსის დაცემა მთავრობის ცუდი მუშაობის ან ეროვნული ბანკის შეცდომების, ან ფისკალური პოლიტიკის კრახის, ან რაიმე სხვა ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზეზების ბრალი კი არ არის (რაც, შესაძლოა, სიმართლეც კი იყოს), არამედ ჩვენი — უბრალო ხალხის, მომხმარებლის, მოქალაქეების მიერ ატეხილი აჟიოტაჟის ბრალია (რაც, მაპატიეთ და, წარმოუდგენელი სისულელეა!).

როგორც ჩანს, **ბატონ ხადურს ადრეულ ბავშვობაში გაგონილი და ჩვენ მიერ შესავალში ნახსენები ხატოვანი გამოთქმა — „შეძახილმა ხე გაახმო“ — დღესაც პირდაპირი მნიშვნელობით ესმის და ჰგონია, რომ, თუკი ხის გახმობა შეუძლია შეძახილს, მაშინ რატომ არ შეიძლება აჟიოტაჟმა დასცეს ან პირიქით — აამაღლოს ლარის კურსი?**

ერთი ეგაა, ეს ქართველები უნიკალური შესაძლებლობების მქონე, მაგრამ ნამეტანი უნიჭო ხალხი ვყოფილვართ და მხოლოდ იმ ტიპის აჟიოტაჟს ვტეხთ ხოლმე, რომელსაც ცუდი შედეგები მოაქვს. ბოლო 25 წლის განმავლობაში ვერაფრით მოვახერხეთ ისეთი აჟიოტაჟის ატეხვა, რომელიც მცირე დადებით შედეგს მაინც მოგვიტანდა! ახია ჩვენზე!

მით უმეტეს, გეხსომებათ, როგორი მონდომებით გვარიგებდნენ სხვადასხვა დროს ჩვენი „პირველი ლედები“:

**„8 ლარი ჭკვიანმა დიასახლისმა სწორად უნდა გაანაწილოს, მთელი თვის განმავლობაში გამოიზოგოს და ისე დახარჯოს, ყაირათიანად“** *(ნანული შევარდნაძე).*

**„ქართველმა დიასახლისებმა არ იციან სწორი ცხოვრება. სკოლაში რომ დატოვებენ ბავშვს, მერე იქვე სხედან, ეწევიან და ელოდებიან. არადა, შეიძლება ამ დროში აუზზე წახვიდე და იცურაო ან ფიტნესზე მიხვიდე“** *(სანდრა რულოვსი).*

მაშინ კი ვფიქრობდი, ქალბატონ ნანულის რატომ არ დაუკონკრეტებია, — ან 8 ლარის 30 დღეზე გადანაწილება როგორ წარმოუდგენია, ან აუზებსა და ფიტნესკლუბებში აბონემენტების ფასზე რატომ არაფერი უთქვამს სანდრა რულოვსს-მეთქი...

მაგრამ, აგერ, ნოდარ ხადურის ფრაზამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა!

თურმე ქართველ ხალხს შეეძლო, აეტეხა აჟიოტაჟი და 8 ლარი იმწამს შეიძენდა ისეთ ღირებულებას, რომ მისი 30 დღეზე გადანაწილება პრობლემა არ იქნებოდა. ამავე აჟიოტაჟით, ქართველ დიასახლისებს შეეძლებოდათ, მინიმუმამდე დაეწიათ ფიტნესკლუბებისა და საცურაო აუზების ფასები...

**მთელი ეს წლები ხან «უგულავას დიეტას» რომ გვიქებედნენ და ხან — სხვისას, მისწრება «ხადურის დიეტა» ყოფილა ქართველი ხალხისთვის — ჭამე, რაც გინდა და როცა გინდა! შეუკვეთე რესტორანში შემწვარი ციკანი! არ დაინანო ბიუჯეტის ფული! თქვლიფე, რამდენსაც შეძლებ! გამოიწერე ხელფაზე პრემია და, თუ რამეს გისაყვედურებენ, გადააკეთე დანამატად! ოღონდ არ ატეხო აჟიოტაჟი, რათა ლარის კურსი არ დაეცეს!**




**ხადურის სულელური ფრაზების სუფრას პარლამენტარმა ზურაბ ტყემალაძემ საწებელივით მოასხა ფრაზა: «160 ლარი კი არ უნდა მეყოს მე, არამედ მე უნდა ვეყო 160 ლარს!»**

მაგრამ ქართველი ერის სიზარმაცის შესახებ ხომ გსმენიათ? — დადებითი აჟიოტაჟიც კი გვეზარება ხოლმე!

სამაგიეროდ, ხანდახან ისეთ უარყოფით აჟიოტაჟს ავტეხთ, ლარის კურსი კისრისტეხით მირბის ქვევით და კიდევ კარგი, ქართული აჟიოტაჟის ხმა ლონდონამდე არ აღწევს, თორემ საფონდო ბირჟაზე იმისთანა ამბავს მოვახდენდით, ცნობილი „ამერიკული შავი ხუთშაბათი“ მონაგონი იქნებოდა!

**გამოსავალი, ალბათ, ერთია: ჩვენ „აჟიოტაჟის დიეტაზე“ უნდა დავჯდეთ! მთელი ეს წლები ხან „უგულავას დიეტას“ რომ გვიქებედნენ და ხან — სხვისას, მისწრება „ხადურის დიეტა“ ყოფილა ქართველი ხალხისთვის — ჭამე, რაც გინდა და როცა გინდა! შეუკვეთე რესტორანში შემწვარი ციკანი! არ დაინანო ბიუჯეტის ფული! თქვლიფე, რამდენსაც შეძლებ! გამოიწერე ხელფაზე პრემია და, თუ რამეს გისაყვედურებენ, გადააკეთე დანამატად! ოღონდ არ ატეხო აჟიოტაჟი, რათა ლარის კურსი არ დაეცეს!**

შესანიშნავი დიეტაა და დარწმუნებული ვარ, ბევრს მოეწონებოდა ამ დიეტის პირველი ნაწილი, მაგრამ იქვე აუცილებლად გაჩნდება კითხვა: ასეთი „დიეტისთვის“ საქართველოს ჩვეულებრივ მოქალაქეს ეყოფა კი თავისი ნიმიმალური შემოსავალი?

**არ იდარდოთ, პასუხი აქვეა. ხადურის სულელური ფრაზების სუფრას პარლამენტარმა ზურაბ ტყემალაძემ საწებელივით მოასხა ფრაზა: „160 ლარი კი არ უნდა მეყოს მე, არამედ მე უნდა ვეყო 160 ლარს“!**

პირველი ლედების შეგონებათა დამახსოვრება და მოსახლეობისთვის მათი შეხსენებაც ასეთი უნდა! ჩემი აზრით, **ზურაბ ტყემალაძის ეს უაღრესად სულელური „მუშნიზარანდიობა“ აუცილებლად დაიმსახურებდა „წლის ფრაზის“ ტიტულს, აგერ, ზედ ფინიშთან ხადურის „აჟიოტაჟს“ რომ არ გადაეჯოკრა!**

სამაგიეროდ, იგი ღირსეულად იკავებს მეორე ადგილს ამ პრესტიჟულ კონკურსში და არა მგონია, კაი ხანს ვინმე შეეცილოს!

ხადურს კი ფართო ასპარეზი აქვს და შეუძლია, განავრცოს კიდეც თავისი გენიალურ-მისტიკური ფრაზა.

მაგალითად:

თავისუფლად შეიძლება მივაწეროთ ხოლმე საკვები პროდუქტების გაძვირება „დაჟინებულ მზერას“!

აკი, უფულო, გაჭირვებული, უხელფასო და უმუშევარი ადამიანები მადისაღმძვრელ პროდუქტებთან ხშირად და დიდ ხნით ჩერდებიან ხოლმე და თვალს ვერ აშორებენ საქონლის ხორცს, ქათამს, კაი შებოლილ სულგუნს და სხვა საკვებ პროდუქტებს, რომლებიც, დიდი ხანია, არ მიურთმევიათ...

**რა, თუკი აჟიოტაჟს შეუძლია ლარის კურსის ცვლილებაზე იმოქმედოს, ვითომ დაჟინებულ მზერას რატომ არ შეუძლია საკვები პროდუქტების ფასის შეცვლა?**

ასევე, წარმატებით შეგვიძლია, დავამუშაოთ ნავთობის ფასების რეგულაციისთვის ჟრიამულის ატეხის მეთოდი; ანდა ვცადოთ, მაგალითად, ჭყლოპინის მეთოდით ვიმოქმედოთ სამომხმარებლო კალათის ფასის აწევაზე...

რა ვიცი, **თუკი ქართველებს მართლაც გვაქვს ფენომენალური ნიჭი, რომელიც ფინანსთა მინისტრმა ასე უშურველად მოგვაწერა, ავდგეთ და გამოვიყენოთ! რას ვაშლევინებთ ნერვებს ამ მანჰეტენის ბროკერებს თუ ლონდონის საფონდო ბირჟებს?!**

ნოშრევან კუჭუხიძისგან შეშინებული ხუტა ოდილავაძისა არ იყოს, „ადამიანს რა ჯანდაბა გააფრენს, მაგრამ ვცადოთ, ბატონო! თვალი დაუდგეს ევროპას! ბოლოს და ბოლოს, ქართველი ვარ მეც!“

**ბაკურ სვანიძე**

## უკრაინის ხელისუფლების დუმილმა ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურში ავარიაზე ევროპა შეაშინა

**უკრაინის ხელისუფლება განაგრძობს თავისი პარტნიორების ნერვებზე თამაშს. კიევმა ევროპა შეაძრწუნა რამდენიმე დღის წინათ, როდესაც დამალა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის მესამე ბლოკზე მომხდარი ავარია. არადა, ეს ატომური ელექტროსადგური ყველაზე დიდია ევროპაში. საგანგებო შემთხვევის შესახებ უკრაინის ხელისუფლებამ მხოლოდ ავარიიდან რამდენიმე დღის შემდეგ განაცხადა.**

„არავითარი საფრთხე არ არსებობს. ავარია ელექტროენერგიის გადამცემ სისტემაზე მოხდა. ეს არ უკავშირდება თვითონ ელექტროენერგიის წარმოებას. იქ მოხდა მოკლე ჩართვა. ყველაფერი კეთდება, რომ ეს მონაკვეთი გარემონტდეს, თუმცა ამ ყველაფერს რეაქტორთან კავშირი არ აქვს“, — განაცხადა უკრაინის ენერგეტიკის მინისტრმა ვლადიმერ დემჩიშინმა 3 დეკემბერს. ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის მესამე ენერგობლოკი სისტემიდან 28 ნოემბერს გაითიშა. შედეგად ოდესის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებს რამდენიმე დღის განმავლობაში ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. აღსანიშნავია, რომ 1981 წელს აგებული ჟაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის სიმძლავრე 6000 მეგავატს შეადგენს და 2000 მეგავატით აღემატება ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურისას, სადაც 1986 წელს საშინელი კატასტროფა მოხდა.



„არ მჯერა იმ ადამიანების, რომლებიც გვეუბნებიან, რაღაც ნორმები უნდა დააკმაყოფილოთ და შეგიშვებთ ნატოშიო. მაინტერესებს, რა ნორმებს ვერ ვაკმაყოფილებთ — უკულტურო ერი ვართ, ცუდად ვიქცევით, განათლება არ გვაქვს, ცუდად ვმღერით თუ ვცეკვავთ? რომელი ქვეყანა გვჯობს, რომელიც ნატოს წევრია?“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვახტანგ ტატიშვილი:

# არც ატომური ბომბი გვინდა და არც ნატოს საწვრთნელი ბაზები!

**მომღერალი და იუმორისტი ვახტანგ ტატიშვილი სარკაზმით აფასებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და ცდილობს, ხალხს მომავლის იმედი ჩაუსახოს...**



**— ვცხოვრობ ლარივით. ვბერდები და ჩემი კურსიც უკან მიდის. არადა, რამდენიმე წლის წინათ დოლარივით გამყარებული ვიყავი.** ხან მაჯილდოებენ რაღაც მეგაპრიზებით, ხანაც — მივიწყებენ. რამდენიმე დღის წინათ დამაჯილდოვეს, როგორც ყველა თაობის საყვარელი მომღერალი. **2011 წელს მომანიჭეს თბილისის საპატიო მოქალაქეობაც, რომელსაც გაუპატიურებული მოქალაქის ჯილდოს ვეძახი. სულ სიგელები და სიგელები, ფული მაჩუქონ არ შეიძლება *(იცინის)*?**

— მიხეილ სააკაშვილი წინასაახალწლოდ ინდაურებს არიგებდა, თქვენ თუ გხვდათ წილად ეს ბედნიერება?

**— ინდაური არა, მაგრამ მერიამ ტკბილეული გამომიგზავნა. სამწუხაროდ, ინდაური არ მხვდა წილად.** ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ხალხის სიყვარულია. იცით, ხალხს რატომ ვუყვარვარ? — იმიტომ, რომ ყოველთვის საკუთარ თავს დავცინი და არა — სხვას.

**— ლარის კურსი ახსენეთ...**

— ოოო, ეს ჩვენი ერთ-ერთი მტკივნეული თემაა. **როცა ვალუტის კურსი ეცემა, მთავრობამ ხელფასები და პენსიები უნდა გაზარდოს, რადგან პროდუქტი გაძვირებულია.** თავს რომ იწონებენ, სამაგიეროდ, საწვავი გავაიაფეთო, ასე არ არის, რადგან საწვავის ფასი მსოფლიოს მასშტაბით დაეცა. ვის ატყუებენ? მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასი განახევრდა, ჩვენთან კი მხოლოდ რამდენიმე თეთრით შემცირდა. არც პოლიტიკოსი ვარ, არც — ანალიტიკოსი, მაგრამ ჩემი თვალსაზრისი ყოველთვის მაქვს და, კიდევ კარგი, რომ, წინა წლებისგან განსხვავებით, ახლა თავისუფლად შემიძლია აზრის საჯაროდ გამოთქმა. ჯანსაღი კრიტიკა ყველა მთავრობამ უნდა მიიღოს და ამის გამო მტრად არავინ არავის უნდა მოეკიდოს. **ხალხი ყველაფერს ხედავს და იმასაც კარგად აანალიზებს, უკეთესობისკენ მივდივართ თუ უარესობისკენ...**

**— მაინც საით მივდივართ?**

— მსოფლიო პროგრესირებს, წინ მიდის; მათ შორის, — საქართველოც. ეს არც მთავრობის დამსახურებაა და არც რომელიმე ადამიანის. ხალხი უფრო ჭკვიანდება. მართალია, ეს პროგრესი საქართველოში ნელა მიიწევს წინ, მაგრამ ხალხი ასე თუ ისე ვითარდება და საზოგადოების მოტყუება იოლი აღარ არის.

**— როგორ შეაფასებთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას?**

— ძალიან ცუდი მდგომარეობაა, განსაკუთრებით — რეგიონებში. იუმორისტ ბესო ბერულაშვილის ინიციატივით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დავდივართ და მოსახლეობისთვის უფასო კონცერტებს ვმართავთ. **თითქმის ყველა სოფელი დაცარიელებულია, ხალხს უკიდურესად უჭირს. კულტურულ სიდუხჭირეზე აღარაფერს ვამბობ. ამა თუ იმ რაიონში 50 წელი მაინც იქნება, კონცერტი არ ჩატარებულა. უნდა ნახოთ, რას ჰგავს კულტურის სახლები — არ შეისვლება. ან შენობები რას ჰგავს, ან გზები? შეიძლება, რაღაც კეთდება, მაგრამ ტემპი არ მომწონს და ძალიან უკმაყოფილო ვარ.** ამ ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ ხალხის კეთილდღეობა, მაგრამ არიან მავნეებიც, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნის წინსვლას.

**— საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა განაცხადა, მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოშიო. როგორ ახსნით მის ამ ნათქვამს?**

— მეტი საქართველო ნატოშიო? ეს მომეწონა! ეს ნიშნავს იმას, რომ ნატოში რაც შეიძლება, მეტიო. გამოდის, ნატო მსუბუქი ყოფაქცევის ყოფილა *(იცინის)*! — ასე გამოუვიდა ჩვენს მინისტრს. რაღა დაგიმალოთ და ეს ნატო ჩემთვის ცოტა გაუგებარი რამაა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, კომუნიზმში რომ შევდიოდით და ვერ შევედით, მაგრამ მაინც გავკიოდით „წინ, კომუნიზმისკენ!“. ახლაც ასე ხდება, **წინ, ნატოსკენო, — გავიძახით, არადა, რაღაც არ უჩანს პირი, ნატოში რომ შეგვიშვებენ.** რაღა დაგიმალოთ და არ მჯერა იმ ადამიანების, რომლებიც გვეუბნებიან, რაღაც ნორმები უნდა დააკმაყოფილოთ და შეგიშვებთ ნატოშიო. **მაინტერესებს, რა ნორმებს ვერ ვაკმაყოფილებთ — უკულტურო ერი ვართ, ცუდად ვიქცევით, განათლება არ გვაქვს, ცუდად ვმღერით თუ ვცეკვავთ? რომელი ქვეყანა გვჯობს, რომელიც ნატოს წევრია?** არ მესმის, რა ახალ-ახალ ულტიმატუმებს გვიყენებენ, რას გვათამაშებენ?! ან რა არის, საერთოდ, ნატო, ვინმემ იცის? ბევრს ჰგონია, იქ რომ შევალთ, გვეშველება. დავუშვათ, შევედით, მერე რა? **მთავარი არის ის, რომ საქართველომ ყველა ქვეყანასთან, ნატოს წევრი ქვეყნებით დაწყებული, რუსეთით დამთავრებული, კარგი ურთიერთობა დაამყაროს და შეინარჩუნოს.** ეს ჩვენთვისაა კარგი. **არც ატომური ბომბი გვინდა და არც ნატოს საწვრთნელი ბაზები! ნეიტრალიტეტი გვჭირდება, მეტი არაფერი.**

მენატრება ის დრო, როცა რუსეთში გასტროლები გვქონდა. ვენაცვალე რუს ხალხს! **ხალხი არ არის დამპყრობელი და, თუ რუსეთის პოლიტიკა არ მოგვწონს, ხალხს ნუ გავრევთ ამ ამბავში, რადგან რუსი ხალხი მართლაც კარგია. გასაგებია ყველაფერი, რაც მოხდა, მაგრამ ჩვენთვის კარგი იქნება, თუ რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას დავამყარებთ — ჩვენი ხალხისთვისაა კარგი. არ გვინდა მათი ბოდიშები, ეს საქმეს ვეღარ უშველის და ვერც 2008 წელს დაგვავიწყებს, მაგრამ ჩვენი ეკონომიკის მოძლიერებისთვის ასეა საჭირო.** ბოლოს და ბოლოს, მეზობელია, ჩვენზე გაცილებით დიდი და ძლიერი.

**— ბიძინა ივანიშვილს ახლოს იცნობთ?**

— მას მანამდე შევხვდი, ვიდრე პოლიტიკაში მოვიდოდა. ისე სწრაფად წავიდა პოლიტიკიდან, ვერც კი მოვასწარი იმის აღქმა, როგორი პოლიტიკოსი იყო. ეს ნაკლებად მაინტერესებს, რადგან ჩვენთვის თავისუფლების დაბრუნება მისი პირადი დამსახურებაა. ის, რომ ივანიშვილს გავლენა აქვს დღევანდელ ხელისუფლებზე, ცხადია და ასეც იქნება. ბოლოს და ბოლოს, ეს მთავრობა ხომ მან მოიყვანა ხელისუფლებაში?! იცით, ხალხს როგორი პოზიცია უნდა ჰქონდეს? მადლობა უნდა გადაუხადოს მთავრობას, თუ რამეს გაუკეთებს, მაგრამ მეტი უნდა მოსთხოვოს. **პოლიტიკოსის სიყვარულობანა კი უნდა დასრულდეს ჩვენს ქვეყანაში. დროა, დავამთავროთ ბელადომანია!** სხვათა შორის, მთავრობას ძალიან მოსწონს, როდესაც აქებენ, განსაკუთრებით — ჟურნალისტები. ასევე არიან ხელოვნებისა და მწერლობის ბევრი წარმომადგენელი, რომლებიც მთავრობას კუდს უქიცინებენ. შემდეგ მოვა სხვა მთავრობა და ახლა იმათ ქება-დიდებაში არიან. ჩვენ, „ივერიისა“ და „იუმორინის“ წარმომადგენლები, ჩვენს სათქმელს ყოველთვის სცენიდან ვამბობდით და არასდროს არავის ვეპირფერებოდით; არც ვინმეს ვლანძღავდით ღვარძლითა და ბოღმით. რამდენიმე წლის წინათ ზოგიერთი ხელოვანი სააკაშვილის ფავორიტი იყო და ისიც კარგად უფასებდა მხარდაჭერას. დღეს კი ეს ხალხი ამ მთავრობას ეპირფერება...

**ესაუბრა**
**ნინო მაისურაძე**

**«ვცხოვრობ ლარივით. ვბერდები და ჩემი კურსიც უკან მიდის. არადა, რამდენიმე წლის წინათ დოლარივით გამყარებული ვიყავი»**

**«მენატრება ის დრო, როცა რუსეთში გასტროლები გვქონდა. ვენაცვალე რუს ხალხს! ხალხი არ არის დამპყრობელი და, თუ რუსეთის პოლიტიკა არ მოგვწონს, ხალხს ნუ გავრევთ ამ ამბავში, რადგან რუსი ხალხი მართლაც კარგია»**



ჯულიან ასანჟი:

## «გუგლი» აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის მუშაობს

**„ვიკილიქსის“ შერისხული დამფუძნებლის — ჯულიან ასანჟის სენსაციურ მხილებას საზოგადოება 1 დეკემბერს გაეცნო, როდესაც მაღაზიათა დახლებზე გასაყიდად გამოიტანეს ასანჟის წიგნი „როგორ იპოვა „გუგლმა“ „ვიკილიქსი“, — იუწყება ესპანური ონლაინგამოცემა Publico.es.**

გამოცემის ინფორმაციით, ასანჟი იმ დასკვნამდე, რომ „გუგლი“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის მუშაობს და „გუგლის“ მომხმარებელთა მონაცემები და ელფოსტა ამ ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის ხელმისაწვდომია, 2011 წელს „გუგლის“ პრეზიდენტ ერიკ შმიდტსა და კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრ ჯარედ კოენთან შეხვედრის შემდეგ მივიდა.

ინგლისში გამართულ ამ შეხვედრას, აგრეთვე, ესწრებოდნენ ვინმე ლიზა შილდსი და სკოტ მალკომსონი, რომლებიც, როგორც „ვიკილიქსის“ დამფუძნებელმა მოგვიანებით გაარკვია, ვაშინგტონის ემისრები აღმოჩნდნენ.

**„სწორედ ამ მომენტში მივხვდი, რომ ერიკ შმიდტი, მხოლოდ „გუგლის“ წარმომადგენელი არ გახლდათ. მე შემხვდა ადამიანების ჯგუფი, რომლის მეოთხედიც იყო „გუგლის“ წარმომადგენელი, სამი მეოთხედი კი — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის,“ — წერს ასანჟი წიგნში.**

„ვიკილიქსის“ დამფუძნებლის აზრით, „გუგლი“ სრულ უფლებას აძლევს აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროს, გაეცნონ მომხმარებელთა მიმოწერას — ელექტრონულ ფოსტაში არსებულ ინფორმაციას. და ამას ზემოაღნიშნული უწყებების წარმომადგენლები პროკურატურისა და სასამართლოს სანქციების გარეშე აკეთებენ.

შეგახსენებთ: უკვე ორი წელიწადია, ჯულიან ასანჟი ეკვადორის საელჩოს ტერიტორიას ვერ ტოვებს, რადგან შიშობს, რომ აშშ-ის ხელისუფლება, რომელიც მას ჯაშუშობაში ადანაშაულებს, მყისვე დააპატიმრებს.

## ქალაქ სლუპსკის მერად გეი აირჩიეს

**პოლონეთის ქალაქ სლუპსკის მერი ჰომოსექსუალი რობერტ ბედრონი გახდა. მას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 57,1%-მა.** „კონსერვატიულ პოლონეთში რობერტ ბედრონის პოლიტიკური კარიერა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. გეი არაერთხელ გაულახავთ, მისი ოფისი კი — მიუნგრევ-მოუნგრევიათ“. — წერს გერმანული გამოცემა „შპიგელი“.

სლუპსკში 90 ათასი ადამიანი ცხოვრობს და, მართალია, ამ ქალაქის მცხოვრებთა ნახევარზე მეტმა მერის პოსტზე მხარი ჰომოსექსუალს დაუჭირა, დანარჩენები ამბობენ, რომ „სიბილწის ასეთ აღმაშფოთებელ გამოვლენას“ არ მოითმენენ. კონსერვატიული თვალსაზრისის მქონე პოლონელმა კათოლიკებმა ჯერ კიდევ არჩევნებამდე დაიწყეს სააგიტაციო კამპანია, რომლის მიმდინარეობისას თანაქალაქელებს არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდებდნენ და ლოცულობდნენ, რომ უზენაეს ძალებს მათთვის აეცილებინა ჰომოსექსუალური განსაცდელი. ახლა კი მათ გააძლიერეს ძალისხმევა.



სხვათა შორის, რობერტ ბრენდონი, რომელმაც 2001 წელს საჯაროდ დაიწყო ე.წ. ჰომოფობიის დაგმობა, ამბობს, რომ მზად არის ყველა წინააღმდეგობის დასაძლევად. ბრენდონი სლუპსკის სოციალური პრობლემებით მანიპულირებს და მოსახლეობას ჰპირდება, რომ ეკონომიკურ ვითარებას გააუმჯობესებს. გარდა ამისა, უარს იტყვის იმ პრივილეგიებზე, რომლებიც მაღალჩინოსნებს აქვთ, მაგალითად, ლიმუზინის მომსახურებაზე.

შეშლილი, შეშლილი მსოფლიო...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გრიბაუსკაიტე ყოველთვის ტოვებდა სოციალისტური სამშობლოს შეგნებული დამცველის შთაბეჭდილებას. როცა დალია 1991 წელს ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის (ვაშინგტონი) საერთაშორისო კურსებიდან დაბრუნდა, ბევრმა არ დაიჯერა, რომ თვითმფრინავის ტრაპიდან ტვინგადაბრუნებული ქალი ჩამოვიდა.“**

# ის, რასაც ქართული პრესა არ აქვეყნებს

**არადა, საჭიროა იცოდეს განათლებულმა მკითხველმა, თუ, რა თქმა უნდა, აქვს პრეტენზია იყოს ობიექტური და არ დაუკარგავს სალად განსჯის უნარი, რა იწერება მსოფლიო პრესაში, როგორ ფასდება ესა თუ ის მოვლენა, ფაქტი, რომლებზეც ჩვენ მხოლოდ ცალმხრივი წარმოდგენა გვაქვს.**

# ვინ ვინ არის



## სწრაფი კვებით მოწამლული პრეზიდენტი

„ლიტვას არ ეშინია რუსეთის თავდასხმის, რადგან არის ნატოს წევრი, — განაცხადა **ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ** კიევში ყოფნისას... — დიახ, იმ ქვეყანას შეუძლია გადალახოს ნებისმიერი საერთაშორისო კანონი, უხეშია, აგრესიულია, მაგრამ არ გვეშინია, ჩვენ ვიცნობთ ამ მეზობელს. მისი ოკუპაციის ქვეშ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვცხოვრობდით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არავის მივცემთ ჩვენი ოკუპირების უფლებას“.

**სამწუხაროა, რომ გრიბაუსკაიტემ არ მოუთხრო უკრაინელებს, როგორ იჩაგრებოდა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში თავისი ცხოვრების პირველი 45 წლის განმავლობაში.**

ოკუპანტების ქუსლს ქვეშ მყოფმა დალიამ 1983 წელს დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი და იმავე წელს შევიდა საბჭოთა კავშირის კომპარტიის რიგებში. მავანი იტყვის, რომ ეს იყო ახალგაზრდა ლიტველი პატრიოტი ქალის საიდუმლო გეგმა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, შიგნიდან აეფეთქებინა საბჭოთა სისტემა. თუმცა საეჭვოა, რადგან შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის იმ ოფიცრის ოჯახიდან იყო, რომელიც სიცოცხლეს წირავდა ლიტველ ნაციონალისტებთან ბრძოლაში.

1983 წელს ვილნიუსში დაბრუნებული გრიბაუსკაიტე მუშაობას იწყებს უმაღლეს პარტიულ სკოლაში, კომუნისტებს ასწავლის პოლიტეკონომიას. სოციალისტური შეგნების ამაღლების მიზნით გრიბაუსკაიტემ 1988 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში, რომელიც მოსკოვში, სკკპ ცკ-სთან არსებობდა, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. შემდეგ ნიჭიერი ქალიშვილი მუშაობდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში ლექტორად და ხელმძღვანელობა მას კარგი თვალით უყურებდა.

**თავისუფლებისა და დემოკრატიის გამარჯვებას ლიტვაში დალიას ცხოვრება არ შეუცვლია. იგი დარჩა ლიტვის კომპარტიის რიგებში და გახდა სკკპ ცკ-ს ვილნიუსის უმაღლესი პარტიული სკოლის მეცნიერი-მდივანი. შემდეგ მუშაობდა ეკონომიკის ინსტიტუტში იგივე ჰიპოსტასით.**

**ყველა მისი კოლეგა აკადემიიდან თუ უნივერსიტეტიდან, ყველა მისი პარტიული ამხანაგი ერთხმად ამტკიცებდა, რომ აზრადაც არ მოსვლიათ, გრიბაუსკაიტეში სხვა ადამიანიც თუ იყო ჩასახლებული და იმ შინაგან ადამიანს გარეგანი ადამიანისგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა.**

გრიბაუსკაიტე ყოველთვის ტოვებდა სოციალისტური სამშობლოს შეგნებული დამცველის შთაბეჭდილებას. როცა დალია 1991 წელს ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის (ვაშინგტონი) საერთაშორისო კურსებიდან დაბრუნდა, ბევრმა არ დაიჯერა, რომ თვითმფრინავის ტრაპიდან ტვინგადაბრუნებული ქალი ჩამოვიდა.

გრიბაუსკაიტეს სიტყვებში მოულოდნელად რუსეთისადმი და ყველაფერ რუსულისადმი ისეთი სიძულვილი და დასავლეთის ინტერესებისადმი მსახურების ისეთი მზადყოფნა ჩანდა, რომ დაეჭვდნენ, უნივერსიტეტში ფასტფუდით კვებამ მსმენელის ჰორმონებზე ნეგატიური გავლენა ხომ არ მოახდინა, ამან კი, თავის მხრივ — გონებაზე.

**პრეზიდენტ პოროშენკოში თანამოაზრე რომ იპოვა, დალიამ მასთან ერთად მოსკოვის დასაშინებელი კავშირის შექმნა დაიწყო, რადგან სწორედ რუსეთი ემუქრება, თურმე, თავისუფლებისმოყვარე უკრაინელ და ლიტველ ხალხებს.**

გრიბაუსკაიტე ლანძღავს და თათხავს რუსეთს როგორც ტერორისტ სახელმწიფოს. „უკრაინა, — აცხადებს იგი, — იბრძვის მშვიდობისათვის მთელ ევროპაში, იღვწის ყველა ჩვენგანის დასაცავად. თუ ტერორისტ სახელმწიფოს, რომელიც განახორციელებს აგრესიას თავისი მეზობლის წინააღმდეგ, არ შევაჩერებთ, მაშინ აგრესია შეიძლება გავრცელდეს ევროპაშიც და მას იქითაც“.

მაგრამ უკრაინა გრიბაუსკაიტესთვის მხოლოდ საბაბია. მთელი მისი ყურადღება რუსეთისადმია მიპყრობილი. ქალბატონი ცდილობს თავისუფლებისმოყვარე, მაგრამ უდარდელი ევროპელი ხალხები აამხედროს რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად. **„ვფიქრობ, რუსეთი არც ეცდება ბალტიის ქვეყნების წინააღმდეგ გალაშქრებას, რადგან ჩვენ ნატოს წევრები ვართ. მაგრამ ჩვენ არ დაველოდებით, ვინმემ რომ დაგვიცვას. თუ ჩვენს საზღვრებზე რაიმე მოხდება, ჩვენ 24 საათში ვუპასუხებთ“, — მრისხანედ აფრთხილებს რუსეთს დალია გრიბაუსკაიტე.**

მარტო გაფიქრებაც კი შეგზარავს, როგორ უპასუხებს ლიტვის არმია რუსეთის აგრესიას „24 საათის განმავლობაში!“ ეგებ, მართლა ასე ძლიერ იმოქმედა ამ ქალბატონზე ამერიკული ფასფუდით გაძლიერებულმა კვებამ?!



## მრავალსახეობა კოლექტიური პორტრეტისა

**ვიტალი კლიჩკო, მოკრივე, მაიდნის ყველაზე ცნობილი გმირი. ამჟამად კიევის მერი. როგორ მიაღწია მან წარმატებას, ბევრისთვის უცნობია.**

კარიერა ძმებმა კლიჩკოებმა ქურდი ავტორიტეტის ვიქტორ რიბალკოს, მეტსახელად რიბკას, ხელშეწყობით დაიწყეს. იგი 1990-იანი წლების ერთ-ერთი უმსხვილესი კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი იყო. დაიწყო დაკვეთილი მკვლელობებით, ქურდობითა და ძარცვით, და გარკვეული დროის შემდეგ თავისი კონტროლი დააწესა ნავთობისა და საბანკო ბიზნესზე. მალე რიბკამ შოუბიზნესს მოჰკიდა ხელი და თავისი მოკრივეები ამერიკაში წაასხა, პროდიუსერ დონ კინგს ჩააბარა. პრესა იტყობინებოდა, რომ კლიჩკოები თავიანთი შემოსავლის 50 პროცენტს რიბკას უტოვებდნენ, მაგრამ 2002 წელს მათ უარი თქვეს ამ ხარკის მიცემაზე, რითაც თავიანთი მფარველის 40-მილიონიან ვალი დაიდეს. ავტორიტეტი შეეცადა ამ ვალის მიღებას, მაგრამ ამაოდ. 2005 წელს რიბკა მოკლეს.



ახალი უკრაინის კიდევ ერთი გამორჩეული ლიდერი — **„რადიკალური პარტიის“ ხელმძღვანელი ოლეგ ლიაშკო.** მისი რეპუტაცია ისეთია, რომ უარესს ვერც წარმოიდგენს ადამიანი. 1993 წელს დააპატიმრეს სახელმწიფო ქონების ქურდობისთვის, ხოლო 1994 წელს 6 წლით ჩასვეს ციხეში თაღლითობის ბრალდებით. **კიევის გეითანამეგობრობაში ლიაშკო მთავარი ვარსკვლავია. პრესაში დაწერეს, რომ ლიაშკომ დეპუტატად ყოფნის დროს წამლით გააბრუა და გააუპატიურა 16 წლის ყმაწვილი.**



**არსენ ავაქოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი.** უკრაინული პრესის მონაცემებით, გადიოდა მკვლელობებისა და მტაცებლობის საქმეებში. ავაქოვის გუბერნატორობისას ბიუჯეტის უკანონოდ ხარჯვის მოცულობამ 120 მილიონ გრივნას გადააჭარბა. სანაცვლოდ — მისმა პირადმა ქონებამ 400 მილიონ დოლარს მიაღწია. გამოძიების ვერსიით, სახელმწიფო მიწები გაყალბებული დოკუმენტებით გადაეცა ავაქოვის კერძო ფირმებს. ციხისთვის თავი რომ დაეღწია, ავაქოვი იტალიაში გაიქცა.

არსენ ავაქოვი მალე კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმის ფიგურანტი გადხა — მცირეწლოვანთა გაუპატიურების ბრალი წარუდგინეს. მისი „მეგობარი“ მაქსიმი ავაქოვის გაცნობის მომენტისთვის არასრულწლოვანი იყო. არსენა მისი „მომსახურებით“ ორი წლის განმავლობაში სარგებლობდა, იტალიაში გაქცევის წინ კი მაქსიმი გადასცა პარტია „ბატკივშჩინიდან“ თავის მეგობარს **ალექსანდრ კირშუს.**



**უკრაინის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრი დიმიტრი ბულატოვი** საზოგადოებისთვის ცნობილი თავისი ყურის წყალობით გახდა. ეს ყური თითქოს მოაჭრეს უცხო პირებმა, რომლებმაც თითქოს გაიტაცეს „ავტომაიდანის“ ლიდერი წლევანდელი იანვრის ბოლოს. გამოძიებისთვის ჩვენების მიცემაზე ბულატოვმა უარი თქვა. „მოჭრილი“ ყური თავის ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო „დაუნდობელი ცემის“ კვალი მის სხეულზე პირწმინდად გაქრა. თავისი გამტაცებლები ოპოზიციონერმა ვერ დაიხსომა. ეს მინისტრი სულ რამდენიმე წლის წინათ ღამის კლუბის უბრალო ადმინისტრატორი იყო და პარასკევობით გეისაღამოების მოწყობით იყო დაკავებული.

# ქვეყნები

## საქართველო: ევროპული პერსპექტივა როგორც პერსპექტივის უქონლობა

მმართველი კოალიციიდან „თავისუფალი დემოკრატების“ პარტიის გამოსვლამ და, კერძოდ, ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას გაოპოზიციონერებამ აშშ-ისა და ევროკავშირის მმართველ წრეებში ერთგვარი დაძაბულობა გამოიწვია. თბილისში იჩქარეს, დაემშვიდებიათ ევროკავშირელი პარტნიორები: ბრიუსელში ნოემბრის ვიზიტის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა კვლავაც ერთგული დარჩება ნატოსა და ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების, რაც გამოიხატება, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ახალი სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნასა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციაში.

რას უქადის ეს ყველაფერი საქართველოს?

**ევროკავშირთან ასოცირებით საქართველო განწირულია შიდა წარმოების თანდათანობით გაქრობისა და ნეტოიმპორტიორის მდგომარეობაში უეჭველი გადასვლისთვის.**

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს სამრეწველო სექტორი თანდათან დეგრადირდება. ოფიციალური სტატისტიკით, ადგილობრივმა მრეწველობამ გამოშვებული პროდუქციის ერთგვარად გაზრდა შეძლო (ძირითადად ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში), მაგრამ მიწოდება მაინც დიდად ჩამორჩება მოთხოვნას, რომელსაც იმპორტი აკმაყოფილებს. უარყოფითი ტენდენციები ფიქსირდებოდა სოფლის მეურნეობაშიც. მაშინ, როცა ქვეყნის სამუშაო ძალის 54 პროცენტი აგრარულ სექტორშია დასაქმებული, ამ დარგის პროდუქციის როლი მშპ-ში 8 პროცენტზე ოდნავ მეტია. საქართველოსთვის, რომელიც გამორჩეულია ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ასეთი შეფარდება კრიზისის მაუწყებელია.

**საქართველოს მომხმარებლის სასურსათო კალათის 80 პროცენტი იმპორტირებული პროდუქციით არის შევსებული. შრომის ევროპული განაწილება საქართველოს მომხმარებელ ქვეყნად გადააქცევს, ხოლო მისი საექსპორტო შესაძლებლობა რამდენიმე სახეობის საქონლის გადაყიდვამდე იქნება დაყვანილი.**



ახალი საბაჟო წესების შემოღებით საქართველოს მოქალაქენი უშუალოდ იგრძნობენ ევროპული არჩევანის არაერთგვაროვნებას. საქართველოს პირობით ექსპორტში (უფრო ზუსტად, რეექსპორტში) 20 პროცენტი მსუბუქ ავტომანქანებს უკავია. ქვეყანა მსუბუქი, უპირველეს ყოვლისა, ევროპული მარკის ავტომანქანების გადატვირთვის და მეზობელ ქვეყნებში გაყიდვის პუნქტად იქცა. ▶

მშვიდი, მშვიდი მსოფლიო...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უკრაინის „რადიკალური პარტიის“ ხელმძღვანელის — ოლეგ ლიაშკო რეპუტაცია ისეთია, რომ უარესს ვერც წარმოიდგენს ადამიანი. 1993 წელს დააპატიმრეს სახელმწიფო ქონების ქურდობისთვის, ხოლო 1994 წელს 6 წლით ჩასვეს ციხეში თაღლითობის ბრალდებით. კიევის გეითანამეგობრობაში ლიაშკო მთავარი ვარსკვლავია. პრესაში დაწერეს, რომ ლიაშკომ დეპუტატად ყოფნის დროს წამლით გააბრუა და გააუპატიურა 16 წლის ყმაწვილი.“**

◀ საქართველოს ეკონომიკის მოხმარებაზე და არა წარმოებაზე ორიენტაციის პირობებში კერძო და სახელმწიფო მოხმარების ჯამური მოცულობა დაახლოებით 90 პროცენტს შეადგენს. **2013 წელს საქართველოდან ექსპორტირებული იყო 2,618 მილიარდი დოლარის საქონელი, მაშინ, როცა იმპორტმა 7,064 მილიარდი დოლარი შეადგინა. უკანასკნელი წლების განმავლობაში განსხვავება იმპორტსა და ექსპორტს შორის სულ უფრო იზრდება. 2009 წელს სავაჭრო უარყოფითმა ბალანსმა 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, 2013-ში კი უკვე 4,446 მილიარდი დოლარი იყო.**

ამასთანავე, როგორც ქართველი ექსპერტები აღნიშნავენ, **ყველაზე ნაყოფიერი ეკონომიკური ურთიერთობა დსთ ქვეყნებთან ჩამოყალიბდა. 2013 წლის მონაცემებით, საქონელბრუნვა ამ სივრცეში უდრიდა 3,368 მილიარდ დოლარს (ექსპორტი — 1,465 მილიარდი დოლარი, იმპორტი — 1,902 მილიარდი დოლარი). მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს საქართველო დსთ-დან გამოვიდა, მისი ექსპორტი 2013 წელს თანამეგობრობის ქვეყნებში წინა წელთან შედარებით 29 პროცენტით გაიზარდა. ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბალანსი კი ფრიად არასასურველია: ექსპორტი — 539 მილიონი დოლარი, იმპორტი — 2,056 მილიარდი დოლარი. საბოლოო ჯამში, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წლის იანვარ-ოქტომბერში 4,58 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის საგარეო საქონელბრუნვის 49 პროცენტია.**

„ქართული ოცნების“ მთავრობამ განაცხადა, რომ ქვეყანას გამოიყვანს გაჭირვებული მდგომარეობიდან კონკურენტუნარიანი წარმოებისა და ექსპორტის გაზრდის სტიმულირებით. გაუგებარია მხოლოდ, როგორ დაეხმარება საქართველოს ევროასოცირება ამ ამოცანის გადაწყვეტაში მაშინ, როცა ღრმავდება დისპროპორცია ადგილობრივ წარმოებასა და მოთხოვნილებას შორის და როცა არსებობს უზარმაზარი დისპროპორცია იმპორტსა და ექსპორტს შორის. მხოლოდ აგრარულ კომპლექსში არის ერთგვარი საექსპორტო პოტენციალი, რომელიც, ამასთან, ორიენტირებულია რუსეთის ბაზარზე. ქართულ ღვინოებს და სოფლის პროდუქციას ევროპაში არავინ ელოდება. იმპორტზე დამოკიდებული, ადგილობრივი წარმოების არმქონე საქართველო, რომლის სამოქმედო არეალი შემოფარგლულია რეგიონთაშორისი სატრანსპორტო და ენერგეტიკული ნაკადების მომსახურებით, — ასეთია საქართველოს ევროპული მომავალი.

# ვარშავას ეშინია, რომ უკრაინული ღვეზელის ნარჩენიც არ ერგება



ცოტა ხნის წინათ პოლონეთის სეიმის სპიკერმა **რადოსლავ სიკორსკიმ** განაცხადა, რომ მოსკოვმა ვარშავას შესთავაზა ერთმანეთს შორის უკრაინის განაწილება. მალევე გაირკვა, რომ ეს ჭორი თვითონ სპიკერის მიერ იყო შეთხზული და გავრცელდა იმ მიზნით, რომ გაერკვიათ, როგორი რეაქცია ექნებოდა მსოფლიოს უკრაინის შესაძლო დანაწევრების შემთხვევაში. საპარლამენტო ოპოზიციამ ამ სკანდალის კვალზე სპიკერის გადადგომა მოითხოვა, მაგრამ სეიმმა უმცირესობას მხარი არ დაუჭირა — 434 დამსწრე დეპუტატიდან ამ წინადადებას მხარი მხოლოდ 146-მა დაუჭირა.

20 ნოემბერს ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას სიკორსკიმ განაცხადა, რომ მხოლოდ პოლონეთს შეუძლია უწინამძღვროს უკრაინას: **„დასავლეთის სამხედრო კავშირი უნდა დაუბრუნდეს თავის ოდინდელ მისიას — რუსეთის დაშინებას“.**

უკრაინის ღირსების განქიქებაში რადოსლავ სიკრორსკის მხარი აუბა **პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გჟეგოჟ სხეტინამ**. **Gazeta Wyborcza**-სთვის მიცემულ ინტერვიუში პოლონეთისა და უკრაინის ურთიერთობა მან შეადარა დასავლეთევროპული ქვეყნების ურთიერთობას ყოფილ აფრიკულ კოლონიებთან. პოლონეთის „პირველმა დიპლომატმა სიტყვასიტყვით განაცხადა, რომ ნებისმიერი სერიოზული საუბარი უკრაინის მომავლის თაობაზე, რომელიც სერიოზული შედეგით უნდა დამთავრდეს, „მაგალითად, კონფლიქტის შეწყვეტის შესახებ, ჩვენი მონაწილეობით უნდა გაიმართოს. უკრაინის საკითხების განხილვა პოლონეთის გარეშე იგივეა, რაც ლიბიის, ალჟირის, ტუნისის, მაროკოს საკითხების გადაწყვეტა ფრანგების, იტალიელების, ესპანელების გარეშე“.

**ყოფილი პრემიერი იაროსლავ კაჩინსკი** ყოველთვის საყვედურობდა მთავრობას, რომ პოლონეთის საკითხში გაუბედაობისა და არამყარი პოზიციის გამო დაკარგეს „ანტირუსული ჯვაროსნული ლაშქრობის“ ლიდერების რეპუტაცია. მისი აზრით, პოლონეთმა ძალიან სწრაფად თქვა უარი იმ როლზე, რომელიც აძლიერებდა მის ხვედრით წონას ევროპაში. იგი მიიჩნევს, რომ პოლონეთი, რომელიც რუსეთის შემდეგ უკრაინის ყველაზე დიდი მეზობელია, უკრაინის ბედის გადაწყვეტაში არ მონაწილეობს.

ვარშავის უკმაყოფილება იმის გამო, რომ მას პირიდან აცლიან უკრაინული ღვეზელის კუთვნილ ნაჭერს, ღრმავდება პოლონელების პრეტენზიით უკრაინის „ეროვნულ რევოლუციაში“ მათი განსაკუთრებთლი დამსახურებიდან გამომდინარე. პოლონეთში მომზადებული უკრაინელი სტუდენტები (მომზადება ამერიკელების გრანტებით იყო დაფინანსებული) იყვნენ არა მხოლოდ მაიდნის ერთ-ერთი დამკვრელი ძალა, არამედ შედიოდნენ საშუალო მეთაურთა რგოლში. ბევრი მათგანი, გვარწმუნებენ პოლონური წყაროები, დამატებით მომზადებას გადიოდა სპეციალურ ბანაკებში და სემინარებზე.

ზოგჯერ პოლონეთშიც გაისმის ფხიზელი ხმები. ვიღაცას, ეტყობა, მაინც გასიგრძეგანებული აქვს, რომ რეგიონში რუსეთის ინტერესებისთვის გვერდის ავლა, პოლონელებს არ არგებს. მაგალითად, პოლონური გამოცემა **Obserwator Polityczny** აღიარებს: **„ჩვენ უგულებელვყავით ფაქტი, რომ უკრაინას აქვს საკუთარი ვალდებულებები და რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ინტერესები. უფრო მეტიც, უკრაინელები და რუსები ერთი ხალხია, მათი უმრავლესობისთვის ამაში დაეჭვებაც კი წარმოუდგენელია. ჩვენ მხოლოდ ვაგებთ, როცა გვერდში ვუდგებით კიევის ახალ მმართველებს — ძველ „კარგ“ ოლიგარქებს. დასავლეთი უკრაინას მხოლოდ ვნებას აყენებს. მაგრამ ეს სიმართლე თვალსაჩინო გახდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სიმართლე. მაგრამ მას უკვე ამჩნევენ თვით უკრაინელებიც, რომლებიც ამ დღეებში სტვენით შეხვდნენ თავიანთ წინამძღოლებს... ცუდი ისეთი რა გაგვიკეთეს რუსებმა და კარგი ისეთი რა გაგვიკეთეს უკრაინელებმა, რომ გვიბრძანეს პირველნი უნდა გვძულდეს, მეორეებს უნდა მინიმუმ ვუთანაგრძნოთ?“**

სამწუხაროდ, ამგვარი სალი მსჯელობა დღევანდელ პოლონეთში გამონაკლისია.

# ფაქტები

## TACC: მოგების ამოუწურავი წყარო

**„საერთაშორისო სავალუტო ფონდში აშშ-ის წამყვანი როლი“ ვაშინგტონს „კოლოსალურ მოგებას“ აძლევს და იგი უნდა შეინარჩუნოს“, — განაცხადა ვაშინგტონში აშშ ბეჭდვითი სიტყვის ეროვნულ კლუბში გამოსვლისას ქვეყნის ფინანსთა მინისტრის ახალმა მოადგილემ საერთაშორისო საკითხებში ნათან შიტსმა.**

მან მხარი დაუჭირა აშშ კონგრესის მიერ რაც შეიძლება სწრაფად მიღებას იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო სავალუტო ფონდის სისტემის რეფორმირებისთვის.

თავის გამოსვლაში შიტსმა აღნიშნა, რომ „2010 წლის რეფორმები აშშ-ს შეუნარჩუნებს წამყვან როლს ორგანიზაციაში აშშ-ს მხრიდან ფინანსურ ვალდებულებათა გაზრდის გარეშე“.

**„ამ რეფორმების გარეშე,** — დასძინა მან, — **ქვეყნებმა, რომლებშიც ბაზრის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს, შეიძლება მზერა მიაპყრონ საერთაშორისო სავალუტო ფონდის და საერთოდ იმ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის მიღმა, რომლის შექმნას ჩვენ შევუწყვეთ ხელი. ამან შეიძლება ფონდს შეურყიოს მთელ მსოფლიოში ფინანსურ კრიზისებზე „პირველი რეაგირების“ სამსახურის უფლება და, ამასთან, — საკუთარ უშიშროებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვის შესაძლებლობა“.**




## USA TODAY: პოლიციელების მსხვერპლთა რიცხვმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია

გამოძიების ფედერალური ბიუროს წლიური ანგარიშით ირკვევა, რომ ამერიკელი პოლიციელების მიერ მოკლული ადამიანების რაოდენობამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში უმაღლეს დონეს მიაღწია.

**სპეცსამსახურის მონაცემებით, მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სასიკვდილოდ დაჭრეს პოლიციელებმა, მესამე წელიწადია, იზრდება და 2013 წელს 461-ს მიაღწია.**

ამერიკელი ექსპერტები, რომლებიც სისხლის სამართლის სამართალში მუშაობენ, ლაპარაკობენ, რომ რეალური ციფრი გაცილებით მეტია. თუმცა ამ ტენდენციის მიზეზებს ვერ ხსნიან.

**„უპასუხისმგებლობაა, როცა არ გვაქვს სრული მონაცემები“,** — მიიჩნევენ ისინი.

## REGNUM: ბრაზილიამ და ურუგვაიმ უარი თქვეს დოლარზე

**ურთიერთანგარიშსწორების დროს დოლარზე უარის თქმის შესახებ შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს ბრაზილიისა და ურუგვაის ცენტრალური ბანკების პრეზიდენტებმა, ძალაში შევიდა მ.წ. 1 დეკემბრიდან. ამიერიდან ურთიერთანგარიშსწორებაში მონაწილეობს ბრაზილიური რეალი და ურუგვაის პესო.** მსგავს შეთანხმებას ბრაზილიამ არგენტინასთან 2013 წლის შემოდგომაზე მოაწერა ხელი.

სააგენტო **Nodal** (ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების ახალი ამბების სააგენტო) იუწყება, რომ შექმნილია კომისია, რომელიც მოამზადებს ადგილობრივი ვალუტებით ანგარიშსწორების შესახებ შეთანხმების პროექტს სამხრეთ ამერიკული საერთო ბაზრის ფარგლებში.






## REUTERS: „სამხრეთ ნაკადის“ დაღრჩობით ევროკავშირი „მშრალზე დარჩა“

**გაზსადენ „სამხრეთ ნაკადზე“ რუსეთს უარი რომ ათქმევინა, ევროკავშირმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გაზით მომარაგების პრობლემა შეუქმნა.** „სამხრეთი ნაკადი“ დიდ პერსპექტივას უსახავდა ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა სერბეთი, ბულგარეთი და უნგრეთი. იგი უზრუნველყოფდა უკრაინისთვის გვერდის ავლით გაზის საიმედო მიწოდებას, ტრანზიტული მოსაკრებლებით მათი ბიუჯეტების გაზრდას, აგრეთვე, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას მშენებლობაზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის იგი იქნებოდა „დაზღვევის პოლისი“ უკრაინიდან სატრანზიტო მიწოდებათა შეწყვეტის შემთხვევაში.

„ამით ყველამ წააგო“ — ასე აფასებს შექმნილ ვითარებას ევროპული წყარო.

ახლა ევროკავშირი იმ ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობას ეძებს, რომელიც „სამხრეთ ნაკადზე“ უარის თქმის შედეგად წარმოიქმნა.

**უმეტესობის აზრით, სხვებზე მეტად სიცოცხლისუნარიანია „ნაბუქოს“ მილსადენის ვარიანტი, რომლითიაც გაზი კასპიის რეგიონიდან თურქეთის, ბულგარეთისა და ავსტრიის გავლით ევროპაში შევა. თავის დროზე ამ ვარიანტზე უარი თქვეს მოთხოვნილების არარსებობის გამო.**

ნებისმიერ შემთხვევაში ბრიუსელს მოუწევს სწრაფი რეაგირება: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა შველას სწორედ მისგან ელის, რადგან სწორედ ევროკავშირმა შეასრულა დიდი როლი „სამხრეთ ნაკადის“ შესაჩერებლად.

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინელი ხალხის, ისევე, როგორც ჩვენი მოქალაქეების, მაღალკეთილშობილური მისწრაფებებით სწორედ ვაშინგტონი და ბრიუსელი, მათი გავლენის აგენტები და სპეცსამსახურები მანიპულირებდნენ.**

# მხეცის წელიწადი

**ვაი მიწასა და ზღვას, ვინაიდან თქვენთან ჩამოვიდა ეშმაკი დიდი მძვინვარებით...**
**(გამოცხადება იოანესი, 12,12)**



**დღეს შემოგთავაზებთ წერილს, რომელშიც სინამდვილესთან მაქსიმალური მიახლოებით გაშიფრულია იმ დაინტერესებული ძალების პერსონალური შემადგენლობა, რომლებიც ამზადებდნენ კიევის მაიდნის გადატრიალებას უკრაინაში.**
**ჩვენს მკითხველებს შევახსენებთ, რომ მასობრივი აქციები უკრაინის დედაქალაქის ცენტრში სტუდენტების გამოსვლებით დაიწყო. 2013 წლის ნოემბრის ბოლოსთვის ამ მოძრაობის სიმძაფრე შენელდა, მუხტი დაეცა და 30 ნოემბრის წინა ღამეს „სტუდენტური მაიდანი“ დასაშლელად გაემზადა. აქციის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ყველა რესურსი ამოიწურა ისე, რომ რაიმე განსაკუთრებული კვალი არ დაუტოვებია ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების იმ მოკლე მონაკვეთში.**

სტუდენტები აიკრიფნენ.

მაგრამ ეს ხელს არ აძლევდა იმ ძალებს, რომლებიც უკრაინაში დესტაბილიზაციის ორგანიზებით იყვნენ დაკავებულნი.

როგორც ანალიტიკოსები წერენ, მაიდანზე სტუდენტებს „მაღალი ტექნოლოგიების კანონზომიერების სრული დაცვით სხვა ძალა ჩაენაცვლა“.

პუბლიცისტმა **ოლეგ ბიბიკოვმა** ამ დღეებში გამოაქვეყნა წერილი „უკრაინა: მხეცის წელიწადი“, რომელშიც „რევოლუციის“ ეპიცენტრში შარშანდელი ნოემბრის მიწურულის ჩანაცვლების სურათი ასე წარმოგვიდგინა:

„ერთი წლის წინათ, 29 ნოემბერს, პარასკევს კიევის მაიდანზე მივედი. „ნიკას“ წარმართულ სტელასთან სამასამდე ადამიანი იყო შეკრებილი. არ თოვდა. ფრიალებდა ნაირფერი დროშები, ნაცრისფერი ცის ფონზე სხვებზე უფრო გამოირჩეოდა ბანდერული შავ-წითელი ალმები, იყო, აგრეთვე, ყვითელ-ცისფერი უკრაინული, ნაზი ვარდისფერი — მეჯლისისა — სამად სამი ერთ ადგილზე თავმოყრილი. ნესტიან ჰაერში უხილავი ქალის ხმა დინამიკით მოუწოდებდა ხალხს, ჩაწერილიყვნენ თავდაცვის რაზმებში. აშკარა იყო, ამ ხმის პატრონს არ ეშინოდა, რომ დააკავებდნენ ასეთი მოწოდებისა და „გალვივების“ ბრალდებით. იგი მოუხმობდა ზურგჩანთიან „მუჟიკებს“, „დედაქალაქის ჯანიან სტუმრებს“, რომლებიც იქ შეკრებილთა შორის უმრავლესობით იყვნენ წარმოდგენილნი. კრეშჩატიკის მეორე მხარეს იდგა სოფლელი დედაკაცი, რომელიც დაღვრემილი გასცქეროდა აქაურობას, მის ზურგჩანთას კი მიწამდე დაშვებული ევროკავშირის დროშა ფარავდა... აშკარად ჩანდა, რომ სტუდენტური მაიდანი აიბარგა და მის გამოცოცხლებას პროვინციებიდან ჩამოსულებით ცდილობდნენ. მეგონა, რომ პირველი დეკემბრის საღამოსთვის, კვირადღის დამლევისთვის ევრომაიდნიდან არაფერი დარჩებოდა, დაგროვილ სიძულვილს მომავლისთვის, შესაფერისი დროისთვის შეინახავდნენ“.

იფიქრა ასე ავტორმა და შეცდა.

ცოტა ვინმემ თუ იცოდა მაშინ, რა ხდებოდა გადატრიალების წინა თვეებში, კვირეებსა და დღეებში უკრაინის პრეზიდენტის რეზიდენციაში, რადას კულუარებში და მთავრობის დერეფნებში, როგორი ინტრიგები იხლართებოდა აშშ-ის საელჩოსა და ევროკავშირის წარმომადგენლობაში. ბევრი რამ დღესაც დაფარულია, მაგრამ საერთო სურათი „ვიკილიქსისა“ და სხვა რესურსების საშუალებით მაინც დაიხატა და გასაჯაროვდა.

სახელმწიფო გადატრიალება, ექსპერტების მტკიცებით, რამდენიმე შემადგენელმა ნაწილმა განსაზღვრა. მათ შორის უმთავრესი არის ის, რომ **გადატრიალებას დასავლეთი წლების განმავლობაში ამზადებდა. როგორ და რა მეთოდებით? — ზუსტად ისე და იმნაირად, როგორც საქართველოში. უკრაინელი ხალხის, ისევე, როგორც ჩვენი მოქალაქეების, მაღალკეთილშობილური მისწრაფებებით სწორედ ვაშინგტონი და ბრიუსელი, მათი გავლენის აგენტები და სპეცსამსახურები მანიპულირებდნენ. ეს იყო საბჭოთა მემკვიდრეობის ტალახში მაქსიმალურად ამოთხვრა და სრული უგულებელყოფა: მრეწველობის, სამეცნიერო პოტენციალის, კულტურისა და ხელოვნების მიღწევების იგნორირება, მოსახლეობის „დეგენერატიზაციის“ მტკიცება და ახალი ადამიანების პოპულაციის აღზრდის აუცილებლობაზე აქცენტირება, მასებში ქვენა გრძნობების, მათ შორის, ნაციონალიზმის სტიმულირება და ა. შ.**

პოსტსაბჭოთა უკრაინა, ისევე, როგორც საქართველო გადაიქცა კვაზისახელმწიფოდ ნაციონალისტური ამბიციების არშიით.

## უკრაინის პოლიტიკურ სცენაზე გამოდის ფირტაში

გასავლელი გზა კიევს 2008 წლის ცივ ზამთარში მოუნიშნეს, მაშინ, როცა ოლიგარქმა **დიმიტრი ფირტაშმა** აშშ-ის ელჩს უკრაინაში **უილიამ ტეილორს** მიღება სთხოვა და წარუდგა, როგორც პრეზიდენტ იუშჩენკოს ახლო მეგობარი და ნდობით აღჭურვილი პირი, ანუ — როგორც აშშ-ისთვის თავდადებული კაცი. ფირტაშმა ისეთი ადამიანის როლი გაითამაშა, რომელსაც შეიძლება ენდონ. ამ „სანდო კაცს“, მისივე განცხადებით, ორი უბედურება აწუხებდა: იულია ტიმოშენკო, რომელიც უკრაინის გაზმომარაგებას დაეპატრონა, და — საძულველი რუსეთი.

ფირტაშმა ამერიკელი დიპლომატის წინაშე თავისი „სტრატეგიული ნიჭით“ გაიკეკლუცა და „ობიექტური კაცის“ შთაბეჭდილებაც შეუქმნა იმით, რომ პირველი, ვინც მან გააკრიტიკა, მეგობარი პრეზიდენტი იუშჩენკო იყო; დაასმინა იგი და განაცხადა, რომ ეს კაცი ორად ხლეჩს ქვეყანას, რომელიც სრულად (და არა დანაწევრებული) უნდა გადაეცეს დასავლეთს. ელჩისაც ამის მოსმენა სურდა.

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს „თავისი მოსაზრება და მიზნები გააჩნდა, რომელთა ცოდნა ფირტაშებისთვის სულაც არ იყო აუცილებელი“. მაგრამ მოხდა ისე, რომ ორივე მხარის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. „გაჩნდა პროექტი „იანუკოვიჩი — მომდევნო პრეზიდენტი“.** ფირტაშს ანდეს ამ პროექტის განხორციელება, რა თქმა უნდა, მისთვის მომგებიან პერსპექტივაზე მინიშნებით.

შედეგი ცნობილია: ტიმოშენკო დამარცხდა, იანუკოვიჩი პრეზიდენტის რეზიდენციაში დაჯდა. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ლიოვოჩკინის კონტროლს დაექვემდებარა.

## სერგეი ლიოვოჩკინი — ფირტაშის კაცი

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მხოლოდ ნაწილობრივ იყო ლიოვიჩკინი ფირტაშის კაცი. იგი უფრო მეტად „ფაქიზი ტექნოლოგიების მოყვარული“, „კულისების კაცი“ იყო, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად წარმოგვიდგა.

ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ პრეზიდენტყოფილი იანუკოვიჩი თავის კარიერულ აღმასვლას მაინც და მაინც ლიოვოჩკინის ოჯახს უნდა უმადლოდეს.

„საქმე ის არის, — აღნიშნავს, მაგალითად, ოლეგ ბიბიკოვი, — რომ სერგეი ლიოვოჩკინის მამა — ვლადიმერ ანატოლის ძე ლიოვიჩკინი, გენერალ-პოლკოვნიკი, 2005 წლამდე, „ნარინჯისფერ რევოლუციამდე“ უკრაინის საპყრობილეთა მთავარი ზედამხედველი გახლდათ. მის თანამდებობას ოფიციალურად ეწოდებოდა „სასჯელაღსრულების საკითხებში უკრაინის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე“. დეპარტამენტის არქივები ყველასთვის გასაიდუმლოებულია და ცხრაკლიტულშია ჩაკეტილი. ლიოვოჩკინი უფროსი, რომელიც 1972 წლიდან პენიტენციარულ სისტემაში მსახურობდა, თვალშისაცემი ფიგურა არ იყო, მაგრამ დიდი გავლენით სარგებლობდა“. რადგან აღნიშნული არქივების წყალობით უამრავ მაკომპრომენტირებელ მონაცემს ფლობდა ქვეყნის ნებისმიერ ხელმძღვანელზე და, სლენგს თუ ვიხმართ, „გამოჭერილი“ ჰყავდა.

მას ერიდებოდნენ და ყველა თხოვნას უსრულებდნენ.

ასეთი მამის შვილი ხტუნვახტუნვით მიიწევდა „კარიერის შავ კიბეზე“.

1990-იან წლებში იგი დონეცკში საფინანსო საქმიანობითაა დაკავებული, რომელიც იმ დროს დაკავშირებული იყო საბანკო ბანდიტიზმთან და ჩვეულებრივ ბანდიტიზმთან, საბუღალტრო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „აშშ-ის სახელმწიფო ვალი“ და აშშ სახდეპის ყურადღების ცენტრში ექცევა.

1996 წლიდან დონეცკის ოლქის გუბერნატორის — იანუკოვიჩის თანაშემწეა. შეხების ამ წერტილიდან ლიოვოჩკინ-მამის მოწყალე კალთა იანუკოვიჩსაც გადაეფარა. შვილი სერგეი კი 1999 წლიდან პრეზიდენტ კუჩმას აპარატში გადაჰყავთ კონსულტანტად, შემდეგ — რეფერენტად, მოგვიანებით — პირველ თანაშემწედ. „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ უმაღლესი რადის თავმჯდომარის — ლიტვინის მრჩეველია. მალე „რეგიონების პარტიიდან“ დეპუტატად ირჩევენ, ფირტაშის კაცი ხდება და „2010 წლის თებერვალში, როგორც ჩაფიქრებული იყო, პრეზიდენტის ადმინისტრაციას ჩაუდგება სათავეში“.

„გადატრიალებამდე 4 წელიწადი რჩებოდა“.

**ევრომაიდნის დასაწყისისთვის ეს კაცი ტელეარხ „ინტერს“ ფირტაშთან ერთად ფლობდა და უკრაინის ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ახალი ამბების რედაქციას აკონტროლებდა.** აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ რატომ აღვივებდა უკრაინის მედია ფართო საზოგადოებრიობის ინტერესს მაიდნის ეპოპეისადმი.



## აშშ-ის საელჩოს საცეცები

**აშშ-ის საელჩო რომ აქტიურად ამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას უკრაინაში, დღეის გადასახედიდან საიდუმლო აღარ არის, მაგრამ მაშინ ბევრმა არ იცოდა, რომ ეს დიპლომატიური სტრუქტურა აქტიურად მუშაობდა ინტელექტუალურ ფრონტზე, კერძოდ, „სუფთა პოლიტიკოსების“ წრეებში და არასამთავრობო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, აფინანსებდა მათ და აზიარებდა გადატრიალებათა ტექნოლოგიების განხორციელების მეთოდებს.**

ამ მიმართულებით საქმიანობა, ცხადია, არ აფიშირდებოდა.

მაგრამ მაინც გამოჟონა. თუმცა „გამოჟონვა“ არ შეიძლება ეწოდოს უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატის — **ოლეგ ცარიოვის** განცხადებას, რომელიც მან სტუდენტური ევრომაიდნის დაწყების წინა დღეს პარლამენტში გააკეთა. ეს იყო სენსაციური მხილება.

დეპუტატი ირწმუნებოდა, რომ **აშშ-ის საელჩოში ელჩის — ჯეფრი პაიეტის კურატორობით ამზადებდნენ ინფორმაციული ომების სპეციალისტებს, აზიარებდნენ ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილებას, რომლებიც წარმატებით იყო გამოყენებული ჩრდილოეთ აფრიკისა და სირიის „ფერადი რევოლუციების“ ორგანიზების დროს. 300 ადამიანმა მთელი უკრაინიდან აითვისა ეს გაკვეთილები.**

**„მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებს და ვთხოვ, გაარკვიონ, — განაცხადა რადაში გამოსვლისას ცარიოვმა, — ხომ არ არღვევენ აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები გაეროს დეკლარაციას სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ“? დეპუტატი შეშფოთებული იყო იმით, რომ „აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით ხორციელდებოდა პროექტი** ▶

# „ფერადი რევოლუციების“ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, „სახალხო მღელვარების“ ორგანიზატორებს ძმათამკვლელი დაპირისპირების შესაძლებლობა თავიანთ გეგმებში ყოველთვის იმთავითვე ჰქონდათ ჩადებული.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ტექკემპი“, რომლის ჩარჩოებში მიმდინარეობდა „მზადება სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად“.**

ასე თქვა დეპუტატმა ცარიოვმა და იმავეს უპატაკებდნენ პრეზიდენტ იანუკოვიჩს უკრაინის სპეცსამსახურები. რეაქცია — არავითარი. შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტმა თავისი უხერხემლობით საკუთარი კრახი დააჩქარა.

გადატრიალების მექანიზმი მთელი ძალით ამუშავდა.

**„ფერადი რევოლუციების“ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, „სახალხო მღელვარების“ ორგანიზატორებს ძმათამკვლელი დაპირისპირების შესაძლებლობა თავიანთ გეგმებში ყოველთვის იმთავითვე ჰქონდათ ჩადებული.**

იტყვით, საქართველოში ასე არ მოხდაო?!

აბა, რა იყო ქართული ექსპერიმენტი „08.08.08“ — საქართველო-რუსეთის სისხლიანი დაპირისპირების პროვოცირება, აგვისტოს ხუთდღიანი ომი?

ამჯერად რუსეთს უკრაინა უნდა დაპირისპირებოდა.

მიზანი ორივე შემთხვევაში რუსეთი იყო, რომელიც (მიზანი), ერთი მხრივ, შურისძიების გრძნობით იყო ნაკარნახევი და, მეორე, აშშ-ის საერთო სტრატეგიიდან გამომდინარეობდა.

**ექსპერტები განგვიმარტავენ, რომ ამ სტრატეგიის მიზანი მსოფლიო ქაოსის შექმნაა, რომლის პირობებში სიმშვიდისა და წესრიგის ერთადერთ ცენტრად ამერიკის შეერთებული შტატებია წარმოდგენილი. ყველა სახელმწიფო, რომლის გაგლეჯაც კი შეიძლება, უნდა გაიგლიჯოს, ხოლო სხვანი „ომის განგრენით“ უნდა დაავადდეს და გაქრეს პირისაგან მიწისა.**

სწორედ ასე და ამ გზით გაბატონდება მსოფლიოში იგი — „აპოკალიფსისის მხეცი“.

გადატრიალების მომზადების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მოთარეშე ნაცისტებისა და ოლიგარქების დაკავშირება და მაიდანზე შეერთებულ ძალად გამოსვლა იყო.

ცხადია, ამ შერწყმას ოლიგარქების მატერიალური დახმარება და დაფინანსება ედო საფუძვლად.

„შავი ენერგიები ერთმანეთს შეერწყა. მხეცი ჩაისახა“. დიდი დრო არ გავა და „იგი თავს დააღწევს პლაცენტას, მაიდანზე სისხლის გუბეში გამოგორდება“ (ოლეგ ბიბიკოვის შედარებაა).

## ...და იშვა მონსტრი

**ანალიტიკოსები ირწმუნებიან, რომ სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში მაინც მოხდებოდა, მიუხედავად იმისა, მოაწერდა თუ არა იანუკოვიჩი ხელს ევროკავშირთან დასადებ ხელშეკრულებას: აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობას 2013 წლის აგვისტოში, ჯერ კიდევ ჯონ ტეფტის ელჩობის პერიოდში დამთავრებული ჰქონდა ყველა მოსამზადებელი სამუშაო „დემოკრატიული რევოლუციისთვის“ სტარტის მისაცემად, და პრაგმატული ამერიკელები ამ საქმიანობისთვის დახარჯულ მილიონებს წყალს, რა თქმა უნდა, არ გაატანდნენ, დეტონატორის ასამოქმედებლად ნებისმიერ საბაბს (ურთიერთგამომრიცხავსაც კი) გამოიყენებდნენ.**

**მოაწერდა ხელს იანუკოვიჩი და აქოთდებოდა უკრაინა: განა ამისთვის ვიბრძოდით? ევროკავშირში ჩვენი მიღება სატყუარაა; ქვეყანას არც ერთი პრობლემა არ მოხსნია; ყველაფერი ძვირდება, ეკონომიკა ჩავარდა და ა. შ.**

**არ მოაწერდა და მოხდებოდა ის, რისი მოწმენიც გავხდით.**

ტეფტმა კი აიკრა გუდა-ნაბადი და აგვისტოს დასაწყისში დაბრუნდა ამერიკაში. ვარაუდობენ, რომ მან თავი აარიდა „მღელვარებაში“ უშუალოდ ჩართვასა და პრაქტიკულ ორგანიზებას.

იმასაც ამბობენ, რომ მას ჭირივით ეზარებოდა უკრაინის ჰიმნის მოსმენა და გაექცა ამ „სიამოვნებას“.

თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ, რას წერდა ჯულიან ასანჟის „ვიკილიქსი“ ამასთან დაკავშირებით. **დიპლომატიურ მიმოწერაში ელჩს არ დაუმალავს, რომ ალერგია ემართებოდა უკრაინის სახელმწიფო ჰიმნის მოსმენაზე. უფრო მეტიც: „ეს რაღაცნაირი წამებაა! გუნდურად რომ წამოიწყებენ — „Ще не вмэрла Украина“... შთაბეჭდილება გექმნება, რომ ცოცხალს აგიგებენ წესს. ისეთი დამთრგუნველი, სულის შემძვრელი სევდა მოგაწვება, რომ ზოგჯერ გეჩვენება, ამ ყმუილისგან მთელ ოლქში იხოცებიან ბუზები. ამ ყმუილის მოსმენა იმდენად აუტანელია, რომ ზოგჯერ სიკვდილს მოგანატრებს“.**

ასეთი ზიზღით გაჟღენთილ კაცს ებარა უკრაინასთან „მშვიდობიანი“ ურთიერთობის დამყარება, „ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვაში“ ხელისუფლების დასახმარებელი ღონისძიებების განხორციელება.

ჯონ ტეფტის მეგობრული ხელშეწყობის პერიოდი ჩვენც გავიარეთ და ნუღარ გავაგრძელებთ ამ თემაზე საუბარს. კარგად გვახსოვს ისედაც.

ტეფტები და მისთანანი აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის — მადლენ ოლბრაიტის ძუძუნაწოვები არიან (მეთოდებსა და რწმენას ვგულისხმობ), რომელმაც ჯერ კიდევ 1996 წელს ჟურნალისტის შეკითხვას: **„გავიგეთ, რომ ირანისთვის სანქციების გამოცხადების შედეგად ნახევარ მილიონზე მეტი ბავშვი დაიღუპა, უფრო მეტი, ვიდრე ჰიროსიმაში. თქვენი აზრით, ეს გამართლებულია?“, ასე უპასუხა: „ეს ძალიან რთული შეკითხვაა. ვფიქრობთ, რომ ეს გამართლებულია“...**

ზუსტად ასე და — კომენტარი თქვენზეა...

ახალი ელჩი უკრაინაში **ჯეფრი ჰაიეტი** გაცილებით „მყარი ფსიქიკის“ მქონე აღმოჩნდა იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც უკრაინაში დატრიალდა. საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, რომ 29 ნოემბერს ეს დიპლომატი ყველას გასაგონად აცხადებდა: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოებრივი აქტივისტების მანიფესტაციები, რომლებიც, მეცხრე დღეა, იმართება კიევსა და მთელ ქვეყანაში, არის დადებითი ნიშანი უკრაინის დემოკრატიისთვის, უკრაინის სამოქალაქო საზოგადოების გამყარებისთვის“.

რა იმალება ამ ცინიკური განცხადების მიღმა, იხილეთ ჯონ ტეფტის გულახდილობა.

კვლავ თვითმხილველს მივცეთ სიტყვა:




**ერთი ქალიშვილი მაიდანზე გამოსული იყო პლაკატით: «მე ვარ გოგონა! მე არ მსურს საბაჟო კავშირში შესვლა! მე მინდა მაქმანიანი ტრუსები და ევროკავშირში შესვლა!..»**



**ევროკავშირის დროშა — როგორც გათბობის საშუალება**

„21 ნოემბერს პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ხელმოწერის გადავადება გადაწყვიტა. ეს იყო კიევის მფარველის, უფლის არქისტრატეგოსის — მიხეილის დღე. გაიხარეს საღად მოაზროვნე ადამიანებმა. ზოგიერთმა სასწაულადაც კი ჩათვალა. ეტყობა, ასეც იყო.

მაგრამ „პროგრესულად მოაზროვნე“ კიევის ახალგაზრდობაში უკვე ჩამოყალიბებული იყო რწმენა იმისა, რომ ევროკავშირთან ასოცირებაზე ხელმოწერა ავტომატურად ნიშნავდა უკრაინის შესვლას ევროკავშირში, რაც ევროპაში გასამგზავრებლად საჭირო ვიზების გაუქმების გარანტია იქნებოდა. **ერთი ქალიშვილი მაიდანზე გამოსული იყო პლაკატით: „მე ვარ გოგონა! მე არ მსურს საბაჟო კავშირში შესვლა! მე მინდა მაქმანიანი ტრუსები და ევროკავშირში შესვლა!..“** მეათე დღეს სტუდენტების „ბუნებრივმა“ პროტესტმა ძალა დაკარგა, ქარმა წაიღო. პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს, ძალა მიეცათ მისთვის, რადგან მათი აქცია „აღსდეგ, უკრაინა“ (გაიხსენეთ ხელმოცარული ინტელიგენტის (ეროსი მანჯგალაძე) ამაო მოწოდება აბულაძის ფილმიდან „ნატვრის ხე“: „აღსდექ, საქართველო! აღსდექ, საქართველო!“), რომელიც 8 თვის წინათ დაიწყო, უკვე ამოწურული იყო. 29 ნოემბრის საღამოს პოლიტიკოსებმა დაიპყრეს სტუდენტური მაიდანი, 19 საათზე კი მძიმეწონოსანთა გამოსვლები დაიწყო“ *(ოლეგ ბიბიკოვი, „უკრაინა: მხეცის წელიწადი“).*

მიკროფონთან პირველი **პოროშენკოს წარმომადგენელი იური ლუცენკო** გამოდის (მომავალი პრეზიდენტი ჩრდილში ყოფნას არჩევს): „ევროკავშირის გზაზე ჩვენი ერთადერთი პრობლემა იანუკოვიჩია“... მას სამეული ჩაენაცვლება — „ტრიტუშკები“:

**არსენ იაცენიუკი:** „ჩვენი მიზანია, ხელი მოვაწეროთ ევროკავშირთან ასოცირებას და ჩვენი ქვეყანა ევროპულ სახელმწიფოდ ვაქციოთ...“

**ოლეგ ტიაგნიბოკი** *(ნაცისტი):* „იანუკოვიჩი პოლიციურ სახელმწიფოს აშენებს“.

**ვიტალი კლიჩკო:** „ეს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, ძალაუფლება რომ არ დათმოს...“

მიკროფონთან დადგება **ვინმე, პოლონეთიდან:** „დღეს აქ იმიტომ ვარ, რომ გითხრათ: უკრაინა ევროპული სახელმწიფოა... რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ ძველი დრო გავიდა“.

**კულტურის მომავალი მინისტრი,** იმ ღონისძიების კონფერანსიე, შეკრებილებს ასწავლიდა სკანდირებას. ხალხიც დროდადრო შეძახებდა: „რევოლუცია!“ „ყველანი — ერთად!“, „მადლობა!“

როცა საჭიროდ მიიჩნევდნენ, უკრაინის ჰიმნს მღეროდნენ. ლიოვოჩკინ-ფირტაშის „ინტერის“ ეკრანიდან („რუსთავი 2“-ის ანალოგი) სამი ოპოზიციონერი 1 დეკემბერს მაიდანზე იწვევდა ხალხს.

**სტუდენტებს არ მოეწონათ, რომ პოლიტიკოსები მათ აქციას საკუთარი პიარისთვის იყენებდნენ და წავიდნენ.**

სწორედ მაშინ დადგა ჭეშმარიტების მომენტი ლიოვოჩკინისთვის და აკიმოვასთვის (პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილისთვის), პოროშენკოსა და ლუცენკოსთვის, იაცენიუკისთვის, ტურჩინოვისთვის, ავაქოვისთვის, ტიმოშენკოსთვის და სხვათათვის კიდევ: დადგა დრო, ერთგულება დაემტკიცებინათ ამერიკულ დოლარებში განივთებული 30 ვერცხლისადმი, რომელიც ავანსად ჰქონდათ მიღებული.

რა ხდება შემდეგ:

იაცენიუკი, როგორც აქტიური აქტივისტი, წინ აღუდგება სტუდენტების მაიდანური მოწყობილობის გატანას. მასთან არის ლუცენკოც.

აქტივისტები კრეშჩატიკის სამანქანო გზაზე გადადიან. „ბერკუტი“ ცდილობს მოძრაობის აღდგენას. როიტერის ფოტორეპორტიორმა (რომელმაც თავის დროზე საქართველოდან ხუთდღიანი ომის დადგმული კადრები გაავრცელა), შემონახული პაკეტიდან სისხლი სახეზე წაიცხო. ყველამ მისი ფოტოგრაფირება დაიწყო: „ბერკუტი“ ჟურნალისტებს „არ ინდობს“!

მაგრამ ვერ აგორდა აღშფოთების ტალღა.

ამ დროს მაიდანზე შემოიჭრება პოროშენკო, მიაწვება და მიაწვება მომიტინგეებს: არ უნდა დავაგდოთო ტემპი! დილის 4 საათამდე იბობოქრებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში იმართება თათბირი. მინისტრი ზახარჩენკო მოითხოვს აქტივისტების ნარჩენების მოედნიდან გაყრას. ლიოვოჩკინი ამის შესახებ იაცენიუკს აცნობებს. საიდუმლო ბრძანება გასაჯაროვდა.

**ლიოვოჩკინი იმავე ღამეს წერს განცხადებას პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან წასვლის შესახებ. „ბოლო მომენტის მოღალატეების“ ეს მეთოდი, როგორც ჩანს, საქართველოდან გავრცელდა მოძმე უკრაინის რევოლუციურ ფენებში.**

იანუკოვიჩი შოკშია.

დილის 4 საათისთვის მაიდანზე კვლავ იკრიბებიან ჟურნალისტები, დედაქალაქის გამოძინებული „სტუმრები“ — მოთარეშეები ჯერ კიდევ უცნობი „მარჯვენა სექტორიდან“...

იწყება მხეცის წელიწადი...

**არმაზ სანებლიძე**
**(უცხოური პუბლიკაციების მიხედვით)**

**P.S. 21 ნოემბერს უკრაინამ „ევრომაიდნის“ დაწყების წლისთავი აღნიშნა.**

**იქაური ექსპერტების აზრით, შედეგები, სამწუხაროდ, ნეგატიურია.**

**„...მათთვის, ვინც ბარიკადები ააგო კიევის ცენტრში, ომი დამარცხებით დასრულდა, დოლარი ორჯერ გაძვირდა, რუსეთთან ურთიერთობა სერიოზულად გაუარესდა. უკრაინამ დაკარგა ყირიმი, დონბასი“, — წერს ჟურნალისტი მაქსიმ რავრება.**

**პოლიტიკური კვლევებისა და კონფლიქტოლოგიის კიევის ცენტრის დირექტორი მიხეილ პოგრებინსკი დარწმუნებულია, რომ უკრაინელი მოქალაქეებისთვის ეს დღე ტრაგიკულ მოვლენებთან ასოცირდება, ბევრ მათგანს დაეხოცა ახლობლები და ოჯახის წევრები. „უკრაინამ დაკარგა ტერიტორიები. არც ერთი ხელშესახები რეფორმა, არავითარი გადამწყვეტი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ არ განხორციელებულა. ხელისუფლებაში, ძირითადად, იგივე პოლიტიკოსები დარჩნენ“. „მხეცის წელიწადს“ სხვა რა შედეგი უნდა მოეტანა?!**

სამხედრო ფურცელი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამ მოწყობილობას შეუძლია „დააბრმავოს“ ამერიკულ ავიაგამანადგურებლების არსენალში არსებული ჰაერი-ჰაერი კლასის (AIM-120 AMRAAM) რაკეტების პატარა რადარებიც, გარდა ამისა, საშუალო სიშორის ამერიკული რადარები მოძველებულია და მოქმედების მანძილიც მცირე აქვს. რუსულ ჰაერი-ჰაერის კლასის დიდი სიშორის რაკეტებს — K-100-ებს კი ნებისმიერი რაკეტის განადგურება შეუძლია; მათ შორის, იმ რაკეტების, რომლებითაც აღჭურვილია ყველაზე სრულყოფილი ამერიკული თვითმფრინავი, მეხუთე თაობის მრავალმიზნიანი F-22 „რეპტორი“.

# რუსეთის უახლესმა სამხედრო ტექნიკამ აშშ შეაშფოთა

**რა უპირატესობა აქვს რუსულ T-50-სა და T-90-ს ამერიკულ «რეპტორსა» და «აბრამსთან» შედარებით, ანუ რომელი რაკეტით შეიძლება რადარებისთვის «უხილავი» «რეპტორის» ჩამოგდება და რომელი ყუმბარა ხვრეტს თავისუფლად «აბრამსს»**

**წლებია, მსოფლიოს შიშის ზარს სცემს ორ სუპერსახელმწიფოს — რუსეთსა და აშშ-ს შორის სამხედრო კონფლიქტის საფრთხე, მაგრამ ამ ორ ქვეყანას შორის სამხედრო კონფლიქტი პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან აშშ-რუსეთის ომი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას ჩაითრევს და დედამიწას განადგურებამდე მიიყვანს, თუმცა ამერიკელთა შეშფოთებას, როგორც ჩანს, აქვს თავისი მიზეზები, თანაც — ძალიან სერიოზული.**

„რუსეთზე სამხედრო უპირატესობის მოპოვებას ვერავინ შეძლებს, რუსეთს ჰყავს თანამედროვე, ბრძოლისუნარიანი და მრისხანე არმია. ჩვენი თავისუფლების დასაცავად გვეყოფა ძალაც, ნებაც და მამაცობაც. ამასთანავე, მყარად და გარანტირებულად უზრუნველვყოფთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობს,“ — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა 4 დეკემბერს რუსეთის ფედერალური საკრებულოს წინაშე გამოსვლისას.

**აშშ კი, რომელიც შეიარაღებაზე ყოველწლიურად 600 მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავს, შეშფოთებულია რუსეთის პროგრესით სამხედრო სფეროში.**

„აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო დიდი ხნის განმავლობაში არ ისახავდა მიზნად რადიოელექტრონული ბრძოლის თანამედროვე მეთოდების შემუშავებას და ახლა ამერიკელებს სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნათ რუსულ გამანადგურებლებთან ბრძოლისას. რუსეთმა შეიმუშავა მაღალი სიხშირის (DRFM) ტალღების ჩამხშობი ახალი რადიოელექტრონული სისტემა, რომელიც იმახსოვრებს რადარიდან წამოსულ სიგნალს და უკან უბრუნებს გამომგზავნს, რითაც სხვა რადარებსაც ძალიან უშლის ხელს მუშაობაში.

უფრო მეტიც, **ამ მოწყობილობას შეუძლია, „დააბრმავოს“ ამერიკული ავიაგამანადგურებლების არსენალში არსებული ჰაერი-ჰაერი კლასის (AIM-120 AMRAAM) რაკეტების პატარა რადარებიც; გარდა ამისა, საშუალო სიშორის ამერიკული რადარები მოძველებულია და მოქმედების მანძილიც მცირე აქვს. რუსულ ჰაერი-ჰაერის კლასის დიდი სიშორის რაკეტებს — K-100-ებს კი ნებისმიერი რაკეტის განადგურება შეუძლია, მათ შორის, იმ რაკეტების, რომლებითაც აღჭურვილია ყველაზე სრულყოფილი ამერიკული თვითმფრინავი, მეხუთე თაობის მრავალმიზნიანი F-22 „რეპტორი“,** — წერს ამერიკული ინტერნეტ-გამოცემა The Dayly Beast-ი, რომელმაც ეს ინფორმაცია აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისგან მოიპოვა.

დღეს შევეცდებით, გავაანალიზოთ, რა შეიძლება დაუპირისპიროს ამ ორი ქვეყნის არმიებმა ერთმანეთს.

## ატომური „ქოლგა“

რუსეთმა არმიის რეფორმირება 2011 წლიდან დაიწყო. ახალი არმიის მშენებლობის პრიორიტეტული მიმართულება არის სტრატეგიული დანიშნულების ატომური სარაკეტო ძალები და უახლოეს წლებში ეს ძალები სრულად განახლდება.

შედარებით მოძველებულ სარაკეტო კომპლექს „ტოპოლ M“-ს შეცვლის რაკეტები — PC-24 „იარს“, რომლებსაც, მრავალბლოკიანი „ტოპოლ M“-ისგან განსხვავებით, ინდივიდუალური სამიზნით შეუძლია გადაიტანოს ქობინი, რომელიც იყოფა.

**PC-24 „იარსი“** (ნატოს კლასიფიკაციით SS-27 Mod 2) — ეს არის მობილური და საშახტო ბაზირების სამსაhფეხურიანი, მყარსაწვავიანი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა ზუსტი ინდივიდუალური დამიზნებითა და ქობინის (თავის) გაყოფის შესაძლებლობით. მისი მოქმედების მაქსიმალური სიშორე არის 11 ათასი კმ, მუხტის სიმძლავრე — 150-დან 300 კილოტონამდე (ცნობისათვის: 1945 წლის 6 აგვისტოს ამერიკელების მიერ ჰიროსიმაზე ჩამოგდებული ბომბის სიმძლავრე 18 კილოტონა იყო) 2014 წლის დასაწყისში რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების ატომურ სარაკეტო ჯარებში 33 ასეთი სარაკეტო კომპლექსი იყო (თითოეული 4 ბლოკით). ამავე კომპალექსით აღიჭურვება რუსული წყალქვეშა ნავებიც.

გარდა ამისა, რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების ჯარები და ფლოტი მიიღებენ ახალ ბალისტიკურ რაკეტებს „ბულავა-30“-ს, რომლებიც მიზანში მოხვედრის დიდი სიზუსტითა და სიმძლავრით გამოირჩევა.

## სახმელეთო ჯარები

აშშ-ის სახმელეთო ჯარი დაფუძნებულია შეიარაღების ე. წ. დიდი ხუთეულის სისტემაზე, რომელიც რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში შეიქმნა. „დიდ ხუთეულში“ შედის: ტანკი M1 „აბრამსი“, ქვეითთა საბრძოლო მანქანა M2 Bradley, მოიერიშე ვერტმფრენი AH-64 „აპაჩი“, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა M270 და საზენიტო-სარაკეტო სისტემა „პეტრიოტი“. ამერიკის არმიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს დივერსიული სადესანტო ქვედანაყოფები: რეინჯერების 3 დივერსიული-სადაზვერვო ბატალიონი, სპეციალური დანიშნულების 7 ჯგუფი, სპეციალური დანიშნულების საავიაციო პოლკი და სპეცდანიშნულების რაზმი „დელტა“. ასეთი ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი 28 ათასს აღწევს.

**რუსეთის სახმელეთო ჯარი**, რომელმაც სსრკ-ისგან მემკვიდრეობით მიიღო საჰაერო-სადესანტო ქვედანაყოფები, კარგად არის აღჭურვილი და მთლიანად მექანიზებულია, თუმცა, რუსეთის ტერიტორიის ზომებიდან გამომდინარე, მათი კონცენტრაცია (თითოეულ ჯარისკაცზე 60 კვ კმ მოდის) არც ისე მაღალია. რუსეთის სახმელეთო ჯარები უახლოეს პერიოდში შეიარაღდებიან უნივერსალური საბრძოლო პლატფორმა „არმატ“-ით, რომელსაც შეუძლია, შეასრულოს ტანკის, ქვეითთა საბრძოლო მანქანის, საარტილერიო დანადგარისა და ტექნიკური დახმარების მანქანის ფუნქციები. რუსეთის არმიის შეიარაღებაშია, აგრეთვე, ახალი ტანკები: T-90A; T72BM; ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-3; ჯავშანტრანსპორტიორი — БТР-82A; საზენიტოსარაკეტო კომპლექსები: „ტოპ-M1-2“; „პანცირ-C“ და „C-400“; ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები „ტორანდო“ და „გრადი“.







## T-90 „ვლადიმირ“

რუსეთის არმიის ძირითადი ტანკი T-90 „ვლადიმირი“ ტანკ T-72-ს მოდერნიზებული ვერსიაა. მას „ვლადიმირი“ კონსტრუქტორ ვლადიმირ პეტკინის პატივსაცემად უწოდეს. ტანკი, რომლის ეკიპაჟში 3 წევრია, აღჭურვილია დაცვისა და დამიზნების უახლესი სისტემებითა და კომბინირებული ჯავშნით, მისი ქვემეხიდან სროლის სიშორე 5 კმ-ს აღწევს.

## რით იხვრიტება „მრისხანე“ „აბრამსი“ – ამერიკული ჯავშნის სირცხვილი

ამერიკულ ტანკებზე ინფორმაცია არც ისე ბევრია, თუმცა დასავლური პროპაგანდისტული მანქანა, პრაქტიკულად, ხელისგულზე ატარებს ამ ტანკს. აშშ-ის ყველაზე პოპულარული და რეკლამირებული ტანკი კი არის M1 „აბრამსი“ (ABRAMS), რომლითაც აშშ-ის გარდა, შეიარაღებულია ეგვიპტის, საუდის არაბეთის, ქუვეითის, ერაყისა და ავსტრალიის არმიებიც.

ამ ტანკის შექმნაზე მუშაობა აშშ-ში 1970-იან წლებში დაიწყეს. პირველი M1 Abrams-ი კონვეიერიდან 1980 წლის 28 თებერვალს ჩამოვიდა. ტანკს აშშ-ის გენერლის კრეიტონ აბრამსის პატივსაცემად „აბრამსი“ დაარქვეს. კრეიტონ აბრამსი, მეორე მსოფლიო და ვიეტნამის ომების მონაწილე, თვითონ მონაწილეობდა ტანკის შემუშავების საკითხებში. „აბრამსი“, წინამორბედებთან (M60, T29, M103) შედარებით, დიდი გაბარიტების გამოვიდა. ამ საინჟინრო ფიასკოს ეკიპაჟის რაოდენობით ხსნიან — 4 კაცი, პლუს ტანკის ბოლოს განთავსებული საბრძოლო მასალა. რუსულ (საბჭოთა) ტანკ T-72-თან შედარებით, „აბრამსი“ 1,5 მეტრით გრძელია, ამასთანავე, მისი სიგანე და წონაც მეტია, „აბრამსი“ 60 ტონას იწონის, T-72 — 44-ს.

„აბრამსის“ დიდმა ზომებმა კონსტრუქტორები მანქანის დაჯავშნის რთული ამოცანის წინაშე დააყენა. ინჟინრებმა ჯავშნის ძირითადი ელემენტები ტანკის სამ ძირითად ნაწილზე განალაგეს: წინა ნაწილსა და გვერდებზე. დანარჩენ ადგილებზე დაბალხარისხიანი ჯავშანი აქვს ან საერთოდ არ აქვს. ჯავშნისა და, შესაბამისად, საერთო მასის შესამცირებლად „აბრამსზე“ დაამონტაჟეს მრავალფენიანი ჯავშანი „ჩობჰემი“, მაგრამ ის რატომღაც და-



PC-24 „იარსი“ გამშვები მოწყობილობით

**ქალაქის პირობებში მიმდინარე ბრძოლებში ერაყელები 20 ამერიკული ტანკიდან 10-ს ანადგურებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, და ამას არც ამერიკული სამხედროები მალავენ, ამერიკული ტანკის ჯავშანს თავისუფლად ხვრეტდა ძველი საბჭოთა ყუმბარმტყორცნი პაგ-7; რაც ყველაზე გასაოცარია, 6 მილიონ დოლარად ღირებული ტანკი მწყობრიდან გამოჰყავდა 100-დოლარიან ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარას. აღსანიშნავია, რომ 2004 წელს ერაყის ქალაქ ელ ფალუჯას შტურმისას ამერიკელებმა 15 „აბრამსი“ დაკარგეს.**

სამხედრო მიმოხილვა
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀მონტაჟებულია მხოლოდ ე. წ. შუბლის, ანუ წინა ნაწილის ქვევით. ზედა ჯავშანფურცელი კი მანქანის წინა ნაწილში დიდი ვერტიკალური კუთხით არის განთავსებული და მცირე სისქე აქვს. ჯავშნის ასეთი განლაგება აშიშვლებს **„აბრამსის“ პირველ ნაკლს — წინა ნახევარსფეროს დაბალ დაცულობას ზემოდან სროლის შემთხვევაში.** მარტივად რომ ვთქვათ, **თუკი თვითმფრინავი სწორი მანევრის შემდეგ ტანკის თავს ზემოთ მოექცევა, სამხედრო მანქანის ეკიპაჟს გადარჩენის შანსი, პრაქტიკულად, არ აქვს.**

„აბრამსის“ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაკლად ითვლება **დინამიკური დაცვის არარსებობა.** როგორც ჩანს, ამერიკელები იმედოვნებენ, რომ ტანკის მთლიანობის შენარჩუნება წინა ნაწილის ჯავშნით არის გარანტირებული, მაგრამ ნაქები ჯავშანიც არ აღმოჩნდა პანაცეა. ცნობილია, რომ **„აბრამსის“ ჯავშანი, სისქის მიუხედავად, შეუძლია გახვრიტოს საბჭოთა კავშირის პერიოდში შექმნილმა ისეთმა საბრძოლო მასალამ, როგორიც არის კომპლექსები: 9K120 „სვირი“; 9K119 „რეფლექსი“; ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები: 9K135 „კორნეტი“, 9K111 „კონკურსი“.**

ამერიკულ ტანკებს პრობლემები შეექმნათ 2003 წელს ერაყის ომში, როდესაც აშშ-მა სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღის შემქმნელად გამოაცხადა და ქვეყნის ტერიტორიაზე შეიჭრა. **ქალაქის პირობებში მიმდინარე ბრძოლებში ერაყელები 20 ამერიკული ტანკიდან 10-ს ანადგურებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, და ამას არც ამერიკული სამხედროები მალავენ, ამერიკული ტანკის ჯავშანს თავისუფლად ხვრეტდა ძველი საბჭოთა ყუმბარმტყორცნი პაგ-7, რაც ყველაზე გასაოცარია, 6 მილიონ დოლარად ღირებული ტანკი მწყობრიდან გამოჰყავდა 100- დოლარიან ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარას. აღსანიშნავია, რომ 2004 წელს ერაყის ქალაქ ელ ფალუჯას შტურმისას ამერიკელებმა 15 „აბრამსი“ დაკარგეს.**

ტექნიკური, დაცვითი, საცეცხლე და სხვა თვისებების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ „აბრამსს“ ბევრი ნაკლი აქვს: უჭირს უდაბნოს პირობებში მოქმედება და უძლურია მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის წინაშე, რაც დაუცველს ხდის ეკიპაჟს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს ფართოდ რეკლამირებული ამერიკული ტანკი „საუკეთესო საბრძოლო მანქანა“ ვერასოდეს იქნება.

## ავიაცია

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები, თვითმფრინავების რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოში პირველია. მის შემადგენლობაშია სტრატეგიული ბომბდამშენები: B-1; B B-2; და B-52; მოიერიშეები A-10 და გამანადგურებლები: F-15; F-16; F-35, აგრეთვე, მეხუთე თაობის გამანადგურებელი F-22 „რეპტორი“. გარდა ამისა, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ჰყავს მოიერიშე-გამანადგურებელ F/A-18.

აღსანიშნავია, რომ **აშშ-მა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ მოწინააღმდეგის რადარებისთვის სტელსის ტექნოლოგიით დამზადებული სტრატეგიული ბომბდამშენის კოორდინატების დაფიქსირება შეუძლებელი იქნებოდა, შეძრწუნებულმა აღმოაჩინა, რომ ასობით მილიონად ღირებულ მის თვითმფრინავს რუსული რადარები თავისუფლად „ხედავენ“.**

**რუსეთის რეგულარულ სამხედრო-საჰაერო ძალებს** ჰყავს სტრატეგიული ბომბდამშენები — ТУ-160; ТУ-95МС, შორს მფრენი ბომბდამშენები — ТУ22М3, მოიერიშეები СУ-25, საფრონტო ბომბდამშენები — СУ-24მ, ს2 და СУ-34, გამანადგურებლები МиГ-31, СУ-27, СУ-30 და უახლესი СУ-35С, აგრეთვე, ვერტმფრენები: სხვადასხვა მოდიფიკაციის Ми-8, Ка-52, Ми-35მ, Ми -28Н და „ანსანტ-У“.

მიუხედავად იმისა, რომ СУ-35С პრაქტიკულად არაფრით ჩამოუვარდება მე-5 თაობის თვითმფრინავებს, რუსეთმა უკვე შექმნა ახალი, მე-5 თაობის მრავალფუნქციური გამანადგურებელი Т-50, რომლითაც ამ ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალები უახლოეს ხანში მასობრივად შეიარაღდება. ეს თვითმფრინავი აღჭურვილია ზემძლავრი ძრავით და ისევე, როგორც ამერიკულ „რეპტორს“, საათში 2,1 ათასი კმ სიჩქარის განვითარება და 5,5 ათასი კმ-ზე ფრენა შეუძლია,



T-50, მრავალფუნქციური, მე-5 თაობის თვითმფრინავი

**Т-50-ს უპირატესობა აქვს ამერიკულ «რეპტორთან» შედარებით: მის არსენალშია ჰაერი-ჰაერის კლასის რაკეტა, რომელსაც ანალოგიური კლასის რაკეტებს შორის ყველაზე შორ მანძილზე შეუძლია მიზნის დაზიანება — ეს არის Р-37, რომლის მოქმედების რადიუსიც 300 კმ-ია (ამ რაკეტით, აგრეთვე, აღჭურვილია МиГ-31 და СУ-35С). გარდა ამისა, რუსეთმა უკვე შექმნა რაკეტა, რომლის ფრენის სიშორე 400 კმ-ია. ამერიკულ რაკეტებს — AIM-120C7-სა და AIM-20D-ს მიზნის დაზიანება, შესაბამისად, 120 და 180 კმ-ის მანძილზე შეუძლია**

თუმცა **Т-50-ს უპირატესობა აქვს ამერიკულ „რეპტორთან“ შედარებით: მის არსენალშია ჰაერი-ჰაერის კლასის რაკეტა, რომელსაც ანალოგიური კლასის რაკეტებს შორის ყველაზე შორ მანძილზე შეუძლია მიზნის დაზიანება — ეს არის Р-37, რომლის მოქმედების რადიუსიც 300 კმ-ია** (ამ რაკეტით, აგრეთვე, აღჭურვილია МиГ-31 და СУ-35С). გარდა ამისა, რუსეთმა უკვე შექმნა რაკეტა, რომლის ფრენის სიშორე 400 კმ-ია. ამერიკულ რაკეტებს — AIM-120C7-სა და AIM-20D-ს —კი მიზნის დაზიანება, შესაბამისად, 120 და 180 კმ-ის მანძილზე შეუძლია.

Т-50-ს, СУ-35 С-ს, СУ-27-სა და МиГ-31-ს, რომლებიც აღჭურვილია რადიოლოკაციის თანამედროვე სისტემებითა და Р-37 რაკეტებით, ადვილად შეუძლიათ, გაუმკლავდნენ ამერიკულ გამანადგურებლებს — F-15-ს, F-16-ს, F/A-18-სა და თვით მე-5 თაობის, ძნელად შესამჩნევ „რეპტორს“.



F22 RAPTOR



СУ -35 С

## რუსეთის შეიარაღების სახელმწიფო პროგრამა 2011-2020 წლებში

რუსეთის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს არმიის გადაიარაღებას და რეფორმას, რომელსაც ექსპერტები, მასშტაბურობით, ქვეყნის ისტორიაში ყველაზე რადიკალურ, პეტრე პირველისდროინდელ (XVIII საუკ.) რეფორმებს ადარებენ.

თუ 2011 წლამდე რუსეთის არმია და ფლოტი ფინანსების დეფიციტს განიცდიდა და ძველი არსენალით სარგებლობდა, ახლა ამ პროგრამის მიხედვით, უკვე 2015 წელს სახმელეთო ჯარებში ავიაციასა და ფლოტში შეიარაღების თანამედროვე სახეობების წილი 30%-მდე გაიზრდება, 2020 წელს კი — 70%-ს მიაღწევს. ამ პროგრამაზე სულ 19 ტრილიონი რუბლი დაიხარჯება.

აღნიშნული პროგრამის მიხედვით, რუსეთი 1300 ერთეულ ახალ ტექნიკურ საშუალებას და იარაღს დაამზადებს, რისთვისაც უკვე დაიწყო ახალი საწარმოების გახსნა და ძველის მოდერნიზება.

**რუსეთის შეიარაღებული ძალები უახლოეს 10 წელიწადში მიიღებს:**

***500-ზე მეტ სხვადასხვა ტიპის უახლეს თვითმფრინავს;**

*1000-ზე მეტ სხვადასხვა ტიპის ვერტმფრენს;

***200-ზე მეტ ახალ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას, რომლებიც შევლენ საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ერთიან სისტემაში;**

* მეხუთე თაობის ახალ გამანადგურებლებს;

*** შორეული ავიაციის ახალ თვითმფრინავებს;**

* შეიქმნება: 1. მაღალი სიზუსტის სხვადასხვა რაკეტა და ბომბი, რომლებსაც ექნებათ დამიზნების უახლესი სისტემები.

**P.S. სამხედრო ექსპერტების აზრით, რუსეთს მთავარი კოზირი მაინც მისი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებია, რომლებიც თავდაცვის „ქოლგას“ ქმნის და შეუძლია, ქვეhყანა ნებისმიერი აგრესიისგან დაიცვას.**

**ევროპელი ექსპერტების გათვლებით, ამჟამად რუსეთის სარაკეტო კომპლექსებს — C-300-სა და C-400-ს —ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრილი ნებისმიერი ტიპის თვითმფრინავების 80%-ის განადგურება შეუძლია. რამდენიმე წლის შემდეგ კი რუსული არმიის შესაძლებლობები უფრო გაიზრდება, რაც კიდევ უფრო შეამცირებს აშშ-სა და რუსეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის ისედაც მცირე ალბათობას.**

მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

# 5 ყველაზე მძლავრი არმია მსოფლიოში*



| № | ქვეყანა | ადამიანური რესურსი | ტანკი | ავიაცია | ატომური იარაღი | ავიამზიდი | წყალქვეშა ნავი | ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | აშშ | 145 212 012 | 8325 | 13683 | 7506 | 10 | 72 | 612.5 მლრდ |
| 2. | რუსეთი | 69 117 271 | 15000 | 3082 | 8484 | 1 | 64 | 76.6 მლრდ |
| 3. | ჩინეთი | 749 610 775 | 9150 | 2788 | 250 | 1 | 69 | 126 მლრდ |
| 4. | ინდოეთი | 615 201 057 | 3569 | 1785 | 80-100 | 2 | 17 | 46 მლრდ |
| 5. | დიდი ბრიტანეთი | 29 164 233 | 407 | 908 | 225 | 1 | 11 | 53 მლრდ |

*ინფორმაცია Global Firepower-ის მიერ 2014 წლის ცეცხლის სიმძლავრის ინდექსის მიხედვით, რომელსაც გამოცემა Busines Insider-მა ატომური არსენალის მონაცემები (ეს მონაცემი Firepower-ის ინდექსში გათვალისწინებული არ იყო) დაამატა.

ამ სარეიტინგო სიაში აშშ პირველი აღმოჩნდა შემდეგი პარამეტრებით: სამხედრო ბიუჯეტი — 612,5 მლრდ დოლარი; ავიამზიდი — 10 ერთეული; თვითმფრინავები — 13 683 ერთეული; რუსეთი ლიდერობს ტანკების რაოდენობით — 15 000, აგრეთვე, ატომური ქობინებით — 8484. ჩინეთი ყველას უსწრებს არმიაში მომსახურეთა რაოდენობით — 749 610 775კაცი. ექსპერტებმა სამხედრო ძლიერების ინდექსის გამოთვლისას გაითვალისწინეს არა მხოლოდ ტანკების, თვითმფრინავების, სამხედრო ხომალდებისა და ატომური ქობინების რაოდენობა, არამედ არმიების და მათი რეზერვების საკადრო შემადგელობის რიცხოვნობა, სამხედრო სფეროს დაფინანსების დონე, ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ნავთობის მოპოვება, სახელმწიფოს ვალი და სანაპირო ზოლის სიგრძეც კი; სულ 45 ფაქტორი, რომლებსაც შეუძლია, გავლენა იქონიოს არმიაზე. სულ სარეიტინგო სიაში შეყვანილია 106 ქვეყანა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

18 წლამდე ახალგაზრდებისთვის ამ მასალის წაკითხვა რეკომენდებული არ არის, დანარჩენი ამერიკელებისთვის კი დღის წესრიგში დგას კითხვები: რა რეაქცია ექნებოდათ, თუ გაიგებდნენ, რომ მათი მეზობელი რეგულარულად ერთობა თავის ცხენთან?

# სექსი ცხოველებთან და დასავლეთის უპრეცედენტო ექსპერიმენტი კაცობრიობის წინააღმდეგ

**როგორც ჟურნალ New York-ში გამოქვეყნებული სტატიიდან ჩანს, მრავალი ადამიანისთვის სწორედაც რომ ნორმალურია... 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის ამ მასალის წაკითხვა რეკომენდებული არ არის, დანარჩენი ამერიკელებისთვის კი დღის წესრიგში დგას კითხვები: რა რეაქცია ექნებოდათ, თუ გაიგებდნენ, რომ მათი მეზობელი რეგულარულად ერთობა თავის ცხენთან? აღშფოთდებოდნენ? შეზიზღდებოდათ ეს მეზობელი? მიმართავდნენ პოლიციას (შტატების დაახლოებით სამ მეოთხედში საქონელთან სქესობრივი კავშირი ჯერჯერობით კანონითაა აკრძალული)? თუ შეეცდებოდნენ, დაეძლიათ გულისრევის განცდა და თანაგრძნობა გამოეხატათ? იქნებ თანამედროვეობის უნივერსალური მანტრაც კი წარმოეთქვათ: მე ვინ ვარ, რომ განვიკითხო?!**



ახლახან ჟურნალ New York-ში დაიბეჭდა სტატია სათაურით „ვისთვისაა ცხენიც პატარძალი?“. ეს იყო სერიოზული, ყოველგვარ ირონიასა და განკითხვას მოკლებული ინტერვიუ ზოოფილთან, რომელსაც რეგულარული სექსუალური ურთიერთობა აქვს ცხენთან. ვინც ამ სტატიას წაიკითხავდა, სერიოზულად დაფიქრდებოდა ზემოთ დასმულ კითხვებზე. დაფიქრება მართლაც ღირს, რადგან საუბარია კულტურისა და მორალის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე.

საქმე ის არის, რომ ცნობილი და რესპექტაბელური ამერიკული გამოცემა წერს ისე, თითქოს ამაში ამორალურს ვერაფერს ხედავს. ერთადერთი, რაც ამ მასალაში ინტერვიუერს აშფოთებს, არის ის, რომ ხომ არ უნდა ჩაითვალოს ამგვარი სექსუალური კავშირი ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობად (ეს კრიტერიუმი არის „თანხმობის“ შესახებ თანამედროვე იდეის, როგორც სქესობრივი ქცევის ერთადერთი მორალური კრიტერიუმის, ერთგვარი ანალოგი). მაგრამ მისმა თანამოსაუბრე ზოოფილმა ეს მღელვარებაც გააქარწყლა და აუხსნა, რომ ცხენი რეგულარულად გამოხატავს, რომ მოსწონს მასთან სექსუალური კონტაქტი.

ცხადია, ადამიანების უმეტესობა უახლოეს მომავალში ანალოგიურ კავშირებს არ გააბამს თავის საყვარელ შინაურ ცხოველებთან, არც ფერმებში დაერევიან საქონელს და **ზოოფილია ვერასდროს ჰპოვებს ფართო გავრცელებას, როგორი დამოკიდებულებაც უნდა დაამკვიდროს მის მიმართ მასმედიამ, მაგრამ არის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემა.**

**ზემოხსენებულ ინტერვიუში უკიდურესად თვალნათლივ ჩანს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და, საზოგადოდ, მთელ დასავლურ სამყაროში რაღაც ისეთი ექსპერიმენტის მიმდინარეობა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში პრეცენდენტი არ მოეძებნება.**

მორალური და რელიგიური ტრადიციონალისტები დიდი ხნის წინათ აფრთხილებდნენ კაცობრიობას ამის თაობაზე. ცხადია, ზემოხსენებულმა ინტერვიუმ ისინი აღაშფოთა, მაგრამ ზოგიერთ საკითხში არც თვითონ არიან მართლები.

პირველ რიგში, ისინი სულ ტყუილად ადანაშაულებენ რელატივიზმს. სავარაუდოა, რომ ჩვენ წინაშეა კულტურა, რომელიც თანმიმდევრულად ხელმძღვანელობს შემწყნარებლობისა და გაგების მორალური პრინციპებით. მას, ფაქტობრივად, აბსოლუტურ ეთიკურ იმპერატივში აჰყავს თავაზიანობა. თანამედროვე ამერიკელები სულ უფრო ხშირად თვლიან, რომ მორალური განკითხვა ამორალობაა, რადგან ამან შეიძლება უხეში ფორმები მიიღოს.

ცხადია, ეს „არაფრის განმკითხავი“ ადამიანები შეინარჩუნებდნენ ტრადიციულ წარმოდგენებს ადამიანურ კეთილდღეობაზე და განაგრძობდნენ ნორმებიდან გადახვევებზე რეაგირებას, ძველებურად რომ სჯეროდეთ იმის, რასაც ეს იდეები ეფუძნება. მაგრამ ძველი რწმენა სუსტდება. ძველად მრავალთათვის საყრდენს წარმოადგენდა უიდეოქრისტიანული კეთილსინდისიერება, მაგრამ ის ველარ ასრულებს ამ ფუნქციას.

ამის გარდა, ჩვენი მსჯელობა შეიძლება ეფუძნებოდეს იმას, რასაც ბიოეთიკის კონსერვატიული სპეციალისტი ლეონ კასი „ზიზღის სიბრძნეს“ უწოდებს, ანუ მორალურ ყნოსვას. მაგრამ, როგორც ლიბერალური ფილოსოფოსი მარტა ნუსბაუმი აღნიშნავდა, „ფუ-ფაქტორი“ მორალური შეფასებების საფუძველი არ უნდა გახდეს. ამას ისტორიული გამოცდილებაც ადასტურებს. ოდესღაც ამაზრზენად ითვლებოდა რასებს შორის კავშირებიც, მაგრამ შემდგომ სიტუაცია შეიცვალა. შემდგომში ასეთივე ცვლილება განიცადა ერთსქესიანმა კავშირებმა და ამაზრზენიდან რესპექტაბელურამდე შეიცვალა. გასაკვირი არ არის, რომ ამ ტოტალური გაურკვევლობის და მორალურ მსჯელობებში ცვლილებების უწყვეტ ნაკადში უპირობო თავაზიანობის ეთიკა ზეიმობს.

ამას ტრადიციონალისტების მეორე შეცდომამდე მივყავართ. ისინი იმდენად თავდაჯერებით ირწმუნებიან, რომ „გომორისაკენ მივექანებით“, თითქოს წინასწარ იციან, რით დასრულდება ზემოხსენებული ექსპერიმენტი. სინამდვილეში ეს არავინ იცის. მსოფლიო ისტორიაში არ ყოფილა ადამიანთა არც ერთი საზოგადოება, რომელიც მთლიანად იქნებოდა აგებული თავაზიანობის ეთიკასა და პირად უფლებებზე (თანხმობის იდეა) უმაღლესი ადამიანური კეთილდღეობის იდეასთან კონკურენციის გარეშე.

**პრესა რომ გაივსოს ზოოფილებისადმი თანაგრძნობის სტატიებით, ცხოველებთან სექსით, ისევე, როგორც ინცესტითა და პოლამორიით, მაინც ძალიან ცოტა ადამიანი დაიცხრობს ვნებებს. უმრავლესობა ამ ყველაფერს კვლავაც ამჯობინებს ტრადიციულ „მოსაწყენ“ ვარიანტს — მონოგამიურ ურთიერთობას საწინააღმდეგო სქესის ერთ ადამიანთან.** მაშ, რატომ არის ეს ექსპერიმენტი ესოდენ მნიშვნელოვანი?

იმიტომ, რომ ის თვალნათლივ წარმოაჩენს, რა ცოტა ვიცით ადამიანებმა საკუთარი თავის შესახებ. დაახლოებით 2500 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სოკრატმა პირველად დაუსვა საკუთარ თავს კითხვა, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. რამდენიმე საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც სამყაროსა და ადამიანური ბუნების მეცნიერული შესწავლა დავიწყეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, დასავლეთმა გადაწყვიტა, რომ პასუხები არ გვაქვს. ჩვენ მაინც ვერ მიაღწიეთ კონსენსუსს საკითხზე, თუ რა არის ადამიანისათვის ობიექტურად კარგი და ცუდი.

ქორწინება და ბავშვები? მშვენიერია, თუ თქვენ ეს გსურთ. პოლიამორია? ნორმალურია, თუ ყველას ხელს აძლევს. ცხენებთან სექსი? კი, ბატონო, თუ ძალადობას არ აქვს ადგილი...

სულ ეს არის, რასაც მივაღწიეთ, რაც გვაქვს...

უფრო სწორად, სულ ეს არის, რაც დაგვრჩება, თუ საბოლოოდ გავთავისუფლდებით კეთილისმყოფელის „დისკრედიტების“ იდეისგან.

საკმარისი იქნება? გავიტანთ თავს ადამიანის კეთილდღეობაზე საყოველთაოდ მიღებული შეხედულებების გარეშე? თუ ჩვენ ნებისმიერ პირად მოთხოვნილებებს დავიკმაყოფილებთ, მოვითხოვთ თანხმობას ნებისმიერი ფორმის ურთიერთქმედებაზე და შევეცდებით, დავიცვათ ერთადერთი — საყოველთაო თავაზიანობა, მოგვიტანს ეს ბედნიერებას? თუ სამყარო, რომელიც მუდმივად მიგვანიშნებს, რომ ცუდად გვესმის ჩვენი სურვილები, იმედს გაგვიცრუებს და დაგვტოვებს თავგზააბნეულებს და მარტოსულებს ცხოვრებისეული ზღვის მორევში?

პასუხი არავინ იცის, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ პასუხს მალე შევიტყობთ...

**The Week**



## ნიუ იორკში საპროტესტო აქცია არეულობაში გადაიზარდა

**ნიუ იორკში საპროტესტო აქცია არეულობაში გადაიზარდა. აქციის მონაწილეები პროტესტს გამოთქვამენ ნაფიცი მსაჯულების მიერ პოლიციელ დენიელ პანტალეოს მიმართ კიდევ ერთი გამამართლებელი განაჩენის გამოტანის გამო.** სამართალდამცავებმა საპროტესტო აქციის დროს 20-ზე მეტი დემონსტრანტი დააკავეს. 17 ივლისს ერიკ გარნერი პოლიციელებმა სიგარეტის უკანონო ვაჭრობის გამო დააკავეს. აფროამერიკელი მამაკაცი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც დაკავების მიზნით პოლიციელმა მიწაზე დაანარცხა და ყელში ხელები წაუჭირა.



**ნაცემ-ნაბეგვი და დაჭრილი მშვიდობიანი მოქალაქეები, რომელთაც ამერიკელი პოლიციელების „დემოკრატიულმა ხელჯოხებმა“ გაუსწორა ძვალ-რბილი, სწრაფად იქცნენ უმართავ განრისხებულ ბრბოდ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფერგიუსონი — ამერიკული დემოკრატიის განკითხვის დღე




**მისურის შტატში მდებარე პატარა ქალაქი ფერგიუსონი, უკვე სამი თვეა, მუდმივად ქვეყნდება მსოფლიო გამოცემების პირველ გვერდებზე. ამერიკის შეერთებული შტატების სიღრმეში მდებარე აბსოლუტურად უცნობი დასახლებული პუნქტი მსოფლიოსთვის ცნობადი 2014 წლის აგვისტოში გახდა — ადგილობრივი მოსახლეობა მასობრივად გამოვიდა პოლიციის აღვირახსნილობის წინააღმდეგ. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება, არ წაეყენებინათ ბრალი პოლიციელისთვის, რომელმაც უიარაღო შავკანიან ბიჭს ესროლა, პროტესტის ახალი ტალღის საბაბად იქცა.**

უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც 9 აგვისტოს პოლიციელმა დარენ უილსონმა 18 წლის მაიკლ ბრაუნი მოკლა, ფერგიუსონში არეულობები არ შეწყვეტილა. კონფლიქტი ღრმავდებოდა, შტატის პოლიცია კი ნაციონალური გვარდიის ქვედანაყოფებით გააძლიერეს. დაძაბულობამ პიკს მიაღწია ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღეს, როდესაც უილსონის მიმართ ბრალდება უარყოფილ იქნა. როგორც ვერდიქტშია ნათქვამი, ამ რეზონანსულ საქმესთან დაკავშირებული მონაცემები უკიდურესად ურთიერთსაწინააღმდეგოა და პოლიციელის მკვლელობაში დადანაშაულების საფუძველს არ იძლევა.

მართლაც, მრავალი ფედერალური და შტატის კანონის წყალობით აშშ-ში პოლიცია ფედერალური ორგანოების ერთ-ერთი ყველაზე დაცული სტრუქტურაა. ამ ფაქტის წყალობით, პოლიციის თანამშრომლები, რომელთა მოწოდებაც მოქალაქეების სიმშვიდის დაცვაა, სულ უფრო ხშირად ემსგავსებიან იმ სადამსჯელო ბრიგადების წევრებს, რომლებიც დარწმუნებულნი არიან საკუთარ დაუსჯელობაში და ურჩევნიათ პირდაპირ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ძალა გამოიყენონ სავარაუდო დამნაშავის წინააღმდეგ. ყველაზე ხშირად ძალის ამგვარი გამოყენება ლეტალურ შედეგამდე მიდის, მორიგ მკვლელ პოლიციელს კი სასამართლო გარკვეული დროისა და ულმობელი განხილვის შემდეგ, უბრალოდ, ათავისუფლებს.

არეულობების ახლანდელი ტალღა აგვისტოს მოვლენებზე ძლიერი იქნება. ადგილობრივი დროით, ღამის ორის ნახევარზე სენტ-ლუისის პოლიციის შეფი იონ ბელმარი პრეს-კონფერენციას ატარებდა. მან განაცხადა, რომ 29 ადამიანი დააკავა პოლიციამ. საავადმყოფოებში მოხვდა 13 დაზარალებული, მათ შორის ორი ცეცხლსასროლი იარაღიდან იყო დაჭრილი. ერთ-ერთი მათგანი პოლიციელი იყო, მსუბუქი დაზიანებებით. ხელისუფლება მოვლენების შემდგომ დაძაბვას ელის. ფერგიუსონში პოლიციის დამატებითი რაზმები ჩავიდნენ. მისურის გუბერნატორმა ჯეი ნიქსონმა ბრძანა, ქალაქში ნაციონალური გვარდიის ქვედანაყოფები შესულიყვნენ.

არადა, აგვისტოს პროტესტები ხომ სავსებით მშვიდობიანად დაიწყო — ადამიანები გამოდიოდნენ ქუჩაში, კეტავდნენ გზებს და მაღლა აწეული ხელებით იდგნენ ნაციონალური გვარდიის მწყობრის წინ. ამით ისინი მოუწოდებდნენ პოლიციელებს, გაეხსენებინათ, თუ რატომ ეცვათ სამართალდამცავთა ფორმა.

მაგრამ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გვერდი აევლო ცერემონიებისთვის და დემონსტრანტებისათვის არაპროპორციული სიმკაცრით გაეცა პასუხი. **ნაცემ-ნაბეგვი და დაჭრილი მშვიდობიანი მოქალაქეები, რომელთაც ამერიკელი პოლიციელების „დემოკრატიულმა ხელჯოხებმა“ გაუერთიანა ძვალ-რბილი, სწრაფად იქცნენ უმართავ განრისხებულ ბრბოდ.** განრისხებული ადგილობრივი მცხოვრებნი პოლიციელებს ქვებსა და ასაფეთქებელი ნარევით სავსე ბოთლებს უშენდნენ, ისინი კი საპასუხოდ თავიანთი მოქალაქეების პროტესტს რეზინის ტყვიებითა და ცრემლსადენი გაზით ახშობდნენ.

სხვა ქვეყნებში დემოკრატიულ ღირებულებებსა და ადამიანის უფლებებზე მხოლოდ სიტყვიერად მზრუნველი აშშ-ის ხელისუფლება საკუთარ ქვეყანაში გაცილებით უფრო დაუნდობლად მოქმედებს, ვიდრე ის ტირანები, რომელთა წინააღმდეგაც იბრძვის „დემოკრატიის ჩირაღდანი“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ალბათ, სწორედ ესაა აშშ-ის მთავარი მანკიერება — ტოტალური ორსახოვნება ყველაფერში.

ამგვარი დამოკიდებულების შედეგი — ფერგიუსონი — არის პირველი აალებული ვარსკვლავი ამერიკულ დროშაზე. ფაქტორები, რომლებიც ქალაქის მოსახლეობას ხელისუფლებასთან დაპირისპირებისკენ უბიძგებს, საკმარისზე მეტია. ამ ფაქტორთაგან უკანასკნელი არ არის ის, რომ მოსახლეობა დაღალა პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის წარუმატებელმა პოლიტიკამ; და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, დაიღალა მოსახლეობის აფროამერიკული ნაწილი, რომელიც ამჟამად ფერგიუსონის მოვლენების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ბარაკ ობამას მმართველობის განმავლობაში ამერიკაში აფროამერიკელი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ოდნავაც არ გაუმჯობესებულა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმედი, რომელსაც აშშ-ის ისტორიაში პირველ შავკანიან პრეზიდენტზე ამყარებდნენ, არ გამართლებულა. მოსახლეობის ამ ნაწილს სოციალურ კიბეზე ოდნავაც არ წაუწევია წინ. ხელისუფლების პოლიტიკა იმ შავკანიანი მოსახლეობის მიმართ, რომელიც ეგრეთ წოდებულ გეტოებში ცხოვრობდა, მხოლოდ გაუარესდა, ზოგიერთ ქალაქსა და შტატში კი — მათ შორის ფერგიუსონშიც — საერთოდ კატასტროფული გახდა.




ამერიკის პოლიტიკურმა სისტემამ მოქალაქეებთან უკუკავშირი დაკარგა. **მოქალაქეები, განსაკუთრებით არათეთრკანიანები, ასევე ღატაკი თეთრკანიანებიც, სულ უფრო ხშირად და მძაფრად ამჩნევენ, რომ მათ არ შეუძლიათ, რაიმე გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ სისტემაზე**. ეს საზოგადოების ამერიკული მოდელის სრული კრახია, რადგან იქ პოლიტიკას, მოქალაქეები კი არა, ლობისტები აკეთებენ. **ამერიკული სახელმწიფოს ფუძემდებლებს მისი ამჟამინდელი ყოფის დანახვა რომ შეეძლოთ, ნანახით შეძრწუნდებოდნენ. ხელისუფლება და პოლიცია, რომელთა მოწოდებაც საკუთარი მოქალაქეების მსახურება და მათი დაცვაა, იქცნენ სადამსჯელო ორგანოებად, რომლებიც ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე პირდაპირ ქუჩებში ხოცავენ ადამიანებს.**

„მღელვარება ფერგიუსონში და მასზე ხელისუფლების რეაქცია, რაც მერყეობს „მართლსაწინააღმდეგო ქმედების“ მკაცრი ჩახშობიდან „სიმშვიდისა და დიალოგისკენ“ მოწოდებებამდე, კვლავაც ადასტურებს ღრმა სისტემური პრობლემების არსებობას ამერიკულ საზოგადოებაში, ადამიანთა უფლებების დაცვისა და დემოკრატიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით“, — დაწერა ოფიციალურ განცხადებაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილმა პირმა ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით — კონსტანტინე დოლგოვმა.

როგორც ჩანს, ამერიკულმა დემოკრატიულმა მოდელმა მართლაც ამოწურა საკუთარი თავი. ადამიანთა უფლებების დარღვევა ამერიკელთა ცხოვრების წესის ნორმად იქცა, მაგრამ ამ სიტუაციაში ყველაზე საშინელი ისაა, რომ აშშ-ის ხელისუფლება საკუთარი ხელით ერეკება თავის ხალხს უფსკრულისკენ. ეს ზრდის დამნაშავეობას, რადგან ადამიანებს, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ ნორმალურ განათლებაზე და შესაბამისად, ნორმალურ სამსახურზე, უბრალოდ, აღარ რჩებათ არჩევანი. ნაცვლად იმისა, რომ სისტემურად გადაწყდეს დაგროვილი პრობლემები, ხელისუფლება ამჯობინებს, სხვაგვარად მოაზროვნენი ძალით დათრგუნოს და დაარღვიოს ადამიანის უფლებათაგან უმთავრესი — სიცოცხლის უფლება.

**politrussia.com**

# აშშ-ის ბირთვული რაკეტების ბაზის თანამშრომელი ნარკომანობაში ამხილეს

**მონტანას შტატში ამერიკული სამხედრო საჰაერო ძალების ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ბირთვული ბალისტიკური რაკეტების გაშვებაზე, სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგება. მას ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება ედება ბრალად.**

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების უმცროსი ლეიტენანტი ნიკოლ დალმაცი ბრალდებულია მართლმსაჯულების აღსრულებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში. იგი გახდება პირველი იმ ოთხი ოფიცრიდან, რომლებიც, ჩატარებული გამოძიების შედეგების მიხედვით, ტრიბუნალის წინაშე წარსდგებიან.

ნიკოლი იმ სამხედრო მოსამსახურეთა შორის იყო, რომლებიც მიწისქვეშა ბუნკერში თავიანთი 24-საათიანი მორიგეობისას ყოველ წამს მზად უნდა იყვნენ, რომ, პრეზიდენტის ბრძანების მიღების შემთხვევაში, ბალისტიკური რაკეტის საბრძოლო გაშვება განახორციელონ.

გამომძიებლები მუშაობდნენ აშშ-ის შეიარაღებული საჰაერო ძალების ბაზაზე მალმსტრომში, სადაც განთავსებულია ამერიკის კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების — „მინიტმენ III“-ის მთელი არსენალის მესამედი. გამოძიების დაწყებისთვის საბაბად იქცა შეტყობინება 341-ე სარაკეტე ფრთაში დისციპლინისა და მორალის დაბალი დონის შესახებ.



ნიკოლ დალმაცს ბრალს სდებენ იმაშიც, რომ მან თმა შეიღება, რათა ამით ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველობის დასადგენი თმის ფოლიკულის ტესტის შედეგები გაეყალბებინა.

გამოძიებისას აღმოჩნდა, რომ დაახლოებით ასი ადამიანის მომცველი პირადი შემადგენლობის პროფესიული ვარგისიანობის შემოწმების შედეგები ხშირად ყალბდებოდა.

გამოძიება 2013 წლის აგვისტოში დაიწყო. კალიფორნიაში მდებარე ედვარდსის ბაზაზე ორი ავიატორის მობილური ტელეფონების შესწავლის შემდეგ გამომძიებლებმა აღმოაჩინეს მიმოწერა სამხედრო-საჰაერო ძალების სხვა ოფიცრებთან, რომლებიც რამდენიმე სხვა ავიაბაზაზე მსახურობდნენ.

მესიჯები მოიცავდა აკრძალული ნივთიერებების, მათ შორის სინთეტიკური ნარკოტიკების, ექსტაზისა და ამფეტამინების მოხმარების დეტალურ განხილვას. მიმოწერის მონაწილენი ერთმანეთს უზიარებდნენ აზრებს იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა დაემალათ ნარკოტიკების მოხმარების კვალი შემოწმებებისას.

შედეგად დალმაცი იანვრის ბოლოს წარსდგება ტრიბუნალის წინაშე, კიდევ სამ ოფიცერს მოგვიანებით წარუდგენენ ბრალდებებს.

ბოლო პერიოდში გახშირდა აშშ-ის სარაკეტო ჯარებში დისციპლინარული პრობლემების, დაბალი მორალური მაჩვენებლებისა და მოტივაციის არარსებობის დამამტკიცებელი ცნობები. ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად პროფილურმა ინსტიტუტმა დაასკვნა მერაკეტე ოფიცრების პროფესიონალური „გადაწვა“, ზოგიერთ შემთხვევაში კი აღინიშნა ოჯახური ძალადობის ფაქტებიც.

**BBCRussian.com**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეომარი რესპუბლიკელები და ლიბერალები, რომლებიც სამხედრო ჩარევის მომხრენი არიან, ობამას ადმინისტრაციაზე ზეწოლას აძლიერებენ და მას რუსეთთან, ირანთან, სირიასა და ერაყთან საომარი კონფლიქტებისკენ უბიძგებენ.**

# ობამას გარდასახვა და გენერლების ამბოხი



**აშშ-ის თავდაცვის მინისტრის — ჩაკ ჰეიგელის იძულებითი გადადგომა იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ პრეზიდენტ ობამას მის თანამდებობაზე მემკვიდრის კანდიდატურის წარდგენისა და დანიშვნის დროც კი არ ჰქონდა. რობერტ გეიტსისა და ლეონ პანეტას შემდეგ ეს მესამე თავდაცვის მინისტრია, რომელიც გადადგა. გამოდის, რომ დემოკრატიული პარტიის წევრს ამ ქვეყანაში უსაფრთხოების საკითხების მოგვარება არ შეუძლია?**



**რესპუბლიკელები პრეზიდენტის ირგვლივ წრეს ავიწროებენ და ცდილობენ, საბოლოოდ ჩამოაშორონ ის ყველაფერს, რაც დარჩა ლოზუნგისგან «დიახ, ჩვენ შეგვიძლია» და აღადგინონ ყველაზე ცუდი, რაც ბუშის პერიოდში იყო**



ახლა, როდესაც კონგრესსა და სენატში ადგილების უმეტესობა რესპუბლიკელებს ეკუთვნის, პრეზიდენტის პოპულარობა ძალიან დაეცა, ხოლო ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევაში სირთულეები და ჰეიგელის გადადგომა ობამასთვის სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა.

ყოველივე ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჰეიგელმა თავისი მოწინააღმდეგისთვის — ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველისა და ობამას მცირერიცხოვან ერთგულ ადამიანთაგან ერთ-ერთის — სიუზენ რაისისთვის გაგზავნილი წერილი გამოაქვეყნა. წერილში მინისტრი ჩიოდა იმის გამო, რომ თეთრ სახლს არ გააჩნია მტკიცე პოზიცია ბაშარ ასადის მომავალთან დაკავშირებით. აღმაშფოთებელია ისიც, რომ არც ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ არ გამოხატა პროტესტი სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ამ დონეზე ჩარევის გამო.

**რესპუბლიკელები პრეზიდენტის ირგვლივ წრეს ავიწროებენ და ცდილობენ, საბოლოოდ ჩამოაშორონ ის ყველაფერს, რაც დარჩა ლოზუნგისგან „დიახ, ჩვენ შეგვიძლია“ და აღადგინონ ყველაზე ცუდი, რაც ბუშის პერიოდში იყო.** „ამ თანამდებობას დავთანხმდი, რათა ბოლო მომეღო ომებისთვის და არა ახალი ომები დამეწყო“, — გაუმხილა გენერალმა თავის ახლობლებს. მან ადმინისტრაციიდან წასვლა პრეზიდენტის პოზიციის შეცვლით ახსნა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას იმ შემაშფოთებელ ნიუანსებზეც, რომლებიც ამ თავისებური სამხედრო პირის იდუმალებით მოცულ გადადგომასა და ამ ნაბიჯის შესაძლო შედეგებს უკავშირდება.

ძალზე წინდახედული სამხედრო პირი, **ვიეტნამის ომის ვეტერანი ჩაკ ჰეიგელი ობამამ იმიტომ აირჩია, რომ მას ორგანიზება გაეკეთებინა ავღანეთიდან და ერაყიდან ამერიკული ჯარების გასვლისთვის, შეემცირებინა პენტაგონის ბიუჯეტი და ამერიკულ არმიაში სექსუალური ძალადობა აღმოეფხვრა.** პარტიული მეგობრების მიერ არალოიალობაში ბრალდებული ჰეიგელი გამოვიდა საბრძოლო დავალებების შესასრულებლად სამხედროების მუდმივი და უსარგებლო მობილიზაციის წინააღმდეგ, დავალებებისა, რომლებიც მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა. იმ ქვეყნების მოქალაქეთა სიცოცხლე, რომლებშიც ამერიკელი ჯარისკაცები იჭრებიან, ცხადია, არ ითვლება. ეს მზადყოფნა, მეორე მხრივ, აზარალებდა ნაციონალურ ბიუჯეტს.

2006 წელს ჰეიგელმა წამოაყენა წინადადება, გაეყვანათ ერაყიდან ამერიკული ჯარი, სამხედრო ძალისა და ეკონომიკური სანქციების ნაცვლად კი დიპლომატია გამოეყენებინათ. ჰეიგელმა ბევრი გააკვირვა იმითაც, რომ 2008-ში უარი განაცხადა ჯონ მაკკეინის კანდიდატურის მხარდაჭერაზე, მისმა ცოლმა კი ობამას მისცა ხმა. ამის შემდეგ იგი გამოვიდა „გლობალური ნულის“ ინიციატივით — ნაციონალური ბირთვული არსენალის რადიკალური შემცირებისა და საბოლოო განადგურების წინადადებით, სანაცვლოდ კი წამოაყენა, მოახლოებული კიბერომების ფონზე, „თავდაცვის განახლების“ კონცეფცია. ასე რომ, მას უთანხმოება ობამასთან კი არა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან ჰქონდა. ეს კი ჩრდილოამერიკული იმპერიის ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

თავის მხრივ, დემოკრატებმა ჰეიგელს ბრალი დასდეს იმის გამო, რომ ხელი არ მოაწერა თალიბებთან მშვიდობიან შეთანხმებას, თავიდან არ აიცილა ეგვიპტის პრეზიდენტის თანამდებობაზე ობამასთვის სასურველი კანდიდატის — მოუჰამედ მურსის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო გადატრიალება, არ ალკვეთა კატასტროფები, რომლებიც ლიბიაში რეჟიმის შეცვლას მოჰყვა და რამაც ქვეყანა არშემდგარ სახელმწიფოდ აქცია, წინ არ აღუდგა უკრაინის ტრაგედიას და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ გაჩენას.

იმ საკითხთა სრული სპექტრი, რომელთა გამოც ჰეიგელს უთანხმოება ჰქონდა თეთრ სახლში გამაგრებულ დემოკრატებთანაც და ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი დაწესებულებების მაკონტროლებელ რესპუბლიკელებთანაც, გაცილებით უფრო ფართო იყო და კიდევ არაერთ საკითხს მოიცავდა.

ერთი წლის განმავლობაში ათამდე მაღალი რანგის სამხედრო პირის გადადგომა აშშ-ის თანამედროვე ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევაა. თავისი პირველი საპრეზიდენტო ვადის პერიოდში ობამამ თანამდებობიდან დაითხოვა ცსს-ის დირექტორი ნეოკონსერვატორი დევიდ პეტრეუსი, რომელსაც ცოლქმრულ ღალატში დასდეს ბრალი, ავღანეთში ნატოს ძალების სარდალს, გენერალ ჯონ ალენსა და თავდაცვის მინისტრ რობერტ გეიტსს იგივე ბედი ეწიათ. ისმის ხმები, რომ შემდეგი, ვიhსაც თანამდებობიდან დაითხოვენ, შტაბების მეთაურთა კომიტეტის თავმჯდომარე და პენტაგონის კიდევ ერთი „ქორი“, გენერალი მარტინ დემპსი იქნება.

გადამდგარი გენერალი უილიამ ბოიკინი მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეებს უკვე მოუწოდებდა, პრეზიდენტის პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად, თანამდებობებიდან გადამდგარიყვნენ. მისი განცხადებით, ზესახელმწიფოები პენსიაზე არ გადიან, ობამა კი სწორედ ამისკენ მიისწრაფვის.

ამასობაში **მეომარი რესპუბლიკელები და ლიბერალები, რომლებიც სამხედრო ჩარევის მომხრენი არიან, ობამას ადმინისტრაციაზე ზეწოლას აძლიერებენ და მას რუსეთთან, ირანთან, სირიასა და ერაყთან საომარი კონფლიქტებისკენ უბიძგებენ.** სამხედროები, რომელთა თეთრ სახლზე გავლენაც შესუსტდა, ქვეყნის პრეზიდენტს ადანაშაულებენ იმაში, რასაც თავად ჩინეთის მიმართ „უპირატესობების გაფლანგვას“ უწოდებენ. ეს იმის მიუხედავად ხდება, რომ 2013 წელს აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტმა 600 მილიარდ 300 მილიონი დოლარი შეადგინა, ჩინეთმა კი თავდაცვის საჭიროებებისთვის სულ რაღაც 114 მილიარდ 300 მილიონი გამოყო.

საბოლოო ჯამში „ომების ათწლედის“ დასასრული მაინც ვერ დადგა. ობამამ, სულ მცირე, შვიდი ქვეყნის დაბომბვის განკარგულება გასცა, რომლის შედეგად ათიათასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ქორები“ თეთრი სახლის ბინადარს ადანაშაულებენ.

**დასუსტებული პრეზიდენტის პოლიტიკის ჩავარდნამ, შესაძლოა, ახალი სახიფათო ინიციატივები გამოიწვიოს, კერძოდ, ერაყსა და სირიაში ჯარების ხელახალი შეყვანის იდეა. შესაძლოა, მოვლენათა სხვაგვარი განვითარებაც. მაგალითად, მისთვის დამახასიათებელი არისტოტელესეული რეალიზმის წყალობით, ობამა თავის პოლიტიკაში არ დაუშვებს მასშტაბურ ცვლილებებს, რაც პრეზიდენტის გუნდში შემდგომ ცვლილებებს განაპირობებს. მაგალითად, გადადგება ჯონ კერი ან გენერალი დემპსი.**

სავსებით შესაძლებელია, რომ ობამა, რომელიც იოლად ემორჩილება ქორების ზეწოლას, კვლავაც გაამყარებს კავშირებს პაკისტანთან, საუდის არაბეთსა და ისრაელთან ან გადაწყვეტს, დიდი ხნის მანძილზე დაუჭიროს მხარი სირიის კონფლიქტს და ამით სიქა გააცალოს რეგიონის ქვეყნებს.

რაც შეეხება ირანს, სწორედ ეს ქვეყანა შეიძლება გახდეს ორიდან ერთი მოედანი, სადაც დამტკიცდება ან უარყოფილ იქნება ახალი ტენდენცია: ერთი მხრივ, გაძლიერდება თუ არა თეირანზე ზეწოლა და, მეორე მხრივ, დაიწყებს თუ არა ამერიკის ავიაცია სირიული არმიის დაბომბვას ასადის ჩამოსაგდებად.

**ობამას პრეზიდენტობის პერიოდში ამერიკულ გეოპოლიტიკურ აზროვნებაში გაბატონებული „პერმანენტული ომის“ იდეის განხორციელებისგან ყველაზე დიდ მოგებას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მიიღებს.**

Publico.es




## მარინ ლე პენი: ევროკავშირის წევრობა საფრანგეთს აზარალებს

**საფრანგეთის „ეროვნული ფრონტის“ ლიდერის მარინ ლე პენის განცხადებით, ევროკავშირის წევრობა საფრანგეთს აზარალებს. ევროკავშირის მწვავე კრიტიკით ლე პენი ლიონში, საკუთარი პარტიის ყრილობაზე გამოვიდა.** ამასთან, მან სოციალურ ქსელ twitter-ში საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ „ევროკავშირი იქცა სასტუმროდ, რომელსაც ფართოდ აქვს კარი გაღებული მსოფლიო სიღარიბისა და მასობრივი იმიგრაციისთვის“. უფრო ადრე მარი ლე პენმა განაცხადა, რომ 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, საფრანგეთის ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე რეფერენდუმს ჩაატარებს.



**ამერიკელები და კანადელები ცდილობენ, პასუხისმგებლობა ევროპელებს გადააბარონ, მაგრამ ეს უკანასკნელნი ბოლო წლებში ამცირებდნენ თავდაცვის ხარჯებს, ამიტომ ნატოს წევრი მსხვილი ევროპული ქვეყნები — გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი განსაკუთრებით აქტიურობენ, რათა დამატებითი ტვირთი არ აიკიდონ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ალმოსავლეთევროპული ბეგმებისთვის ნატოს ფული არ ჰყოფნის

**ნატოს სურს, გააძლიეროს აღმოსავლეთ ევროპაში თავისი საბრძოლო მზადყოფნა და მობილურობა, მაგრამ ფული და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა არ ჰყოფნის.**



როდესაც სექტემბრის შუა რიცხვებში ნატოს წევრი ყველა ქვეყნის გენერალური შტაბების ხელმძღვანელები ვილნიუსში შეიკრიბნენ, ეს ალიანსის ძლევამოსილების სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო რუსეთის მიმართ, მაგრამ შეხვედრის შედეგები თვით ალიანსის წევრებისთვის გამომაფხიზლებელი აღმოჩნდა. სამხედროების შეკრებამდე ორი კვირით ადრე შემდგარი სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად, სწრაფი რეაგირების კოლექტიური ძალების შექმნის გადაწყვეტილება არარეალური აღმოჩნდა.

შეუძლებელია, 5 ათასი ადამიანი 48 საათის განმავლობაში მზად იყოს საბრძოლო მოქმედებებისთვის! — გამოიტანეს ვერდიქტი გენერლებმა. ამ შემთხვევაში ჯარისკაცებს „უნიფორმებით მოუწევდათ ღამეების გატარება“, — განაცხადა აშშ-ის შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელმა, გენერალმა მარტინ დემპსიმ.

**ნატოს ძალების სპეციალური მოწინავე ჯგუფი 2016 წელზე ადრე ვერ შეიქმნება.** მანამდე კი რუსეთის „საფრთხობელას“ როლი ამ ძალების ერთგვარმა „მსუბუქმა ვერსიამ“ უნდა შეასრულოს. ამ საკითხს მიეძღვნება ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელების შეხვედრა. სინამდვილეში საუბარი იქნება ნატოს უკვე არსებულ სწრაფი რეაგირების ძალებზე.

ამ ძალების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის წესები ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ იქნა შეთანხმებული — უკრაინული კრიზისის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, როდესაც რუსეთი „მშვიდობისთვის მზადმყოფ პარტნიორად“ ითვლებოდა. 30 დღის მანძილზე 25 ათასამდე ჯარისკაცი მზად უნდა ყოფილიყო, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გადასროლისთვის მძიმე შეიარაღებასთან, კერძოდ, ტანკებთან ერთად. რამდენიმე მანევრი ჩატარდა კიდეც, მაგრამ ნამდვილ საბრძოლო მოქმედებებში ამ ძალებს მონაწილეობის მიღება არ მოუხდათ. 1 იანვარს სწრაფი რეაგირების ძალების მეთაურობა, როტაციის პრინციპების შესაბამისად, გერმანულ-ნიდერლანდურ კორპუსს გადაეცემა. მისი შტაბი, რომელიც 400-მდე ჯარისკაცისა და სამოქალაქო პირისგან შედგება, ქალაქ მიუნსტერში განთავსდება.

**ნატოს ქვეყნებში სულ უფრო ხმამაღლა ისმის კრიტიკა ალიანსის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. „ისინი მასმედიას გადასცემენ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ 50%-ითაა ნამდვილი“, — დაიჩივლა ერთ-ერთი ქვეყნის წარმომადგენელმა**

**ახლა დაახლოებით ხუთი ათასმა ჯარისკაცმა უნდა შეადგინოს სწრაფი რეაგირების ძალები. 48 საათის განმავლობაში სრულ საბრძოლო მზადყოფნაზე საუბარი აღარ არის — ვადა ხუთ დღემდე გაიზარდა. მაგრამ ესეც დიდ თავის ტკივილს გაუჩენს სამხედრო მეთაურებს, განსაკუთრებით — გერმანელებს.**

უპირველეს ყოვლისა, გაურკვეველია ხარჯებთან დაკავშირებული სიტუაცია. ამჟამად ნატოს ფარგლებში მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმადაც ხარჯები ეკისრება ქვეყანას, რომლის ჯარებიც ჩართულნი არიან კონკრეტულ ოპერაციაში. **ამერიკელები და კანადელები ცდილობენ, პასუხისმგებლობა ევროპელებს გადააბარონ, მაგრამ ეს უკანასკნელნი ბოლო წლებში ამცირებდნენ თავდაცვის ხარჯებს, ამიტომ ნატოს წევრი მსხვილი ევროპული ქვეყნები — გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი განსაკუთრებით აქტიურობენ, რათა დამატებითი ტვირთი არ აიკიდონ.**

მაგრამ მათ გარეშე არანარ სწრაფი რეაგირების ძალებზე საუბარიც კი არ შეიძლება. არადა, როტაცია, შეთანხმების თანახმად, ყოველწლიურად უნდა განხორციელდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ, ვიდრე ერთი ქვეყანა სწრაფი რეაგირების ძალებს ხელმძღვანელობს, მეორე უნდა ემზადებოდეს მის ჩასანაცვლებლად, მესამე კი უკვე შესრულებული მისიის შემდეგ უნდა „ისვენებდეს“. და თუ იქიდან გამოვალთ, რომ საუბარია სწორედ ამ სამ ზემოხსენებულ ქვეყანაზე, გამოდის, რომ მათ მუდმივად უნდა ჰყავდეთ სწრაფი რეაგირების ძალები. ეს კი უკვე, ლოჯისტიკისა და ფინანსების მხრივ, როგორც ნატოს ერთ-ერთმა გენერალმა განაცხადა, არის „ამოცანა ჰერკულესისთვის“.

**ნატოს ქვეყნებში სულ უფრო ხმამაღლა ისმის კრიტიკა ალიანსის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. „ისინი მასმედიას გადასცემენ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ 50%-ითაა ნამდვილი“, — დაიჩივლა ერთ-ერთი ქვეყნის წარმომადგენელმა.**

მაგალითად, ახლახან ევროპაში ნატოს კომიტეტის ხელმძღვანელმა ფილიპ ბრიდლავმა განაცხადა, რომ უკრაინაში არის „სპეცრაზმი და რუსული არმიის რეგულარული ჯარები“, რამდენიმე დღის შემდეგ კი კეთილი ინება და დააზუსტა, რომ საუბარია ინსტრუქტორებსა და მრჩევლებზე და არა საბრძოლო ქვედანაყოფებზე.

Der Spiegel

# ვინ გახდება ავღანეთის პატრონი?

**ავღანეთიდან საერთაშორისო ძალების ძირითადი ნაწილის გაყვანის თარიღის მოახლოების კვალდაკვალ ამ ქვეყანაში შიდაპოლიტიკური სიტუაცია მწვავდება. ამას მოწმობს 2014 წელს თალიბების საბრძოლო მოქმედებების მასშტაბების გაფართოება და შეიარაღებული ოპოზიციის სხვა ძალების გააქტიურება ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, ექსტრემისტების მიერ მთელ რიგ პროვინციებში კონტროლის დაწესება და საკუთარი მმართველობის ორგანოების შექმნა, მსხვერპლთა რაოდენობრივი ზრდა არამხოლოდ ავღანეთის შეიარაღებულ ძალებში, არამედ მშვიდობიან მოსახლეობას შორისაც.**



ამჟამად მხოლოდ ავღანური პოლიციის დანაკარგები 4634 ადამიანს შეადგენს. შედარებისთვის: შარშან ექსტრემისტებმა მოკლეს დაახლოებით 3 ათასი ავღანელი. გამორიცხული არაა, რომ ეს მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ქაბულის ხელისუფლება ან საერთაშორისო ძალების ხელმძღვანელობა იუწყება.

**ავღანეთსა და აშშ-ს შორის უსაფრთხოების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა იმ ტერორისტული აქტების რაოდენობა, რომლებიც მიმართულია ავღანელი სამხედრო მოსამსახურეების, სამართალდამცავებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ.** ამ ტერაქტების მიზანია მათი დაშინება, ვინც შეიძლება ხელი შეუშალოს თალიბებს ხელისუფლებაში დაბრუნების საქმეში.

უმკაცრესი რეპრესიების მსხვერპლნი ხდებიან თემთა უხუცესები, რომლებიც, ასევე, წინააღმდეგობას უწევენ თალიბების ხელისუფლებაში დაბრუნებას. დარტყმების მსხვერპლნი გახდნენ მასწავლებლები და მოსწავლეები. ქაბულიდან მოდის ცნობები, რომ ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში ფიზიკური განადგურების შიშით მრავალ სკოლაში შეწყდა სწავლა.

სექტემბრიდან დაიძაბა სიტუაცია კიდევ ერთ ჩრდილოეთ პროვინციაში — ბადგისში. ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ იქ უსაფრთხოების შედარებით მაღალი დონე იყო. გაცილებით რთული სიტუაციაა ქაბულში და იმავე სახელწოდების პროვინციაში, ასევე, ყველა რეგიონში, სადაც პუშტუნები ცხოვრობენ.

ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცებით, თალიბების რიგებში მრავალი პაკისტანელია, ასევე არიან არაბებიც და „უზბეკეთის ისლამური მოძრაობის“ წარმომადგენლებიც. ეს უკანასკნელნი ოქტომბრის ბოლოს შემჩნეულ იქნენ უზბეკეთსა და ტაჯიკეთთან მოსაზღვრე ჩრდილოეთ პროვინციებში. თალიბებისგან განსხვაჰვებით, „უზბეკეთის ისლამური მოძრაობის“ ბოევიკები ვერ დამშვიდდებიან ავღანეთში გამარჯვებით, ვიდრე ტაშკენტში ისლამ კარიმოვი, დუშანბეში კი ემომალი რახმონი იქნებიან.

**ავღანეთსა და აშშ-ს შორის უსაფრთხოების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა იმ ტერორისტული აქტების რაოდენობა, რომლებიც მიმართულია ავღანელი სამხედრო მოსამსახურეების, სამართალდამცავებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ**

ვინმემ დამშვიდება რომც მოინდომოს, მოიძებნებიან ძალები, რომლებიც მათ აიძულებენ, ცენტრალური აზიის ქვეყნების რეჟიმების წინააღმდეგ იბრძოლონ.

**ზოგიერთი დასავლელი ექსპერტი მაღალ შეფასებას აძლევს თალიბების ორგანიზებულ შესაძლებლობებს, მათ საბრძოლო მომზადებასა და აღჭურვილობას, მათ შორის თანამედროვე იარაღითა და ტექნიკით, რომელთაც საბრძოლო მოქმედებებისას ავღანეთის არმია და კოალიციის ძალები იყენებდნენ.**

ექსპერტების უმეტესობა კი პესიმისტურად აფასებს ავღანეთის არმიისა და პოლიციის შესაძლებლობებს, დაუპირისპირდნენ და წინ აღუდგნენ თალიბებსა და სხვა ანტისახელისუფლო ფორმირებებს. ავღანელი სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიციელების მნიშვნელოვანი ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, რიგითი შემადგენლობა, სუსტადაა მოტივირებული, ფაქტობრივად, არ გააჩნია მორალური სულისკვეთება, ცუდადაა გაწვრთნილი და შეიარაღებული. ავღანეთის არმიასა და პოლიციაში კვლავაც მაღალია დეზერტირობის დონე.

მაგალითად, ყანდაღარის პროვინციაში უკვე ფორმირებული ქვედანაყოფები არ არიან უზრუნველყოფილი შეიარაღებითა და საკვებით. მათ არ უხდიან დაპირებულ ანაზღაურებას. პოლიციაში მუდმივად ჩივიან ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მათ საკვებ პროდუქტებსა და ფულს სძალავენ.

ავღანეთის თემაზე მომუშავე სპეციალისტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ თალიბები აპირებენ, კოალიციის კონტინგენტის საბოლოო წასვლამდე აჩვენონ ყველას როგორც ქვეყანაში, ასევე მის საზღვრებს მიღმაც, თუ ვინაა ავღანეთის ნამდვილი პატრონი. ამის გამო აფართოებენ გავლენის ზონებსაც.

საერთაშორისო ძალების კონტინგენტის წასვლის შემდეგ ავღანეთი, შესაძლოა, იმავე გზით წავიდეს, რა გზითაც ერაყი წავიდა. დასავლური კოალიცია ისე მიდის ქვეყნიდან, რომ ოპერაციის დაწყებამდე დეკლარირებული ამოცანებიდან ერთიც არ გადაუჭრია.

posthunt.net

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ ბედავენ „ნაციონალები“ აფზახეთსა და სამაჩაბლოზე ხმის ამოღებას, როდესაც დაკარგული ტერიტორიებიდან დევნილებს ცხრა წლის განმავლობაში აბუჩად იგდებდნენ; ახალი წლის ღამეს, 31 დეკემბერს, სასტუმრო „ივერიის“ შენობიდან დევნილთა ოჯახებს, ჩვილ ბავშვებს, უმწეო მოხუცებსა და ომში დახეიბრებულებს ქუჩაში ყრიდნენ; თბილისში, გმირთა მოედანზე, მოშიმშილე ომის ვეტერანებს არბევდნენ და მათი ოჯახის წევრ ქალბატონებს უმოწყალოდ სცემდნენ! რა დავარქვათ ამ ცინიზმის აპოგეას? — ალბათ, „ნაციონალების“ ბრძოლა აფხაზეთისა და სამაჩაბლოსთვის.**

### გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

მსურს, დაგიდასტუროთ პატივისცემა და კეთილი სურვილები. ასევე მინდა, გამოვხატო „საქართველო და მსოფლიოს“ მიმართ უაღრესად დადებითი განწყობა. მიმაჩნია, რომ თქვენი გაზეთი, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი ფლაგმანია დღევანდელი ქართული პრესისა. სწორედ ამან გადამაწყვეტინა, მომემართა თხოვნით, თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულიყო ჩემი მოკრძალებული წერილი დღევანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე.

გთხოვთ, თუ მიიჩნევთ შესაძლებლად, განიხილოთ წერილი და გამოაქვეყნოთ გაზეთის ფურცლებზე.

პატივისცემით,

ლონდერ ცაავა,
აფხაზეთი მთავრობის მრჩეველთა
ბიუროს ხელმძღვანელი

# საზოგადოებას აქვს უნარი, სოროებში კი არ დააბრუნოს, არამედ პოლიტიკურად გააქროს ე.წ. ნაციონალური მოძრაობა!



**განვლილი ცხრაწლიანი კოშმარის შესახებ ყველამ ვიცით. ბევრმა პირადად იწვნია „ნაციონალების“ რეპრესიების სისასტიკე. ამ გამწარებულ ადამიანებს რომ უსმენ კაცი, ჟრუანტელი გივლის, — ნუთუ, ქართველმა ნეონაცისტებმა უკან მოიტოვეს „რაიხსკანცელარია“ და „გესტაპო“? ნუთუ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების შერჩევა ადამიანების მიმართ მოუთოკავი ზიზღის ნიშნით ხდება? ცალკეული პიროვნებები მედიასაშუალებებში გამოდიან და შესაძლებლობის ფარგლებში ამზეურებენ ბოროტების ფაქტებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის საკმარისი. დროა, ყველაფერს მიეცეს უმკაცრესი შეფასება, დროა, დანაშაულებრივმა რეჟიმმა იწვნიოს ხალხის რისხვა, თორემ, თუ წავუყრუეთ, ისევ შემოგვეხვევიან ყელზე და დაგვახრჩობენ. ამის სიმპტომები ნათლად ჩანს.**

ხომ გვახსოვს, **2012 წლის არჩევნების შემდეგ თავზარდაცემული „ნაციონალები“ როგორ შეძვრნენ სოროებში ქვეწარმავლებივით, ვინძლო ნაწამებ ხალხს შური არ ეძია, მაგრამ, როდესაც შეატყვეს, რომ ხელისუფლებამ ვერ გამოავლინა მტკიცე ნება, ვერც საზოგადოებამ მოახერხა, გამხდარიყო მონოლითური და შეუპოვარი ყოფილი რეჟიმის პოლიტიკურ მოუსავლეთში გასაგზავნად, გამოძვრნენ სამალავებიდან და დაუსჯელობისგან გათამამებულებმა დაიწყეს რევანშზე ფიქრი.** მართალია, რევანში „ნაცების“ აუხდენელი სიზმარია, მაგრამ, ერთი წამითაც რომ დავუშვათ ამ სიზმრის ახდენა, ყველანი ხომ ელექტრობოძებზე ჩამოკიდებული აღმოვჩნდებით?! რევანშიზმის არსი ხომ ძალაუფლების დაბრუნებაა, რათა შემდგომ დაიკმაყოფილო ცხოველური ინსტინქტები ადამიანების გვამებზე სიარულით, თუმცა რევანშისთვის პირობებია საჭირო. ამ საქმეში „ნაცები“ მხოლოდ ოკეანისგაღმელი მამების იმედად ვერ იქნებიან, მთავარი ხალხია. მაგრამ სრულიად საქართველომ იცის, ვინ არიან „ნაციონალები“, რომლებსაც ნიღაბი უკვე ჩამოხსნილი აქვთ და ამიტომ მათ, რა თქმა უნდა, ხალხის იმედი ვერ ექნებათ.

**ცოტა ხნის წინათ, 15 ნოემბერს, „ანექსიის საწინააღმდეგო“ უჭკუო ჩანაფიქრმა დაგვანახა საზოგადოების დამოკიდებულება ამ ნაცავანტურისტების მიმართ. 8-9 ათასიანმა, ოჯახის წევრების, ნათესავ-მეგობრებისა და გზასაცდენილი თანამოაზრეების მიტინგმა დედიშობილა გახადა საზოგადოების თანადგომის ილუსტრაციის უბადრუკი ჩანაფიქრი, თანაც ლოზუნგით: აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ანექსიის წინააღმდეგ!**

**ადამიანები გაოგნებული არიან: როგორ ბედავენ და ხმას იღებენ „ნაციონალები“ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, როდესაც ცხრაწლიანი მბრძანებლობის პერიოდში კონფლიქტების მოგვარების არანაირი მცდელობა არ ჰქონიათ, ნაბიჯი არ გადაუდგამთ მსოფლიო თანამეგობრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების შესაძლებლობების ასამოქმედებლად?! პირიქით — „მოახერხეს“ და უფრო მეტი ტერიტორია დაკარგეს.** განსაკუთრებით გულსატკენია კოდორის ხეობის ჩაბარება. აფხაზეთის ტერიტორიის ეს უმნიშვნელოვანესი ფორპოსტი გამუდმებულ იერიშს განიცდიდა მოწინააღმდეგის მხრიდან, მაგრამ კოდორის მოსახლეობის თავგანწირულმა ბრძოლამ შეუნარჩუნა დედასაქართველოს მისი ისტორიული ნაწილი.

**როგორ ბედავენ „ნაციონალები“ აფზახეთსა და სამაჩაბლოზე ხმის ამოღებას, როდესაც დაკარგული ტერიტორიებიდან დევნილებს ცხრა წლის განმავლობაში აბუჩად იგდებდნენ; ახალი წლის ღამეს, 31 დეკემბერს, სასტუმრო „ივერიის“ შენობიდან დევნილთა ოჯახებს, ჩვილ ბავშვებს, უმწეო მოხუცებსა და ომში დახეიბრებულებს ქუჩაში ყრიდნენ; თბილისში, გმირთა მოედანზე მოშიმშილე ომის ვეტერანებს არბევდნენ და მათი ოჯახის წევრ ქალბატონებს უმოწყალოდ სცემდნენ! რა დავარქვათ ამ ცინიზმის აპოგეას? — ალბათ, „ნაციონალების ბრძოლა“ აფხაზეთისა და სამაჩაბლოსთვის.**

2008 წლის ომი ხომ სხვისი იმედით დაიწყეს?! და ამერიკელებიც დაეხმარნენ — პამპერსები და სასმელი წყალი გამოუგზავნეს... სააკაშვილს ეგონა, სრულიად მსოფლიო ჩაერთვებოდა რუსეთთან ომში. შეშინებულებმა ბრძოლის ველზე მიატოვეეს უწვერ-ულვაშო ბიჭები, თვითონ კი ხოხვით გამოვიდნენ იქიდან და ოჯახებით გაიხიზნენ საქართველოდან. ახლა კი **სააკაშვილი გვეუბნება, ჩვენი შორსმჭვრეტელური და ორგანიზებული მოქმედება რომ არა, რუსები თბილისს აიღებდნენო. ხომ გაუგონარი ცინიზმია? ბავშვმაც კი იცის, რომ რუსეთს თბილისის აღება აზრადაც არ ჰქონია, თორემ არ გაუჭირდებოდა.**

15 ნოემბერს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ თუნდაც პატრიოტული იდეისთვის ხალხი „ნაციონალებს“ არ გაჰყვება. ადამიანებს ესირცხვილებათ მათ გვერდით ყოფნა. ბევრს რცხვენია, მაგრამ ყველას არა. რა თქმა უნდა, **არ რცხვენია „ნაციონალების“ ელიტას, ე.წ. პოლიტიკოსებს; მათ, უბრალოდ, უკანდასახევი გზა არ აქვთ. არ რცხვენიათ ე.წ. კოორდინატორებს, „უგვარსახელო მწერლებს“, სააკაშვილის კარის მომღერალ-მოცეკვავეებს — ყველას, ვინც სული გაყიდა 30 ვერცხლად და ერთგულად ემსახურა კერპს.** არ გაუმართლათ სააკაშვილის საძინებლის კართან თავიანთი რიგის მომლოდინე დედაკაცებს. ვინც მოასწრო სიამტკბილობა, ხომ მოასწრო; ვინც — არა, იმით მაინც ინუგეშებს თავს, რომ ახლოს იყო ოცნებასთან! ახლა იტყვის ზოგიერთი, — ჩვენ არაფერი ვიცოდით, უბრალოდ, პროფესიულ მოვალეობას ვასრულებდითო... არა, **ბატონებო, ე. წ. პოლიტიკოსებო, ექსპერტებო, მომღერლებო და მოცეკვავეებო, ბიზნესმენებო და შოუმენებო, განსაკუთრებით — ჟურნალისტებო! თქვენ ისევე აგებთ პასუხს 7 ნოემბერზე, 26 მაისზე, გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, სხვა უამრავი უდანაშაულო ადამიანის მკვლელობაზე, გაუპატიურებაზე, მასობრივ დახვრეტაზე და ა.შ., როგორც ნაციონალ-ფაშისტების ლიდერები და ბოროტების უშუალო შემსრულებლები! ვინ თქვა, რომ მორალური პასუხისმგებლობა უფრო ნაკლები ტვირთია, ვიდრე სისხლისსამართლებრივი?**

ამ კოჰორტაში განსაკუთრებული ადგილი ეკავათ **ტელეჟურნალისტებს** — აი, ნამდვილი ქამელეონები. რა თქმა უნდა, ყველა ასეთი არ არის, მაგრამ, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველაა. მათგან უმრავლესობა შევარდნაძის პერიოდში ელიტურ არხებზე „მოღვაწეობდა“, სააკაშვილის დროს ფავორიტები იყვნენ და აი, ბედის ირონია — ახლაც ოკუპირებული აქვთ ტელეეკრანები. გვარ-სახელების დასახელებისგან თავს ვიკავებ იმიტომ, რომ ერთეულებზე კი არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება, არამედ ტიპურ მოვლენაზე. საზოგადოებას მეხსიერება არ ღალატობს. ყველას კარგად ახსოვს, სააკაშვილის დროს ვის რა პოზიცია ჰქონდა; როგორ უტიფრად არქმევდნენ შავს თეთრს და თეთრს შავს. **ცალკე თემაა „რუსთავი 2“. მე თუ მკითხავთ, იქ დამლაგებელიც და დარაჯიც კი პასუხისმგებელია ჟოჟოხეთური იდეოლოგიური მანქანის დანაშაულებრივ, ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ საქმიანობაზე.** „რუსთავი 2“-ში მომუშავე ჟურნალისტებმა ადრეც იცოდნენ და ახლაც იციან, რომ კაციჭამია რეჟიმს ემსახურებოდნენ და, ფაქტობრივად, ყველა დანაშაულის თანამონაწილენი არიან. ისე, საინტერესოა, ადამიანურად, სამსახურს გარეთ — ქუჩაში, საზოგადოებაში, ოჯახში განიცდიან თუ არა დისკომფორტს თავიანთი საქციელის გამო ან სინდისის ქენჯნის შესახებ თუ გაუგიათ რამე? თუმცა, რომელ სინდისზეა საუბარი?! სხვათა შორის, საკმაოდ ბევრი ფიქრობს, რომ **„იმედიც“ და „მაესტროც“ გარეული არიან ამ გაუგებრობაში.** სხვანაირად არც შეიძლება იყოს. დრო შეიცვალა და მათ, ვისაც ეუხერხულა „რუსთავი 2“-ში ცხოვრება, ან გამოაგდეს იქიდან, როგორც უპერსპექტივო შემსრულებელი, ან ფერი იცვალეს, ცოტა — იმიჯიც, არამც და არამც მსოფლმხედველობა და ვითომ მწვავე თოქშოუებით „აბოლებენ“ საზოგადოებას. არაფერი გამოვა ამ საქმიდან. **როდესაც პრინციპები არ გაქვს, არც — პოზიცია, პროფესიონალიზმი კი უცხო ხილია შენთვის, უნდა იცოდე, რომ გაშიშვლებული ხარ და მხოლოდ იმიტომ ტივტივებ, რომ დროა ასეთი.**

იგივე ეხება ე. წ. შოუბიზნესის სამყაროს. **სააკაშვილის კარის მასხარები, მომღერალ-მოცეკვავეები და სხვა „მოღვაწეები“ უწინაც ხომ არხეინად გრძნობდნენ თავს, ახლა სულ „აგულავდნენ“. ვერ ვხვდები, თითქმის ყველა არხზე, ყველა გადაცემაში, ყველა ტელევიზიით, ყველა დროს მორგებულ არსებებს რატომ მიჰყავთ „სტოსი“?** როგორც წესი, გასართობ თუ პოლიტიკურ შოუებზე წამყვანები მხოლოდ ერთმანეთს იწვევენ და ლაღობენ, როგორც ოჯახურ წვეულებაზე. ამასაც აიტანს მაყურებელი, მაგრამ, როდესაც ერთმანეთის პირად ცხოვრებას უძღვნიან გადაცემებს, როგორ განწყობაზეა გადაცემის გმირი უზმოზე ან ნასადილევს, ეს უკვე მეტისმეტია. არადა, **წალეკა ქართული სატელევიზიო სივრცე პროვინციონალიზმის ჭაობმა, ერთი მუჭა არაპროფესიონალი სუბიექტების პარაპამა.**

**„ენჯეოებსა“ და ე. წ. ექსპერტებზე** უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა. ▶

**ბატონებო, ე. წ. პოლიტიკოსებო, ექსპერტებო, მომღერლებო და მოცეკვავეებო, ბიზნესმენებო და შოუმენებო, განსაკუთრებით — ჟურნალისტებო! თქვენ ისევე აგებთ პასუხს 7 ნოემბერზე, 26 მაისზე, გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, სხვა უამრავი უდანაშაულო ადამიანის მკვლელობაზე, გაუპატიურებაზე, მასობრივ დახვრეტაზე და ა. შ., როგორც ნაციონალ-ფაშისტების ლიდერები და ბოროტების უშუალო შემსრულებლები! ვინ თქვა, რომ მორალური პასუხისმგებლობა უფრო ნაკლები ტვირთია, ვიდრე სისხლისსამართლებრივი?**

## „რუსთავი 2“-ში მომუშავე ჟურნალისტებმა ადრეც იცოდნენ და ახლაც იციან, რომ კაციჭამია რეჟიმს ემსახურებოდნენ და, ფაქტობრივად, ყველა დანაშაულის თანამონაწილენი არიან. ისე, საინტერესოა, ადამიანურად, სამსახურს გარეთ, ქუჩაში, საზოგადოებაში, ოჯახში განიცდიან თუ არა დისკომფორტს თავიანთი საქციელის გამო ან სინდისის ქენჯნის შესახებ თუ გაუგიათ რამე?

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საზოგადოება მოითხოვს ახალ პარლამენტს, ისეთ პოლიტიკურ ორგანოს, რომელშიც მიღწეული იქნება ამომრჩეველთა რეალური ნების გამომხატველი პოლიტიკური ძალების ბალანსი; არა გაყალბებით გამოგონილი 40%-იანი ოპოზიცია, არა 60%-იანი სხვადასხვა ღირებულების მქონე ძალების კონგლომერატი, რომლის სუბიექტების პარლამენტში ყოფნა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის წყალობაა, არამედ სამართლიანი არჩევნების გზით მოსული ძალები საკუთარი პოზიციით, ფასეულობებითა და იდეოლოგიით

◀ესენი ხომ ობობებივით მოედნენ საქართველოს. ხომ ყველამ ვიცით, როგორი არასამთავრობოებიც არიან. ბევრი მათგანი, ფაქტობრივად, სააკაშვილის მთავრობის სტრუქტურა იყო თავისი შინაარსით, უფლებებითა და მოვალეობებით. ამათთვის სრულიად უცხოა პრინციპები და მორალი. ეროვნულობა ხომ, საერთოდ, სასაცილოდ მიაჩნიათ; დედას გაყიდიან, თუ „პარტიამ“ უბრძანა. ისე „ნაციონალებმა“ უნდა იცოდნენ, ალბათ, იციან კიდევაც, რომ ამ არსებების ნდობა არ შეიძლება. **საკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებებთან უზრად მყოფი ეს პატარა კაცუნები ორ შაურად გაყიდიან დღევანდელ პატრონს, კრიჭაში ჩაუდგებიან „ნაციონალებს“ და გაალმერთებენ სხვას, ვინც ერთი დოლარით მეტს გადაუხდის.**

რაც შეეხება **ექსპერტებს,** ერთის თქმა შეიძლება: **ამ პატარა საქართველოს რამდენი „ყველაფრის მცოდნე“ ადამიანი ჰყოლია, განსაკუთრებით — პოლიტიკაში.** ეს ხომ „უშველებელი პოტენციალია“ აღმშენებლობისთვის. საინტერესოა, სად ისწავლეს ექსპერტობა, საქართველოს რომელ უნივერსიტეტში? ღმერთმა დამიფაროს, ყველაზე ვამბობდე. არიან საქმის მცოდნე, ერუდირებული პიროვნებები, რომელთა ანალიზი და რეკომენდაციები ყურადსაღებია. ამ ჯგუფს, ალბათ, რამდენიმე კაცს თუ მიაკუთვნებ. ასი და ორასი ექსპერტი კი პაწაწკინტელა საქართველოში, ისიც ნებისმიერ თემაზე მოსაუბრე, რა უბედურებაა?! მათგან თითქმის ყველა იმით არის დაკავებული, რომ პატრონი — ჩაძირული „ნაციონალური მოძრაობა“ როგორმე ჭაობიდან ამოიყვანოს.

ასეთ რეალობაში ვიცხოვრეთ ათი წელიწადი. ასეც გაგრძელდებოდა, რომ არა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა, რომელმაც „ნაციონალებისთვის“ ბედის ბორბალი უკუღმა დაატრიალა. ბიძინა ივანიშვილი აღვირახსნილი ძალადობისა და სახელმწიფო ტერორის პირობებში ჩაუდგა სათავეში ქანცგამოლეულ, მაგრამ ბრძოლისუნარიან მოსახლეობას და მოხერხდა ურჩხულის დამარცხება. ნუ დაგვავიწყდება, ეს მოხდა მაშინ, როდესაც აშშ, ევროპა, მთელი დასავლეთი სამყარო, დიდი კაპიტალი, მოსყიდული პოლიტიკოსები და მედიასაშუალებები თავგამოდებით იცავდნენ სააკაშვილს და მის ქვეშევრდომებს.

სამწუხაროდ, იგივე გარე ძალები დღესაც ცდილობენ, ხელი გაუწოდონ წაქცეულებს და ფეხზე წამოაყენონ, მაგრამ დღეს სხვა ვითარებაა — დამხმარე ძალა გაილია, თითქმის არავინ დარჩა, თითო-ოროლა უსუსური სუბიექტის გარდა. საქართველოს სახელმწიფომ მოახერხა სერიოზული გარღვევა დასავლეთის მიმართულებით და დაარწმუნა მსოფლიო თანამეგობრობა, რომ ქვეყანა ურყევად ადგას დემოკრატიის გზას და იზიარებს ცივილიზაციის ჭეშმარიტ ღირებულებებს. შეუძლებელია, ხაზი არ გაესვას ქვეყნის ახალგაზრდა პრემიერმინისტრის — ირაკლი ღარიბაშვილის განსაკუთრებულ როლს. მან პირველივე დღიდან პრინციპული პოზიცია აირჩია — ზუსტად აფასებს მოვლენებს და იღებს სწორ გადაწყვეტილებებს. იგი გამოკვეთილი ლიდერია და, ჩვენი რთული დღევანდელობის პირობებში, საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება. ჰოდა, საზოგადოებამ არჩევანი გააკეთა ირაკლი ღარიბაშვილის სასარგებლოდ. შეიძლება ითქვას, რომ ხერხდება სიტუაციის დაბალანსება ქვეყნის შიგნითაც და მის გარეთაც. რა თქმა უნდა, არის თემები, რომელთა მიმართ საზოგადოებას უკმარისობის განცდა აქვს და მოთხოვნებიც, შესაბამისად, რადიკალურია. მათ შორის პრინციპულია სამართლიანობის აღდგენის საკითხი. დარწმუნებული ვარ, ყველა დამნაშავე დაისჯება, ოღონდ მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ და დაველოდოთ სიტუაციის მომწიფებას. გასაგებია, რომ ძნელია ამის აღქმა მათთვის, ვისაც პირადად შეეხო ტერორის სისასტიკე. მაგრამ სწორედ ამ ადამიანებმა, მათმა ოჯახებმა უნდა მისცენ მაგალითი საზოგადოების დანარჩენ წევრებს, რომ სჯობს, სამართლიანობის აღდგენის პროცესში გამოვიჩინოთ სიდინჯე და ვენდოთ მათ, ვინც ავირჩიეთ.

ძალიან მტკივნეულია **ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.** აქ პრობლემების სპექტრი მეტად ფართოა, მაგრამ ლაიტმოტივი მაინც დასავლეთის — აშშ-ის, ევროგაერთიანებისა და ნატოს, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, რუსეთის შესაძლებლობების გათვალისწინება და დაბალანსების აუცილებლობაა.

სინანულით ვიხსენებ იმ პერიოდს, როდესაც ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის, არასამთავრობო სექტორის, მედიის ყოველდღიური განხილვის საგანი იყო აფხაზეთი და სამაჩაბლო. ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე მომუშავე საპარლამენტო კომისია უწყვეტ რეჟიმში ამარაგებდა ხელისუფლების სტრუქტურებსა და საზოგადოებას შესაბამისი ინფორმაციითა და რეკომენდაციებით. განსაკუთრებით ყურადსაღებია საერთაშორისო ძალისხმევის გასააქტიურებლად მიმართული მოქმედებები. თუ დავაკვირდებით 1993 წლიდან 2003 წლამდე პერიოდის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების დინამიკას და ევროპული ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ იმხანად რეალურად მიმდინარეობდა ყველა დაინტერესებული მხარის დაახლოების მცდელობა. სამწუხაროდ, **ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლის დღიდან სრულიად მოიშალა ძლივს შეკოწიწებული, ისედაც მყიფე მოლაპარაკებების მოდელი. გათვლა „ნაციონალებს“ მარტივი ჰქონდათ: რუსეთთან მკვეთრი დაპირისპირება აშშ-ის მხარდაჭერის სანაცვლოდ და ამ გზით ძალაუფლების შენარჩუნება.**

საბედნიეროდ, ახალმა ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ კონფლიქტის მოგვარების სცენაზე რუსეთი სერიოზული მოთამაშეა და დაიწყო ამ მიმართულებით პერსპექტივის მოსინჯვა. უკრაინის, სირიისა და სხვა მაგალითებიდან ჩანს, რომ რუსეთი ყველაფრისთვის მზად არის, თუკი საკითხი მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეეხება;




ვერც შეგონებით დაახევინეს უკან და ვერც სანქციების შემოღების მუქარით. პირიქით, რიგ შემთხვევაში, დასავლეთი თვითონ იხევს უკან. ბარაკ ობამამ თავიდანვე განაცხადა რუსეთის გასაგონად, უკრაინის კრიზისში არ ვაპირებთ ძალის გამოყენებით ჩარევასო. ჩვენ კი ამდენი ხანია, კონფლიქტების პრობლემით პირდაპირ ვართ მიბმული მრისხანე მეზობელზე. **ნატოს კარი, ღია კი არა, ოდნავადაც არ არის შეღებული და ეს ისევ ობამას და სხვათა პირით გვითხრეს.** მეჩვენება, რომ ჩვენი ხელისუფლება ინერციით განაგრძობს „ნაციონალების“ მიერ აღებულ ნატოსკენ სწრაფვის კურსს. თითქოს მძევალი გახდა თავისივე რიტორიკისა ნატოში გაწევრების თაობაზე. **ამით კარგად სარგებლობენ „ნაციონალები“ და პოლიტიკური დებატების მიმდინარეობისას ენას უყოფენ ოპონენტებს — აბა, კიდევ ერთხელ თქვით, რომ ნატოში გინდათო. ხელისუფლება კი, ვინმემ არ იეჭვოსო, მოსწავლესავით სხაპასხუპით პასუხობს: ჩვენ ნატოში შესვლა თქვენზე მეტად გვინდაო.**

შთაბეჭდილება რჩება, რომ მითოსური ნატოს იქით გახედვა არ გვინდა. ერთადერთი კერპის იმედად ყოფნას, იქნებ სჯობს, შემოვიყვანოთ სხვა წონადი მოთამაშეებიც, რუსეთს ვგულისხმობ, და არ ვიყოთ მუდმივ შიშში, — ძია სემი არ განრისხდესო. მით უმეტეს, რომ დასავლეთის გავლენიანმა ლიდერებმა პირდაპირ გვითხრეს, რომ ნატოს გაფართოება უახლოეს პერსპექტივაში არ იგეგმება. ამ ფონზე, ხომ არ სჯობს, ჩვენც გამოვძებნოთ ნატოში „ამ ეტაპზე“ გაწევრებისგან თავშეკავების გამოხატვის ფორმა? რომ, ჩვენი მხრივ, მზად ვართ, გავიზიაროთ ნატოსა და დასავლეთის პოზიცია. და კიდევ — **აპელირება იმაზე, რომ ნატო ხალხის არჩევანია, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია, რადგან ყველამ კარგად ვიცით, ვინ, როდის, რა პირობებში ჩაატარა მოსახლეობის გამოკითხვა. მეეჭვება, ახლა რეფერენდუმი რომ ჩატარდეს, ისეთივე შედეგი მივიღოთ, როგორიც ადრე.**

დევნილების მიმართ დამოკიდებულებაშიც არის, ჩემი აზრით, პრობლემები. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან რადიკალურად შეიცვალა დევნილების მიმართ სახელმწიფოებრივი მიდგომა. ფაქტია, რომ თითქმის ყოველდღიურად იზრდება მათი საცხოვრებელი ფართობი, ხორციელდება ჯანდაცვის ახალი ღონისძიებები, გაიზარდა ყოველთვიური შემწეობის თანხა და სხვა, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ადამიანებს აქვთ მოთხოვნა და უნარიც, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა. გარწმუნებთ ყველას, რომ **დევნილ მოსახლეობას აქვს უდიდესი სამეცნიერო-ტექნიკური, შემოქმედებითი პოტენციალი, რომლის სრულად რეალიზაციას პირობები ესაჭიროება და ამ პირობების დიდი ნაწილი ხელისუფლების სტრუქტურებმა უნდა შექმნან.**

დღეს ბევრს საუბრობენ **რიგგარეშე არჩევნებზე.** იქნებ, მართლაც ღირს იფიქროს ხელისუფლებამ ამაზე. ჩანს, რომ **საზოგადოება ითხოვს ახალ პარლამენტს, ისეთ პოლიტიკურ ორგანოს, რომელშიც მიღწეული იქნება ამომრჩეველთა რეალური ნების გამომხატველი პოლიტიკური ძალების ბალანსი. არა გაყალბებით გამოგონილი 40%-იანი ოპოზიცია, არა 60%-იანი სხვადასხვა ღირებულებების მქონე ძალების კონგლომერატი, რომლის სუბიექტების პარლამენტში ყოფნა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის წყალობაა, არამედ სამართლიანი არჩევნების გზით მოსული ძალები საკუთარი პოზიციით, ფასეულო-ბებითა და იდეოლოგიით.**

სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ: ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში, ალბათ, არასოდეს გვყოლია ისეთი საკანონმდებლო ორგანო, რომლის ძალთა სპექტრი სრულყოფილად ასახავდა საზოგადოების განწყობას, მის აზრს. ასე რომ არ იყოს, რა ესაქმება პარლამენტში „ნაციონალურ მოძრაობას“? ან პირიქით — რატომ არ არის პარლამენტში ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური პარტია, რომელიც მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსთა და მოღვაწეთა, პატრიოტ-ინტელექტუალთა გუნდია; ან ეროვნული ორიენტაციით ცნობილი „პატრიოტთა ალიანსი“, ან ლეიბორისტული პარტია, რომელსაც ჰყავს თავისი მხარდამჭერები? ყველას უნდა მიეცეს თავის დამკვიდრების შანსი. ხალხი ბრძენია და სწორ არჩევანს გააკეთებს. ამისთვის დროულია რიგგარეშე არჩევნების ჩატარება. **იქნებ, პირველად ჩვენს ისტორიაში, მივიღოთ საკანონმდებლო ორგანო, რომელიც სრულად გამოხატავს და დაიცავს მოსახლეობის ინტერესებს.**

დღევანდელი დღის თავისებურება არის ის, რომ „ნაციონალური გველეშაპი“ წაქცეულია, მაგრამ ერთი თავი ბოლომდე არ არის მოკვეთილი და საფრთხეს უქმნის მონაპოვარს.

ამ ერთი თავის მოსაკვეთად და გველეშაპის საბოლოოდ გასანადგურებლად ახლა უკვე ხალხი, საზოგადოება უნდა აღდგეს და რისხვა დაატეხოს სისხლისმსმელებს. როდესაც ხელისუფლება შეზღუდულია რადიკალური ზომების გამოყენებაში, ვინ უშლის ადამიანებს, საზოგადოებას, თავისი რესურსი უკეთურობის წინააღმდეგ მიმართოს?

მიმაჩნია, რომ მხოლოდ ზნეობრივი მეთოდებით და არა — ძალადობრივი გზით, საზოგადოებას აქვს უნარი, სოროებში კი არ დააბრუნოს, არამედ პოლიტიკურად გააქროს ე. წ. ნაციონალური მოძრაობა. **მრავალათასიანი საპროტესტო აქციები მათ ოფისებთან ქალაქებსა და რაიონებში, ასევე მათ სრა-სასახლეებთან და ეზო-კართან, ყველა მათი განცხადებისა და ცალკეული გამოსვლების ანალიზი და გამომზეურება, სისხლიანი რეჟიმის 9-წლიანი პერიოდის სისასტიკის ფაქტების გასაჯაროება, „ნაციონალების“ მხარდამჭერი სუბიექტების ქცევის გამომზეურება, ტელე, რადიო და პრესის საარქივო მასალების ანალიზი და გამოტანა საზოგადოების სამსჯავროზე და სხვ. — აი, ჩემი აზრით, ის რესურსი, რომელიც საზოგადოებას აქვს და ვერავინ დაუშლის მის ამოქმედებას.** რა თქმა უნდა, აქ ჩამოთვლილი მეთოდები მხოლოდ მცირე ნაწილია საზოგადოების რისხვის სრულად გამოსახატავად. ***ეს რისხვა დიდი ძალით უნდა გადმოვიდეს საერთაშორისო თანამეგობრობისა და „ნაციონალების“ მიერ მოსყიდული ოკეანისგაღმელი სუბიექტების დასანახად.***

რა თქმა უნდა, ეს არ არის მარტივი საქმე. სურვილი და პოტენციალი არსებობს საზოგადოებაში, მაგრამ მათ ამოქმედებას ორგანიზებულობა სჭირდება. იქნებ მოხერხდეს თანამოაზრე საზოგადოებრივი ძალების, ორგანიზაციების, ცალკეული ადამიანების ძალისხმევის გაერთიანება და საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც შეძლებს სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბებას.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სისხლის ღვრისა და ძალების უკიდურესი დაძაბვით ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედინზე მდგომმა საქართველომ პოლიტიკური გამჭრიახობით, გადარჩენის და აღორძინების სწორი მიმართულების არჩევით, მსოფლიოს უძველესი კულტურის მქონე ხალხთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა, რაც ყველა ქართველისთვის ისეთი საამაყოა, რომ ამ ერს არ ეკადრება, ევროპულ ან სხვა გაერთიანებას მიეტმასნოს.**

# საქართველო, უპირველეს ყოვლისა!

## ანუ რატომ ჰგავს საქართველოს დღევანდელობა მონღოლთა ბატონობის პერიოდს

**საუკუნეები ზოგჯერ ისე ახლოს მოდიან, რომ გეჩვენება, თითქოს შენს ცხოვრებაში შემოიჭრნენ და, თუ კარგად დააკვირდები, მიხვდები, რომ, წარსულთან შედარებით, ბევრი არაფერი შეცვლილა, ფასადის ცრუდემოკრატიით მოპირკეთებისა და ცირკის ჟონგლიორის ოსტატობით ხალხის მოტყუების მდიდარი გამოცდილების გამოყენების გარდა.**





გივი სომხიშვილი

ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ მისი უპირველესი და უსპეტაკესი მოვალეობა სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვაა. კუჭის კარნახით გაზულუქება, ერისა და ქვეყნის დაკნინების ხარჯზე საკუთარი არსებობის უზრუნველად მოწყობა არის ღალატი და ამ ცდუნებას აყოლილი ადამიანი ბოლოს ხალხის საძულველ მუხთალთა სანაგვეში ამოყოფს თავს.

**ჩვენი დღევანდელი ფსევდოდამოუკიდებლობა მონღოლთა ბატონობის პერიოდს წააგავს, საქართველოს მეფე რომ დაუტოვეს და ყველა უფლება ჩამოართვეს,** ევალებოდათ მონური მორჩილება და მონღოლთა ბრძანებების განუხრელად შესრულება; მათ დაპყრობით ომებში ქართველი მეფეები ქართული ჯარით მონაწილეობდნენ; პირველი სისხლიც ქართველებისა იღვრებოდა; იტანჯებოდა, იძარცვებოდა და ნადგურდებოდა ხალხი; უამრავი მედროვე სამშობლოს ღალატის საფასურად იხვეჭდა ქონებას; ვინ ჩამოთვლის სადუნ მანკაბერდელისა და უთლუ ბუღას მსგავსთ, საქართველოს ორგანიზმს მკბენარივით რომ ესეოდნენ?!

დიმიტრი თავდადებულსაც მეფე ერქვა, მაგრამ მონღოლთა სამსახურში მყოფს ფრთები ჰქონდა შეკვეცილი, ხალხმა კი არ იცოდა, როგორ იყო შებოჭილი უამრავი მოღალატითა და მონღოლთა მსტოვრებით გარემოცული. მისი ამქვეყნად ყოფნა და მეფობა შეიძლებოდა, უფერულად დამთავრებულიყო, ბედს მკაცრი გამოცდა რომ არ მოეწყო. მანაც ხალხს დაანახა, სამშობლოსა და ერის სიყვარულით როგორი ანთებული გულის მფლობელი იყო და ამის გამო უკვდავების შარავანდედით შეიმოსა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქართველმა ერმა მუხთალთა და გამყიდველთა მრავალი მწარე კბენა იგემა, მაგრამ ფიზიკური მოსპობის მცდელობათა მკაცრი წლები ერთგულ მამულიშვილთა თავდადებით გადაიტანა. **სისხლისღვრისა და ძალების უკიდურესი დაძაბვით ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედინზე მდგომმა საქართველომ პოლიტიკური გამჭრიახობით, გადარჩენის და აღორძინების სწორი მიმართულების არჩევით მსოფლიოს უძველესი კულტურის მქონე ხალხთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა, რაც ყველა ქართველისთვის ისეთი საამაყოა, რომ ამ ერს არ ეკადრება, ევროპულ ან სხვა გაერთიანებას მიეტმასნოს**. დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებმა ცოტა ხნის წინათ დინების საწინააღმდეგოდ ცურვის გამო შევაშფოთეთ დასავლეთი და ამის გამო კეთილისმყოფელად შემოგვასაღეს ქართველი ერის უბედურებად შობილი, მუხთლობითა და ვერაგობით სატანადქცეული შევარდნაძე, რომელმაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა უბედურებად გვიქცია — ისეთი საშინელება გაწვრთნა „ნაციონალურ მოძრაობად" წოდებულ მუხთალთა სახით, რომ წარსული საზარელი დღეები გაახუნა.

დღევანდელ მსოფლიოში კი ბობოქრობენ თანამედროვე მონღოლები, რომელთათვისაც არასასურველი ხელისუფლების მაიდნის მეთოდით დამხობა პრობლემა არ არის, რადგან გაუსაძლის პირობებში მცხოვრები და იდეოლოგიური დივერსიით მოწამლული ადამიანების გადაბირება არ უჭირთ. მაიდნელებსაც ურემს გამობმული გოშიასავით ეგონათ, რომ ურემს ისინი მიაგორებდნენ და გამარჯვების შემდეგაც განაგრძობდნენ მაიდნელობას დასავლეთისგან ორცხობილებისა და ამერიკული დოლარების კვლავ მიღების სურვილით, მაგრამ ვერ გათვალეს, რომ საჭირონი აღარ იყვნენ და ერთი ხელის აქნევით ბეღურებივით დააფრთხეს ყოფილმა მფარველებმა. უკრაინელებს ნეოფაშისტი ვანდალების პარპაშად დაუჯდათ ანტირუსულ-ანტიმართლმადიდებლური ფსიქოზი. ჯერ კიდევ არავინ იცის, რა ძალის ბუმერანგად დაუბრუნდებათ მათი მფარველობა ევროატლანტიკურ ელ-გე-ბე-ტე დემოკრატებს.

**ზოგს მართლა ჰგონია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრობს და ხელისუფლებისგან იმაზე მეტს ელოდება, რაც მას შეუძლია. იმას კი ვერ ამჩნევენ, რომ მონღოლთა ნოინივით ჩამომჯდარი ამერიკის ელჩი ხელისუფლების სამზარეულოს ყველა ქვაბში უბოდიშოდ ყოფს ცხვირს, რათა მისი გემოვნებისთვის შეუფერებელი კერძი არ მოამზადონ და ნამდვილი ქართული, მადლიანი და გემრიელი სიკეთით სავსე ქვაბი არ შემოდგან მამაპაპურ შუაცეცხლზე.**

**ეს ის ამერიკაა, რომლის პრეზიდენტი თავის ყველაზე დიდ მიღწევად ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას რომ თვლის. ჩვენ კი ამ ქვეყანას სტრატეგიულ პარტნიორს ვეძახით და, თუ ხელი ჩამოგვართვა, სიხარულით საკუთარ თავს ვახტებით.**

კალიგულამ ერთ სენატორს ჰკითხა: შენს დასთან სქესობრივი კავშირი ხომ გაქვსო? დიდად შეწუხებულმა სენატორმა უპასუხა, — ჯერ არაო. ჰოდა, თუ ობამა ხელის ჩამორთმევისას შეგეკითხებათ, ერთსქესიანთა ქორწინება თუ დააკანონეთო, რომაელი სენატორივით სირცხვილი რომ არ ჭამოთ, ჰომოსექსუალიზმის მომხრეები ერთმანეთზე დაქორწინდით, მათი აღლუმიც მოაწყვეთ, რომელსაც სიამოვნებით დაესწრება ბარაკ ობამა და ყველა ევროატლანტიკური პედერასტი მინისტრი.

ამ ადამიანების მორალურ, ზნეობრივ, სულიერ და სქესობრივ გადაჯიშებაში ბოლომდე რომ გავერკვეთ, გავიხსენოთ რომის პაპისა და მისი კარდინალების მიერ ჰომოსექსუალების შესახებ მიღებული უფლისმაგინებელი და სატანისმადიდებელი კანონი ერთსქესიანთათვის ქორწინების უფლების მიცემაზე: „მათ აქვთ ღვთისგან მინიჭებული განსაკუთრებული მადლი, რომელიც ქვეყნიერებას გამოადგება". ამის შემდეგ ლესბოსელთა და პედერასტთა გარყვნილების ამბავს რომ მოვისმენთ, უნდა ვთქვათ, თქვე მადლიანებოო.

ამ კანონის მიღებით რამხელა შვებას იგრძნობდა სული რომის პაპის — სიქსტ მეოთხისა, თავისი დალაქის თოთხმეტი წლის ბიჭს რომ ყვარობდა და ბრალი ედებოდა თავის ვაჟთან უზნეო კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ რომის კათოლიკური ეკლესიის საჭეთმპყრობელნი ჰომოსექსუალურ სიბინძურეში ღრმად იყვნენ ჩაფლულნი, მაინც ცდილობდნენ, საზოგადოებისთვის დაემალათ თავიანთი გარყვნილება, რადგან ეს ხალხისთვის ფრიად მიუღებელი იყო. ახლა კი, რომის პაპისა და მისი კარდინალების აზრით, ეს თურმე ღვთისგან მინიჭებული განსაკუთრებული მადლი ყოფილა, რომელიც ქვეყანას გამოადგება.

ზუსტად არავინ იცის, ასოცირების ხელშეკრულებით ჩვენგან რას მოითხოვენ ევროატლანტიკელი „მეგობრები", მაგრამ ერთი რამ ცხადია: თვითონაც გაკვირვებული იქნებიან, — დიდი ბრიტანეთი გასვლას აპირებს ევროკავშირიდან, ამ ქართველებმა კი ისეთი რა დაინახეს, ამ გაერთიანებაში შემოსვლას რომ აპირებენო. ამერიკელთა ელჩი ჩვენ მიერ დამოუკიდებლობად წოდებულ ფაფუხურს მოხეტიალე ცირკის წარმოდგენად აღიქვამს. „თქვენი კულტურა არ მაინტერესებს!" — გაიძახის აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი. იელოველებს ავიწროვებთო, — გვაჯარიმებენ. არადა, მაგათმა ნებიერმა „ნაცებმა" მართლმადიდებელ ეკლესიას ავტომობილით რომ შეუნგრიეს კარი და მრევლს ცხვირპირი უჟეჟეს, ყურიც არ შეუბერტყავთ.

**დღეს ზოგი ვერ ხვდება, რომ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ნათქვამი თუ დემოკრატიულობის ნიღაბს ამოფარებული კბენის მცდელობა ქართველი ერის საამაყო ტრადიციებით შედუღაბებული ერთიანობის მძლავრი საძირკვლის დაშლის სურვილია, რადგან ყოველივე წმინდა, რაც ამშვენებს ქართველ ერს, მართლმადიდებლობის ფესვებიდან მოდის.**

მართლმადიდებლური ეკლესიის როლზე ახლა ალაპარაკდა უცხოეთს თავშეფარებული სააკაშვილი, რომელმაც მისი მუხთალი არსებობისთვის დამახასიათებელი ღალატი ჩაიდინა — ყველა კონფესიას იურიდიული სტატუსი მიანიჭა და მართლმადიდებლობას გაუთანაბრა.

დღეს, როცა ქვეყანას მუმლივით დასევია უცხოეთიდან დაპროგრამებული პარტიები თუ ევროატლანტიკურ ტურზე მოჭიდებული ▶

მსოფლიო



ეშტონ კარტერი

## ჩაკ ჰეიგელი, შესაძლოა, ეშტონ კარტერით ჩაანაცვლონ

**დასავლური მედიის თანახმად, ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა პენტაგონის ხელმძღვანელად 60 წლის ეშტონ კარტერის წარდგენას გეგმავს.** კარტერი ამ თანამდებობაზე ჩაკ ჰეიგელს ჩაანაცვლებს, რომელმაც გადადგომის შესახებ რამდენიმე დღის წინათ გამოაცხადა. წყაროს ცნობით, ამ თანამდებობაზე ასევე განიხილავდნენ აშშ-ის შიდა უსაფრთხოების მდივანს ჯეჰ ჯონსონსაც, თუმცა მისი კანდიდატურის განხილვა შეწყდა. კარტერი ბოლო წლების განმავლობაში პენტაგონში მაღალ თანამდებობებზე მსახურობდა. 2011-2013 წლებში იგი თავდაცვის მდივნის მოადგილე იყო, 2009-2011 წლებში კი პენტაგონის მიერ იარაღის შესყიდვებს ხელმძღვანელობდა.



ჩაკ ჰეიგელი

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დღეს ბევრი ვერ ხვდება, რომ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ნათქვამი თუ დემოკრატიულობის ნიღაბს ამოფარებული კბენის მცდელობა ქართველი ერის საამაყო ტრადიციებით შედუღაბებული ერთიანობის მძლავრი საძირკვლის დაშლის სურვილია, რადგან ყოველივე წმინდა, ქართველ ერს რომ ამშვენებს, მართლმადიდებლობის ფესვებიდან მოდის.

**წლებია, პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია ბრძნული და ნათელი აზრებით გვიჩვენებს საქართველოს გამთლიანებისა და აღორძინების ჭეშმარიტ გზას, რომელზე დადგომაც აყვავებულ და განვითარებულ ქვეყნად აქცევდა საქართველოს. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მისი რჩევები ცხოვრებაში გამოეყენებინათ და ეს შესანიშნავად მოაზროვნე მამულიშვილი მხარში ამოეყენებინათ, მტრად მოეკიდნენ. შედეგად, დანაწილებულ-დაკნინებული საქართველო და გამთლიანებაზე ჰორიზონტივით მიუწვდომელი ოცნება შემოგვრჩა**

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებად წოდებული ზომბირებული დემაგოგები, ქართველ ერს იმედად ჰყავს სულიერი წინამძღოლი — უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც ეროვნული სიწმინდეების დაცვის ბურჯად დგას და ყველა ქართველთმოძულეს სულშიჩამწვდომი მართალი სიტყვის ძალით თვალს უბრმავებს. არც აჟივჟივებული, ქართველ პოლიტიკოსებში ქვეყნის ნამდვილი ერთგულის გამორჩევა ეშლება. ამიტომაა, რომ ნდობას უცხადებს ქართველი ერის საკეთილდღეოდ შიშველი მახვილივით შემართულ ახალგაზრდა პრემიერს, რომელსაც ხალხიც ესოდენ ენდობა.

„ქართულ ოცნებას" კი რამდენი და რა სახის მუხთლობა ღრღნის, ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ამოტივტივებულა ზედაპირზე. **„ნაციონალურმა მოძრაობამ" ხალხს ისე შეაძულა თავი, რომ ამერიკელებიც კი დარწმუნდნენ, ხელისუფლებაში მათი შენარჩუნებით საბოლოოდ ჩამოხეოდათ დემოკრატიის დამცველის ნიღაბი. სამაგიეროდ, ამერიკელებმა ე.წ. კოაბიტაციით გააკეთეს ის, რაც სურდათ — „ქართულ ოცნებაში" „თავისუფალი დემოკრატების", რესპუბლიკელებისა და მათი მსგავსი ნულოვანი რეიტინგის მქონე პარტიები დაყოვნებული მოქმედების ნაღმებივით შეალაგეს.**

ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობს ქართველი ახალგაზრდების მოწამვლა ანტიეროვნულობის, ცრუდემოკრატიისა და გარყვნილების შხამით, ამას კი უცხოეთის ორცხობილაზე გაყიდული ქართველები აკეთებენ.

„ნაციონალთა" მიერ ჩადენილ ღალატზე, ქვეყნის დაქცევა-დაქუცმაცების მცდელობასა და ქართველი ერის გადაგვარებისთვის გაწეულ ღვაწლზე აღარაფრის თქმაა საჭირო, რადგან ყველაფერი ცნობილია. ახლა მათი ბოროტების ნაყოფები პარლამენტში სხედან და კვლავ უსირცხვილოდ ყრანტალებენ; ხელისუფლების ხელში ჩაგდება ელანდებათ ქართველი ერის საბოლოოდ გადასაგვარებლად.

უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასცდა სიბინძურის პარკუჭად ქცეული რესპუბლიკელი **ლევან ბერძენიშვილი.** ვინ შეიძლება იყოს ილიას, აკაკის, ვაჟას, ლადო ასათიანის სპეტაკი ხსოვნის გასვრის მსურველი, თუ არა მუხთლის თესლი, რომელსაც ტრიბუნა არ მოჰკლებია არც შევარდნაძისა და სააკაშვილის პერიოდებში და არც ამჟამად?

**ან როგორ მიეტმასნა „ქართულ ოცნებას" ალასანია? ეს ევროატლანტიკური ნაღმი ხელისუფლების დაშლას რომ იმედოვნებდა, აფეთქდა, მაგრამ, ალასანიას ამბიციების გარდა, ვერაფერი იმსხვერპლა. პულტი თვითონ ეჭირათ, მაგრამ ვერ მიხვდნენ, რომ ნაღმზე ისხდნენ. დაიწვეს კიდეც საჯდომები და მათი დასადები ადგილები მათთან უნდა მოიკითხონ, ვისი სამსახურითაც ესოდენ შეირცხვინეს თავი.** არადა, ცრუპენტელობით, მეტიჩრობითა და თავხედობით აგვიკლეს. **ალასანია პრეზიდენტობის იმედის გაქარწყლებამ გაანაწყენა. თავდაცვის მინისტრად თავი ერთპიროვნულ გამგებლად წარმოიდგინა და ენერგიულად ქექა ნაცარი.** შემაღლებული ადგილი არ დატოვა შეხტომისა და ყვინჩილასავით დაყივლების გარეშე. საქართველო მზად არის სირიელი მეამბოხეების გასაწვრთნელადო, — განაცხადა მთავრობის დაუკითხავად და ამით თავისი მფარველი ამერიკელებიც კი გააკვირვა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის შერცხვენაში ხომ პირდაპირ მიგნება გამოდგა **ქალბატონი ფანჯიკიძე.** ჯერ იყო და, ბალტიისპირეთში ისეთი სისულელე ილაპარაკა, კინაღამ მეზობლები გადაგვკიდა, შემდეგ — ნატოს საწრთვნელი ცენტრი უნდა შემოვიტანოთო. მოკლედ, ვერ გაარკვია, ხალხის მიერ არჩეული მთავრობის მინისტრი რომ იყო და არა — ნაცისტების მსახური.

ალბათ, ერთადერთი ქვეყანა ვართ, ევროინტეგრაციის მინისტრი რომ გვყავს და ისიც შემოგვწყრა, — ამერიკელთა მიერ გაპაპაჯორებული ალასანია რატომ მოხსენითო და გადადგა. ნეტა რის მაქნისი იყო ეს საცოდავი?!

**ირაკლი ღარიბაშვილმა კი დაამტკიცა, რომ პირდაპირი, მართალი და უკომპრომისოა თავგასულთა მიმართ — ალასანიას მოხსნითა და მისი ამალის გაბუნძულებით ყველა ჭეშმარიტ ქართველს მოფხანა გული;** დაამტკიცა, რომ მას დესტაბილიზაციის მუქარის არ ეშინია, რადგან ხალხს მისი სწამს. დაე, დესტაბილიზაციის ჭაკზე გადაჯდომის ყველა მსურველმა იცოდეს, რომ ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ქართველი ერის ღირსეული მამულიშვილების გამარჯვებით დამთავრდება, რამეთუ უცხოეთის ლაქია პარტიებისა და პიროვნებების საქმენი ბოლომდე იშიფრება.

ანტიქართულ ბუკეტს როგორ შეიძლება გამოაკლდეს „თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ გამოზრდილი ფუმფლო, რომელსაც პრეზიდენტობა უწყალობეს — რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიის საკითხზე აღშფოთებულმა, არასამთავროებთან კონსულტაციებს გავმართავო. **შე კაი ადამიანო, ხალხის დასანახად რომ ბობოქრობ, ერთი რუსეთის პრეზიდენტს დაელაპარაკე, არაფრისმომცემი კონსულტაციებით თავბრუს რომ გვახვევ.** ისე კი, საეჭვოა, ფუმფლოს ვინმე ენდოს. აი, მისი აბდაუბდა გამოსვლიდან „ბრძნული" გამონათქვამი: „ვთხოვ საქართველოს პატრიარქს და სხვა კონფესიებს, მათ ხელს არსებული საშუალებით, არ დაუშვან მცირე ერების ასიმილაცია!" გასაკვირია პირდაპირ! ამ უპრობლემო საქართველოში ეს ერთადერთი პრობლემა როგორ გამოჩხრიკა?! მოკლედ, თუ ეს გზააბნეული დროზე არ ჩაბარდა პატრონს, გასართობი არ მოგვაკლდება.

საქართველოში პოლიტიკური ვნებათაღელვის დუღილის შედეგად ბევრი ქართველთმოძულე ამოტივტივდა და ბევრიც გამოჩნდება, მაგრამ მათ ქართველი ხალხი ადგილს მუხთალთა სანაგვეზე მიუჩენს. ახლა კი ყველა უდღეური დუჟმორეული ებრძვის „ქართული ოცნების" ჯანსაღ ნაწილს. **განსაკუთრებული ღვარძლით უტევენ ირაკლი ღარიბაშვილს, რომლის შეუბღალავი ავტორიტეტი ისე უბნელებთ თვალს, როგორც უკუნეთში აგიზგიზებული კოცონი — ბნელეთის მოციქულებს.**

ორი წელი გავიდა და „ქართულ ოცნებას" დაპირებების შეუსრულებლობას ედავებიან ის ადამიანები, რომლებმაც საქართველო დააქციეს. ყოფილი და ახალი პრეზიდენტები, სასამართლო, ტელევიზიები, ძალოვანი სტრუქტურების ბევრი წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაციები შეფარულად თუ აშკარად „ნაციონალების" ყიყინზე როკავენ. სიცრუით, დემაგოგიით, ცილისწამებითა და თავხედობით იქაფებენ პირს. ხალხი კი ყველაფერს ვერ ხვდება, რა მძიმე და დაძაბულ ბრძოლას ეწევა „ქართული ოცნება" უცხოეთის მიერ განებივრებულ, მოღალატეებთან.

**ფაშისტებისთვის ნიურნბერგის სასამართლო რომ არ მოეწყოთ და კაცობრიობის საზარელი ჭირი არ აეკრძალათ, ფაშიზმი ევროპას წალეკავდა. ჩვენთან კი ამ უბედურებას — „ნაცმოძრაობას" ევროატლანტიკური მფარველები ისე ანებივრებენ, რომ, თუ მათი თავხედობა კვლავაც გაგრძელდა, ხალხი სამართალდამცავ ორგანოებს აღარ დაელოდება და მათ დამსახურებისამებრ მიუზღავს.**

კუბლაშვილის სასამართლომ კოდორის ხეობის გმირი დამცველის — ემზარ კვიციანისთვის თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთის მისჯით კიდევ ერთხელ დაგვანახა კოაბიტაციით განებივრებულთა ზღვარგადასული თავხედობა, რომლებიც ხელისუფლების ავტორიტეტის დასამცრობად თემიდის მახვილს უკუღმართად იქნევენ.

ქართველ ხალხს კი აუხდენელ ოცნებად ექცა ერთიან, გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრება, რომელიც რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის გარეშე შეუძლებელია. ჩვენთვის გამთლიანების გზის მაჩვენებელი უნდა იყოს ის, რაც კათოლიკოს-პატრიარქმა „როსიისკაია გაზეტას" ჟურნალისტ ალექსანდრე იაროშენკოს უთხრა: **„ჩვენ, პირველ რიგში, სულიერად ერთი ხალხი ვართ, ერთი ეკლესიის წევრები... გადაეცით რუსეთს ჩემი საუკეთესო სურვილები და კეთილგანწყობა. დიახ, ლანძღვა-გინებით კი არა, კეთილი სურვილებითაა საჭირო რუსეთის პრეზიდენტთან საერთო ენის გამონახვა".**

წლებია, პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია ბრძნული და ნათელი აზრებით გვიჩვენებს საქართველოს გამთლიანებისა და აღორძინების ჭეშმარიტ გზას, რომელზე დადგომაც საქართველოს აყვავებულ და განვითარებულ ქვეყნად აქცევდა. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მისი რჩევები ცხოვრებაში გამოეყენებინათ და ეს შესანიშნავად მოაზროვნე მამულიშვილი მხარში ამოეყენებინათ, მტრად მოეკიდნენ. შედეგად, დანაწილებულ-დაკნინებული საქართველო და გამთლიანებაზე ჰორიზონტივით მიუწვდომელი ოცნება შემოგვრჩა.

ამიტომაა საჭირო ალექსანდრე ჭაჭიას მსგავსი მამულიშვილების გაერთიანება, რომელთა დევიზი იქნება: საქართველო, უპირველეს ყოვლისა!

**ROGORA MIETMASNA «ქართულ ოცნებას» ალასანია? ეს ევროატლანტიკური ნაღმი ხელისუფლების დაშლას რომ იმედოვნებდა, აფეთქდა, მაგრამ ალასანიას ამბიციების გარდა, ვერაფერი იმსხვერპლა. პულტი თვითონ ეჭირათ, მაგრამ ვერ მიხვდნენ, რომ ნაღმზე ისხდნენ. დაიწვეს კიდეც საჯდომები და მათი დასადები ადგილები იმათთან უნდა მოიკითხონ, ვისი სამსახურითაც ესოდენ შეირცხვინეს თავი**

**გივი სომხიშვილი**
მწერალი, დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატი, აკადემია „აია"-ს ნამდვილი წევრი



## ლაუტენის თანამდებობა ობამას ქალიშვილების კრიტიკას გადაჰყვა

**აშშ-ის კონგრესის თანამშრომელმა ეზიაბეტ ლაუტენმა თანამდებობა დატოვა. მისმა კრიტიკამ პრეზიდენტის შვილების მიმართ სკანდალი გამოიწვია.** საზოგადოების ნაწილმა და მედიამ რესპუბლიკელი ლაუტენი დაადანაშაულა. მათი აზრით, ელიზაბეტმა თავს უფლება მისცა და სოციალურ ქსელში გადაჭარბებულად შეაფასა 16 და 13 წლის გოგონების ჩაცმულობა. ლაუტენმა ობამას ოჯახს ბოდიში მოუხადა, როგორც აღნიშნა, მოზარდობის ასაკში, თვითონაც არ ისურვებდა მსგავსი კრიტიკის ობიექტად ყოფნას. „მრავალი საათის განმავლობაში ვკითხულობდი ლოცვებს, ვესაუბრე მშობლებს, გადავიკითხე ჩემი სიტყვები ინტერნეტში და ახლა უკვე ნათლად ვხედავ, რამდენად მავნე იყო ჩემი სიტყვები", — განაცხადა ლაუტენმა. შეგახსენებთ, რომ ლაუტენმა, რომელსაც კონგრესმენ სტივენ ფინჩერის ურთიერთობების განყოფილების დირექტორის თანამდებობა ეკავა, Facebook-ში დაწერა: „ძვირფასო საშა და მალია, მესმის რომ რთულ, გარდატეხის ასაკში იმყოფებით, მაგრამ თქვენ ქვეყნის პირველი ოჯახის წევრები ხართ და არ უნდა გამოიყურებოდეთ ისე, თითქოს ბარში მიდიხართ. მინიმუმ, პატივი ეცით როლს, რომელსაც ასრულებთ".





## ამერიკულმა ჟურნალმა Time-მა პუტინი წლის ადამიანად დაასახელა

ამერიკულმა ჟურნალმა Time-მა ვლადიმერ პუტინი წლის ადამიანად დაასახელა, **რაც საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა.** ჟურნალის გარეკანმა პუტინის ფოტოთი და წარწერით „პირველი თანასწორთა შორის" ინტერნეტმომხმარებლები გააოცა.

როგორც აღმოჩნდა, მასალა, რომელიც საზოგადოების წინაშე მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ უნდა გამოჩენილიყო, გამოცემის ჟურნალისტმა გაავრცელა. მან ფოტო ერთ-ერთ ფორუმზე განათავსა. როგორც კომენტარებიდან ჩანს, ამერიკელები საკუთარ პრეზიდენტზე მეტად პუტინს სცემენ პატივს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იისფერი ბავშვების დაბადების მრავალი ვერსია არსებობს, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია სამი: ინდიგო ბავშვი უცხოპლანეტელთან შერწყმით იბადება, ღვთის საჩუქარია და ადამიანის ბუნებრივი მუტაციაა.**

# ყველაფერი ინდიგო ბავშვების შესახებ

**ტერმინი „ინდიგოს ბავშვები“ პირველად 1982 წელს გამოიყენა ამერიკელმა ფსიქოლოგმა და ექსტრასენსმა ნენსი ენ ტეპმა თავის ერთ-ერთ წიგნში. მისი და სხვა ექსტრასენსების მტკიცებით, ამ ბავშვებს ინდიგოსფერი, ანუ მუქი იისფერი აურა ჰქონდათ და სწორედ აურის ფერის გამო ეწოდათ მათ ასე. თუმცა ტერმინის დამკვიდრება მოხდა 1999 წლიდან, მას შემდეგ, რაც გამოიცა ცნობილი ამერიკელი მწერლის — ლი კეროლის წიგნი „ინდიგოს ბავშვები“. „ინდიგოს ბავშვებს“ ასევე უწოდებენ „ახალი ცნობიერების ადამიანებს“, „იისფერი რასის წარმომადგენლებს“, „ზეციურ მოციქულებს“, „ათასწლეულის ბავშვებს“, ზოგი მეცნიერი მათ „NEW AGE“-ს, ანუ „ახალი ეპოქის ადამიანებს“ უწოდებს.**

კეროლის აზრით, ინდიგოს პირველი თაობის დაბადების პერიოდად 1970-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ — ამ პერიოდიდან იშვიათად, თუმცა უკვე შესამჩნევი გახდა ასეთი ბავშვების დაბადება. XX საუკუნის ბოლოდან კი დაბადებულ ბავშვთა დაახლოებით 60-70 პროცენტი ინდიგოს ბავშვად შეიძლება ჩაითვალოს.

კითხვაზე, ვინ არიან ინდიგოს ბავშვები, პასუხი არაერთმნიშვნელოვანია. **ისინი გამოირჩევიან ზემაღალი ცნობიერებითა და მახვილი ინტუიციით. ზოგიერთი მკვლევარი ინდიგოს ბავშვების დაბადებას უკავშირებს ცნობიერების ახალ სიხშირეზე გადასვლას, რომელიც ახალი, ანუ ინდიგოს თაობის მიერ მთელი რიგი მიდგომების ახლებურად გააზრებასა და პრობლემური საკითხების გადაჭრას გულისხმობს.** ეს ის პრობლემებია, რომლებსაც დღევანდელი კაცობრიობა ვერაფერს უხერხებს.

**იისფერი ბავშვების დაბადების მრავალი ვერსია არსებობს, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია სამი: ინდიგო ბავშვი უცხოპლანეტელთან შერწყმით იბადება, ღვთის საჩუქარია და ადამიანის ბუნებრივი მუტაციაა.**

ინდიგოს არსი ისაა, რომ ეს ბავშვები არიან ამბიდექსტრები, ანუ მათში მუშაობს ტვინის ორივე ნახევარსფერო. ჩვეულებრივი ადამიანები იყოფიან მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროების მუშაობის პოტენციის მიხედვით (მარჯვენა ნახევარსფერო — ლიდერობს ინტუიცია, მარცხენა ნახევარსფერო — ლოგიკა). ამბიდექსტრები იყენებენ ორივე ნახევარსფეროს ერთდროულად. მათ ერთდროულად აქვთ საუკეთესო ლოგიკაც და ინტუიციაც. კომპიუტერული ენით რომ ვთქვათ, მათ ინსტალირებული აქვთ პარალელურად ორი ოპერაციული სისტემა და შეუძლიათ ორივე გამოიყენონ ერთდროულად. ამბიდექსტრები მათში, ვინც გადაცილებული არიან 50 წელს, ათი ათასიდან ოთხი-ხუთია. 30-40 წლის ადამიანებში — ათასიდან სამი-ოთხი; ხოლო ვინც ახლა ამთავრებს სკოლას — 12 პროცენტზე ოდნავ მეტი, VII-VIII კლასების მოსწავლეებში — 25%-მდე; II-III კლასელებში — 30-40 %-მდე.

ამ ბავშვებს შიშის გრძნობა არ გააჩნიათ, ავტორიტეტებს არ აღიარებენ, კერპები არ ჰყავთ, არავის ბაძავენ და მხოლოდ საკუთარი თავისა და ძლიერების სჯერათ. **ისინი ძალიან მტკივნეულად განიცდიან, როცა ატყუებენ და მცირე სიყალბესაც კი ვერ ეგუებიან. ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვთ.** თავდაჯერებულნი, მაგრამ მოუსვენრები და სულსწრაფები არიან. მხოლოდ იმას აკეთებენ და სწავლობენ, რაც აინტერესებთ. ადვილად ბეზრდებათ ყველაფერი, რაც მათთვის ნაკლებად საინტერესოა. ინფორმაციის უმეტეს ნაწილს ტელევიზორის, კომპიუტერის ან ენციკლოპედიების საშუალებით იღებენ. მათი ინტელექტის მაჩვენებელი 130-160 ქულაა, რაც მათ წინამორბედ თაობებში მხოლოდ 10 ათასში ერთს თუ აქვს. ისინი ყველანაირ ინფორმაციას ისრუტავენ. ყველაფრის შესახებ გააჩნიათ საკუთარი აზრი და მათი გადარწმუნება თითქმის შეუძლებელია.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მათი ელექტრომაგნიტური რხევების დიაპაზონი 3.222.000-დან 11.350.000 ჰერცამდე მერყეობს, რაც ჩვეულებრივი ადამიანის მაჩვენებელზე სამჯერ მეტია. ეზოთერულ მეცნიერებაში „მაღალი ვიბრაცია“ გასხივოსნებულობის მაჩვენებელია, ამიტომაც ამ ბავშვებს ინეტელექტთან ერთად ინტუიციაც ძლიერად აქვთ განვითარებული. ბევრი თვლის, რომ ისინი უფრო მეტს გრძნობენ და ხედავენ, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები. მომავლის ჭვრეტის უნარიც აქვთ. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყველა მათგანი წინასწარმეტყველი იქნება.

ინდიგოს ბავშვები ფლობენ ახალ, უჩვეულო ფსიქოლოგიურ თვისებებსა და ტენდენციებს. ამ ბავშვების აზროვნების პროცესი და საერთოდ ხასიათი არის განსხვავებული და ამავე დროს — პრინციპულიც. მათ შეუძლიათ სხვისი აზრების კითხვა, შესწევთ უნარი, მიიღონ ინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც მრავალი ათასი კილომეტრის იქით ხდება, იმსჯელონ სამყაროს ბედზე, მოგვითხრონ წარსული ცხოვრების შესახებ. მათ არ სჭირდებათ „ცდისა და შეცდომის“ გზის გავლა — ისინი ქვეცნობიერად ირჩევენ სწორ გზას, რომელიც ჩვენ, შესაძლოა, უცნაურად მოგვეჩვენოს.

**ისინი უარყოფენ წესებს. ეს ბავშვები საკმაოდ თვითმყოფადები არიან, აქვთ მბრძანებლური ხასიათი და მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა. ვერ იტანენ, როდესაც მათ მბრძანებლობენ და მითითებებს აძლევენ — მითითების მიცემა უნდა მოხდეს დელიკატურად და ტაქტიანად. გამოუვალად ეჩვენებათ ისეთი სიტუაციები, რომლებშიც თავიანთ გავლენას ვერ იყენებენ. თანატოლებზე ბევრად განვითარებულნი არიან.**

ათი წლის წინათ დაიბადა ბავშვი, რომელიც შიდსის ვირუსით იყო დაინფიცირებული. მას გამოკვლევები მუდმივად უტარდებოდა. რაც უნდა საოცრად მოგეჩვენოთ, 6 წლისას შიდსის კვალი სრულიად გაუქრა. ამ საოცრებამ მეცნიერულ წრეებში დიდი



**თავდაჯერებულნი, მაგრამ მოუსვენრები და სულსწრაფები არიან. მხოლოდ იმას აკეთებენ და სწავლობენ, რაც აინტერესებთ. ადვილად ბეზრდებათ ყველაფერი, რაც მათთვის ნაკლებად საინტერესოა. ინფორმაციის უმეტეს ნაწილს ტელევიზორის, კომპიუტერის ან ენციკლოპედიების საშუალებით იღებენ. მათი ინტელექტის მაჩვენებელი 130-160 ქულაა, რომელიც მათ წინამორბედ თაობებში მხოლოდ 10 ათასში ერთს თუ აქვს. ისინი ყველანაირ ინფორმაციას ისრუტავენ. ყველაფრის შესახებ გააჩნიათ საკუთარი აზრი და მათი გადარწმუნება თითქმის შეუძლებელია**



გაკვირვება გამოიწვია. კვლევებით დადგინდა, რომ ბავშვს ლურჯი ფერის აურა ჰქონდა. შემდეგ თანდაყოლილი შიდსით დაავადებულ რამდენიმე ბავშვზეც აწარმოეს დაკვირვება და ისევ გასაოცარი შედეგი მიიღეს — ბავშვები მძიმე სენისგან განიკურნენ. უფრო დაწვრილებითი გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ მათი დნმ-ი ჩვეულებრივი ადამიანების დნმ-ისგან განსხვავდებოდა. საერთოდ, დნმ-ში 4 ნუკლეომჟავა სამ-სამად ერთდება და ქმნის 64 კომბინაციას, რომლებსაც კოდებს უწოდებენ. ამ კოდებიდან 20 აქტიურია, დანარჩენი — არააქტიური. ამ ბავშვების შემთხვევაში კი აქტიური 24 კოდი აღმოჩნდა, ანუ ჩვეულებრივ ადამიანზე 4-ით მეტი. სწორედ ეს განაპირობებს ისეთი დაავადებებისადმი მდგრადობას, როგორიცაა შიდსი, კიბო და სხვ. **დღეისათვის დარეგისტრირებული ახალი დნმ-ის მქონე ადამიანების რაოდენობამ 60 ათასს გადააჭარბა**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალში განუკურნებელი დაავადებები აღარ იარსებებს. მათ საკუთარი თავის განკურნება შეუძლიათ, ძლიერი იმუნური სისტემა აქვთ და ინფექციების მიმართ შეუვალნი არიან.

**იისფერები თავს მოუსვენრად გრძნობენ გარემოში, სადაც თავიანთ მსგავსებს ვერ პოულობენ. არიან თავმოყვარეები და უდისციპლინოები; აქვთ მკვეთრად განვითარებული ინტუიცია; მეტისმეტად თანაუგრძნობენ გარშემომყოფებს, ან პირიქით — საერთოდ გულგრილნი არიან. ძალიან განვითარებული აქვთ აბსტრაქტული აზროვნება; არიან საკმაოდ ნიჭიერები და არცთუ იშვიათად განსაკუთრებული უნარით დაჯილდოვებულნი; არიან ასევე მეოცნებეები, ღრმა და ჭკვიანი თვალები აქვთ.**

როგორც დაკვირვებამ ცხადყო, ინდიგო ბავშვების ტვინი, ანუ მისი ორივე ნახევარსფერო სინქრონულად მუშაობს. საყოფაცხოვრებო დონეზე ეს ვლინდება იმით, რომ გოგონა ბიჭისთვის დამახასიათებელი რკინის ლოგიკით გამოირჩევა, ბიჭი კი ემოციურად მგრძნობიარე, ინტუიციური და სენსიტიურია.

ყველა ინდიგო გამოირჩევა შორსმჭვრეტელობით და მასშტაბურად ხედვის ნიჭით, სიტუაციის გლობალურად აღქმის შესაძლებლობით. მათ შეუძლიათ, მარტივად დაინახონ სიტუაციის უმთავრესი არსი.

ინდიგოს განვითარებული ინტუიცია და მხედველობითი მეხსიერება აქვს. ირწმუნებიან, რომ ბევრი მათგანი ადამიანის აურასაც ხედავს.

ინდიგოებს ცვალებადი ხასიათი აქვთ, თუმცა იშვიათად ახასიათებთ პესიმიზმი. მათი უმრავლესობა გამოუსწორებელი ოპტიმისტია.

ისინი პატარა ასაკიდან სვამენ „არაბავშვურ“ შეკითხვებს, რითაც ხშირად იწვევენ მშობლების გაოცებას და დაბნეულობას. მათ ბავშვობიდან აინტერესებთ ის, თუ კონკრეტულად რატომ, რა მისიით მოევლინენ ამ ქვეყანას.

ინდიგო ბავშვებს დაბადებიდან აქვთ საკუთარი უნიკალურობის შეგრძნება. ისინი ქვეცნობიერის დონეზე გრძნობენ იმას, რომ ამქვეყნად კონკრეტული მისიით მოვიდნენ. თუმცა ე. წ. განდიდების მანიით არასოდეს იტანჯებიან და არც სხვებს ტანჯავენ ამით.

ინდიგო ბავშვების კიდევ ერთი მთავარი მახასიათებელი თვისებაა დედასთან მჭიდრო კონტაქტი და განსაკუთრებული ურთიერთობა.

ინდიგო ბავშვების უმეტესობა ძალიან მიმნდობი და გულღიაა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მათ საკუთარი აზრის დაცვა და უკომპრომისო ბრძოლაც შესანიშნავად შეუძლიათ.

ისინი ამ სამყაროში მოდიან ჩამოყალიბებული შეგრძნებებით. მათ კარგად იციან, რა უნდათ, კარგად აცნობიერებენ საკუთარ მიზნებს, მისწრაფებებს და მათში ეჭვი თითქმის არასდროს შეაქვთ. არ თვლიან საჭიროდ, რომ ახსნან საკუთარი ქცევა და მხოლოდ არჩევანის თავისუფლების სჯერათ. საერთოდ არ აკეთებენ ზოგიერთ რამეს, მაგალითად, მათთვის აუტანელია რიგში დგომა, ლოდინი...

იბნევიან კონსერვატიულ სისტემებთან ურთიერთობებისას, სადაც შემოქმედებით აზროვნებას ადგილი არა აქვს და უნდა იმოქმედო რაიმე ადრე შემუშავებული მეთოდებით. რაიმე საქმის კეთებისას საკუთარ თავს ეყრდნობიან და იმპროვიზაციასაც მიმართავენ, თუმცა ამას მშობლები ან პედაგოგები წესის დარღვევად აღიქვამენ. თუ მათ გვერდით არ არის ვინმე, მსგავსი მენტალიტეტის მქონე, ისინი საკუთარ თავში იკეტებიან და უჩნდებათ შეგრძნება, რომ მათი არავის ესმის. ვერ აღიქვამენ საყვედურებს დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით.

**ბავშვი-ინდიგო მგრძნობიარე და სუსტია. მისგან შეიძლება დადგეს როგორც გენიალური შემოქმედი, ისე გარეწარი. როცა რამე უჭირთ, საკუთარ მოთხოვნებზე მორიდების გარეშე საუბრობენ, გამძაფრებული აქვთ სამართლიანობის განცდა.**

საკმაოდ მიხვედრილები არიან, ადვილად და სწრაფად ერკვევიან ტექნოლოგიებში და ადვილად ითვისებენ სხვადასხვა სახის ტექნიკას — სულ ერთია, ეს მობილური ტელეფონია, კომპიუტერი ▶

## მესამე რეალობა, რომელიც არ ჩანს

**როგორი იქნებოდა სამყარო, მსოფლიოს ქალაქებს ღამით მხოლოდ მილიარდობით ვარსკვლავი რომ ანათებდეს?** მოვაშოროთ ღამის ილუმინაციები, გავწმინდოთ ჰაერი გამონაბოლქვისგან და გამოვა იდეალური სამყარო. სწორედ ამის ჩვენება სცადა ფრანგმა ფოტოგრაფმა და მხატვარმა **ტიერი კოენმა. „ორი რეალობის გაერთიანებით შევძელი, შემექმნა მესამე, რომელიც შენ ჯერ არ გინახავს, თუმცა ის არსებობს!“** — ამბობს კოენი.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თუ სხვა რამ.

**მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ინდიგო ბავშვებს ე. წ. ADHD-სინდრომი აქვთ, რაც გულისხმობს განვითარებად მოშლილობას, რომელსაც ახასიათებს უყურადღებობა, ანუ ყურადღების გაფანტვა, ჰიპერაქტიურობა, იმპულსური ქცევა, სხვადასხვა დავალებასა თუ მოქმედებაზე ყურადღების შეჩერების უუნარობა. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს ნეგატიური თვისებებია, მაგრამ, მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის მტკიცებით, მთელი ეს „ნეგატივი“ გენიოსების უმეტესობას ახასიათებს.**

ინდიგო ბავშვები ბევრ ყურადღებას ითხოვენ და ითავისებენ, რომ სიცოცხლე ძალიან ძვირფასია იმისათვის, რომ იგი ტყუილად გაფლანგო. მათ სურთ, რომ ცხოვრება დატვირთული იყოს მოვლენებით და ხშირად მოვლენებს აჩქარებენ, რათა შედეგები დაინახონ. ასეთი ბავშვები, შესაძლოა, ემოციურად ცოტა გაუწონასწორებული იყვნენ და მათ ვერ წარმოუდგენიათ რაიმე ქმედება, რომელიც სიყვარულზე არ არის დაფუძნებული. მათ მოჭარბებულად ახასიათებთ გულისხმიერება და სიყვარულის გამოვლენის უნარი. მათი პრინციპულობისა და ზოგჯერ მოჩვენებითი უხეშობის მიღმა საოცრად გულისხმიერი და მოსიყვარულე ადამიანი დგას.

**იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი ბავშვები ვერ იტანენ სიცარიელეს და უძრაობას, ცდილობენ, ვირტუალურ სამყაროში მოძებნონ დინამიკა, მოვლენების სწრაფი ცვალებადობა და, რაც მთავარია, ჰქონდეთ ურთიერთობა ტექნიკასთან, რაც ასე მნიშვნელოვანია ინდიგოს ბავშვებისთვის.**

მეცნიერი რობერტ ო'კერი, ვისკონსინის უნივერსიტეტიდან, თავის შრომებში, რომლებიც სწორედ ინდიგოს ბავშვებს ეხება, აღნიშნავს, რომ აღმზრდელები (მშობლები, პედაგოგები) ნოვატორები უნდა გახდნენ აღმზრდელობითი მეთოდების განვითარებაში და მათი მიდგომები ასეთ ბავშვებთან ბევრად უფრო მოქნილი უნდა იყოს. ურთიერთობებში წარმატების მისაღწევად უნდა შეცვალონ მიდგომა მათ მიმართ. ეს განსაკუთრებით ახსნისა და ინფორმაციის გადაცემის მეთოდებს ეხება.

სხვათა შორის, ინდიგოს ბავშვების კვლევის შესახებ არცთუ იშვიათად ტარდება კონფერენციები, მაგალითად, 2000 წელს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელსაც ეწოდებოდა „ახალი ეპოქა — ახალი ადამიანი“, საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის — დიდმა ბრიტანეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გერმანიამ, იტალიამ, ესპანეთმა, ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნებმა და ბევრმა სხვა ქვეყანამ, ანუ მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს მეცნიერული მუშაობა ამ საკითხის შესწავლისა და განვითარებისთვის.

ამერიკის შეერთებული შტატების საბავშვო ბაღებში, კოლეჯებში, საშუალო სკოლებში უდიდესი ყურადღება ექცევა ასეთ ბავშვებთან ურთიერთობებს. მსგავს თემებზე ძალიან ხშირად ეწყობა ტრენინგები, რომლებშიც მონაწილეობენ პედაგოგები, ფსიქოლოგები, ექიმები. გარდა ამისა, ამერიკაში შემუშავებულია სამედიცინო პროგრამა, რომლის მიხედვით აქტიურად მუშაობენ ბავშვებში ზემოთ ნახსენები ADHD-სინდრომის აღმოსაფხვრელად. ეს სინდრომი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავშირშია, უპირველესად, უყურადღებობასთან, ყურადღების დეფიციტთან. მაგალითად, 1996 წელს ამერიკაში, ჯონ ჰოპკინსის სამედიცინო ინსტიტუტში მიღებული დასკვნით, 1990-95 წლებში დაფიქსირდა ამ სინდრომის ორჯერ ზრდა, რამაც აიძულა ამერიკელი მეცნიერები, სასწრაფოდ შეემუშავებინათ ახალი სამედიცინო პროგრამა, რომლის მიხედვითაც ADHD-სინდრომის აღმოფხვრა სხვა მეთოდებთან ერთად ფსიქოტროპული საშუალებებითაც ხდება.

თუმცა ყველაფერი ასე იოლი არ არის – მეცნიერთა ჯგუფი იელის ინსტიტუტიდან ამტკიცებს, რომ ამ ბავშვებში ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენებას აზრი არ აქვს და ეს სასურველ ეფექტს ვერ იძლევა. მათი აზრით, **ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენებით, შესაძლოა, ბავშვები გახდნენ შედარებით დამჯერები და დამყოლები, მაგრამ სინდრომი არ იკურნება. ამასთან, ეს სინდრომი და საერთოდ ამ ბავშვების ქცევა არის არა ნორმიდან გადახრა, არამედ — „ახალი ადამიანის ტიპის დაბადების ნიშანი“.** ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენება დაამუხრუჭებს ამ ბავშვების და, აქედან გამომდინარე, კაცობრიობის განვითარებას.

**მეცნიერები ასევე ამტკიცებენ, რომ ინდიგოს ბავშვების დნმ-ი შეცვლილია და ორგანიზმის ტალღოვანი გამოსხივება ამ ბავშვებში ნორმას ზოგჯერ 10-ჯერ აღემატება, ანუ ინდიგოს ბავშვების განსხვავებულობა ფიზიკურ დონეზეც იგრძნობა.**

უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ მშობლები და პედაგოგები მზად აღმოჩნდნენ ამ ბავშვებთან ურთიერთობებისთვის — სწორად შეაფასონ მათი ნიჭიერება და პრინციპულობა თუ სიჯიუტე. ამ ბავშვებთან ურთიერთობებისას შეცდომები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, რადგან ინდიგოს ბავშვები, თანატოლებისგან განსხვავებით, ცდილობენ, მათ გარშემო არსებული სამყარო საკუთარი სურვილის მიხედვით გარდაქმნან და ხშირად უჩნდებათ კონფლიქტი აღზრდის ტრადიციულ მეთოდებზე მტკიცედ მდგომ მშობლებთან. მათ მიმართ არ გამოდგება მშობლების ტრადიციული არგუმენტი: „მე ბავშვობაში ასეთი არ ვყოფილვარ“.

**თუ თქვენი შვილი ინდიგოა, მოეპყარით მას პატივისცემით, ოღონდ გულწრფელად და არა მოჩვენებით. დაეხმარეთ, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, ყოველთვის დაუტოვეთ არჩევანის თავისუფლება, რასაც არ უნდა ეხებოდეს ეს, არასდროს დაამციროთ. ყოველთვის აუხსენით, თუ რატომ უნდა გააკეთოს ესა თუ ის რამ და ნუ მოითხოვთ მისგან უსიტყვო, ბრმა მორჩილებას.**

ნუ იქნებით მასთან დიქტატორი, შესაძლოა, პირველად სასურველი შედეგი მიიღოთ, თუმცა მომავალში ეს გაორმაგებულ პრობლემებს მოგიტანთ. ნუ აგალელვებთ მისი უყურადღებობა, ეს ინდიგოს ბავშვისთვის ჩვეულებრივი რამ არის. თუ გსურთ, რაიმე გააკეთებინოთ, დაანახეთ ამ საქმის შემეცნებითი მხარე, დააინტერესეთ. გაითვალისწინეთ, რომ ეს ბავშვი არა მხოლოდ თქვენი შვილია, არამედ თქვენი პარტნიორიც, მეგობარიც – მასში ბავშვთან ერთად, ასე ვთქვათ, დიდი ადამიანიც „ზის“. ნუ დატოვებთ მის შეკითხვებს პასუხის გარეშე და მის ინტერესს იგნონირება არ გაუკეთოთ.

თუ ბავშვი აღგზნებულია და მისთვის დამამშვიდებელი მედიკამენტების მიცემას გადაწყვეტთ, ამ გადაწყვეტილებას ათასჯერ გადახედეთ და შეეცადეთ, ფონს მედიკამენტების გარეშე გახვიდეთ. თუ თქვენი შვილი ინდიგოა, ეს ავადმყოფობა არ არის და მედიკამენტებით არ იკურნება.

**შეეცადეთ, რომ ის დაკავებული იყოს და რაც შეიძლება ნაკლები თავისუფალი დრო ჰქონდეს, რომ მისმა ურთიერთობამ კომპიუტერთან, რასაც ვერაფრით აარიდებთ, პრაქტიკული ფორმები მიიღოს.**

ისინი ორი წლიდან იწყებენ კითხვას, ხუთი წლისანი რთულ კომპიუტერულ პროგრამებს ადგენენ, ხოლო თორმეტი წლისანი უნივერსიტეტს ამთავრებენ. თუმცა სუპერინტელექტი მათი საოცარი შესაძლებლობების მხოლოდ ნაწილია. ცნობილია 80-ზე მეტი ფენომენი და უნარი, რომელსაც ფლობს ბავშვი-ინდიგო.

წინასწარმეტყველი, მეტაფიზიკოსი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დორინ ვირჩე აცხადებს, რომ „პირველი, რაც კრისტალურ ბავშვებში ყურადღებას იპყრობს, ეს მათი თვალებია — უზომო, გამჭრიახი, მცოდნე იმ დონეზე, რომელსაც ვერ იგულისხმებ მათი ასაკის გამო. თუ ამყარებენ მხედველობით კონტაქტს, აღარ გტოვებენ, რაც მოქმედებს ჰიპნოზივით და გრძნობთ, რომ სული გეხსნებათ ამ თვალების წინაშე...“

ინდიგო და კრისტალურ ბავშვებს დაბადებიდანვე მოსდევს მძლავრი შემოქმედებითი პოტენციალი, რომლის განვითარების ხელშეწყობისთვის ამჟამად არსებული სისტემა აბსოლუტურად არ არის მზად. **ფსიქოლოგები იტყვიან, რომ ამ ბავშვებს ინფორმაციის ანალიზის ფენომენალური უნარი გააჩნიათ, მასწავლებლები — მათ უმართაობას, მშობლები კი ეგოიზმსა და დაუმორჩილებლობას უჩივიან, ხოლო ექსტრასენსები ყურადღებას აქცევენ წინასწარმეტყველების ნიჭს.**

ჩვენს სამყაროში ამჟამად მოსული ახალი თაობის ბავშვები იმსახურებენ პატივისცემას, უფრო მეტიც — თაყვანისცემას და არა შტამპს „ფუნქციონალური დარღვევები“ და, თუ რამ მართლაც არის დარღვეული, პირველ რიგში, ეს ის სისტემებია, რომლებიც ვერ ეწყობიან ადამიანის განვითარების ახალი ეტაპის შესატყვისად. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ, თუ დავაპირებთ შტამპებითა და დამღის დასმით ამ ბავშვების დათრგუნვასა და დამონებას ან ჩვეულისკენ იძულებით, მედიკამენტოზურად „შემობრუნებას“, მოვსპობთ ღვთისგან ნაბოძებ ძღვენს და საწყისშივე დავანგრევთ ცივილიზაციას, რომელიც ახლა იწყებს ამ სამყაროში ფესვის გადგმას.

## რა ხდება ამსტერდამის პროსტიტუციის მუზეუმში



**მსოფლიოში პირველი პროსტიტუციის მუზეუმი „წითელი ფარნების კვარტლის საიდუმლოებები“ ამსტერდამში გაიხსნა.**

იდეის ავტორები ირწმუნებიან, რომ იქ მეძავების მუშაობის ყველა ის დეტალია ნაჩვენები, „რომლებზეც კითხვის დასმა ერიდებათ“. კერძოდ, სტუმრებს მოუყვებიან, ვინ მიდის ბორდელში სამუშაოდ და როგორია ამ ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება.

ექსპოზიცია მოიცავს უძველესი დროიდან დღემდე ამ პროფესიის ევოლუციას. BDSM-პრაქტიკის ექსპოზიციას ეთმობა. აქ არის ოთახი, რომელიც „ლუქს კლასის“ პროსტიტუციას ეძღვნება, ასევე — დარბაზი, რომელიც ღარიბი მეძავების ცხოვრებას ასახავს.

გარდა ამისა, მაყურებლებს შეუქმნიან წარმოდგენას, როგორია, იდგე ბორდელის მინის ვიტრინაში კლიენტების მოსაზიდად.

ადგილობრივი მთავრობის აზრით, ასეთი მუზეუმის შექმნა ტურისტებს მეძავების რთული სამუშაოს თავისებურებების გაგებაში დაეხმარება, რამაც თავის მხრივ, ადამიანებში მეძავებისა და მათი სამუშაოს მიმართ პატივისცემა უნდა გამოიწვიოს.

ამსტერდამში, წითელი ფარნების კვარტალში ლეგალურად დაახლოებით 7 000 ადამიანი მუშაობს. მათი უმეტესობა ნიდერლანდებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან უკეთესი ცხოვრების საძებნელად ჩავიდა.

ამსტერდამში პროსტიტუცია ლეგალურია და სახელმწიფოს მხრიდან მკაცრად კონტროლდება: მეძავები გადასახადებს რეგულარულად იხდიან და სამედიცინო შემოწმებას გადიან. წითელი ფარნების კვარტალი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა და ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს იზიდავს.




## ტექნოლოგია, რომლის საშუალებით სმარტფონები 30 წამში იმუხტება

**ებრაულმა სტარტაფმა StoreDot, რომლის ერთ-ერთი ინვესტორი ბიზნესმენი რომან აბრამოვიჩია, გამოიმუშავა ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას აძლევს სმარტფონებსა და ელექტრომობილებს, რამდენიმე წამში დაიმუხტოს.**




2014 წელს რომან აბრამოვიჩმა ათი მილიონი დოლარი ჩადო სტარტაფში კომპანია „მილჰაუსის“ საშუალებით, რომელიც ბიზნესმენის აქტივებს მართავს.

StoreDot აწარმოებს აკუმულატორებს ბატარეაში ტოქსიკური მეტალების გამოყენების გარეშე. კომპანიაში ირწმუნებიან, რომ საკუთარ პროდუქციას ბიოორგანული მასალებით ქმნიან. კომპანიამ აპრილში უკვე წარმოადგინა დასამუხტავი საშუალება მობილური ტელეფონებისთვის და სამსუნგის სმარტფონებისთვის, რომელიც ოცდაათ წამში სრულად მუხტავს აპარატს. ამასთან, კომპანია მუშაობს ორგანული მასალის ეკრანების შექმნაზე. თელ-ავივის სტარტაფის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ შექმნეს ბატარეა, რომელიც ბრტყელი ღრუბლის პრინციპით მუშაობს, იწოვს და იძლევა ენერგიას. კომპანია თვლის, რომ 2016 წლისთვის შეძლებს თხელი აკუმულატორის შექმნას.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე დიდი ნაძვის ხე

**გერმანიის ქალაქ დორტმუნდში საშობაო სამზადისი უკვე გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.** ცოტა ხნის წინათ აქ მსოფლიოში ყველაზე დიდი საშობაო ნაძვის ხე აანთეს. მისი სიმაღლე 100 მეტრია და იგი 1700 პატარა ნაძვის ხისგანაა აწყობილი. მთავარ საახალწლო ატრიბუტს 48 000 ნათურა ამშვენებს, რაც მის იერ-სახეს კიდევ უფრო პომპეზურს ხდის. დორტმუნდის საშობაო ბაზრობის ორგანიზატორების თქმით, ეს ყველაზე დიდი ნამდვილი ნაძვის ხეა.



## ზამთარში მუშაობა ფსიქიკურ პრობლემებს იწვევს

**ზამთარში ბევრი ადამიანი სამსახურში მანამდე მიდის, სანამ ინათებს და სახლში ბრუნდება, როცა უკვე ბნელა.** რეჟიმს, რომელსაც მზის სინათლის ნაკლებობა ახლავს, სერიოზული ფსიქიკური პრობლემები მოსდევს, ამტკიცებენ ორგანიზაცია Mental Health Research UK-ის სპეციალისტები.

თუ ადამიანი ყოველდღიურად საჭირო რაოდენობის მზის სინათლეს არ იღებს, მას დეპრესია და აპათია უვითარდება. ამან შეიძლება სეზონური აფექტური აშლილობა გამოიწვიოს.

10-დან 3 ადამიანი ზამთრის თვეებში გათენებამდე დგება და სახლში მზის ჩასვლის შემდეგ ბრუნდება. მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ზამთრის ყველაზე მძიმე დღე იანვრის მესამე ორშაბათია. ამას ცუდი ამინდის ეფექტი, წინა წლიდან დარჩენილი ვალები და მოტივაციის დაქვეითება ერთვის.

## ქალები, რომლებმაც მშობიარობის წინ გაიგეს, რომ ფეხმძიმედ იყვნენ

**არსებობენ ქალები (და არც ისე ცოტა), რომლებიც ვერ ხვდებიან, რომ ორსულად არიან და ლამის მშობიარობის წინ გებულობენ, რომ შვილს ელოდებიან.**



ბოლო შემთხვევა წლეულს, გაზაფხულზე მოხდა. 20 წლის ბრიტანელი გოგონა ექიმთან მივიდა ზურგის ტკივილებით. რამდენიმე საათში კი ჯანმრთელი ბავშვი გააჩინა, თუმცა აზრზეც არ იყო, რომ ორსულად ბრძანდებოდა.

სოფი ელრიჯმა გადაწყვიტა, რომ ზურგის ტკივილები ციკლის ტკივილებისგან იყო გამოწვეული. როცა ტკივილები გაუძლიერდა, ექიმთან მივიდა. იქიდან შინ გაუშვეს, ტკივილგამაყუჩებლების რეცეპტით, თუმცა რამდენიმე საათში ისე ცუდად გახდა, რომ სასწრაფო დახმარება გამოიძახა და ჰოსპიტალში გადაიყვანეს. კლინიკაში მისვლამდე წყლები დაღვარა და ექიმებმა ამცნეს, რომ შვილს აჩენდა.

გოგონა შოკში ჩავარდა. მას არც წონაში მოუმატია, ციკლიც ჩვეულებრივ ჰქონდა, ოღონდ უფრო მტკივნეულად.

„როცა სახლში ბავშვით დავბრუნდი, ჩემი ახლობლები გაოგნდნენ, — ამბობს სოფი, — არავის არაფერი ეეჭვებოდა. ამბობენ, რომ ნორმალურ ქალს ორსულობა არ გამოეპარება, მაგრამ მე არც მუცელი მქონდა და არც სხვა სიმპტომები. მადაც კი არ შემცვლია. ზურგის ტკივილების გარდა არაფერი მქონია უჩვეულო“.

არადიაგნოსტირებული ორსულობა არც ისე იშვიათია. ექიმების თქმით, ყოველ მე-600 ქალს ემართება ასეთი რამ, რომ მშობიარობის წინ გებულობს ორსულობას.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შემთხვევა ძალოსან ელიზაბეტ პობლეტეს უკავშირდება.

მან შვილი ვარჯიშის დროს გააჩინა, ისე, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, ორსულად თუ იყო. „შოკში ვარ. შტანგას რომ დავწვდი, სწორედ ამ დროს მუცელში ტკივილი ვიგრძენი და მეგონა, რომ რაღაცამ მომწამლა“.

როგორც მოგვიანებით აღიარა, ბოლო დროს თავს არც ისე კარგად გრძნობდა, მაგრამ გულდაგულ აგრძელებდა ვარჯიშს, 2008 წლის ოლიმპიადაზე ხომ საპატიო მე-12 ადგილი დაიკავა. ნაადრევად გაჩენილი ექვსი თვის 1,2-კილოგრამიანი ბავშვი საპირფარეშოში მოევლინა ქვეყანას, ბებიაქალებისა და ექიმების დახმარების გარეშე.

# სამყაროს ყველაზე უცნაური გალაქტიკები

**ყველას უნახავს გალაქტიკის ამსახველი ფოტოები და მთავარი, რაც ვიცით მათ შესახებ, ისაა, რომ ყოველი მათგანი ერთმანეთს ჰგავს. მაგრამ არსებობს სხვა გალაქტიკებიც, რომლებიც დანარჩენისგან გამოირჩევიან.**



## სომბრეროს გალაქტიკა

**სომბრეროს გალაქტიკას ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ ძალიან წააგავს ამავე სახელწოდების ქუდს. მას განიერი ღრმული აქვს, თითქოს გიგანტური თავისთვის გამზადებული.** ახლოდან რომ დავაკვირდეთ, გამოჩნდება, რომ რეალურად ის სხვადასხვა მრავალი ვარსკვლავისგან შედგება და არა ერთი დიდი ვარსკვლავისგან. მეცნიერები ვერაფრით ხვდებიან, მის ირგვლივ როგორ მოხდა ბეჭდის წარმოქმნა. ვარაუდობენ, რომ სომბრეროს გალაქტიკის შუაგულში მასიური შავი ხვრელია მოთავსებული.



## შავი თვალის გალაქტიკა

**შესაძლებელია, გალაქტიკა ბოროტად გამოიყურებოდეს? ეს ისეთი გალაქტიკაა, რომლიდანაც ყველა ის ბოროტი უცხოპლანეტელი შეიძლება გამოვიდეს, რომელიც ფილმებში გვინახავს.** შავი თვალის გალაქტიკა, რომელსაც მძინარე მზეთუნახავის გალაქტიკასაც უწოდებენ, სავსეა წითელი ფერის შემცველებით. ეს წითელი ფერი აღნიშნავს წყალბადის სიუხვეს, რაც წარმოქმნის ვარსკვლავებს. უცნაური ისაა, რომ ვარსკვლავები და წითელი ფერის აირი ერთი მიმართულებით ბრუნავს, არადა, მის ირგვლივ შემორტყმული ნისლის ღრუბლები საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს.



## კენტავრი A

**შეუიარაღებელი თვალით ვერ იტყვი, რომ კენტავრი A რაიმე განსაკუთრებული მახასიათებლით გამოირჩევა, მაგრამ, როდესაც კარგად დააკვირდები, მიხვდები, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდება.** ის გალაქტიკის სტანდარტებისთვისაც კი მასიურია. როდესაც ასტრონომებმა დეტალური დაკვირვება აწარმოეს, აღმოაჩინეს, რომ მტვრის ფარდის უკან გალაქტიკას სპირალი აქვს, რაც ძალიან უცნაურია, რადგან გალაქტიკებს ან სპირალი აქვთ, ან მტვერი. არავინ იცის, რა ხდება ამ გალაქტიკაში და როგორ წარმოიქმნა იქ ორივე მახასიათებელი, მაშინ, როდესაც ყველა სხვა გალაქტიკას ის ერთი აქვს.



## ენჯისი 60

**ეს იშვიათი სახის გალაქტიკაა, რომელსაც პოლარული ბეჭდის გალაქტიკას ეძახიან.** აღმოჩენილია მხოლოდ ათეულობით ასეთი გალაქტიკა. მხოლოდ ერთი მათგანის გამოსახულება არსებობს და ამ ერთ კადრში 10 000 გალაქტიკაა თავმოყრილი.



## ენჯისი 474

ენჯისი 474 იმ უცნაურ მედუზებს ჰგავს, ოკეანის სიღრმეში რომ ლივლივებენ და ანათებენ. ასტრონავტები ვერ ხვდებიან, რა ქმნის ასეთი დიდი ენერგიის საბადოს. თუმცა არსებობს თეორია, რომ ეს გალაქტიკა მის უკან მყოფ გალაქტიკასთან კავშირშია და ერთმანეთში შერწყმის პროცესში არიან.



## ბუ, რომლის თვალებშიც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩანს

**ზევსი ყველა იმ ცხოველსა და ფრინველზე საყვარელია, რომლებიც გინახავთ. ზევსი უსინათლო ბუა, რომლის თვალებიც გალაქტიკას ჰგავს. შეუძლებელია, თვალი მოსწყვიტო იმ სილამაზეს, რომელიც მის თვალებში არის ასახული.** თითქოს ვარსკვლავებით მოჭედილი მისი თვალები არის პროტეინისა და სისხლის პიგმენტების ნაწილები და კატარაქტის შედეგი. ასეთი მდგომარეობა, სავარაუდოდ, მტაცებელი ცხოველის თავდასხმის შედეგია. თუმცა, შესაძლოა, ზევსი ფრენისას დაშავდა. მას მხედველობის მხოლოდ 10% აქვს შენარჩუნებული, ამიტომ არ შეიძლება მისი უკან, ბუნებაში გაშვება, ამიტომ ზევსი კალიფორნიაში, ველური ბუნების კვლევის ცენტრში რჩება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბავშვს გარდაცვლილის სული ჩაუსახლდა





**აშშ-ის საზღვაო ძალების სერჟანტი ვან ლუისი 1983 წლის 23 ოქტომბერს ბეირუთში ყაზარმის დაბომბვის დროს გარდაიცვალა. მის სიკვდილს საოცარი სიზუსტით აღწერს 4 წლის ენდრიუ, რომელიც ქალაქ ვირჯინია-ბიჩში ცხოვრობს. დედამისი — მიშელ ლუკასი ამბობს, რომ, ბავშვის მტკიცებით, ის 23 ოქტომბერს ყაზარმაში გარდაიცვალა.**

**„ეს დღე ისე ახსოვს, როგორც საკუთარი სიკვდილის დღე. გარკვეულ მომენტში ტირილს იწყებს და ისტერიკულად ყვირის; რომ ვეკითხები, რა მოხდა-თქო, მპასუხობს, რატომ ვერ მიშველე, როგორ დავიწვი იმ ცეცხლშიო. ასეთი შეტევები დროდადრო აქვს. თვითონაც ეშინია ამ ხილვების“,** — ამბობს დედა. მისივე თქმით, ბავშვი ისეთ მოვლენებს იხსენებს, რომელთან შეხებაც, შეუძლებელია, მას ჰქონოდა.

**„ენდრიუს ხშირად ვეკითხები თავისი ხილვების შესახებ და მპასუხობს, რომ ჯორჯიის შტატში, სამტერის ოლქში ცხოვრობდა. დამოუკიდებლად ვცადე გამოძიების ჩატარება, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ამიტომ ტელეშოუ Ghost Inside My Child-ს მივმართე და ისინი დაგვეხმარნენ. მათი მეშვეობით მივაგენით იმ მეომრების ფოტოებს, რომლებიც აფეთქების შედეგად დაიღუპნენ. სერჟანტ ლუისის საფლავიც მოვინახულეთ“.**

ფოტოების დათვალიერებისას ენდრიუმ ზუსტად გაიხსენა რამდენიმე სამხედრო მოსამსახურის სახელი და გვარი, თქვა, რომ მისი მეგობრები იყვნენ. როცა ლუისის საფლავი მოინახულეს, ენდრიუ გვერდითა საფლავისკენ გაიქცა, აქ ჩემი მეგობარი ასვენიაო.

დედას იმედი ჰქონდა, რომ სიმართლის გარკვევის შემდეგ ბავშვი თანდათან გათავისუფლდებოდა მტანჯველი მოგონებებისგან. სამწუხაროდ, პირიქით მოხდა.

**„ორ კვირაში ჩემი ოთახის კედელზე ემბლემა გამოისახა. ნუთუ სახლში მოჩვენებები მყავს? იმედი მაქვს, ჩემს კითხვებს ექსტრასენსები უპასუხებენ. იმედად მხოლოდ ისინი დამრჩნენ“,** — ამბობს ენდრიუს დედა.

# მსოფლიოს 12 ყველაზე სულელური აკრძალვა

**თუ რომელიმე ქვეყანაში ჩახვედით და ადგილობრივ კანონმდებლობას არ იცნობთ, შესაძლოა, გაუგებრობაში აღმოჩნდეთ.**



**ინგლისში**, მაგალითად, შეიძლება დაგაპატიმრონ, თუ უცნობ ქალს გართობას შესთავაზებთ. იტალიაში ულამაზო ქალებს პლაჟზე გამოჩენა ეკრძალებათ.

**აშშ**-ის უამრავ შტატში პრეზერვატივებს დევნიან. კონექტიკუტის შტატში პრეზერვატივების გამოყენება აკრძალულია, ვისკონსინის შტატში კი იკრძალება მათი ღიად გაყიდვა, კალიფორნიაში კრძალავენ მის რეკლამას... ყველაზე უცნაური კანონი კი ლუიზიანას შტატში გვხვდება: აქ პრეზერვატივების შეძენა მხოლოდ ქალბატონებს ეკრძალებათ. ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში, სერიოზული ჯარიმის გადახდა მოგიწევთ.

**უნგრეთში** სექსი მხოლოდ სიბნელეშია დასაშვები. ვინ აკონტროლებს ამ კანონდარღვევას, გაურკვეველია.

**ირლანდიაში** აკრძალულია პრეზერვატივების იმპორტი. ამ მკაცრ კათოლიკურ ქვეყანაში მათი გამოყენება დაუშვებელია. ირლანდიის ხელისუფლების აზრით, სექსი მხოლოდ გვარის გაგრძელებისთვის არსებობს.

**იტალიაში** პლაჟზე გაშიშვლება ქალბატონებს უპრობლემოდ შეუძლიათ, მამაკაცებს კი ეკრძალებათ.

**იტალიის** ქალაქ ტროპეაში არსებობს კანონი, რომელიც მსუქან ქალებს პლაჟზე გაშიშვლებას უკრძალავს.

**შვედეთში** ე. წ. მომენტალური ფოტოს გადაღების კაბინაში შიშველი სურათების გადაღება იკრძალება, მაშინ, როდესაც უფლებას გიტოვებენ შიშველი სხეულების ნაწილები ცალცალკე გადაიღოთ.

**ჩინეთში** თუ გამვლელ ქალბატონს შიშველ ფეხებზე შეხედავთ, ჩათვლიან, რომ მას საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეთ და რამდენიმე დღით თავს ციხეში ამოყოფთ.

**ისრაელში**, სასტუმროს ნომერში პორნოარხის ცქერამ შეიძლება სერიოზული პრობლემები შეგიქმნათ. დაახლოებით ერთი წლის წინათ აქ მიიღეს კანონი, რომელშიც ნათქვამია, რომ იკრძალება პორნოფილმების საკაბელო და თანამგზავრული ტელეარხებით ყურება. კანონის დამრღვევს სამწლიანი პატიმრობა ემუქრება.

თუ **ჰავაის კუნძულებზე** მოხვდით და თქვენი ოცნების ქალბატონთან სექსუალური კავშირის დამყარების სურვილი გკლავთ, თავი შეიკავეთ. თუ გოგონა 18 წლის არ არის, მასთან სექსუალური კავშირის დამყარების შემთხვევაში, გოგონას დედ-მამას 3-წლიანი გამოსასწორებელი სამუშაოს შესრულება მოუწევს იმის გამო, რომ ქალიშვილი ცუდად აღზარდეს.

**ესტონეთის** დედაქალაქ ტალინში კატეგორიულად აკრძალულია სექსის დროს ჭადრაკის თამაში.

# განძი ნიუ იორკის ნაგვის კონტეინერში

**მანჰეტენის ზემო აღმოსავლეთ უბანში მცხოვრები მამაკაცი, რომლის სახელიც შეგნებულად არ ხმაურდება, სახლიდან მაღაზიისკენ მიემართებოდა სურსათისთვის, როდესაც შემთხვევით ნაგვის კონტეინერისკენ გაუწია გულმა. სანაგვე ერთ-ერთი ძვირადღირებული სახლის წინ იდგა და სწორედ იქ წააწყდა მამაკაცი უდიდეს განძს.**

განძი ზოგისთვის მხოლოდ ოქრო-ვერცხლია, ამ შემთხვევაში კი მპოვნელმა განძი უწოდა წიგნების იმ იშვიათ და უძვირფასეს კრებულს, რომელიც იმ ნაგვის კონტეინერში გადაყარეს.

წიგნებს შორის იყო **მიშელ დე მონტენის სპეციალური ნარკვევები სალვადორ დალის ილუსტრაციებით, რომელიც გამოცემულია 1947 წელს.** უფრო მეტიც, წიგნების მხოლოდ 1000 ეგზემპლარი გამოიცა და თითოეულ მათგანზე მხატვრის ორიგინალი ხელმოწერა იყო.

ორსაათიანი „ქექვის“ შემდეგ კიდევ უამრავ საინტერესოს გადააწყდა მპოვნელი. იქ ასევე იყო **1947 წელს გამოცემული წიგნი „Alice in Wonderland“ (ალისა საოცრებათა ქვეყანაში), 1939 წელს გამოშვებული წიგნები იოსებ სტალინსა და ჯონ ლენონზე.**

ასევე იპოვა ქალის უხმარი თეთრეული, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებშია გამოშვებული.

ნაპოვნია გაეროს დაზვერვის ანგარიშები, იაფი გზავნილები Western Air Lines, საფრანგეთის სასტუმროს შეტყობინებები რეკლამით TWA, კვიპროსიდან გამოგზავნილი დეპეშები კონვერტით, რადიოგრამა RCA, დეკლარაციები და ბანკის ანგარიშები, უამრავი გაუხსნელი წერილი, რომლებიც დათარიღებულია 1951 წლით.

ეს ყოველივე უამრავი წლის მანძილზე ინახებოდა სახლში, თუმცა მეპატრონის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა ნივთები სრულიად უსარგებლოდ მიიჩნიეს, ამიტომ ბინის ახალმა მეპატრონეებმა დაქირავებული მუშების მეშვეობით ეს ყოველივე ნაგვის კონტეინერს მიაბარეს.











# სხეულის გამაჯანსაღებელი მეთოდი, რომელმაც მსოფლიო შეძრა

**რა არის ატლასპროფილაქსი? რა იწვევს ხერხემლის პირველი მალის, ანუ ატლასის მდებარეობის შეცვლას და თავის მხრივ, რას იწვევს მდებარეობაშეცვლილი ატლასი? რა სიმპტომები ახასიათებს ატლასის მდებარეობის შეცვლას? — ამის შესახებ გვესაუბრება „ატლასპროფილაქსინ ჯორჯიას“ წარმომადგენელი, ქალბატონი ია გორგილაძე.**



— ხერხემლის პირველ მალას ატლასი (ან ატლანტი) ჰქვია. მას არა მხოლოდ თავი უჭირავს, არამედ მასზეა მიბმული მთელი ხერხემლის სვეტი. ეს სახელწოდება მას მითოსური გოლიათის — ატლანტის გამო ეწოდა, რომელსაც, მითის თანახმად, ცის თაღი უჭირავს. ატლასი ადამიანების უმეტესობას დისლოცირებული (მდებარეობაშეცვლილი) აქვს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დარღვევები და დაავადებები.

1993-1996 წლებში შვეიცარიელმა რენე კლაუდიუს შუმპერლიმ, რომელიც იტანჯებოდა მალის დისლოცირების გამო, დანერგა რევოლუციური მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ატლასისთვის სწორი მდებარეობის დაბრუნება, უსაფრთხოდ, ზუსტად და სამუდამოდ.

**— რა იწვევს ატლასის მდებარეობის შეცვლას?**

— დაზუსტებით ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ **ადამიანების 99 პროცენტს ატლასი მალროტირებული აქვს (ანუ მალა გადახრილია მარცხნივ, მოტრიალებულია წინ და ზემოთ, მარჯვნივ და ქვემოთ).**

ამის მიზეზი შეიძლება, იყოს მშობიარობისას მიყენებული ტრავმა, ავტოავარია, თავის ქალის ტრავმები და ა.შ.

**— რა სიმპტომები ახასიათებს ატლასის მალროტირებას?**

— მალის მდებარეობის შეცვლა იწვევს, როგორც თავის ქალის ხვრელის, ასევე ხერხემლის არხის მოცულობის შემცირებას, რაც დამოკიდებულია გადახრის კუთხეზე. ამგვარად, ზურგის ტვინი, თავის ქალისკენ მიმავალი ნერვები და სისხლძარღვები მუდმივ ზეწოლას განიცდის. ასევე, ატლასის დისლოცირებით გამოწვეულია კისრის კუნთების მუდმივი დაჭიმულობა, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს საძილე არტერიებისა და სხვადასხვა სისხლძარღვისა თუ ლიმფური ძარღვის დიამეტრის შემცირებას. შედეგად, თავს იჩენს ისეთი სიმპტომები და დაავადებები, როგორიცაა: დაჭიმულობის განცდა და ტკივილი კეფის არეში, თავის ტკივილი, შაკიკი; კისრის კუნთების, ზურგის, წელის ტკივილი; დისკის თიაქარი, სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ხერხემლის ნერვების მოჭყლეტა და ამასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა, სქოლიოზური მენჯი (მენჯის ძვლების ასიმეტრიული განლაგება), ტკივილი მენჯ-ბარძაყის სახსარში, მენისკისა და მუხლის სახსრების სხვადასხვა დაავადება, სხვაობა ფეხების სიგრძეთა შორის და სხვ.

**— ნუთუ ამდენი პრობლემის მიზეზი სულ რამდენიმე მილიმეტრია?!**

— დიახ, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეს ასეა. დღეს დანამდვილებით ვიცით, რომ **კისრის პირველი მალა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობისა და გონებრივი სიჯანსაღის შენარჩუნებაში. ის ჰგავს კარს, რომელშიც თავის ტვინიდან გამომავალი ნერვები და ნერვული დაბოლოებები, სისხლძარღვები, ზურგის ტვინი და ზურგის ტვინის სითხე გადის.** მდებარეობაშეცვლილი ატლასი აფერხებს სისხლის მიმოქცევას თავის ტვინში, ამიტომ თავის ტვინი ან ზღუდავს სხეულისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან ცრუ ინფორმაციას აწვდის. ამგვარად, მთელ ორგანიზმში ბალანსი ირღვევა. მდებარეობაშეცვლილი ატლასი იწვევს ხერხემლის არასტაბილურობას, რაც გამოიხატება ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებებითა და სიმპტომებით. ატლასის მდებარეობის შეცვლა, ასევე, ცუდად აისახება კუნთოვან სისტემაზე, თვალებზე, ყურებზე, ყბაზე, ვესტიბულარულ აპარატსა და შინაგან ორგანოებზე. პირველი მალის მდებარეობის შეცვლის გამო ხერხემალი ახდენს კომპენსირებას მენჯებს შორის ორი ძვლის შემობრუნების ხარჯზე, რის შედეგადაც ყალიბდება კოქსართროზი. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ადამიანები იტარებენ სხვადასხვა გამოკვლევას, დადიან კონსულტაციაზე სხვადასხვა სპეციალისტთან, ხარჯავენ უამრავ ფულს წამლების შესაძენად, მასაჟისა და ფიზიოთერაპიის პროცედურების ჩასატარებლად, მაგრამ ამაოდ. თუ ატლასი არ ზის თავის ბუნებრივ ადგილზე (ანუ თავის ქალა — ატლასის სასახსრე ფოსოში) ამგვარი ჩარევები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. ფაქტია, რომ სწორ მდგომარეობაში მყოფი ატლასი უნარჩუნებს ხერხემალსა და მთელ სხეულს ჯანმრთელობას, ადამიანს უყალიბებს ტანდეგობას და აძლევს საშუალებას, დატკბეს სრულფასოვანი ცხოვრებით!

**— როგორ ტარდება „ატლასპროფილაქსის“ პროცედურა და რამდენად უსაფრთხოა?**

— **ა)** ეს არის არასამედიცინო ვიბრომასაჟის პროცედურა. ის ტარდება აპარატ „ატლასპროფილაქსველნესვიბით“. ამ პროცედურისას ზემოქმედება ხდება მხოლოდ კეფის კუნთებზე, რომლის შედეგადაც კუნთები დუნდება და პირველი მალა უბრუნდება მისთვის განკუთვნილ ადგილს. ამდენად, აღნიშნული მეთოდი სრულიად უსაფრთხოა;

**ბ)** ატლასპროფილაქსმეთოდი დაპატენტებულია შვეიცარიაში და მსოფლიოში აღიარებულია, როგორც უსაფრთხო და ეფექტიანი არასამედიცინო პროცედურა. მას უკეთებენ ახალშობილ ბავშვებსაც კი. მსოფლიოში მილიონობით ადამიანმა ჩაიტარა ატლასპროფილაქსი და გათავისუფლდა დიდი ხნის პრობლემებისა და ტკივილებისგან;

**გ)** ატლასპროფილაქსპროცედურა უსაფრთხოდ ტარდება მხოლოდ სპეციალისტის მიერ, რომელსაც ატლასპროფი ეწოდება და რომელმაც სპეციალური მომზადება გაიარა შვეიცარიის აკადემიაში ან მის რეგიონულ წარმომადგენლობაში.

**— რამდენი პროცედურაა საჭირო?**

— ერთადერთი პროცედურა ცხოვრებაში! საქმე ის არის, რომ, თუ ატლასი ერთხელ ჩაჯდა თავის სასახსრე ფოსოში, ანატომიური და ფიზიკური (თავის წონა, დედამიწის მიზიდულობის ძალა, კისრის კუნთოვანი სისტემის შემოქმედების ძალა) მიზეზების გამო, ვეღარ უბრუნდება თავის ძველ ადგილმდებარეობას.

**— რა შედეგები მოჰყვება ატლასის გასწორებას, ანუ სწორ პოზიციაში დაბრუნებას?**

— ატლასპროფილაქსით ხდება ხერხემლის დაავადების მიზეზის აღმოფხვრა მაშინ, როცა კლასიკური მედიცინა ებრძვის ამ დაავადებების შედეგს. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე ამბობდა, რომ მხოლოდ დაავადების მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ არის შესაძლებელი, დაავადების სრული განკურნება. რადგანაც პირველი მალა ადამიანის ჩონჩხის სიმეტრიის ღერძს წარმოადგენს, მისი სწორ პოზიციაში დაბრუნება იწვევს მხრების, მენჯისა და ორივე ფეხის სიმეტრიულ განლაგებას. რადგან ხერხემლის დანარჩენი მალები ატლასზეა მიბმული, მისი სწორ პოზიციაში ყოფნა იწვევს ხერხემლის სვეტის ასევე სწორ პოზიციაში თანდათანობით დაბრუნებას. რადგანაც თავის ტვინში მიმავალი არტერიები აღარ განიცდის წნეხს, მას მიეწოდება საკმარისი რაოდენობის სისხლი (შესაბამისად, ჟანგბადი), ტვინი იწყებს რეგენერაციისა და თვითრეაბილიტაციის პროცესს. ეს პროცესი ზოგ შემთხვევაში იწყება მეორე დღესვე, ზოგ შემთხვევაში კი — 2-3 კვირის შემდეგ (პაციენტს ეხსნება ტკივილები, იშლება მხრებში, გრძნობს სიმსუბუქეს მთელ სხეულში და ა. შ.) და გრძელდება, სულ ცოტა, 6 თვეს. რთულ შემთხვევებში რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება რამდენიმე წელი. მაგალითად, სქოლიოზისა და ოსტეოქონდროზის შემთხვევაში პროცესი ჯერ სტაბილურდება, შემდეგ მიმდინარეობს კუნთოვანი სისტემის გადაწყობა და პარალელურად იწყება დისკების აღდგენა. ეს, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი პროცესია. უჯრედებისა და ორგანოების რეგენერაცია მყისიერად არ ხდება. ორგანიზმის რეაქცია პროცედურაზე ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. თუ ზოგის ჯანმრთელობის აღდგენა სწრაფად ხდება, მათ, ვისი ორგანიზმიც არასდროს ფუნქციონირებდა სრულფასოვნად, მეტი მოთმინება მართებთ. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა დაავადება მეტისმეტად გამწვავებულია, ხანგრძლივად დაავადებულ ორგანიზმს კი შეიძლება, აღარ აღმოაჩნდეს რესურსი თვითრეაბილიტაციისთვის.

**— არის თუ არა ასაკობრივი შეზღუდვა?**

— ატლასპროფილაქსი შეიძლება ჩაუტარდეს 80 წლამდე ადამიანებს. რადგანაც ამ პროცედურის წყალობით ხდება ორგანიზმის ჰარმონიული განვითარება, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ დონეზე, სასურველია, ატლასპროფილაქსი ჩაუტარდეს ბავშვებს, რაც მომავალში მათი ჯანმრთელობის საწინდარი იქნება.

**— სად მდებარეობს „ატლასპროფილაქსინ ჯორჯიას“ ცენტრი?**

**— მცხეთის ქუჩა №6-ში, ოფ. 2. ტელ. 224-20-80, 599 48-44-52.**

**— რა ღირს პროცედურა?**

— ზრდასრულებისთვის — 600 ლარი, 16 წლამდე პაციენტებისთვის — 450 ლარი. ამ თანხაში შედის ზემოაღნიშნული 2 (ან სამი) ვიზიტი, პროცედურა და ერთი სარელაქსაციო მასაჟი. კონსულტაცია უფასოა და ხდება წინასწარი ჩაწერით.

**«1993-1996 წლებში შვეიცარიელმა რენე კლაუდიუს შუმპერლიმ, რომელიც იტანჯებოდა მალის დისლოცირების გამო, დანერგა რევოლუციური მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ატლასისთვის სწორი მდებარეობის დაბრუნება, უსაფრთხოდ, ზუსტად და სამუდამოდ»**

**მაშ ასე, მოგვმართეთ მისამართზე: მცხეთის ქ. 6, ოფ. 2 (მრგვალ ბაღთან). ტელ. 224-20-80. მობ. 599-48-44-52**

**მსურველებს ვთავაზობთ უპრეცენდენტო 25-პროცენტიან ფასდაკლებას ატლასპროფილაქს-გამაჯანსაღებელ პროცედურაზე და ფასებიც შესაბამისად ზრდასრულებისთვის იქნება 450 ლარი, ხოლო 16 წლამდე ადამიანებისათვის — 350 ლარი.**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა
მის.: ალმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**



საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009